ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი მაკალათია

თეგეული

„ნაკადული"
თბილისი, 1983

26.8(2Т)
91(86Г)922)
ъ 181

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანელი ხერხი მაკლათაის შეიცავ ხუთეულის ოცდათიან წლებში შეკრიბა, აღწერა და შემდეგ მკითხველს საკუთარი ენით მიუთხრა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ხევის, მთიულეთის, რაჭის, მესხეთ-ჯავახეთის, ხამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ეთვა.

ხერხი მაკლათაის წიგნები დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ახალგაზრდა მკითხველისათვის ხელმიუწვდომელია. ახალგაზრდობის კი ინტერესებს ძველიც და ახალიც. ახალს თვითონ ქმნის, ხოლო ძველი ის ხიდარკელია, რომელზედაც ახალი შენდება. ძველი ეთვა, ძველი ადათი, ძველი წესი შეძლება დღეს მიუღებელი იყოს, მაგრამ მათი ცოდნა აუცილებელია. აუცილებელია, ეიცოდეთ, ვინ იყვნენ ჩვენი მამა-პაპანი, რითი ცხოვრობდნენ ისინი, რა უჭირდათ, რა ულხინდათ, რაზე ოცნებობდნენ, შეგვსილა თუ არა ფრთები მათ ოცნებას.

ეარდა შემეცნებითი დარგებულებისა, ხერხი მაკლათაის წიგნებს სხვა დარხებიც აქვთ. ისინი მკითხველს ხიამოვნებას აგვრიან და შრომის ხიყვარულს უნერგავენ.

„თუშეთი" ერთ-ერთია წიგნთა ხერხი მაკლათაის მდიდარი შეცხიერული შემეკვიდრეობიდან.

რედაქტორი თეიმურ უოტერმანიძე

მ ე ო რ ე გ ა ბ ი ც ე ბ ა

[illegible], 1983

79603—43
М ——— 128—83
ა1-003 (08) 83

K 188868

სტეგ-2000
ფეიმოწმეობა

ქ. თბილისის სახ. საქ.
სსრ საბელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან

მოაელთა, კერძოდ, თუმთა წარხული ცხოვრება დღესაც ზოგჯერ ეგზოტიკურ ბურუსში წარმოგეიდგება: ფიქენარითა და არეის ხეებით დაფარული ფერდობები, თოელით მოჩითული ალპური ხაძოვრები, ზედ შეფენილი ცხვრის ფარებით და ხალამურიანი ბედნიერი მწყემსებით; მრქეფარე ნაკადულები, წყაროები, უფრო ქეეთ აღბორგებული ხეები; ჯინღებში მაკარგული ბილიკები და ხადღაც შორს, ცის ტატნობზე, მოქანაგე კოშკები, რომელთა გეერდით ათეთ ხახლია შეჯგუფებული ფრინველთ გუნდიეთ; ხოფლის თავს ქეის ეორის ხავსიანი ხალოცავი ირმებისა და ჯიხვების რქებით. მლოცავეიც აქვეა. ლომფერ ეაეებს, რომელთა მუხლი ცხენზე შეჯდომახახაც კი არ იღუნება, თავები დაუხრიათ და ჩოქი მოუერიათ ხატის წინაშე. ირმის დაბარჯღული რქები ციხკენაა აწყდილი კედრებად: ჯიხვის მაჟი, მხხვილი, დაგრეხილი რქები მიწას ჩახცქერიან ხვეწნად მლოცავისა... თავს ზეეით დამბადებელი ღმერთია მხოლოდ, დაბლა მბრძანელი მიწაა მხოლოდ, ეინაც ღირხი არიან ჩოქეთ ხვეწნა-ვედრებისა...

„ღმერთო, უშველე ქუდოსან-მანდილოსანსა: დიაცსა, კაცსა, ყმაწვილსა! შენ უშველე ხმალამღესა (მეომარს), ჯოხამღესა (მეცხვარეს), გუთნის მიმკოლსა, შენ გაუმარჯვე მტერზედ და ბარაქა მიეცი!..“

თუ ახლოს მივალთ მლოცავთან, დაგეხედებიან მთაელები, ამ მიებიეთ ამაუნი და წყაროებიეთ ლაღნი.

ეს ლოცვა და ხურვალი, მაგრამ ხინამდეელე? ხინამდეელეში მთელი ცხოვრება ხირცხვილისა და ხიკვდილის ჭიდილია — ან-ერთი, ან მეორე! მტერი მოადგა ციხეს, ერთი ან მომსდურს ებრძეის (ესი კადაჭარბება არ გასლავთ, ისტორიულად დადასტურებული ფაქტებია), ციხე სადაცაა დაეცემა, კაცები დაიხოცებიან, დიაც-ყმაწვილს მტერი გარეკავს. ერთი ვილს მოიხდის — ციხის კარს დაეცემა დაჭრილ-დაკუწული, მეორეს ტყვეობაში ელის ხირცხვილი, აბუჩად აგდება: მტრის ენებისა და ნების განუსჯელი მორჩილება...

ქალები ცოცხლად დარჩენილ ერთადერთ მამაკაცს მიხცეიდნენ: — დაგვხოცე, მტრის ხელად ნუ ჩაგვერ!

ციხეში შემოეარდნილი მტერი კლავს ამ ბოლო ძეომარსაც, რომელიც

ხმლებით აკუწული ან ტყვეებით დაცხრილული დახოცილი ქალების ჯვარედინ ეცემა. ასეთია ამბავი ორჯერ გახმაურდა თუშეთიდან: პირიქითის ხოფელში — ბელოში ზურაბმა დახოცა ცოლ-შვილი, მერმე მტერს გაუსტა ხმალდახმალ, თორმეტი მოკლა და თავადაც აკუწეს ბოლოს (ეს ამბავი დაედო საფუძვლად ვეგას „ბაკურს"), 1837 წელს კი ხოფელ დიკლოში ხთახამ დახოცა და, დედა და ცოლი მათი კატეგორიული მოთხოვნით. ხთახაც ზედ დაიკლეს საკუთარი ხელით დახოცილ ქალებს.

ხხვაც ბევრი იყო კარს მომდგარი ჭირი: მეცხვარეს ნადირიც ემტერება და თუშეთს ხადაელთდ გადმოხული დუშმანიც; უგზოობამ და ზვავებმაც ბევრი შეიწირა; ავადობასაც ხელს ეერვინ უბრუნებს და ხხვ. და ხხვ.

დიდ ჯაფას ეწევა თუში მშვიდობიან ცხოვრებაშიც. ხტუმარსაც დახვედრა უნდა, ხოფელ-მეზობელსაც, ხატსაც — თავისი ხამსახური.

თუშთა ხაქმიანობა ძირითადად მეცხოველეობა და მიწათმოქმედებაა. შრომა ლამის პირველყოფილ ხახეს ატარებს: ხის კაეთ ხნავს, ხელით თიბავს და ხელითა მკის; მეცხვარეს მთელი თვის ხაგზალი ხშირად ზურგით მიაქვს და დღედაღამ ხაცხვსა თუ ავდარში გარეთ უხდება ყოფნა...

ეს წიგნი — ხ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს „თუშეთი" — სწორედ ამაზე მოგვითხრობს ხადად და გასაგებად, მაგრამ მეცნიერული ხიმკაცრით. დაკვირვებული მკითხველი ხაკმოთდ სრულ წარმოდგენას მიიღებს თუშეთის ლამის შუნებაზე, მის ხიმდიდრეზე, თუშების ხასიათზე, მათს ცხოვრებაზე ძველად და ხოციალისტური გარდაქმნების პირველ ეტაპზე.

ხ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს ძ�er 1931 წლის ხაფხულში მოპოვებული მასალა ხაყურადღებოა როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით. ამ დროისათვის თუშების ნაწილი (ჩაღმის ხეობის მცხოვრებნი) ჯერ კიდევ არ ჩამოსახლებულა ბარად. მათ კარგად შემოუნახავთ. თუშთა ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი ჩვეულები; ნაწილი თუშებისა (პირიქითისა და გომეწრის მცხოვრებნი) მომთაბარე ცხოვრების ეწევა და გარკვეულად ჩაბმულია ახალ — ხოციალისტურ ცხოვრებაში: თუ ზოგან მაწის ინდივიდუალური ხარკებლობა ჯერ კიდევ ძალაშია, ზოგან უკვე ყალიბდება ხასოფლო-ხამეურნეო არტელები (ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში 1931 წელს ჩამოყალიბებულა 4 არტელი, ან. გვ. 65 და შემდეგ) და, შესაბამისად ახალი ყოფისა, თუშების ცხოვრებაც ძირეულ გარდაქმნას განიცდის. ამ გარდამავალ პერიოდში ძველი და ახალი მკაფიოდ არის წარმოჩენილი თუშთა ცხოვრებაში.

ხ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, უშუალო მოწმე ამ ცვლილებებისა, დეტალურად აგვიწერს ამ დროის თუშეთში მიმდინარე ხოციალურ ძვრებს.

აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აეტორი არ არის მოკლენათა პასიური მჭვრეტელი. იგი თვითონაც აქტიურად ებმება ახლისათვის ბრძოლაში: მიუთითებს თუშთა ცხოვრების შემაფერხებელ ფაქტორებზე და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ გამოსწორებას (უგზოობა, მოსახლეობის ცუდი ხამედიცინო მოპყრობა, ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძო-

ლის აუცილებლობა, მეცხოველეობაში მეცნიერული ჩარევის აუცილებლობა და სხვ.).

ს. მაკალათიას „თუშეთის“ გამოხველის შემდეგ თუშეთის ეთნოგრაფიას, ისტორიას, არქეოლოგიას, გეოგრაფიასა და ადგილობრივ მეტყველებას მრავალი მკვლევარი სწავლობდა: გ. ბოჭორიძე, გ. ზარდალიშვილი, ე. ელანიძე, ე. ლაგაზიძე, ა. შავხელაშვილი, მ. ხუციშვილი, გ. ჯალაბაძე, მ. მაკალათია, გ. გასიტაშვილი, ლ. ბედუკაძე, ც. ბეზარაშვილი, ლ. მოლოდინი, ლ. ხოხელია, ნ. ჯიქია, ნ. დოლობერიძე, ც. ყარაულაშვილი, რ. დოლაბერიძე, პ. ხუბუტია, ო. ოჩიაური, გ. ცოცანიძე, ო. უიურგაიძე და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ბოჭორიძის მიერ 1935 წლის ზაფხულში ჩატარებული შუშაობა. გ. ბოჭორიძე თუშეთის სწავლობს აკადე. ე. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი პროგრამით, რომელიც მოიცავს ყველა ამ საკითხს, რომლებიც განხილულია ს. მაკალათიას „თუშეთში“. ამჟამად ეს მასალები ქეეყნდება.

აქ ჩამოთვლილი ავტორების გამოკვლევებში ს. მაკალათიას დებულებები, ბუნებრივია, უფრო შეავსო მასალებით და დაზუსტდა, ზოგიც გასწორდა, მაგრამ არსებითი ის არის, რომ ს. მაკალათიას მიერ კეთილსინდისიერად და საქმის ცოდნით შესრულებულ ნაშრომს არ დაუკარგავს თავისი ღირებება და რჩება ერთ-ერთ საყურადღებო ნაშრომად ქართველოთმცოდნეობაში.

ავტორის ტექსტში სწორება სდებოდა სალიტერატურო ქართულის დღევანდელ ნორმათა შესაბამისად; უფრო აქტიური იყო ჩარევა, როცა საქმე ეხებოდა მოქმედთა ტექსტში თუშური კილოს ფორმების სწორ დაწერილობას და თუშთა ეთნიკის ამსახველი ტერმინების ზუსტად გადმოცემას; განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდით გეოგრაფიული სახელებისა და ეთნონიმების სწორად წარმოდგენასა და თავის ადგილზე ხმარებას, სპეციალურად შეეხებით ზოგიერთ მათგანს.

1) გასწორდა წიგნში ნახმარი მაკროტოპონიმი მ თ ა თ უ შ ე თ ი ა. მის ნაცვლად ყველგან წარმოდგენილია თ უ შ ე თ ი ა, რადგან თუშები თავისა უძველესი ხაცხოვრისის აღსანიშნავად მხოლოდ თ უ შ ე თ ს ხმარობენ. ეს შხარე თუშეთად (და არა მთათუშეთად) იხსენიება ადრეულ გამოკვლევებშიც (ვახუშტი ბატონიშვილი, ი. გიულდენშტედტი).

ტოპონიმი მთათუშეთა შეიქმნა გვიან არათუშთაგან ამასთან დაკავშირებით, რომ თუშები ბარშიც (კახეთში) სახლობდნენ და თუშეთშიც მაგრამ ეს ვერ ამართლებს ამ ახალ სახელს, რადგან თუშებისათვის თუშეთი და კახეთი ახლაც დარჩა გეოგრაფიულად განსხვავებულ სახელებად, როგორც იყო თუშების ბარად ჩამოსახლებამდე. ნაშნეულია ის ფაქტიც, რომ თუშეთიდან ალვანში მიმავალი თუშები დღემდე ასე ამბობენ: კ ა ხ ე თ ი ნ ა ვ ა ლ ო—„კახეთში მივდივართ“.

2) კომპოზიტი ქიხტ-ჩაჩანი ყველგან შეიცვალა ჩაჩან-ინგუშებით; ცალკე ნასმარი ქ ი ხ ტ ი კი უცვლელად დავტოვეთ. ასეთი მიდგომა გარა-

მიზეზია შემდეგში გაჩენილებამ: თუშურ პოეზიაში, ოქმულებებსა და გადმოცემებში ჩაჩანთა და ინგუშთა ადგილობრივად ასმარება ქართველთა ... ნონიშვილი ჩაჩანი და ინგუში არ ასმარება. ცალკე ნასმარი ქ ა ხ ტ ი, მაშასადამე, ნიშნავს ჩრდილოთ ნახურ ტომთა წარმომადგენელს — როგორც ჩაჩანს, ისე ინგუშს (შედარებით გვიან პანკისის ხეობის ნახური მოსახლეობის წარმომადგენელსაც. ესენი აქ ჩამოსახლდნენ მამილის დროს. პანკისის ხეობა კახეთშია).

ისტორიულად ეთნონიმ ქ ა ხ ტ ს, შესაბამისად, გეოგრაფიულ სახელს — ქ ა ხ ტ ე თ ს, შესაძლოა, უფრო კონკრეტული მნიშვნელობა აქვნდა (ამისათვის ახალი, მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი, ალწერა ხამეფოსა ხაქართველოსა, გვ. 67 და სხვ.), მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამოვდგებარო ამ მოქმელთა გაგებიდან, რომელთაგანაც მოპოვებულია ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს „თუშეთში" წარმოდგენილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა.

წიგნის მეორე გამოცემას დიდად შეუწყვეს ხელი ხაქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხიმონ ჯანაშიას ხახელობის ხაქართველოს ხახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა. რელიგიის ისტორიასა და ეთნოზმის განყოფილების გამგემ მარიან ხუციშვილმა, რომელმაც მოძებნა ს. მაკალათიას ექსპედიციის ძველი ფოტოკარები და დაუმატა ხაჭირო ილუსტრაციები ხაკუთარი ფონდიდან, და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ გოგი ჯალაბაძემ, რომელმაც ხაჭირო ნივთები შეარჩია ფერადი ხლიდების დასამზადებლად. ყველანი ამისათვის გამომცემლობა მათ დიდ მადლობას მოიხსენებს.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ფ ე ლ ი ქ ს ო ბ ა ნ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

თუშეთის ლამაზი ქვაბნარი მოქცეულია კავკასიონის ჩრდილოეთის მხარეზე, სადაც მოშსუის ორტოტა შმაგი ალაზანი. მისი წოწოლა და დახრამული მაღალი მთები შემოხილია წიწვიანი ტყით და ალპიური მდელოებით. თუშეთის ბუნების ხიმშვენიერეს ჯერ არ შეხებია მხატვრის პალიტრა, მგოხნის ჩანგი და კალამი, რომ მისი ბუნების მთელი ესთეტიურობა ადამიანმა მძაფრად განიცადოს.

თუშეთი არც დიდ შარაგზაზეა გაწოლილი, რომ მოგზაურთა ლეგიონი ამ ბუნების წიაღში ხვენებას მიეცეს და მის ხიმშვენიერით დატკბეს.

ალპიური იალაღებით მდიდარი თუშეთი მეცხვარეობის მთავარ ბაზას წარმოადგენს და ეს მხარეც ჩვენში ცნობილია თავისი თუშური ყველით. ამ მხრივ თუშეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში და ამიტომ საჭიროა ამ კუთხის საბჭოთა საზოგადოება სათანადოდ იცნობდეს, რომ შესაძლებელი იყოს ადგილზე გეგმიანი მშენებლობის წარმოება.

ამ მიზნით საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთავარმა განყოფილებამ 1931 წ. ზაფხულში მოაწყო და თუშეთში გაგზავნა ექსპედიცია, რომელმაც ადგილზე ორი თვე დაყო და თავისი სამუშაო გეგმაც შეასრულა. მახალა დამუშავდა ამ წიგნის სახით და მკითხველ საზოგადოებას საშუალება ეძლევა ზოგადად გაეცნოს თუშების ყოფა-ცხოვრებას.

დასასრულ, ამ მუშაობაში ხელის შეწყობისა და ცნობების მოწოდებისათვის საზოგადოების სახელით მადლობას მოვასხენებ თუშეთის მცხოვრებლებს: მ ა კ ა ტ ო ბ ი ღ ო ი ძ ე ს, ს ა ბ ე დ ო და თ ი ნ ა ს ი ხ ვ ა უ რ ე ბ ს, ს ო ნ ა ნ ა კ უ დ ა ი ძ ს, ხ ო ფ ო

და თინაიჭირაულებს (სოფ. ომალო), ლაზარეს ბოხუს ძე იმედაძეს (შენაქო), თასო ბელადიშვილს და ხიდო მაქოს ასულ მოზაიძეს (დიკლო), გიო ელანიძეს (ჩიღო), სიმონ ბახსაჯაურს (დართლო), ლაზარე მათეს ძე ელიზბარიძეს (ჯვარბოსელი), ხაბა ღვთიხოს ძე ითიურიძეს, ლეო ოთხეშის ძე ყიზილაშვილს და დავით ციხკარაშვილს (ზემოალვანი).

მასალების მოწოდებისათვის აგრეთვე მადლობას მოვახსენებ ტექნიკოს მოსე აზიკურს, შენაქოს მასწავლებელს ელენე მაყაშვილს და სამს. აკადემიის სტუდენტს იდია ხვიმონის ძე მიქელაშვილს (მიქელაძეს).

თუშეთის შესწავლის საქმეში უნდა აღინიშნოს გეოგრ. საზ. მთასვლური განყ. თავმჯდომარის, აწ განსვენებულ ამს. შოთა მიქელაძის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის თუშეთის ექსპედიციის მოწყობაში და ამ შრომის დაბეჭდვის საქმეში.

ხერბე მაკალათია
1934 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული მდებარეობა

თუშები მომთაბარე ხალხია და მათი მოსახლეობაც მოძრავია. ზაფხულში თუშები მთაში ბინადრობენ, ზამთარში კი ბარში ჩამოდიან და ცხოვრობენ კახეთში ალონის ანუ ალვანის ველზე, სადაც გაშენებულია მათი ორი დიდი სოფელი — ქვემო და ზემო ალვანი. ამიტომ, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თუშთა საცხოვრისი ორად არის გაწყვეტილი: თუშეთი და ალვანი. მაგრამ თუშური მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიად დღესაც ითვლება თუშეთი, სადაც მათი ძველი სოფლებია გაშენებული.

თუშეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადალმა, მის ჩრდილოეთის კალთაზე: ჩრდილოეთის განედის 42°32′—42°22′ და აღმოსავლეთის გრძედის 63°17′—63°2′ შუა; მას უჭირავს დაახლოებით 796 კვად. კილომეტრი სიბრტყე და თავისი ფორმით წარმოადგენს უსწორო ხუთკუთხედ ქვაბნარს, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთის ღერძის სიგრძე 40 კილომეტრამდეა, განი კი — 25 კილომეტრი.

აღმოსავლეთით თუშეთს დაღესტანი საზღვრავს, დასავლეთით — ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით — ჩაჩნეთ-ინგუშეთი და სამხრეთით — კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით, რომელთა სიმაღლე 3000—4500 მეტრამდე აღწევს. მათ შორის თავისი ბუმბერაზობით შესანიშნავია ჩრდილოეთის ქედი, სადაც აღმართულია მაღალი მწვერვალები: თებულოს მთა (4507 მ), ქერიგო (3272 მ), ქაჩუ (3493 მ) და კვავლო (3988 მ). ეს მწვერვალები ქმნიან თუშეთის ალპს, რომელიც მას ჩაჩნეთ-ინგუშეთისაგან ყოფს. შიგ თუშეთი ხევებითაა დაღარული. მათ შორის არის პირიქითა ქედი, რომელიც ამუგოსა და ორივე ალაზნის სათა-

ვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიემართება. [illegible] შეთს ორად ყოფს: ჩრდილოეთის მხარეზე პირიქითა ხეობა და სამ-ხრეთით გომეწრის ხეობა. ამ პირიქითის ქედზე არსებობს სამი საცალფეხო გადასავალი ბილიკი: ლაროვნის 3296 მ (ლაროვნის ხევიდან — ალაზნის სათავეში), ნაყაეჩოსი 2941 მ (ფარსმიდან — წაროში) და ჩიღოსი 2.416 მ (ჩიღოდან — ომალოში)[1].

ამ მთაგორიანი ქვეყნის მთელი ზედაპირი ხევხეევებითაა დახრამული, სადაც მოშხეიან მაღალი მწვერვალებიდან ჩამონაქცური ნაკადები და იშურებიან თუშეთის ორ მდინარეში: გომეწრისა და პირიქითის ალაზანში. გომეწრის ალაზანი ბორბალოს მთიდან (3. 522 მ) გამოდის და გომეწრის ალაზნის სახელით სწრაფად მიმდინარეობს აღმოსავლეთის მიმართულებით. გომეწრის ალაზანს სოფ. გოგრულთასთან ეერთდება ორწყალი, სოფ. ხახაბოსთან — ალატოვან—წოკვის შენაერთი ნაჯიდურის წყალი.

პირიქითი ალაზანი ამაგოს (3965 მ) მთიდან გამოდის. ნასოფლარ ჰელოსთან მას ეერთდება ლაროვანის წყალი და გომეწრის ალაზნის პარალელურად მიექანება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. გზაზე მას ეერთდება თუშეთის ალპიდან ჩამონადენი წყლები: ჯამაკის წყალი, ჯაჯის წყალი, დანოს წყალი, კვავლოს წყალი და სხვა.

ორივე ალაზანი იყრება სოფ. ცოკალთოსა და შენაქოს მახლობლად. შეერთებული ალაზანი უკვე სცილდება თუშეთის საზღვარს და დაღესტანში იჭრება. აქ ალაზანს ანდის ყოისუს უწოდებენ და, ავარიის ყოისუსთან შეერთების შემდეგ, ის მდინარე სულაქის სახელით კასპიის ზღვაში ჩადის.

მთელი თუშეთი ამ ორი ალაზნის აუზშია მოქცეული და სამ ხეობად იყოფა: პირიქით, გომეწარი და ჩალმა. გეოგრაფი ვ ა ხ უ შ ტ ი თუშეთს ასე აგვიწერს: „ხოლო თ უ შ ე თ ი არს ლოპოტიხა, თორლისა და პანკისის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩრდილოთ კერძოთა შინა, და არს ორ კვად და მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამხრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თვსი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორალანს თერგის მდინარეს... ხოლო კავკასს

---

[1] Ф и л и п о в, Тушинская котловина или Тушетия, Военный обзор Тифлиск. Губ. и Закатальского округа, СПБ. 1872 г., ss. 15—18.



დიღლის ყინვარები

იქით არს წ ო ვ ა, წოვას ქვეით გ ო მ ე წ ა რ ი და მას ქვეით ჩ ა ღ-
მ ა. და... მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩიჩანსა და ამას შორისი; სამჯრით—კავკასი, ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით — მთა კავკასი, ამასა და კახეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ღლიღვ-ქისტს შორის"[1].

თუშეთი მოქცეულია კავკასიონის ჩრდილოეთის მხარეზე. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2800—4500 მეტრამდე აღწევს. ჰავა აქ ცივია და ეკუთვნის ალპიური ჰავის ზოლს. თუშეთში მთელი წლის განმავლობაში ცივი ამინდებია (წლის საშუალო ტემპერატურა 5°-ია). ზამთარი სუსხიანია და თოვლიან-ყინვებიანი. იანვრის ტემპერატურა —12°-დან —18°-მდე აღწევს და მდინარე ალაზანიც იყინება. გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა—ადრე, ხშირად სეპტემბერში თოვლი მოდის. ზაფხული გრილია (ივლისის ტემპერატურა 10°-დან 14°-მდეა), მოკლე და ნესტიანი. ატმოსფეროს დანალე-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1941 წ., გვ. 104.

ჭის წლიური რაოდენობა აღწევს 1000 მილიმეტრს და უმთა
თოვლის სახით მოდის.

მცენარეულობით მდიდარია თუშეთის ბუნება, რომელი
ლამაზ პეიზაჟებს. მთები შემოსილია სუბალპური ტყით, რო
ფიჭვნარი სჭარბობს (Pinus hamata Stev), განსაკუთრებით
ქით ალაზნის ხეობაში. ფიჭვს გარდა აქაურ ტყეში იზრდება:
(Tilia caucasica Rupr), შებუსველი არყი (Betula pubescens
ჭნავი (Sorbus Boissieri C. K. Sch.), ბოკვი (Acer Tren
Medw.), მურყანი (Alnus Tourn), ვერხვი (Populus tremula)[1] ;

ტყის ზემო სარტყელი შემოსილია სუბალპის მაღალი ბა
იგი მდიდარია სათიბით და იძლევა კარგი ღირსების თივას.
პების ზოლის ზემოთ გადაჭიმულია ალპიური მდელო, რო
წარმოადგენს ფართო და ნოყიერ იალაღებს, სადაც ზაფხულ
რიოდში თუშების ცხვრები იკვებებიან.

აქაურ ტყე-ველებში ბუდობენ ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი:
შურთხი, არწივი, ბაყვი, ქორი, მიმინო, ყვავი, ყორანი, სოი
ვი), ჩხიკვი, ტყის ქათამი, გუგუტა, ოფოფი, შაშვი, ჯღართვი
ლი შაშვია), ბულბული, მწყერი, ქერა ჩიტი (მოწითალო ფე
ტოროლა, იელელა (ტანი ლეგა და ყელი თეთრი), ღალღა,
ხის კოდალა.

ნ ა დ ი რ ი: ჯიხვი, თხა, ვაცი, ირემი, დათვი, მგელი, ა
მაჩვი, მელა, კვერნა (ტყის კატა), კურდღელი.

ქ ვ ე წ ა რ მ ა ვ ა ლ ნ ი: ყვარტი (ბაყაყია), შხამიანი გველ
ტყორი (ხელიკი), თაგვი, დეოფალა (ციყვის მსგავსია), ლი
ნა (ლოკოკინა).

თ ე ვ ზ თ ა გ ა ნ აქ ორივე ალაზანში კალმახი ბუდობს; მ
დით და ჩანგლით (ანკესით) იჭერენ.

გ ე ო ლ ო გ ი უ რ ა დ თუშეთი ნაკლებად არის შესწავლი
მისი ბუნებრივი სიმდიდრეც ჯერ გამოკვლეული არ არის.

---

[1] Г. Радде, Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1981. ob. 33. 268
ა. ა. გროსსეიმი, დ. ი. სოსნოვსკი, ნ. ი. ტროიცკი, საქართველოს მ
ლობა, ტფილისი, 1928 წ., გვ. 115—116.

[2] Н. А. Буш, По горам и ущельям Хевсурии и Тушетии, СПБ.
Н. Дюник, Путешествие по Пшавии и Тушетии (Зап. Кав. отд
кн. XV, Тиф., 1893 г., зд. 113—132).

ამ რაიონს ახასიათებს პალეოზოური ჯიშის ფიქალქვების სიუხვე[1]. მათ თუშები საალმშენებლო მასალად ხმარობენ და აქაური შენობები მხოლოდ ამ ფიქალითაა დახურული. მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი წყლებითაც ღარიბია ეს კუთხე. დაბალი ღირსების მეავე წყლებია: ხისოში, ჩიღოში და ფარსმასთან.

ვ ა ხ უ შ ტ ი თუშეთს ასე ახასიათებს: „არს ქვეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა ალვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და ველოვნებით. არამედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თვსთა მთათა შინა საძოვარი და ზამთარს ჩამოვლენ გალმა-მკარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა. ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზდებიან კახეთით, რამეთუ მათ მოუყავთ და ვაჭრობენ... და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მკნენი, ძლიერნი მკედარნი წარმატებულნი და უსაქციელნი, ბრიყუნი... სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულთა... ხოლო რომელნი არიან მკარეთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარა ფარსმანის კევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი" (იხ. გეოგრაფია, გვ. 105).

ადმინისტრაციულად თუშეთის დღევანდელი მოსახლეობა სამ თემად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩალმა. პირიქითის თემი მოქცეულია პირიქით ალაზნის ხეობაში, გომეწრისა — გომეწრის ალაზნისაში, სოფ. ხისამდე. ჩალმის თემი კი მოქცეულია ამ ორივე ალაზნის შეერთების აუზში. თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრად სოფ. ომალო ითვლება. აქ მოთავსებულია თემსაბჭო, რომელიც მოსახლეობასთან ერთად ქვემო ალვანიდან ზაფხულობით აქ ამოდის და შემოდგომაზე ისევ ალვანში ბრუნდება. თუშეთის თემებს შორის ჩალმის ხეობის მოსახლეობა (ომალო, შენაქო, დიკლო და ჩიღო) მომთაბარეობას არ ეწევა და ზამთარ-ზაფხულ აქვე ცხოვრობს: გომეწრის თემის დიდი უმრავლესობა საზამთროდ ქვემო ალვანში ჩადის და იქ ბინადრობს. პირიქითი ხეობის თუშები კი ზამთ-

---

[1] О. Гаврилов и С. Симонович, Геологическое наблюдение в области речных долин Иори и Алазани (Мат. для Геол. Кавказа, серия II, кн. IX, Тиф., 1895 г., зз. 15—22); პროფ. ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, გეომორფოლოგია, ტფილისი, 1926 წ., გვ. 116.



ალაზნისთავის ფერდობები

რობით ზემო ალვანში ცხოვრობენ. იქვე წოვა თუშები მოსახლეობენ. წოვები საზაფხულოდ თუშეთში (წოვათაში) უკვე არ გადადიან და ტბათანაში ბანაკდებიან.

1930/31 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით თუშეთში ირიცხება ორივე სქესის მცხოვრები:

1. თუშეთში — 2.388 სული
2. ქვემო ალვანში — 1.465 სული
3. ზემო ალვანში — 3.415 „

სულ 7.268

უ გ ზ ო ო ბ ი ს გამო თუშეთი ძნელი მისავალი ქვეყანაა. არსებობს რამდენიმე საცალფეხო მთის ბილიკი, მაგრამ ყველა ბილიკი გადადის კავკასიონის ქედებზე და ზამთრის პერიოდში გაუვალია.

თუშეთიდან სამხრეთისაკენ გადის რამდენიმე ბილიკი, რომლითაც ის უერთდება კახეთს და მთელ საქართველოს. მათ შორის მთავარია: დიდგვერდისა, ყეპნისა და ალაზნისათვის გზები.

დიდგვერდის გზა გადის სოფ. ომალოდან (2106 მ) ბოკორმა (2320 მ) — გოგრულთა (2160 მ) — ვესტომთით კავკასიონზე გადადის დიდგვერდისა (3515 მ) და საკინის (ყანის) ღელის (3186 მ) გადასასვლელზე და ლეჩურ-ფშავლის გზით კახეთში ჩადის.

კვანის გზა სოფ. ხისოდან (1890 მ) გადადის ზეთავის გადასასვლელზე (3101 მ) და ლეჩურ-ფშავლით კახეთში მიდის[1].

ალაზნის თავის გზა ჯვარბოსელ—ალისგორით (2144 მ) და ალაზნის სათავით (2357 მ) გადადის საყორნის გადასასვლელზე (2475 მ) და წიფლოვანის ხევით ეშვება ტბათანაში და აქედან ბირკიან—ალვანის გზატკეცილით კახეთში გადის.

ამავე მიმართულებით არსებობს სხვა ბილიკებიც: ანდარაზისა, ყადორისა და მელთკუდის გზა, მაგრამ მათ შორის შედარებით ყველაზე წესიერი დიდგვერდ-ნაქერალის გზაა.

დღეს თუშეთში გზატკეცილების სამმართველოს გაპყავს ახალი, მოკლე გზა თუში ტექნიკოსის მოსე აზიკურის ინიციატივით და ხელმძღვანელობით. ეს გზა გაპყავთ სოფ. ხისოდან და აბანოს ღელეთი კავკასიონის ქედზე ბულანჩოს წვერისა და შავკლდის შუა „საცხვრე ჯორკზე" გადადის და „თუშეთის აბანოში" ჩადის. აქედან გზა გაივლის „თორღვას აბანოზე" და ლეჩურ-ფშავლით კახეთში ჩავა. ეს ყველაზე მოკლე გზაა. ამ გზით 3—4 დღის სავალი 120-კილომეტრიანი გზა შემცირდება ერთი დღის გზად, რომლის მანძილი დაახლოებით იქნება 31 კილომეტრი. თუშეთის ამ გზის გაყვანა დაიწყო 1929 წლის ზაფხულიდან. გზა გაპყავთ ვიწრო, მაგრამ შემდეგისთვის განზრახულია მისი გაფართოება და საურმედ გადაკეთება. ამ გზას თუშეთისათვის პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა და ამიტომ საჭიროა გზის დროზე დამთავრება.

დასავლეთით თუშეთიდან გზა გადის ხევსურეთში პირიქით ალაზნის ხეობით, აწუნტის გადასავალზე (3570 მ). ფშავში გზა მიდის ალაზნის სათავით (2357 მ), საყორნისა და ბორბალოს გადასა-

---

[1] ჩვენი ექსპედიცია ამ კვანის გზით გაემგზავრა; ეს გზა მოკლე გზად ითვლება, მაგრამ მეტად ძნელი გასასვლელია. დაბრუნდა ექსპედიცია ალაზანტბათანის გზით. ეს გზა მშვენივრადაა აღწერილი ივ. ბუქურაულის მგზავრის შენიშვნებში „ტბათანიდან წოვათამდე", ჟურ. „მოამბე", № VIII და № IX.

ვალზე (3135 მ), რომელიც წოკვის თავზე (2677 მ) გადადის და-ეცა-ნა ფშავში ჩადის.

აღმოსავლეთით თუშეთიდან ლეკეთში გზა გადადის სოფ. დიკ-ლოდან (2153 მ) და ჭერო (1852 მ) — ხუშეთით (2046 მ) დაღეს-ტანში ჩადის.

ჩრდილოეთით, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მიმართულებით, რამდენიმე ბილიკი არსებობს: პირიქით ალაზნის სათავიდან თებულოს გადასა-ვალზე (3342 მ), ჭონთიოდან (1995 მ) ქერიგოს გადასავალზე (3272 მ) და გირეე-ფარსმიდან (2155 მ) ქაჩუს გადასავალზე (3551 მ).

ისტორიული მიმოხილვა

თუშეთის ისტორია ჯერ გამოუკვლეველია და ბურუსითაა მო-ცული. არსებული მცირედი ისტორიული მასალაც სათანადოდ შეს-წავლილი არ არის და ამიტომ ძნელია მისი ისტორიული წარსულის მთლიანი სურათის აღდგენა. მაგრამ ჩვენ აქ შეეცდებით, ამ ნა-წყვეტი ცნობების შეკოწიწებით, ზოგადად მაინც გავეცნოთ თუ-შეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესებს.

პრეისტორიული ხანის ნაშთები თუშეთში მცირედ არის აღმო-ჩენილი და ისიც შემთხვევითი ხასიათისაა. არქეოლოგიური კვლე-ვა-ძიება აქ არავის უწარმოებია და ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუშე-თის წიაღში რა მნიშვნელობის ნაშთებია ჩაფლული. მაგრამ თუ-შეთში უკვე აღმოჩენილი პრეისტორიული ხანის ერთეული ნივთე-ბი[1] აშკარად მოწმობენ, რომ ისტორიის წინა ხანაში ადამიანს თუ-შეთის აწინდელ ტერიტორიაზე უცხოვრია და თავისი კულტურული შემოქმედების ნიშუშებიც კაცობრიობისათვის უანდერძებია. თუ-შეთში აღმოჩენილ ნივთებს შორის საყურადღებოა: ბრინჯაოს ორი ირმის ქანდაკება, რომლებიც თავისი სტილით, ფორმით და ნაკვთო-ბის ტექნიკით მიეკუთვნება კავკასიის ბრინჯაოს ხანას და დათარი-ღებულია დაახლოებით XII—IX საუკ. ქრ. წინ. ძნელია ამ ფრაგ-

[1] აღმოჩენილი ნივთები დაცულია საქ. მუზეუმის არქეოლოგიურ განყ (იხ. Коллекции Кавказского музея, Тиф. 1902, вып. 40—41, №№ 976—982).

მენტული ჭანდაკების დანიშნულების გარკვევა, რომელსაც ქვემო ნაწილი აკლია. ყოველ შემთხვევაში, ირმის ეს ორივე ჭანდაკება სამკაული არ უნდა იყოს. მისი დანიშნულება უფრო რიტუალურია, რომელსაც იმდროინდელი გაუთვითცნობიერებელი ადამიანი ალბათ თაყვანს სცემდა.

ირმის ჭანდაკება

შემდეგ საყურადღებოა აქ აღმოჩენილი უფრო გვიანდელი დროის ბრინჯაოს ბალთა, რომელიც დაფანჯრულია და ზედ გამოსახულია წაჩოქილი ცხენები. თავისი სტილით და ნაკეთობით ბალთა მიეკუთვნება სკვითურ-სარმატულ ხელოვნებას და დათარიღებულია

ქ. ფაღავის სახ. საბ. ბიბ. საბჭოთა
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

V—I საუკ. ამგვარი ბალთები ჩნდება ჩრდილო-კავკასიის ფერდობებ-ში, განსაკუთრებით დაღესტანში.

ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს თუშეთში აღმოჩენილი მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ხელში მოკლე კომბალი უკავია. ქანდაკება საყურადღებოა და უნდა იყოს ღვთაების კერპი.

ერთი სიტყვით, ამ მცირეოდენი არქეოლოგიური აღმოჩენიდან ირკვევა, რომ თუშეთის ტერიტორიაზე ადამიანს პრეისტორიული ხანიდან უცხოვრია და კულტურულადაც უმოღვაწია. ეს კუთხე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ჩრდილო კავკასიას ეკვრის და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთებიც კულტურის ამ წრის ნიშნების მატარებელია.

ისტორიულ ხანაში თუშეთი პირველად იხსენიება გეოგრაფ პტოლემაიოსის თხზულებაში; იგი ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. თავის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში მას „კავკასიის ტომებს შორის მოხსენიებული ჰყავს თუშებიც: „კავკასიისა და კერაუნის მთებს შორის არიან ტუსკები („ტუსკოი" — თუშები) და დიდური (დიდოელები)" [1].

ამასთანავე, პტოლემაიოსი თუშეთს, დიდოსთან და ჩრდილოეთ სხვა ტომებთან ერთად, მიაკუთვნებს აზიის სარმატებს და არა ევროპიდელ ალბანია-იბერიას, რომლის გეოგრაფიული აღწერაც მასვე მოეპოვება. ამ შემთხვევაში პტოლემაიოსი ემყარებოდა თუშეთის მხოლოდ გეოგრაფიულ მოხაზულობას თუ აგრეთვე მისი ქართველ მოსახლეობის პოლიტიკურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დაჯგუფებას, ამაზე ცნობების უქონლობის გამო, რაიმე გარკვეული მოსაზრების გამოთქმა ძნელია.

ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში თუშეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ჩვენთვის გაურკვეველია. მხოლოდ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში აქვს ნათქვამი: „ხოლო თუშნი და დიდონი უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი... და მოხარკენი მათნი" (გეოგრ., გვ. 103). მაგრამ ვახუშტის ამ მოსაზრების უკომენტაროდ გაზიარება ძნელია. მით

---

[1] Клавдий Птоломей. Географическое руководство. Положение Азиатской Сарматии, кн. V. гл. VIII (В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, СПБ, 1893 г., гл. 239).

ემეტეს, რომ ავტორს ეს ცნობა არა აქვს უტყუარი ისტორიული ფაქტებით შემოწმებული [1].

ქართულ მატიანეში თუშეთი პირველად იხსენიება წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში, როდესაც მირიან მეფემ (323 წ.) მთიელების გასაქრისტიანებლად გაგზავნა წმ. ნინო ერისთავის თანხლებით და „დადგეს ქალეთსა და უქადაგეს ერწო—თიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელიღეს. ხოლო ფხოველთა (ფშაველთა) დაეტოვეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თ უ შ ე თ ს და სხვანიცა მთიულელნი უმრავლესნი არა მოიქცეს. არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი ოდეს არა ინებეს ნათლისღება“-ო [2].

მემატიანის ეს მოკლე ცნობა საყურადღებოა, საიდანაც ირკვევა, რომ რელიგიური თუ პოლიტიკური ხასიათის შეეიწროება აიძულებდა ქართველ მთიელებს და ამ შემთხვევაში ფხოველებს (ფშაველებს) გადახვეწილიყვნენ მეზობელ თუშეთში, სადაც ისინი მყუდრო თავშესაფარს პოულობდნენ. გახიზვნის ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, იგი ხელს უწყობდა ქართველი ტომების ჩრდილო კავკასიაში შეჭრას და იქ გაძლიერებას, განსაკუთრებით ბატონყმობის ხანაში, როდესაც მებატონეებისაგან გაქცეული ყმები და მესისხლეობისაგან დევნილი გლეხობა კავკასიონის მიუვალ ხევებში იხიზნებოდა. ამით დაინტერესებული უნდა ყოფილიყო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლებაც, რომლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვდა ჩრდილოეთის საზღვრების შემომტკიცებას.

IV—VII საუკუნეებში ჩრდილოეთში ბატონობდნენ ხაზარები [3], რომლებიც შიშის ზარსა სცემდნენ მეზობელ სახელმწიფოებს. ხა-

---

[1] თვით სახელწოდება „თუშ“ ან „თოშ“-ის განმარტებაც ძნელია. თუშები თავიანთ თავს თუშებს ეწოდებენ. ყველა ქართველ ტომშიც ეს სახელია გავრცელებული. ლეკები თუშებს „მოსეკ“-ებს ეძახიან, ქისტები კი—„ბაცეთი“-ს. თუშების თქმით, სახელი თუში მათ ლეკებმა ეწოდეს და წარმომდგარია სიტყვა „დუშთ“-იდან, ნიშნავს დუშმანსო. შესაძლებელია, ამ სახელს კავშირი ჰქონდეს ქისტურ წარმართულ ღვთაება „თუშოლ“-თან, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა და მას ჩაჩნეთ-ინგუშეთის თემები თაყვანს სცემდნენ (Б. К. Далгат, **Первобытная религия чеченцев, Владикавказ, 1893 г. გვ. 61.**

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ტფილისი, 1906 წ., გვ. 107.

[3] **Проф. Ю. Готье, Хозарская держава и ее культура, Железный век в Восточной Европе, Москва, 1930 г., გვ. 70.**

ზარები იბერიის სამეფოსაც უტევდნენ და საგულისხმოა, რომ ქართული მატიანის პირველი გვერდიც ამ „ხაზართა გამოსვლით“ იწყება.

იბერიის მეფეები ცდილობდნენ, ხაზართა წინააღმდეგ დაეთაზმათ ჩრდილო კავკასიაში მობინადრე ტომები: ოსები, ძურძუკნი (ჩაჩან-ინგუშები) და ლეკები და ამით ერთგვარი საფარი შეექმნათ. ეს ტომებიც, თავდაცვის მიზნით, არა ნაკლებ იყვნენ დაინტერესებული იბერიასთან ასეთი კავშირით, რომლის განსამტკიცებლად იბერიის და შემდეგ ქართლის მეფეები ძურძუკთა ასულებსაც ირთავდნენ, გადმოჰყავდათ მათი მოლაშქრენი და ასახლებდნენ სამეფოს ჩრდილო საზღვარზე. ამას ქართველი მემატიანის არაერთი ცნობაც ადასტურებს: „საურმაგ (ქართლის მეფე) შეკრიბა დურძუკეთიცა და წარმოემართა ქართველთა ზედა და ვერვინ წინაღუდგა მას და დაიპყრა ქართლი და მოსრნა განდგომილნი თვისნი. და განამრავლნა დურძუკნი, რომელნიცა ტყვევნასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილიყუნეს, სიმაგრისაგან ქუეყანისა და ვერღარა იტევდა დურძუკეთი. მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა... და დასხნა მთიულეთს, დიდოეთით-განვიდრე ეგრისამდე და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად“-ო. (ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 41).

ჩრდილოეთის და, განსაკუთრებით, ძურძუკთა ტომების საქართველოში გადმოსახლების ეს პროცესი XIX საუკუნემდე გრძელდებოდა, როდესაც მათი მონათესავე ქისტები პანკისის ხეობაში გადმოსახლდნენ და აქ 1860-იანი წლებიდან გაშენდა მათი სოფლები: პანკისი, დუისი, ომალო და ჯოყოლო [1].

ამ ძურძუკთა ტომს ეკუთვნის თუშეთში გადმოსახლებული წოვი

---

[1] ჯოყოლა იყო ქისტების მამაცი წინამძღოლი და რუსების მტერი. ჯოყოლას ბელადობით ქისტები ეცემოდნენ თუშებს და ცხვარ-საქონელს სტაცებდნენ. 1851 წ. ჯოყოლა თუშთ მოურავის ივ. ცისკარიშვილის შუამდგომლობით ერიგება რუსის ხელისუფლებას და მის ქვეშევრდომობასაც იღებს. ჯოყოლა სახლდება პანკისის ხეობაში და იგი ხელს უწყობს ქისტების აქ გადმოსახლებას. ამის აღსანიშნავად ამ სოფელსაც ჯოყოლო ეწოდა. შემდეგ ჯოყოლა ჩაჩანში დაიჭირეს და მას შაბილის შვილს ყაზიმბეგს ბრძანებით, როგორც მოღალატეს, თავი მოჰკვეთეს.

თუშები, რომლებიც თავიანთი ენით ენათესავებიან ძურძუკთა ტომს ღლიღვს (ღალღა) და დღესაც ამ ღლიღვურ ენაზე მეტყველებენ[1].

ვახუშტის ცნობით: „ხოლო რომელნი არიან (თუშნი. ს. ვ.) მკვიდრთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი, გარნა ფარსმანის ეკეესანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარც ქისტნი“ (იხ. გეოგრაფია, გვ. 105). თუ როდის გადმოსახლდნენ წოვები თუშეთში, ამის დადგენა ძნელია. მხოლოდ წოვათაში ნასოფლარ წაროს აკლდამებიდან ამოღებული ნივთების შედარებით შესწავლიდან ირკვევა, რომ საშუალო საუკუნეებში, დაახლოებით VIII—IX საუკუნეებიდან სოფ. წარო დასახლებული ყოფილა[2].

და ეს გარემოება ერთგვარ შესაძლებლობას იძლევა ამავე საუკუნით განვსაზღვროთ წოვების ღლიღვეთიდან თუშეთში გადმოსახლების დროც. თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიურ ნიადაგზე ხდებოდა წოვა თუშების ეს გადმოსახლება, უტყუარი ცნობების უქონლობის გამო, გარკვეული მოსაზრების გამოთქმა ძნელია. ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ძურძუკთა ტომების შინა განხეთქილებამ და თემობრივმა შეღლამ აიძულა წოვები, ღლიღვეთიდან გომეწრის ხეობაში გახიზნულიყვნენო[3].

---

[1]. A. Schiefner. Versuch uber die Thush—sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien (Зап. имп. Акад. Наук, сер. VI, т. IX, 1856); Проф. Н. Яковлев, Языки и народы Кавказа, Тифлис, 1931 г., გვ. 20—21.

[2] სოფ. წაროში არქეოლოგიურ გამოკვლევას 1912 წელს აწარმოებდა ნ. მოლჩანოვი. წარო წოვების ნასოფლარია, დღეს იგი ნანგრევს წარმოადგენს. აქ დაცულია რამდენიმე მიწის ზემო ნაგები აკლდამები. ზოგიერთში მიცვალებულის დასასვენებელი ქვის ტახტებიც არის გამართული. მოლჩანოვის აღწერით, აკლდამები გაძარცული ყოფილა, ნივთები მიცვალებულის ნეშტში არეული, ამიტომ კულტურული ფენების გარკვევა და დადგენა შეუძლებელი გამხდარა. აკლდამებში ნაპოვნია ბრინჯაოს და რკინის საამკაულები. საყურადღებოა ორნამენტიანი სარკეები და ბრინჯაოს საყურე. კოლექცია დაცულია საქართველოს მუზეუმში (№№ 92—12/1—57).

თუ ჩვენ წაროში აღმოჩენილ ამ ნივთებს შევადარებთ ჩრდილო კავკასიაში, სახელდობრ, დერგაგსისა და კომუნტის არქეოლოგიურ აღმოჩენებს (იხ. Уварова, Материалы по археол. Кавказа, т. VIII, გვ. 105, 292), რომელიც დათარიღებულია VIII—IX საუკუნეებით, მათ შორის საგულისხმო მსგავსება არსებობს.

[3] Р. Эрнстов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе (Зап. Кавк. Отд. ИРГ о-ва, Тиф., 1855 г., გვ. 80—81); И. Цискаров, Картина Тушетии, газ. Кавказ, 1846 г., № 50.

სეფიხვეებში

ჩვენის აზრით, ამ გადმოსახლების სტიმული უფრო პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ძურძუკეთი (ჩაჩნეთ-ინგუშეთი) მწირი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. მომრავლებული და ეკონომიურად შეკიწროებული მოსახლეობა საარსებო წყაროს მეზობელ კუთხეებში ეძებდა.

ამასთანავე, ღლიღვი ცნობილი იყო გულად და მეომარ ტომად[1], ამიტომ იბერიის იმდროინდელი ხელისუფლებისათვის, რომელიც მოლაშქრეებად ასეთ ტომებს ეძებდა, ხელსაყრელი იყო ამ ღლიღვების მოძმის, წოვების, თუშეთში, გომეწრის ალაზნის სათავეში, დასახლება და ამ ხეობის გამაგრება.

ადმინისტრაციულად თუშეთი, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, წუქეთის საერისთავოში შედიოდა; მის შესახებ ნათქვამია: „...შემდგომ მოვიდა არჩილ (668—718) კახეთად და ყოველთა ტაძრეულ-

[1] Ч. Ахриев, Ингуши (Сбор. сведения о кавк. горцах, вып. VIII, Тиф., 1875 г.).

თა მისთა მიუბოძა კახეთი და აბზაურ ყუნა იგიხი და დაჴდა ქეთს... და პოენა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფეს (V საუკ.) წუქეთი და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა სახელით აბუხურო (აბუხვასრო) და არა ინება მისგან წალებად წუქეთი" (ქარ. ცხოვრ. გვ. 209—210).

მეგატიანის ეს მოკლე ცნობა საყურადღებოა. აქედან ირკვევა, რომ თუშეთი ხუნძახთან[1] ერთად შეადგენდა წუქეთის[2] საერისთაოს, რომლის ერისთავად დასახელებულია აბუხვასრო. ამასთანავე ნათქვამია, რომ ეს ჩრდილოეთის ტომები, მათ შორის საგულისხმოა თუშებიც, წარმართნი ყოფილან. მაგრამ ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც საქართველოდან ვრცელდებოდა, მთაშიაც მალე შეჭრილა. ჩრდილოეთის ტომების შემოსამტკიცებლად მათ გაქრისტიანების უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა და კახეთ-ჰერეთის ხელისუფლებაც ამ საქმეს გულმოდგინედ შესდგომია.

ამას მოწმობენ ძველ ძურძუკეთში, დღევანდელ ჩაჩნეთ-ინგუშეთში, დღემდე დაცული ძველი ქართული ტაძრების ნანგრევები და თხაბა-ერდის 830 წლით დათარიღებული ქართული ტაძრები[3]. ხუნძახშიც დაცულია ძველი ქართული ტაძარი „დათუნია" და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ დათარიღებული ძეგლის მიხედვით ირკვევა, რომ IX საუკუნეში ჩრდილოეთის ტომების გაქრისტიანება მომხდარი ფაქტი ყოფილა. მთელი ამ კულტურულ-რელიგიური მოძრაობის გამტარებელი ტერიტორიულად უნდა ყოფილიყო თუშეთი, საიდანაც ძურძუკეთის ბილიკები გადიოდა. ამიტომ თუშეთის გაქრის-

---

[1] ძველი ხუნძახი შეიცავდა დაღესტნის დასავლეთ ნაწილს, რომელშიც შედიოდა დღევანდელი ავარ-ანდო-დიდოელების ტერიტორია.

[2] წუქეთი კავკასიონის მიდამოში იყო, დღევანდელ საინგილოში (ყოფილი ზაქათალის ოლქის, წუხურის უბანში). წუქეთში იჯდა ჩრდილო მთიელების ერისთავი, რომელიც ემორჩილებოდა კახთა მეფეებს (ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 195).

[3] В. Миллер, Археологич. наблюдения в области Чеченцев (Мат. по археологии Кавказа, вып. I, Москва, 1888 г., зз. 8—24); Г. К. Мартиросян, Нагорная Ингушетия (Изв. ингуш. научно-исслед. института краеведения, Владик., 1928, зз. 46—48).

ტიანებაც ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო. თუშეთის სამწყსო თავდაპირველად ხარჭაშოს საეპისკოპოსოში შედიოდა: „თიანეთის წყლის სათავესა და საშიშის თვალივის იქით, თეთრის არაგვის მჭვრეტად არის ხარჭაშოს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჯევსურისა და თუშეთისა“ (ვახუშტი, გეოგრ. გვ. 91).

1014 წელს, მას შემდეგ, რაც ბაგრატ მეფის მიერ დევნილმა კახეთის ქორეპისკოპოზმა კვირიკე III კახეთი დაიპყრო და მოახდინა საერისთავოების ახალი განწესება, თუშეთი მოხსენიებულია პანკისის საერისთავოში. მისი მოცულობა ასეა განსაზღვრული: „მისცა ჰერეთის საზღვრის ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ“ [1]. პანკისის ერისთავად ამ დროს იხსენიება სტეფანოს, რომელიც ემხრობოდა კვირიკეს და ებრძოდა ბაგრატ IV. ბაგრატმა სტეფანოსს სძლია და შეიპყრო იგი.

XII—XIII საუკუნეებში, საქართველოს გაძლიერებისა და ფეოდალური მონარქიის ხანაში, თუშეთზე ქართველი მემატიანე დუმს. ეტყობა, თუშებს მონაწილეობა არ მიუღიათ თამარის დროს მომხდარ მთიელების ამბოხებაში, მაშინ, როდესაც მისი მეზობელი ფხოველებისა და დიდოელების დასამორჩილებლად საგანგებო ჯარიც კი იყო მთამდე გაგზავნილი. თუშეთი არც შემდეგ საუკუნეებში იხსენიება, ვიდრე XV საუკუნემდე. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ისტორიის ამ მანძილზე ჩრდილოეთის მხარემ დაკარგა თავისი პირვანდელი პოლიტიკური მნიშვნელობა, როდესაც საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთის ტომების მხრივ საფრთხე უკვე აღარ მოელოდა და თუშეთის პოლიტიკური როლიც პასიურია.

XV საუკუნეში, ფეოდალური საქართველოს დაცემისა და სამ სამეფოდ გაყოფის ხანაში, კახეთის მეფემ გიორგი I (1471—1492) საერისთავოები გაუქმა და მოურაობა დააწესა: „გიორგიმ დაიპყრა სრულიად კახეთი, მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარც არიან დღემდე: მოურავი ქიზიყისა, ელისენის, წუქეთისა, დიდოეთისა, პანკისისა და სხვა... და განპყო ოთხს სადროშოდ და მისცა დროშანი

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი, 1913 წ., გვ. 151.

ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკვიდრონ მთავართა... ამათ არა მორჩილებდენ თუშნი და ფშავ-ხევსურნი, არამედ დიდოეთი ერთგულებისათვის დავითისა ერთგულობდენ ამათ და მსახურებდენ"-ო (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, გვ. 158). ამგვარად, მემატიანეს ცნობით, გიორგი დავითის ძეს პანკისის საერისთავო, რომელშიაც თუშეთი შედიოდა, მოუსპია და იქ მოურაობა დაუწესებია. ამ ცვლილებებს, ეტყობა, თუშეთში უკმაყოფილება გამოუწვევია და გიორგი მეფისაგან ისინი გამდგარან.

მაგრამ ეს განდგომა დიდხანს არ გაგრძელებულა და კახეთის მეფეს ლევან II (1520—1574) თუშეთი ისევ შემოუმტკიცებია: „ამას წინათა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ ალუთქვა რათა ცხოვარი მათნი უვნოდ მძოვარიყუნენ კახეთს] და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერითგან მისცემენ ლაშქარსა და ბეგარასა" (ვახუშტი, საქარ. ცხოვრ. გვ. 163). მემატიანის ეს მოკლე ცნობა ჩვენთვის საყურადღებოა; აქ გარკვევითაა ნათქვამი, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიურ ნიადაგზე მომხდარა განდგომილი თუშების შემორიგება.

მეცხვარე თუშებისათვის უაღრესი საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა ზამთრის საძოვრებს, როგორიც იყო კახეთში ალონის (ალვანის) ველი, და ამიტომ თუშები იძულებული იყვნენ, კახეთის ხელისუფლებასთან კეთილგანწყობილებაში ყოფილიყვნენ. თავის მხრივ, კახთა მეფეებიც ცდილობდნენ, მოლაშქრეთა და ბეგარის მიღების მიზნით, გულადი თუშების შემომტკიცებას. საყურადღებოა, რომ თუშებს ეს ისტორიული ფაქტი დღესაც ახსოვთ; მათგან ხშირად გაიგონებთ, ალვანის ველი თუშებს ლევან მეფემ უბოძათ.

შემდეგ, XVII—XVIII საუკუნეებში, როდესაც დაღესტნისა და ჩრდილოეთის სხვა ტომებიც ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ამოძრავდნენ და დაიწყო შათი გამანადგურებელი თარეში, თუშეთს, როგორც მოსაზღვრე პროვინციას, განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა მიეცა და თუშეთიც ამ პერიოდში აქტიურ პოლიტიკურ როლს თამაშობდა. მაგრამ სანამ ჩვენ ამის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ზოგადად მაინც შეეხოთ თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ თუშეთის საზოგადოებრივი ყო-

ფის ისტორია თემურ წყობილებას არ გასცილებია და საუკუნეების მანძილზე თუშეთი თემურ ცხოვრებას ეწეოდა. მისი დამოკიდებულება კახეთის სამეფოსთან ნომინალური იყო და განისაზღვრებოდა ომიანობის დროს მოლაშქრეთა დახმარებით. ვ ა ხ უ შ ტ ი ს თქმით: „არამედ იგინი (თუშნი. ს. მ.) არა ჰყმობდნენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან. და არიან ბრძოლასა შემმართებულნი, მკვნენი, ძლიერნი, მკედარნი წარმატებულნი და უსაქციელნი...“ (იხ. გეოგრ. გვ. 105). ამაზე თუშები დღესაც ასე მღერიან:

> თუშთ არ იკიან, ვინ არის მონა, ბატონი.
> თვითონ არიან თავისა ბრძანებელი და ბატონი.

ადმინისტრაციულად თუშეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ შედიოდა წუქეთის საერისთავოში, შემდეგ პანკისის სამოურავოში, მაგრამ ამ ერისთავ-მოურავებს ხელი არ ჰქონდათ თუშების შინაურ წყობილებაში. თუშეთს თემური ადათებით ხევისბერები განაგებდნენ.

თუშეთი იყოფა სამ თემად: გომეწრისა, ჩალმისა და პირიქითისა. თითოეული თემის სათავეში იდგა თემის მიერ არჩეული ხევისბერი, რომელიც თავის საქმიანობაში თემური ადათებით ხელმძღვანელობდა და ომის დროს ხელში სათემო დროშით ლაშქარს უძღოდა. მაგრამ თუშეთის საზოგადოებრივი წყობილების უზენაესი ორგანო სათემო ყრილობა იყო, სადაც სამივე თემის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. ყრილობა აწესრიგებდა საგარეო საქმეებს და წყვეტდა ლაშქრობისა და ზავის საქმეს. თუშეთის სათემო ყრილობა იმართებოდა სოფ. ჩიღოს მახლობლად მდებარე ხევში — „ღელეში“, სადაც სამივე თემის ხევისბერები და გვარის უხუცესები ლამის თევით დგებოდნენ და სათემო საქმეებს არჩევდნენ. მაგრამ ამ თემურ ყრილობებს ფაქტიურად განაგებდნენ შეძლებულ გვართა მეუფროსენი, რომელთა წრიდან ირჩევდნენ ხევისბერებს და დეკანოზებს და ესენიც ხალხისა და თემის სახელით ამ შეძლებული ჯგუფის ინტერესებს იცავდნენ.

თუშური ყრილობის საზრუნავი საგანი თავდაცვის საკითხები იყო, რადგან გაბატონებულ ჯგუფს მტრობა და შფოთი ჰქონდა ინგუშ-ჩაჩან-ლეკებთან და ის მუდამ მზად უნდა ყოფილიყო თავდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშნი ლეკები იყვნენ. ...ნი სარგებლობდნენ კახეთის პოლიტიკური მოუძლურებით და თავისუფლად დათარეშობდნენ ქართლ-კახეთში XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე. ლეკების ეს თარეში გამოწვეული იყო კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის გართულებით სპარსეთსა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის, რომლებიც ცდილობდნენ კავკასიის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით მათ, პირველ ყოვლისა, ნიშანში ამოიღეს ქართლ-კახეთი, კავკასიაში შედარებით ძლიერი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კუთხე. ამიტომ ამ სამ მოქიშპე სახელმწიფოთა დიპლომატიის ხლართები ქართლ-კახეთში იკვანძებოდა.

ქართლ-კახეთის დაპყრობის მიზნით სპარსეთი და ოსმალეთი მორიგეობით ამხედრებდნენ ლეკებს და სათარეშოდ უშვებდნენ.

ამ უცხო ძალის მიერ წაქეზებული და შეიარაღებული ლეკები ქართლ-კახეთსაც ანადგურებდნენ. ლეკების ეს თარეში შაჰ-აბასის შემოსევის (1616 წ.) შემდეგ უფრო გაძლიერდა. ქართლ-კახეთის აოხრების შემდეგ, შაჰ-აბასმა გაღმა მხარის ელისენ-წუქეთის და შაკიის მცხოვრებნი სპარსეთში გადაასახლა. ამ დაცარიელებულ ადგილებზე ლეკები გადმოსახლდნენ და ახლა მათ უმთავრეს ცენტრად ქარი (ძველი ფიფინეთი) შეიქნა. სათარეშოდ ასეული ლეკებისაგან დიდ შევიწროვებას ჩვენი მთიელებიც განიცდიდნენ, განსაკუთრებით მათი მოსაზღვრე თუშეთი, რომელიც XIX საუკუნის მიწურულამდე ებრძოდა ლეკებს. თუშეთის ამ პერიოდის ისტორიაც ამოიწერება ლეკებთან ბრძოლის ეპიზოდებით, რომელიც იწყება ბახტრიონის აღებით.

1658 წელს სპარსეთის შაჰმა კახეთის მმართველად დანიშნა სელიმ-ხანი, რომელმაც პოლიტიკური მოსაზრებით ბახტრიონში და ალავერდში თათრები დაასახლა. სელიმ-ხანი აგრეთვე ხელს უწყობდა ლეკების თარეშს: „მან სელიმ-ხან მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიონი, ალავერდი და გარყვნეს წმინდანი ეკლესიანი. რამეთუ იყო ჭირი დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა ლეკთაგან“ (ვახუშტი, საქარ. ცხოვრება, გვ. 189).

სელიმ-ხანის პოლიტიკა საფრთხეს უმზადებდა თუშების მეცხვარეობას, რომლის ზამთრის საძოვრები — ალონის ველი, ნაბოძები ლევან მეფის მიერ, მოქცეული იყო ამ ბახტრიონ-ალონის ფარგლე-

ბში. ამიტომ, როდესაც ერწო-თიანეთ-არაგვისა და ქსნის ერისთავ-ებმა სელიმ-ხანის წინააღმდეგ გაილაშქრეს, თუშებმა მოიწვიეს ფშავ-ხევსურები და ბახტრიონის აღებაში გმირულად იბრძოლეს. ეს ბრძოლა გალექსილია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში".

ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ ლექსის ერთ ნაწყვეტს, სადაც გადმოცემულია ის სიდუხჭირე, რომელსაც კახეთის იმდროინდელი მოსახლეობა თათრებისაგან განიცდიდა. ამის შესახებ აი, როგორ მოსთქვამს თუშების მიერ ფშავ-ხევსურეთში გაგზავნილი მეცხვარე:

საქმე გაჭირდა, დედილამ,
ურჯულო თათრებისგანა:
დათარეშობენ... კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა.
აწიოკებენ ქალ-რძალსა,
ნამუსსა ჰხდიან ძალადა.
ჰკრეფავენ ურჯულოები
სილამაზესა ღალადა.
არა ზოგავენ, დედილამ,
ვინც-კი მოუათ თვალადა.
მთელი კახეთი ქცეულა
ჩიქილა-მოხდილ ქალადა.
არა სჩანს ხელის შამქცევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შამყრელი
და წინ გამძღოლი ჯარისა.
იქ, ჩვენთანამდიც, მოდიან
ცხვარსა ფარობით გვტაცებენ.
არვინ გადურჩით რჯულ-ძაღლსა,
ყველას ბეგარას ადებენ.
ვისაც ჰკვლენ გზა-გზის პირაზე,
თავებს მარგილზე აგებენ.
შადიან სხვისა სახლშია,
კარს უკრძალავად აღებენ.
დაჯავრდნენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია,

პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვაი საოცარია.
სუყველამ ტანზე აისხა
აბჯარი საომარია,
მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს გზირადა
და დამაბარეს ხვეწნითა
სიტყვა სათქმელი პირადა:
„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
სისხლით, ხორცით და რჯულითა,
მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
გაუტეხელნთ გულითა.
უბაროდ, განა არ იცით,
მთანიც რო ვერა გვაროობენ.
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხაროობენ.

თათრებისაგან შევიწროებული თუშები ღელავდნენ. მათ საბრძოლველად ქალებიც კი მოუწოდებდნენ:

„ისმინეთ, თუშთა შვილებო, რას გამცნევთ თუშთა ქალები:
რად გხურავთ ქუდი, აიხსენთ თავსა ნამუსი კაცისა,
აჰა და თავსა დაიდვით მანდილი დედაკაცისა.
ურჯულო ოსმალთ დიაცნი, ბახტრიონს მომავლებია,
დაუტაცნია, დიაცთა ვერ დაუხსნიათ თავები.
რასა უყურებთ, ვაჟებო, რას დგეხართ დალონებულნი,
მეფე სახლიდგან გაგვიგდეს, ვაკეა დატყვევებული“.
ვაჟკაცთა შორის უცებად კაცი მრისხანე სახისა,
მოხუცი ბაკურ წამოდგა, ხელი წაავლო მახვილსა.
„ეს რაი გვესმის, ვაჟკაცნო, აღზდექით, თუშთა შვილებო,
მტერი კარს გვადგა მძლავარი, აღზდექით, თუშთა შვილებო,
ჩვენს მეფეს სდევნის მტერია, აღზდექით, თუშთა შვილებო.
შორით ძმის სიკვდილს უყურებთ, ესე რა თუშთა ჯერია“.
აგერ ბაკურის კარზედა შეკრბა თუშების ჯარია,
ბაკურიც მალე გამოჩნდა, ხალხი გაიძრა წელშია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიძრა, რაზმად გაეწყო, თოფი აიღეს ხელშია.
მოვიდა ბაკურ, შეფერხდა, ჯარს გადაავლო თვალია,
ასწონა თავით ფეხამდის, ასწონა თუშის შვილები,
უცებ შესძახა: „ვარგიხართ, ნამდვილ ხართ მამათ შვილები,
შეუმადაც არას გვეყოფის მტერი რაზმ-გაწყობილები,
წავიდეთ, ნელარ ეყურებთ, მტერი ვაქციოთ მძოვრადა,
ვინც მტრის წინ წარბი შეხაროს, დედა შეერთოს ცოლადა!“

1659 წელს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ლაშქარი შეუერთდა ზაალ ერისთავის მხედრობას, აიღეს ბახტრიონის ციხე და დამარცხებული სელიმ-ხანი გაიქცა: „ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი და ერისთავი ქსნისა შალვა. შეკრიბნა ეს ყოველნი, წარუძღვანა ძე თვისი და მიუხდეს პირველად ბახტრიონს, მოსრნეს და მოსწყვიტეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად ყველასა კახეთსა შინა მოსწყვიტნეს, რამეთუ არცა ლა-თუ დაუტევეს აკუანთა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი“ (ვახუშტი, საქარ. ცხოვრ., გვ. 189—190). ხალხური გადმოცემით, ბახტრიონის ასაღებად პანკისით წამოსული თუშების ერთ რაზმს შეუნიშნავს, რომ ბაწარის წყლის ბოგირზე თათრის მდევრებს ნაცარი დაეყარათ, რომ ცხენების ნაფეხურებით შეეტყოთ თუშების რაზმის მოძრაობის მიმართულება, მაგრამ თუშებს ცხენები უკუღმა დაუჭედიათ, ხიდზე გადასულან და ბახტრიონისაკენ მიმავალი გზის მახლობლად, ტყეში დამალულან. მდევრებმა მეციხოვნე ჯარს თურმე აცნობეს თუშების კვალის მიმართულება. თათრის ჯარი ციხის გალავნიდან გამოსულა და ამ კვალს დასდევნებია. ტყეში დამალული თუშის რაზმი კი უბრძოლველად შესულა ციხის გალავანში. მაგრამ თვით ციხე დაკეტილი და შიგნიდან გამაგრებული დახვედრია. გმირ ზეზვას მეთაურობით თუშებს ბახტრიონის ციხე მალე გაუტეხიათ და თათრები ალვანის ველით გაქცეულან. მაგრამ თათრებს აქ დახვედრია ნაქერალით ამოსული თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარი და თათრებიც გაუწყვეტიათ. ამ ადგილსაც „გაწყვეტილა“ დარქმევია. ფშავ-ხევსურებს ნადავლი აუღიათ, თუშებს კი ალვანი რგებიათ. ეს ამბავიც ასე გაულექსავთ:

ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
„ახმეტას ჩაეჭრით ვენახსა, შიგ დაეასახლებთ ელსაო.

შეიტყვეს თუშის შვილებმა, მაღლა შეირტყმენ ხმლებსაო,
ჯერ შუალამე არ ქმნილა, ნაქერალს გროვდებიანო.
შველაო შველაიძეო, პანკისს გასტეხე წყალიო,
უკუმ დავსჭედოთ ცხენები, დავამალვინოთ კვალიო,
საგთენებლოდ დავეცნეთ, ბახტრიევანს გალავანზედა.
„გარეთ გამოდი, სულთანო, თუშნი გისხედან კარზედა,
თუ ნებით შენ არ გამოხველ, გამოგიყვანენ ძალზედა“.
მეტი ვარ საღირაშვილი [1], ნუ მიმზერთ ტალავარზედა,
გადავალ, გადაეფრინდები, ბახტრიევანს გალავანზედა,
შვიდი არ მოვკლა ხმალდახმალ, გამცვალეთ თათრის ქალზედა.
გოხგაელებული ფრანგული კაბას რა კარგად სჭრისაო,
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი რა ძრიელ სცურავსო,
ელთვეს და ჩალთვეს თათრები, წითელ ჩადიოდ წყალიო.
ალვანში ციხეს აგებენ ხოჯა თათრისა ძვლისაო,
ლიბოდ უგდებდენ მალასა, ნაწვრეთის ფრანგულისაო,
დაადებინეს ალვანი თუშთ არის საკუთარიო,
ჯერ ღმერთი, მერე ბატონი, სხვა არავინ გყავს მცილავიო,
ვინც ალვანს უარესობდეს, ცოლმა შემოხსნას ხმალიო.

საყურადღებოა, რომ თუშები ფშავ-ხევსურებთან ერთად თეიმურაზ I და მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილის ძეს შორის დიპლომატიურ ურთიერთობაშიც მონაწილეობას იღებდნენ და 1657 წელს მოსკოვში თავიანთ წარმომადგენლებს, ხევისბერებსაც კი გზავნიან და ალექსი მიხეილის ძეს ქვეშევრდომობასა და მფარველობას სთხოვენ. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ 1657 წლის დიპლომატიური წერილის ტექსტს:

„ჭ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფევ და ყოველთ ქრისტიანეთ ხელმწიფევ, ალექსი მიხაილის შვილო! ყოე-

[1] როდესაც თუშებმა ბახტრიონის ციხეს ალყა შემოარტყეს, საგონებელში ჩავარდნილან, თუ როგორ აეღოთ ეს მაგარი ციხე. მაშინ მეტი საღირაშვილს პალოები დაუთლია, ციხის კედლებში ჩაურჭვია და ამით პირველად თვითონვე გადასულა ციხის კედელზე. ბახტრიონის ალებაში თუშებს ზეზვა ბელადობდა თურმე და გმირობით თავი უსახელია (ა. ხახანაშვილი, ბახტრიონის ალება, ივერია, 1888 წ., № 220; ურბნელი, ზეზვა და ბახტრიონის ციხე, ივერია, 1888 წ., № 228).

ლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონის შვილსა კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდის ხელმწიფის ხელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო, აწე... ხელმწიფეე, ჩვენი ხელმწიფეც თქვენა... არის და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია. ხევის ბერი სოზამე მაქსიმიჩი, და გრიგოლ სილორიჩ, და ბავლე ივანიჩ და შენი ყმანი შეექნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბრძანება იქნება, ჩვენ იმისი მქნელნი ვართ: ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შეეეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენც არც შემოგვიშვია ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია: აწე დიდო ხელმწიფეე, ჩვენი ხელმწიფე ყაენმა წაახდინა, და ზურგი აღარსაით გვქონდა, და მეფეისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვესლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენის დედოფალის კაციცა, და თქვენი ბრძანება გაგვითავებია, და შენ შემოგვეწნიენართ, და შენთვის თავი დაგვიკრავს. გვიმსახურე და გვალაშქრე, ამ დღეშიოთ შენი ყმანი შეექნილვართ".

ასეთივე ხასიათის წერილი გაუგზავნეს თუშ-ფშავ-ხევსურებმა მოსკოვის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს 1658 წელსაც:

„დიდო და ყოვლის-მპყრობელო ხელმწიფეე, ყოველი ქრისტიანეთ რჯულისა დამამტკიცებელო, სრულებ საქრისტიანოს საკეთმპყრობელო და ყოველთ ურჯულოთ გამაქარვებელო, დიდის მოსკოვის ტახტზე მჯდომელო და სრულ საქრისტიანოს ზურგო და სიქადულო, დიდებულო ხელმწიფეე, ღვთივ გვირგვინოსანო, მეფეთ მეფეე, დიდო მეფეე, ბატონო ალექსი მიხაილის შვილო: თქვენმა მონდობილმა ქვეყანამა თუშეთმა, ხევსურმა და ფშავმა სრულ ერთობილთა თავი დაგვიკრავს და თქვენს ნადგომს მიწას ვმთხოვნივართ: აგრეეე ამას წინათაც, დიდო ხელმწიფეე, ჩვენი ელჩები გაახელით და სრულად ერთობილთა თავი დაგიკარით და ასრე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე საქართველოს ხელმწიფე. მეფე თეიმურაზ, და ჩვენ სხვას ურჯულოს კაცს

ხელ-ქვეით არა ვყოფილვართ, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის ყმანი ვყოფილვართ და გვიმსახურებია და ახლა, ჩვენს ხელმწიფეს ერჯელომ ყეენმა დასძლივა და რადგან ჩვენი ხელმწიფე თქვენ ხელთ ქვეშ არის, დიდო ხელმწიფე, ჩვენც თქვენს ხელთ ქვეშ შევიქნებით და არც ესიკვდილოდ ერჯელოს კაცის ყმობა არ შეგვიძლიან, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის. და ახლა, მაღალო ხელმწიფევ, ჩვენი ელჩები რომ გამობრუნებულ იყო, და ჩვენი ბატონის რძლის კაცი ივანე მაქსიმეს შვილი და თერგზე რომ მოსულ იყუნეს, ჩვენი ხელმწიფე წინ შემოჰყროდა, და ერთი ჩვენი ელჩი იქ დაეჭირა და ორი კიდევ გამოუშო და ერთი თავისი კაცი ივანე მაქსიმეს შვილი და ასრე ებრძანა ჩვენს ხელმწიფესა ჩვენთვის, რომე ერთი ღმერთი იცოდეთო, და მეორე, ეს დიდ ხელმწიფეო. როგორც ამისმა ბრძანებამ დაგარიგოსთ, ისრე ქენითო, და სხვას კაცისათვის არამც თავი მოგიდრეკიათო, და ან სხვა კაცი თქვენს ქვეყანაში შემოგიშვიათო. მოვიდა ჩვენი ელჩებიც და ჩვენის ხელმწიფის გამოგზავნილი კაციცა, და ჩვენთვის მრავალი წყალობა გებრძანებინა და მაგათი ბედნიერი ხელი დაუღებია, ასრე გებძანა: ჩემი ყმანი შეიქენითო და მემსახურეთო და ვისაც გამტერო, უმტერეთო, თუ რამ დაგჭირდეს, შემატყობინეთო და ლაშქარს მოგაშველებო, და თუ ჩემი ლაშქარი გამოუძახო, ან ლეკზედა ან სხვაგნით, თქვენ მზას იყვენითო, რა ხან ჩემი ბძანება მოგივიდეს, შეიყარენით და ჩემს ლაშქარში გაერიენითო და მილაშქრეთო და სხვა მრავალი წყალობა გებრძანა ჩვენთვინა: ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირის სანაცვლონი გვამყოფოს, და მაგათი დღე ერთი ათასად იქნას: ჩვენ არა ღირს ვიყვენით, რომ ბედნიერს ხელმწიფეს ჩვენთვინ წყალობა ექნა: ეხლა კიდევ ელჩები ვაახელით დიდს ხელმწიფესა რვა კაცი: ნაუმ ივანეს შვილი, პეტრო ნაუმის შვილი, ალექსანდრე აბრამის შვილი, მიხაილ გრიგოლის შვილი, გრიგოლ მიხაილის შვილი, ივანე ივანეს შვილი, სვიმონ ზაქარიას შვილი, კუზმა სვიმონის შვილი გამოგვიგზავნია და შევიტყევით, რომ ჩვენი ხელმწიფე თქვენთან წამოსულა და როგორაც თქვენი ბრძანება გამოვა, ისრე ვიქთ, და ისრე გემსახურებით"[1].

---

[1] М. Броссе, Переписка грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 г., СПБ, 1861 г., вв. 74—75, 229.

რასაკვირველია, თუშ-ფშავ-ხევსურების ეს დიპლომატიური ბრძოლა მოწერა მოსკოვის მეფესთან ნაკარნახევი იყო კახეთის მეფის თეიმურაზ I მიერ, რომელიც ისტორიული უკულმართობის ორომტრიალში იყო ჩავარდნილი. შაჰ-აბასისაგან დევნილი თეიმურაზი ცდილობდა, მოსკოვის მეფის დახმარებით, კახეთიდან სპარსელები გაეხედევნა და თავისი ტახტი აღედგინა. ამისათვის მას უნდოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სადაც ის ხშირად თავს აფარებდა, დიპლომატიური ენით აემეტყველებინა.

მაგრამ სპარსელებისა და ლეკებისაგან არც თუშებს ჰქონდათ მოსვენება. ლეკები იტაცებდნენ თუშების სარჩო-საბადებელს, საქონელს და ტყვეებად ადამიანებიც მიჰყავდათ, რომელთა დასახსნელად დიდ გამოსასყიდს მოითხოვდნენ. თუშური ხალხური პოეზია სავსეა ამ ლეკური ტყვეობის გოდებით. ამის შესახებ ქართულ მატიანეშიც მოიპოვება მოკლე ცნობები: „ჩამოვიდა კახეთში დიდი ჯარი ლეკის, მიუხდენ თუშეთს, ბევრი ავნეს. ჩამოვიდა ამბავი, მოახსენდა ბატონს, მაშინვე წაბრძანდა კახი ბატონი კახეთს, მიეშველა თუშეთს“ [1].

რასაკვირველია, არც თუშები ისხდნენ გულხელდაკრეფილი და ლეკებს სამაგიეროსაც უხდიდნენ. დავით III (იმამ-ყული-ხანი — 1703—1722) დროს, მემატიანის ცნობით, დროებით მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა კახეთსა და ლეკებს შორის, მაგრამ ეს ზავი თუშებს თურმე დაურღვევიათ: „ხოლო კახთა და ლეკთა ზავთა შორის წარვიდენ თუშნი, მოსრნეს რაოდენიცა ჰპოვეს ლეკნი და მწყემსნი და წარმოიღეს არვე დიდძალი, ეწივნენ ჭარელნიცა, არამედ მოსრნეს თუშთავე და აოტნეს იგინიცა და მოვიდნენ მშვიდობით. ამისათვის მოგზავნეს ჭარელთა: „არის მშვიდობა ჩვენ შორის, რად ჰყვეს თუშთა ესე“. განრისხდა იმამ-ყული-ხანი და ბრძანა მიცემა მონაღებისა. ხოლო თუშთა არა ინებეს. კვალად წავიდა მოურავი მათი და არც მას უსმინეს. ამხედრდა თვით იმამ-ყული-ხანი და მივიდა და უბრძანა ცემა თოფთა, არამედ მათ რა იხილეს იმამ-ყული-ხანი, შეაქციეს ზურგი და დასდგნენ უსაჭურველნი, და მსროლელთაცა არღარა თუ იკადრეს მიხედვად. ამისათვის შეიწყალა მეფემან და

---

[1] საქართველოს ცხოვრება, პაპუნა ორბელიანისა (იხ. ს. ჯიჯინაძე, საქარ. ცხოვრება, 1913 წ., გვ. 54).

ორლარა მოსრნა, გარნა წარუხვნა ნატყვენავი და მისცა ლეკთა ერთურთ" (ვახუშტი, საქ. ცხოვ. გვ. 206).

ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი საუკუნის მიწურულში ლეკების თარეშმა საშიში და მწვავე ხასიათი მიიღო და თუშეთის პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც დაღესტნის მოსაზღვრე პროვინციისა, გაორკეცდა. თეიმურაზ II (1744—1760) და ერეკლე II (1744—1798) განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურებს და მათგან ჰქმნიდნენ საიმედო და თავდადებულ რაზმებს, რომლებსაც, პირველ ყოვლისა, ევალებოდათ ლეკებისაგან კახეთის ჩრდილოეთი საზღვრის დაცვა. და როდესაც ლეკების თარეშის ასალაგმავად ერეკლე II მორიგი ლაშქრობა განაჩინა, მან ამ ხეგრისაგან თუშ-ფშავ-ხევსურნი გაათავისუფლა[1], რადგანაც ესენი ლეკების საზღვრების სადარაჯოზე მუდამ შეიარაღებულნი იდგნენ.

ამას გარდა, თეიმურაზ II და ერეკლე II ხშირად იხიზნებოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ცხოვრობდნენ იქ და მათში ერთგვარი პატივი და სიყვარული ჰქონდათ მოპოვებული, ამიტომ მეფის სასახლის ამალაში თუშ-ფშავ-ხევსურნიც ერივნენ. ერეკლე II-ზე თუშებში დღესაცაა შემორჩენილი მოგონებები. სხვათა შორის, ასეთი გადმოცემაც არსებობს: ერთი თუში თურმე მდგარა ერეკლეს სასახლის სადარაჯოზე; მას ღამის წყვდიადში სასახლეში შემავალი ერეკლე ვერ უცვნია და დაუძახნია, ეი, ვინა ხარ? მეფეს ხმა არ გაუცია. თუში მივარდნილა და გაურტყამს. ამაზე გაბრაზებულ მეფეს დაუყვირია, რას სჩადიხარ, შე ბრიყვო, მეფეს რათა სცემ? თუში შემკრთალა და მის წინ მუხლი მოუყრია. ერეკლეს ის წამოუყენებია, მხარზე ხელი გადაუსვამს და უთქვამს: ყოჩაღ, თუშო, რომ ასე ერთგულად ყარაულობ ჩემს სასახლესო.

თუშების ასეთი ერთგულების სტიმული პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათისა იყო. ერეკლეში ისინი ხედავდნენ ლეკებისაგან მფარველ ძალას. ამასთანავე, თუშების ცხვრის ზამთრის საძოვარია ბატონ-პატრონი მეფე იყო. ამიტომ თუშებს მეფესთან საფერავ საქმე ჰქონდათ და მას ერთგულად იცავდნენ. ერეკლე II თუშებში ეძებდა ერთგულ და საიმედო ძალას, რომელიც არ იყო მოშხამული

---

[1] Бутков, Материалы для истории Кавказа, Т. I, СПБ, 1869 г., стр. 288.

მონურ-ბატონყმური და მოდალატური სულისკვეთებით, რაც ახასიათებდა იმ დროის ბარის საქართველოს ბატონყმურ საზოგადოებას. ამასთანავე, თუშების ცხვარი მეფის ხაზინას საგრძნობ შემოსავალს აძლევდა. ამ მხრივ რომ ხელისუფლების დაინტერესება დიდი ყოფილა, ამას მოწმობს თუშებისადმი მიცემული 1757 წლის სიგელი[1], რომელსაც ხელს აწერენ მეფეთა მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე.

ამ 1757 წლის სიგელით ეს მეფეები საიმკვიდრეოდ და მუდმივ მფლობელობაში აძლევენ თუშებს „ალონს" ან ალვანის მინდორს: „... არც ჩვენ და არც შვილმან ჩვენმან იქ (ალვანში) სოფელი არც დაასახლონ და არც ავაშენოთ ჩვენ და არც ალონის ადგილი და მიწა გავცეთ... თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის ამ რიგად გვიბოძებია... არ მოგეშალოსთ ჩვენგან და არც სხვათა ჩვენთა შემდეგთა მეფეთა და მეპატრონეთაგან... თქვენ როგორც ძველთაგან ან საბალახე და საფოთლე გერთმეოდესთ და საკომლო, ისე გამოგერთმეოდესთ. ამ რიგად ეს წყალობა გვიქნია, საცა ალონის ადგილში სოფელი არ ყოფილიყოს და დღეს არც ჩვენ და არც შვილმან ჩვენმან იქ სოფელი არც დაასახლოს და არც ავაშენოთ ჩვენ და არც ალონის ადგილი და მიწა გავცეთ. თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის ამ რიგად გვიბოძებია ჩვენად ერთგულობისათვის და სამსახურისათვის საკვიდროდ. ასე გიბოძეთ რაგვარადაც ამ სიგელში დაგვიწერია. არ მოგეშალოსთ ჩვენგან, და არც სხვათა ჩვენთანა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან".

ამგვარად, ირკვევა, რომ ალონის ველზე, რომელიც თუშებს ჯერ კიდევ ლევან II დაუთმო ზამთრის საძოვრად, სოფლები შენდებოდა და ამით ვიწროვდებოდა საძოვრის ფართობი. ეს კი საფრთხეს უმზადებდა თუშეთის მეცხვარეობის განვითარებას და ამიტომ მისი

---

[1] ამ სიგელის ტექსტის ნაწყვეტები მოყვანილია დ. ალბანელის წერილში „თუშების ორი გეჯარი" (იხ. „ქვალი", 1897 წ., № 50, 51, 52), სადაც ავტორი შენიშნავს, რომ ამ გეჯრების პირები მან იპოვა ტფილისის საგუბერნიო მმართველობის არქივში 1808 წლის საქმეებში. ამ გეჯრების დედნები კი, მისივე განცხადებით, გაუტანიათ თუშებს: ფოცხვერს (ციხეარიშვილი), თათოს და ივანეს. ჩვენ გვინდოდა აღნიშნული გეჯრების პირების გადათვალიერება და ტექსტის აქ მოყვანა, მაგრამ მათი მოძებნა საქართველოს ცენტრალურ არქივში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა.

სრული დასაკუთრებისათვის საჭირო იყო მეფის ბრძანება და სიგელი, რომელიც 1757 წელს თუშებს უკვე ებოძათ. სამაგიეროდ, თუშებს მეფის ხაზინაში შეჰქონდათ საბალახო და საკომლო გადასახადი და თავის ხმლითაც მეფეებს ერთგვარად ემსახურებოდნენ. მაგრამ 1757 წლის სიგელმა თუშებსა და მეზობლებს შორის (ბატრიონელები, ფშაველები და ლალისყურელები) შუღლი დაბადა. ეს სოფლები ალვანის მინდორზე ხვნა-თესვას ეწეოდნენ და 1757 წლის სიგელით თუშებმა მათ ეს აუკრძალეს. ამას მოჰყვა ორივე მოწინააღმდეგე მხარის ერთმანეთზე მტრული გადაკიდება, მიხტომა, საქონლის მოტაცება, ქურდობა და სხვა. ხელისუფლება იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო და 1781 წელს ერეკლემ ბრძანება გასცა თუშთა მოურავის სახელზე, რომელსაც საქმის მოსაგვარებლად აძლევს სათანადო დარიგება-განმარტებებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუშები ფშავ-ხევსურებთან ერთად შეადგენდნენ მეფის ძლიერ და საიმედო რაზმებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ერეკლეს სხვადასხვა ბრძოლაში. სამწუხაროდ, ქართველ მემატიანეს ამის შესახებ ჩვენთვის ცნობები არ შემოუტანია, მაგრამ ზეპირსიტყვაობაში ის დღემდეა დაცული. ამ შემთხვევაში ქართველი მემატიანე დუმს. იგი ვაჟკაცობას უქებს მაღალ და გაბატონებულ წოდებას და მდაბიო ხალხის გმირობაზე სრულიად დუმს.

ამ მხრივ საყურადღებოა ასპინძის ომი (1770 წ.), სადაც ხევსურებთან ერთად თუშებიც იბრძოდნენ. თუშებში გმირობის სახელი მოუხვეჭიათ კოხით ბობლიაშვილს, ნაკუდა ქუიძეშვილს, დილოიძეს და სხვა. ამაზეა ნათქვამი ეს ლექსი:

> თვალიც უჭირავს ქვეყანას, კოხით გაირჯებაო,
> დიდის ბატონის ჯარშიდა წინ ვერვინ დაუდგებაო,
> ბატონის თვალი წყალობდა, ბატონს არ მოუკვდებაო.
> ნაკუდა ქუიძესშვილი რა კანჯარიკით ხტებაო,
> შვიდი აკაფა ხმალდახმალ, რიგი ხანჯალზედ დგებაო [1].

---

[1] რ. ერისთავი, ასპინძის ომი, ტფილისი, 1870 წ., გვ. 15—16; მისივე ქართული სახალხო პოეზია (ქრებული, 1880 წ., გვ. 27).

ასპინძიდან გამარჯვებულ ჯარს წალკის სერზე შეუსვენია. ერეკლეს აქ უხმია დილოიძე და უთქვამს: „ჩემო თუშო, ეგ ხმალი ბისათვის აი ეს ხეობა შენთვის მიჩუქნია“. დილოიძეს წალკის ბოძებაზე უარი უთქვამს და მის ნაცვლად ერეკლესათვის ხევსურის ხმალი უთხოვია. მეფეს ხევსურისათვის ხმლის წონა ოქრო მიუცია და ის დილოიძისათვის უფეშქაშნია[1]. 1785 წელს კახეთში გაილაშქრა ავარიის ცნობილმა ომარ-ხანმა, რომელმაც 11.000-იანი ჯარით გადმოლახა ალაზანი და უშიშრად დაიწყო კახეთში თარეში. ერეკლე იძულებული იყო, ომარ-ხანისათვის 10.000 მანეთი ჯამაგირი ეძლია.

ამ ომარ-ხანის რისხვა თუშებსაც არ ასცდენია. მისი ჯარი ნუცალის წინამძღოლობით თუშეთს შესევია და ხარკიც დაუდვია. მაგრამ ნუცალი ამასაც არ დაჯერებულა და თუშეთის შემოსამტკიცებლად მისი გამაჰმადიანება განუზრახავს. ნუცალისათვის თუშებს მიუგზავნიათ საპატიო მოხუცი ანთა დევდრისი და მოფიქრებისათვის დრო უთხოვიათ. ამავე დროს თუშებს მხედრები უფრენიათ ლევან ბატონიშვილთან და დახმარება უთხოვიათ. მეფის ჯარიც გადმოსულა ღამით და გირევის ღელეზე დაბანაკებულა. ნუცალს თურმე სინათლე შეუნიშნავს. მაგრამ ანთას დაურწმუნებია, ეს მეცხვარეთა ბანაკიდანაო. ნუცალი მაინც შიშობდა და, რომ დარწმუნებულიყო მის გულწრფელობაში, ცხენის ხორცის შეჭმა უბრძანებია. ანთამ ეს ბრძანება შეასრულა. ამ დროს ნუცალის ბანაკს თავს ესხმის მეფის ჯარი და ანადგურებს. ეს ამბავი ხალხს ასე გაულექსია:

ქაჩუსა თავსა გადმოდის დიდი ნუცალის ჯარია,
ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარ წყალია.
წოვათის დევდრის ანთაი ნუცალს მიუა კარზედა,
წინ დაუდგ ოქროს ტაბაკი, ზედ კვიცის ხორცი აწყვია,

---

[1] ზემო ალაზანში მაცნობეს, რომ დილოიძის ეს ხმალი ვაბო ამაშიძის სახლში ინახებოდა. მე ხმალი გავსინჯე. ხმალი მოხრილია, მას ერთ გვერდზე ეხატია ბირდაღებული ლომი, მეორეზე კი — ჯვრიანი სფერო. ვაბო ამაშიძის თქმით, ამ ხმლის გასასინჯად ხევსურები დღესაც მოდიან, რომ ისინი თურმე ეძებენ დილოიძის ამ ხმალს და დიდ საფასურსაც იძლევიან. ხევსურები ხმალს რომ სინჯავენ, მის სინამდვილეში ეჭვობენ, ხმალი თავისი ფორმით და ნაკეთობით არ ჰგავს ხევსურულ ფრანგულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანა ზედ უძევს ჯავარი, გიშრისა ტარი აგია.
სჭამს და ვერა ძღებოდის, ღვთისგან მოელოდ შველასა.
შეიტყო ითაბანულმა, ლურჯას დააკრა ნალები,
საგათენებლოდ ჩავალის გრემის ბატონის კარზედა:
„ლევანო, ჩვენო ხელმწიფევ, ჩვენა გვიბოძე ყმანია“.
ლევანმა ჯარი შეყარა ათასი მეომარია,
აანთო მაშხალაები, ღამით გაიხნო გზანია,
გარდადის ნაყავეჩოსა, ღმერთო დასწერე ჯვარია.
ითაბანულის ლურჯაი ნაყაეჩს გდია მკვდარია.
გვერდთ უზის თავის პატრონი, დასტირის როგორც ქალია.
ვინ გახვალთ გირევის წყალსა, ვინ გაიმეტებთ თავსაო,
წინ გავიდ გირევის წყალსა ვაჟი ლურჯ პერანგიანი,
იქნებოდ საგინაშვილი, ვისაც ანდერაზ ჰქვიანო,
ჩავიდა, ჩამოერივა სალთხუცის ნარჭაფითაო,
ნუცალს ჩაუჭრა კარავი ნაკუდაურის ხმლითაო.
ცოლი ნუცალის ტიროდა: „ნეტარ ნუცალ რა იქნა?“
ნუცალი ანდერაზმ მოკლა, ყორნებს ჩაქონდა მწკალითა“.
ლეკთა სტირიან ქალები, აღარ მოგვივლენ ქმარები,
ცხენებთ რა უყოთ ტიალთა, დაწყვიტეს ლაგამთ ტარები,
ზოგთა სთქვეს: „ბაშტეს შევყაროთ, მაგრა დავგულოთ კარები“,
ზოგთა სთქვეს: „მთაზედ გაუშოთ, თავზე წავყაროთ ლაგმები“.
ზოგთა სთქვეს: „უკულმ შევკაზმოთ, ზედ თავათ შევსხდეთ ქალები,
გავიდეთ თუშისკენ, იქავ შევირთოთ ქმარები“.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თვითმპყრობელობის ჩვენში დამყარების პირველ პერიოდში, იმპერიალისტური რუსეთი შეუდგა კავკასიის დაპყრობის საქმეს, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი თავადების დიდი ნაწილი. ამან გაღრმავა კავკასიაში მობინადრე ტომების საქართველოსადმი მტრული განწყობილება, განსაკუთრებით ლეკებ-ჩაჩან-ინგუშებში, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ თვითმპყრობელურ რუსეთს და კავკასიის ისტორიაში გმირობის სახელი მოიხვეჭეს. ამან უფრო გაართულა თუშეთის მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ თუშეთის პოზიცია ამ შემთხვევაში ლეკ-ჩაჩან-ინგუშებისათვის გარკვეული იყო, მათ მოწინააღმდეგე ბანაკში იყო მოქცეული.

ამიტომაც ლეკების თავდასხმას ჩაჩან-ინგუშთა შემოსევა და თუშეთის აკლება დაემატა. ახლა თუშეთს ამ ფრონტზედაც უხდებოდა თავდაცვითი ბრძოლის წარმოება.

ამ მხრივ საყურადღებოა ქისტის ბელადის მურთაზის შემოსევა და ფარსმის ციხის გარემოცვა. ხალხური გადმოცემით, ჩაჩან-ინგუშთა ნაიბს — მურთაზს დიდი ლაშქარი წამოუსხამს, რომლის ალრიცხვა მას გასჭირვებია. ანგარიშისათვის, მურთაზის ბრძანებით, მოლაშქრეებს თითო ქვა აუღიათ და ერთ ადგილზე დაუყრიათ, რომლისგან მთელი გორა დამდგარა.

მურთაზი ზარბაზნით გამოსულა და მისდგომია ფარსმის ციხეს. ციხეში თუშები გამაგრებულან და ვერაფერი დაუკლია. მაშინ მურთაზს ციხის სანგლით აფეთქება უბრძანებია. თუშებს ეს დროზე გაუგიათ და ერთ თუშის ქალს, კახოს თინას თავისი მანდილი ერბოში ამოუვლია, სანგალში გადაუგდია და ის აუფეთქებია. ამ თინას გმირობაზე ასეთი ლექსია გამოთქმული:

ფარსმის ბროლისა ციხეო, შიშით გაქანებს ქარიო,
შიგ სხედან თუშის შვილები, თოფთ პირებს ასდის ალიო.
თინაო, ღმერთმა გაცხონოს, სული ხომ ლაღად არიო,
თმას შემაიხვი მანდილი, წელს შემაირტყი ხმალიო.
გვერეოდი ლაშქარში, ჩალად დაყარე მკვდარიო,
უკან გამოგყვა მეკობარ — ფარსმან ნარჩევნი ყმანია,
გაჰკვირვებოდა დაღესტნლებს თინას ნაომარიო,
ან მკლავი როგორ უძლებდა ან სამლარიანი ხმალიო.
იქით გაიქცა მურთაზი, გადაიარა მთანიო,
ქაჩუის ღელეს ჩასტირის, როგორც თმიანი ქალიო.
წინ ცოლი შემოეგება თურეშაულთი ქალიო,
— მურთაზ, რად გამოქცეულხარ, რად შეგვირცხვინე გვარიო?.
— თუშთ გამიწყვიტეს ლაშქარი, მოველი სირცხვილიანი.
— სირცხვილიანის მოსვლასა სიკვდილ სჯობს ნამუსიანი.

ჩქარა თავიანთი დროშებით ხევსურებიც გამოჩენილან და ხევსურეთის კოპალეს მიჰგებებია ფარსმის წმ. გიორგი. ამტყდარა ჭექა მუხილიც:

ცა ჭეხდეს, ქუხდეს, ელავდეს, წმ. გიორგი იქნება.
ნოგიროს წვერზე დაბრძანდა გიორგი დობილიანი,
მთის ძირში შემოეგება კოპალე ბოვრაყიანი.

მტერს მიშის ხარი დასცემია და ძლეული მურთაზი გაქცეულა. ბრძოლის ეს ეპიზოდი ასევე გალექსილი:

ქაჩუსა ძირსა შემოვიდ მურთაზ დიდითა ჯარითა,
ფარსმისა თავსა გადმოდგა დაფიან-ხარბაზნიანი,
ფარსმის ვაქეში ჩამოდგა ალმიან-დროშიანია.
ფარსმას ვერ გასტეხ, მურთაზო, ქვეხაი ნაქსოვიანი,
რკინის ვერ დაღლეწ კარებსა, კოპალე დიჩინიანი.
ფარსმაში კოხტა ციხეებს შენ ვერ დაუღებ კარებსა,
შიგნით ვერ გამორეკავდი ლამაზ-ლამაზსა ქალებსა.
შიგა ხის ალოს ალუდა, ქორი აფეთებს თვალებსა,
უკანვე დაგაბრუნებსა, მტირალს გაგზავნის შინათა,
ხირიმებს არც კი გაკადრებს, მაერებით შეგიჯერებსა,
ტყვია-წამალი ბევრი აქვს, ასი ოსმალოს ტოლია.
უკან გამოგყვა მეკოპარ-ფარსმან ნარჩევნი ყმანია,
შემოგაბრუნებს პირ-ალმა, გატირეს, როგორც ქალია.
მთას გადატირის მურთაზი, ფარსმაში დამარცხებული,
ჯარ თუშებს გავაწყვეტინე, დღესტანს შემრცხვენდებაო.
გზათ დედა მოეგებების, მურთაზ, რა უყავ ჯარითა?
ჯარ თუშებს გააწყვეტინე, შინ მოხველ სირცხვილიანი.

მურთაზისათვის თუშებს წაურთმევიათ ხარბაზანი, რომელიც დღეს ინახება სოფ. ჭეშოში და აქვს ასეთი არაბული წარწერა: „ამალი აჰმად" (აჰმადის საქმე ან ნაკეთები). უკან გაბრუნებისას დამარცხებულ მურთაზს, ლაშქრის დანაკლისის გამოსარკვევად, უბრძანებია საალრიცხვოდ დაყრილი ქვის სათითაოდ აკრება. ქვის ერთი მესამედი ქაჩუს გადასავალზე დღესაცაა დარჩენილი და მას მურთაზის გობს (ქვას) ეძახიან.

არც საისტორიო წყაროებიდან და არც ხალხური გადმოცემებიდან არა ჩანს, რომ თუშებს მონაწილეობა მიეღოთ მთიულების ამბოხებაში და აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულებაში რუსეთის წინააღმდეგ. მართალია, ალექსანდრე სპარსეთიდან თუ-

შებსაც მოუწოდებდა რუსეთის წიხაალძეგ საბრძოლველად და ასეთ ბარათსაც კი უგზავნიდა: „ქ. ჩვენ მაგიერად ერთობლივ თუ ასე ეუწყოსთ, მემრე ჩვენი ამბავი ესრეთ იუწყეთ. ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს, როდესაც ვიახლეთ და ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ, ხელმწიფეს მაშინვე თვისის ურიცხვის მოწყალეობით მთელს ერანში ბრძანებები გასცა და საქართველოში წამობრძანების თადარიგში შევიდა. სხვა რიგათაც მრავალი წყალობები მოიღო ჩვენზედა და ჩვენთან მყოფს თავადებზედა თეთრით ხალათებით, ცხენებით, იარაღებით თუ სხვა წყალობებით. ასეთი წყალობები მოიღო ჩვენზედ და ასეთი პატივი მოგვცა, რომ არა ერანის ხელმწიფეს ჩვენთა მამაპაპაზედ ამისთანა წყალობა არ მოუღია და არც ამისთანა პატივი მიუღიათ და არც სხვას დროს სხვას ხელმწიფისაგან თავადებს ამისთანა წყალობა არ მიუღიათ, როგორითაც ჩვენთან მყოფთ წყალობები მიიღეს. ყოველის ადგილებიდან ორმოცის დღის ნავროზს წინათ ჯარები მოიყვანეს და ჯარების სანი ნახა ხელმწიფემ და თავის უფროს აბაზ-მირზას დიდროვანი ჯარები უბოძა და ჩვენც თანგვაახლა და მარტის ოცდარვას თერანიდან გამოვედით და მანდეთკენ წამოვედით, ჩვიდმეტს დღეს უკან თითონ ხელმწიფეც დიდროვანის თავისის ზღვისებრის ჯარებით მანდეთკენ წამობრძანდება. ჩვენ ამას გწერთ, რომ რადგანაც ხელმწიფემ ურიცხვი მოწყალება მოიღო და ჩვენის ოჯახის ამამგდებლების მანდედამ გაყრა (იგულისხმება რუსები) ინება, თქვენ არამც და არამც ასეთი საქმე ჰქნათ, რომ დიდებულის ხელმწიფის რისხვა თქვენს თავზედა მოაწიოთ და საქართველოს წახდენის მიზეზი შეიქნათ და ან თქვენი ცოლი და შვილი დაატყვეთ. ათას სამასი წელიწადი არის, რომ ჩვენი ოჯახი საქართველოს მეფენი ყოფილან და ერანის ხელმწიფის ყმანი. თქვენს მამათა და პაპათ ყოველთვის ჩვენის ოჯახისათვინ და ჩვენის მამაპაპათ წინ სისხლი დაუღვრიათ თქვენს მამაპაპას. თქვენ ასეთი საქმე არა ქნათ, რომ თქვენი ოჯახიც დაღუპოთ და თქვენი ნამსახურობაც და სისხლის დაღვრაც ჩატაროთ. ესენი ლეკები ხომ არ არიან. ხუთი ათასი კაცი არარი ათი ათასი და ოცი ათასი ყანდაარი და ყანდარ ზევით მთელი ერანი მანდ მოდის. ღმერთმა ხომ იცის, რომ ან უნდა მანდ ამოწყდნენ და ან მანდედან რუსები გარეკონ. თქვენ ახლავ ყველანი ჩვენთან წამოდით და წინ მოგვეგებენით ორპირად. მოდის ჯარები, ერთ ჯარში ყეენი ბრძანდება და მეორეს

ჯარში შაპზადა. ერთი ყარაბაღის გზაზედ მოვა და ერთი გოგჩაზედ. ჩვენც იმ დროს ან ყველთან ვიქნებით და ან შაპზადასთან, რომელიც გზა გეახლოვებოდესთ და ამჯობინოთ, იმ გზაზედ წამოდით და წინ მოგვეგებეთ. ხემწიფის ფარვანიც მოგივათ ხათრიჯამობისა და დრო ეს არის. წამოდით, ხემწიფის წყალობაც დიდი დაგემართებათ, რა როგორადაც რომ თქვენი მამაპაპანი ერთგულნი ყოფილან, უმეტესად ერთგულად თქვენ ალმოჩდებით. თუ ამ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ და მოხვალთ, ხომ კარგია, თუ არადა თქვენ იცით. ღმერთმან ხომ იცის, რაც ამ წიგნში მოგვიწერია, სწორე და ჭეშმარიტია. ყოველივე თითო ამის პირი ქართლსა და კახეთში ყველასათვის მიგვიწერია და ჩვენი ვალი აგვიხდია. და ახლა თქვენ იცით. მარტის „ვ" (6) ქრ~ის „უჟბ" (492 — 1804 წ. აზის ბეჭედი. ალექსანდრე).

მეფის ძე თეიმურაზ სიყვარულით მოგიკითხათ. თუ ჩვენსა ანბავს იკითხავთ, ჩვენც ამათს უმაღლესობას ბიძა ჩვენსა ვახლავართ და ხემწიფისაგან ასეთი მოწყალება მოადგა ბიძა ჩვენსა, რომ არას ჩვენს მამაპაპას ხემწიფის ასეთი წყალობა არ მისდგომიათ. ახლა თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ, ახლავ ამათს უმაღლესობას იახელით, ღმერთმან ხომ იცის, ხელმწიფისაგანაც და მამის ჩვენისაგანაც დიდი წყალობა დაგემართებათ და თუ ამ ჩვენს რჩევასა არ დაიჯერებთ და არ მოხვალთ, საუკუნოთ თქვენს ოჯახს დააქცევთ და ახლა თქვენ იცით". (აზის ბეჭედი. ქ. მეფის ძე თეიმურაზ.).

ეტყობა თუშებს არ ჰქონიათ ალექსანდრეს გამარჯვების იმედი და ამ ავანტურისაგან თავი შეუკავებიათ.

სამაგიეროდ, თუშები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დაღესტნის დაპყრობისა და შამილის დატყვევების საქმეში. შამილს ღრმა კვალი გაუვლია თუშეთის ისტორიულ წარსულზე, რაც აღბეჭდილია თუშურ ხალხურ საგმირო-ლექსებსა და მოგონებებში. აქ დღესაც არიან შამილის მომსწრე მოხუცები, რომლებსაც მისი ტყვეობაც კი უგემიათ. ამიტომ შამილის ხსოვნა და მისი გმირული მოღვაწეობა ხალხში ჯერ არ გამქრალა და მის სახელს თუშები მუდამ ქებით იხსენიებენ.

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის პირველ ხანებში შამილი თუშეთთან მეგობრული დამოკიდებულების დამყარებას ცდილობდა და ამ მიზნით თუშებთან კაბუჭის მთაზე დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც თერმე აწარმოებდა. მაგრამ მათ შორის შეთანხმება არ

მომხდარა. მაშინ შამილს თუშეთის დასარბევად გაუგზავნია ხათილ მუხამა, რომელიც თავისი ლაშქრით ხისოს ლაცას მთაზე დაბანაკებულა. აქედან ხათილ მუხამას რაზმის ერთი ნაწილი სოფ. ხისოსკენ გაუგზავნია, მეორე კი ქუმელაურთაში. ამ ორ სოფელს მიშველებია პირიქითისა და გომეწრის თემის სოფლები, მტერზე იერიში მიუტანია და დამარცხებული ხათილ მუხამა დიდის ზარალით უკანვე გაბრუნებულა.

ამ გამარჯვებისათვის მეფის მთავრობას თუშები სამი წლით გადასახადისაგან გაუთავისუფლებია და ამაზეა ეს ლექსიც გამოთქმული:

ერთხელ თურმე იმამ შამლის მუქარა სთხოვეს პირათა:
შენ მგონია დაიკვეხნე, თუშეთს წავალ საომრათა,
თუ მოხვალ, კი გიმასპინძლებთ თუშები ვაჟკაცურადა,
თუ გახსომს ფარსმის თაობა, ან თუ იცნობდი მურთაზსა,
შენცა ეგრე გიმასპინძლებთ, ისრე გაგგზავნით მტირალსა.
ლაცას რომ დაგეჯახენით მაღლა ხისოსა მთაზედა,
სამოცი ლეკი მოგიკალთ, ხმალნი გილეწენთ თავზედა,
ჩვენის თოფების ნაბეჭდით სისხლი აწვიმეთ გზაზედა,
ჩვენმა მთავრობამ შეიტყო, წიგნი დასწერა წამზედა,
ფოშტის ფული გვაპატია სამ წელიწადი კვამლზედა.

მაგრამ თუშების ამ გამარჯვებას ჩქარა მოჰყოლია ლეკების უფრო დიდი ჯარის თავდასხმა და ალდამის მიერ 1838 წელს სოფ. დიკლოსა და შენაქოს აკლება. ალდამი 10000 ჯარით პირველად დაღესტნის მოსაზღვრე სოფ. დიკლოს შესევია და ეს სოფელი გაუნადგურებია. აქ მოვიყვანთ ამ ბრძოლის გალექსილ მატიანეს:

ყური მომიგდეთ, მსმენელნო, ლექსად გეტყვით ყველაფერსა,
უწინ ჩვენ მამაპაპანი სისხლით რწყავდეს მთის კალთებსა,
მტერსა მტრულად უხვდებოდეს, ხმლით იცავდენ ჩვენს
საზღვრებსა,
დაღესტნის იმამს უთვლიდეს: „მოდით, გელოდებით ჩვენცა,
თუ მოხვალთ, კი გიმასპინძლებთ, სისხლსა გასმევთ თქვენვე
თქვენსა,
თქვენ მოსოქელებს გვეძახით, ქართველები — ჩვენ თუშებსა“.

ეგ რომ გაიგო შამილმა, თავსა თვისა გაიქნევსა:
„ეს როგორი ამბავია, ეუბნება ნაიბებსა,
„რატომ წმინდათ არ გაეღმენტავთ მაგ მამაძაღლსა თუშებსა“.
შამილსა ჰყავს ერთი ლეკი, ცოტას ეტყვის, ბევრს ითქმევსა:
„ჩვენ თუშებს როგორ გავეღმეტთ, გმირთა ლომსებრ მეომრებსა,
მათში ერთხელ ჯარათ გახლდით მოგვაფარეს სულ გოხებსა,
ტყვიას ხო არ გვაკმარებდეს, ელვა იდგა მათი ხმლისა.
თან დიაცნი დაჰკიოდნენ, ხელთ იხვევდნენ მანდილებსა:
— დახოცეთ, ნუღარ გაუშვებთ ჭაჭანებას მაგათ ძისა!
ბულათ ხანმა ბაგვაზელმა ყველა პირათ მოახსენა:
„თუშებს ვერვინ ვერ დაიჭერს, ვერცა სხვა და ვერცა ჩვენა.
ერთხელ რომ ჯარათ გამგზავნე, ჯარიც მომე ყველა მხრისა,
ნარჩევ-ნარჩევი ბიჭები ამ შენ ნაქებ დაღესტნისა.
თუშურ მთებს რომ გადავდექით, მიწა გვეძცეოდა ძირსა,
ერთ ალაგას დავბანაკდით, ჯარი სჭამდა ტკბილათ პურსა,
ზაქარ, ეგა ჰავარელი, ფიქრთ გართული რაითმე ზისა,
უთხარ: „ზაქარ, რათა ფიქრობ, რაზე იყურები ძირსა?“
ამოითხრა და მითხრა ნიშანია ფინთი მხრისა.
გაიხედა, დაინახა, ვინმე იჯდა კლდისა ძირსა,
მითხრა: „ნეტავ ის ვინ არი, თუ მზირია ჩვენი გზისა“.
უთხარ: „მწყემსი ვინმე არი, დაღალული ჩრდილში ზისა“.
თურმე ჩვენი მზვერავია, ოთხი კაციც გვერდს უსხედსა.
ხუთმა სროლა აგვიტეხეს, ტყვია მოდის სეტყვასავითა,
ხუთმა თერთმეტი მოგვიკლა, იარაღი ვყარეთ ძირსა,
თურმე თუშებში წესია შერიგებას ნიშნავს ისა.
ახლა შორით დაგვიძახეს: „ჩვენ ხომ კიდევ ომი გვინდა.
იარაღი ხელთ აიღეთ, ახლა პირი ვცადოთ ხმლისა“.
„იარაღს თავი ვანებეთ, ბილიკი ვნახეთ ტყისა.
ჯერ ტყეზე ვისირბილევით, მერე გზებზე მაღალ მთისა“.
ჰაჯი მურიმ ხუნზახელმა ყველა უთხრა იმამს პირსა:
„მე იმათში ვერ გადავალ, არც ბილიკი ვიცი მთისა,
ალდამს ჰკითხეთ დიდოელსა, იმან იცის იმათ მხრისა,
ის არი მათში ნავალი, რა წესი აქვთ თუშის შვილთა“.
ალდამს უთხრეს: „აბა გვითხარ, რა წესი აქვთ თუშთა შვილთა?“
ალდამ უთხრა: „მე ვყოფილვარ, დღენი იყვნეს ახალ წლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერი, ალუდი, არაყი მეტად მიმღებნი სტუმრისა.
ცალი მხრივ ვაჟკაცნი ისხდნენ, ლუდსა სვამდნენ ჯიხვის რქითა,
სადღეგრძელოსაც მოსთქმიდენ მტრის მებრძოლი ვაჟკაცისას.
ცალი მხრით დიაცნი ისხდნენ, ღმერთსა სთხოვდენ მანდილ
ხდითა:

„ღმერთო, უშველე თუშებსა, დაღესტნის იმამი ძირსა!"
ლუდისა მწდენი ქალები წვრილს ხმითა მღეროდიან,
და სიმღერაში მოსთქმიდენ: „მტრის გამქცევსა არა ვსტირთა,
ჩვენ ყმა ოგეთაი მოგვწონს, ვინც მტერს თავს აჭრიდეს
ხმლითა,

მტრის მარჯვენებს მოიტანს ლაღი მოყმე კალთებითა,
მიაკრავს ციხის კედელზე, მუდამ ვხედოთ თვალითა".
მიდგა და მოდგა იმამი, გუნებაში დაფიქრდისა:
„მოდი, იქ ჯარი გავგზავნო, როს დღენია ახალ წლისა."
ალდამს უთხრა: „შენც წახვალი, ჯარიც მოგცეთ დაღესტნისა,
ალდამ უთხრა: „მე კი წავალ, თუ დავბრუნდი ძვირფას ღირსა".
ალდამი ჯარს გამოუძღვა, ჯარიც მოსდევს დაღესტნისა,
პირველად დიკლოს დაეცნეს, ორლობეა ჩვენ საზღვრისა.
სიტყვობდეს დიკლოელები: „რისხვა დაგვეყარა ცისა,
დაღისტნის ჯარი დაგვეცა, აწ ჩვენ მანსპინძლობა გვინდა.
თუშეთზე ნუ ვათარაშებთ, სირცხვილია ჩვენთვის ესა,
აქვე ჩვენ გაუმასპინძლდეთ, ვაჭამოთ სისხლის პურია,
თითომ თორმეტი მოუკლათ, მაშინ შენდობა გვეთქმისა".
დიკლოში დიდი ომია და გრიალი თოფებისა,
თოფი ჭეხს, ტყენი უხმობენ, დამღერიან ბუჩქნი ტყისა.
გიოი მოზაიძეი ბექურიძეს ეძახდისა:
„ბერო, ბერო, როგორა ხარ, ხმაი მომდის შენ თოფისა"!
ბერომ წყრომით დაუძახა: „გაჯავრებულ ვარ მე დღესა,
გუშინ თერთმეტი მოვკალი, შვიდის მეტი ვერა დღესა".
ახლა გიომ დაუძახა: „მაშ სახელი შენ დაგრჩესა".
მე თორმეტისა მეტი ვერა და თოფიცა ახლა გამწყდა,
თოფი განზე გადაგდო, ხმალზე გაიკრავდა ხელსა,
ხმალდახმალ გამოეარდა, ორსავ თავი მოაჭრისა,
ახლა შორით თოფი დაჰკრეს, ლომი გიოც დეეცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცვივდნენ და ხანჯლით სჭრიან: „შენგნით ბევრის დედა
სტირსა“.

ომობდა ოსორაული, ვაჟი არ ზოგავს თავსაო,
ჯერ ხო თოფითაც ეომა, მემრ ხელი გაჰკრა ხმალსაო,
ხმალდახმალ გამოუვარდა, უწყალოდ სჭრიდა თავსაო.
ერთსა ლეკსა ხელი სტაცა: „მოდ, ძმობილო, შენ აქაო“.
შინათკენ მიარბენინებს, როგორც რომ ლომი ცხვარსაო.
შინ შეიყვანა ციხეში, მიუსვა სათოფარსაო:
„ლეკო, ესროლე ლეკებსა, თორო მოგაჭრი თავსაო“.
ლეკი ესროდა ლეკებსა, ცრემლები თვალთა სდისაო,
„ოლონდ ნუ მომკლამ, თისოჯან, კიდევაც ვესვრი სხვასაო.
თისომა ხმალი შემოჰკრა, თავი მოშორდა ტანსაო,
შენ ცოცხალს ვინღა გაგიშობს, შენ ურჯულოსა ძალსაო“.
ნეტავი მოყმე ვინ ომობს, კოშკების მოდის ძგერაო,
იქნება ძაგანაშვილი, აბჯრისი მოდის ქედერანი.
თოფს ესვრის, თანაც დაჰკივის: „ლეკებ, დაიცათ თქვენაო,
თუშეთზე ვერ ითარეშებთ, აქვე გეყოფით ჩვენაო,
მასპინძლობასაც გაგიწევთ, სისხლის პურს გაჭმევთ თქვენაო“.
უჯბახიშვილიც ომობდა, მოყმე ლაღ თექიანია,
ჭურაზიშვილიც ომობდა, მათზე სულ ბრაზიანია.
უზომოთ ლეკთა ხოცვიდეს, ეზონ აქვ სისხლიანია.
სიტყვობდა ვარდიძის შვილი: დაჰკათ ვინც ხართ გულოვანი,
უწინ ჩვენ მამაპაპანი ყოფილან სახელოვანი.
აწ ჩვენც მათ გავედარნეთ, ნუ მოვკვდებით სირცხვილიანი!
ზემო უბანში ომია, თოფების მოდის გრიალი,
ნოჯარივით მკვდარი ჰყარეს, ლეკები გულშხამიანი,
ერთმანეთს ეუბნებიან: „ვაჟკაცობის ეს დრო არი;
რაც სოფელში ჯარი გვიდგა, დღეს მეთვრამეტე დღე არი,
თუ ოცამდე ვიცოცხლევით, მერე სიკვდილი რა არი“.
აბულ მოტყუვდა, მიენდო ლეკსა ვერცხლითა ძმობილსა,
ადგა და მათთან მივიდა ძმობილისა იმედითა.
ყველანი ფეხზე აუდგეს ჩვენებური მოგვივიდა,
იარაღი ჩამოართვეს, ჩვენთან შიში შენ არ გინდა,
გარშემო შემოეხვივნეს, ვისაც რომ მის ჯავრი სჭირდა,
ჰკითხვენ: „რამდენ მოგვიკალი“, ასე ეტყვის: ვინ გასთვლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკს გარშემო ბევრი ჰყრია თქვენისთანა ძალლივითა:
მათ ქიყქიყი გააბევრეს, აბუელ იცის, რაც მათ უნდა,
უთხრა: „თქვენი ნება არის, მე მოვტყუვდი სირეგვნითა,
იარაღი ჩაგაბარეთ, ხელში დაგრჩით ქალივითა“.
მალვით თოკი მოიტანეს, გაახვიეს ქამანდითა;
ხელფეხი მაგრა შეუკრეს, დააწვინეს ხარივითა,
უწყალოთ ყელი გამოსჭრეს, გაიბერტყა ვეფხვივითა.
ალდამ უთხრა: „ეგ აკმარეთ, ნუღარ დასჭრით ხანჯლებითა,
ეგენ ბეროც მოვიყვანოთ ამისთანა თათბირითა“.
ალდამი ბეროს ეძახის: „ბერო, შენა ხარ ჭკვიანი,
კაცო, მოდი და შევრიგდეთ, ნუ ხარ სულ ხმალსისხლიანი,
ნუც გვხოცავთ, ნურც იხოცებით, კმარა ამდენი ზიანი“.
ბერომან ხმალი უელა: „არ მინდა შენი თქმანიო,
ამის წინაც არა მსურდეს ჩემი ძმების მომკლავნიო,
აწაც ისევე ბერო ვარ, რაც გინდოდეს ის ქენიო,
სოფელი შენ აგვიოხრე, ეს საქმე სულ შენ ქენიო
ახალ წლის დღეს შემოგვლახე, გაგვიმწარე სასმელიო,
უკაცობას დაგვიხედი, აქ არ გვყვანდენ მოძმენიო,
თექვსმეტი გვომებოდეთ, ვართ ორნიდა დამრჩალნიო.
ჩვენ თქვენ ხელად არ გამოვალთ, ხვთის ფიცი გვაქ ნათქვამიო,
ჩვენი ქართული ეს არის, რაც გინდა, ისა ქენიო“.
ალდამმა თავი დაღუნა, გულში იფიქრა ბევრიო,
დიდი შეშა ააგროვა, თორმეტ საჟენზე ბევრიო,
ციხეს გარშემო მიჰყარა, ცეცხლი მოადვა ცხელიო,
ციხის სათოფრებს ცეცხლი სცემს, მაღლა ავარდა ბოლიო,
ვეღარ ომობენ გმირები, შიგადან მეომრებიო,
ბეროშ ხმალს უთხრა: „ტიალო, დღეს მოგვესწრაფა დღენიო,
ცეცხლისა ალით თვალ გვეწვის, ვერ გაჭრეევინე მტერიო“.
კარში გამოდგა ბეროი, თვალის სინათლით ბნელიო,
ჯარმა ერთბაშ თოფ ისროლა, ალდამმა სთქვა: „აწ ვმღერიო,
გმირი ბერო რა მოვკალით, მთლად ჩვენ დაგვრჩა სოფელიო,
სავაჟეთი დავხოცენით, გამორეკეთ ქალ-რძლებიო“.
ღვთისაი ბექურიძეი მობრუნდა სათოფურთანა,
სათოფურებთან ცეცხლი სცემს, ვეღარ ომობდა ლეკთანა,
მობრუნდა გულბრაზიანი: „ბერო, მეც მოვალ შენთანა“.
დაი მუხლთა მოეხვია: „ძმაო, მომკალით თქვენთანა.

ვერ ვიელი საბუსურმანოში, ძმებო, თქვენს დამხოცველებთანა".
— დაო, მაბეცა იქითა, შე რაზე მოგკლავ ჩემთანა,
შენ რომ მოგკლა, დაო ჩემო, როგორ წავიდე ღმერთსთანა".
ახლა ცოლმაც დაიკივლა: „მენაც მომკალით თქვენთანა!
თოფ-ხმალსა ხელი უტაცეს: „ორნივ დაგვხოცე ერთადა".
იელა თისოს ხანჯალმა, დაი დეეცა ძმასთანა,
თვალცრემლიანი დაპყურებს, ცოლ მიეფარა ბნელათა.
ნინო, შენ სად გაიქეცი, აწ ახლოს მოდი ჩემთანა,
ღვიძლი დაი რომ მოკალი, შენ ვინ გატარებს ლეკთანა.
იელა თისოს ხანჯალმა, ცოლიც მიაგდო დასთანა,
ახლა ლეკმა თოფი დაპკრა თისოს მარჯვენა ბეჭთანა.
სამნივ ერთად დაიხოცნეს და მტერს მაინც არ დანებდენ.
დიკლოჩი ქალნი ატირდეს, მოსთქვამდეს ცრემლთა ფრქვევითა:
ავაპმე, ძმანო, დაღლილნო დიდისა ხნისა ბრძოლითა,
დღე და ღამ დაუძინარნო კოშკს სათოფრებთან ცქერითა,
პირშამურულნი წამლისგან, თოფის უწყვეტი სროლითა,
პურუქმელებო, მშივრებო, წყურვილით პირგამომშრალნია.
თუშნო, რად არ გვიშველეთა, დღენი შაგვექმნეს შავადა,
ძმები გვერდით დაგვიხოცეს, ტბები გვიბრუნეს სისხლისა.
მივყეევართ საბუსურმანოში, აწ ტყვე ვართ დაღესტანისა,
უკან დიდი ჯარი მოგვდევს, წინ ალდამი მიგვიძღვისა,
მობრუნდებ ხმალსა გვიღერს, თქვენივ დიდი ჯავრი მჭირსა,
დაჭრილი მყავს უთვალავი, შვიდოცი ხომ მანდ დამრჩა,
რით გადვიდე დაღესტანში, ან იმამს რა მოვახსენო.
ბაგეაზში ქალი ატირდა, ამბავი რომ უთხრეს ქმრისა,
შენი ქმარი დიკლოს მოკლეს, თუშმა თავი მოაჭრისა.
ქალმან სთქვა ასტამფირილა: „ნეტავ ვინ იყო ისა,
ჩემ ხალითას რომ შაბედა, ვისა ჰქონდა გული ქვისა,
ან ხმალმან როგორ გაუჭრა ჩემ ხალითას თავი კლდისა.
აკი გითხარ, ხალითო, დადექ, ნუ წახვალ იქაო,
შენ ბაირაღი რა უყავ, ნეტარ ვის დარჩა ისაო,
რატომ არ გამომიგზავნეს, ნაჭერია ჩემი ქმრისა.
ნეტავ თუშნი რა ხალხია, რომ ამდენი დედა სტირსა,
ბევრი გულად ყმისა ცოლი დაღისტანსა ცრემლით სწვიმსა".

თისო ბელადიშვილი, 71 წლისა. სოფ. დიკლო. 1931 წ.

დიკლოდან ალდამი სოფ. შენაჭოში გადასულა. მაგრამ აქ დასაყრდენია თუშ-ფშავ-ხევსურეთის შეერთებული ჯარი და დამარცხებულა. ალდამი უკანვე გაქცეულა[1]. ლეკებისაგან თავმობეზრებული თუშები მაინც იძულებული გამხდარან, შამილისათვის კომლზე ათი შაური ხარკი ეძლიათ.

შამილთან უკანასკნელ ბრძოლებში თავისი გმირობით თუშებში ცნობილია შეთე გულუხაიძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა 1852 წელს დიდოელების დამსჯელი რუსის ჯარის ექსპედიციაში. შეთესთან თურმე მისი სამი ვაჟიც იბრძოდა. უფროსი ვაჟი სასიკვდილოდ დაჭრილა. შეთე დაჭრილთან მისულა და უთქვამს, ვაჟკაცი შვილი მყოლიხარო. დაჭრილი ჩქარა გარდაცვლილა. შეთე მისულა ცხედართან და ზურგზე ხანჯლის წვერით 75 ნიშანი დაუსვამს. შემდეგ ცხედარი 75 ნაწილად აუკუწია და ნათესავებისათვის გაუგზავნია ნიშნად იმისა, რომ თითოეულ მათგანს ლეკებზე შური ეძია და მტრის მოკვეთილი მარჯვენა მისთვის მიეტანა. ერთი თვის შემდეგ მას მართლაც მიუღია 75 ლეკის მარჯვენა. თვითონაც 15 დაუმატებია და ამგვარად შვილის სისხლი აუღია 90 ლეკის დახოცვით[2].

იმპერიალისტური რუსეთისა და დაღესტან-ჩაჩნეთის ბრძოლის ეს ეპოპეა 1859 წელს გუნიბის აღებით და შამილის დატყვევებით დამთავრდა. ამასთან, ბოლო მოეღო თუშ-ლეკების ერთმანეთის დალაშქვრას და ორივენი მონარქიის უხეში ბატონობის ქვეშ მოექცნენ. ამ დროიდან იწყება თუშეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა.

რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარებასთან ერთად თუშებშიც იჭრება სავაჭრო კაპიტალი, რომელსაც აქ იზიდავდა

---

[1] И. Цискаров, Дикло и Шенако, газ. «Кавказ», 1846 г., № 27.

[2] ა. ერისთავს თავის წერილში „Мои заметки" (Кавказ, 1855 г. № 33) აქვს აღწერილი ალვაწში ნათლისმცემლის ხატობაში ამ შეთესთან შეხვედრის შემთხვევა. შეთე თურმე ყურს უგდებდა მეფანდურე ბრმა თუშის სიმღერას. მეფანდურეს ხოტბით უხსენებია თუშეთის ყველა გმირი, მაგრამ შეთეზე არაფერი გამოუთქვამს. შეთეს ეს სწყენია და უთქვამს, მეც ცოტა რამ ვაქვაცობა ჩამიდენია და ჩემზე კი არაფერი სთქვეო. მეფანდურეს უპასუხნია, თუშებს წესად არ აქვთ გმირის სიცოცხლეში შექება, რომ არავინ იფიქროს, მეფანდურე მოსყიდულია, ეს კი გმირისთვის სირცხვილიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშური ცხვარი და მატყლის დიდი მარაგი. დატრიალდა ჩარჩული კაპიტალი და თუშებშიც ჩქარა დაადგნენ კაპიტალისტურ გზას. აქ თანდათანობით წარმოიშვნენ მსხვილი მეცხვარეები, რომლებიც თავიანთ ფარას ათასობით თვლიდნენ. ამ მსხვილ მესაკუთრეთა ხელში მოექცა საკმაო კაპიტალი და ცხვარ-მატყლის დიდი მარაგიც, რასაც მოჰყვა თემური თუშეთის საზოგადოებრიობის დაშლა, ახალი სოციალური გადაჯგუფება და კლასობრივი ურთიერთობის დამყარება.

ამგვარად, XIX საუკუნეში თუშეთის თემობრიობა იშლება, გაბატონდა მონარქიის უხეში ძალა და საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში მოექცა მსხვილ მესაკუთრეთა მცირე ჯგუფი. ოქტომბრის რევოლუციამ თუშეთის მშრომელი მოსახლეობა გაათავისუფლა გაბატონებული კლასებისაგან და განახლებული თუშეთი დღეს ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში.

ეკონომიური მდგომარეობა

თუშეთი ეკონომიურად მნიშვნელოვანი კუთხეა. მისი ეკონომიკის მთავარი ბაზა მეცხვარეობაა და საქართველოს ეკონომიკაში თუშეთი მეცხვარეობის ერთ საუკეთესო რაიონად ითვლება. მაგრამ, ამასთანავე, თუშები ნაწილობრივ მიწათმოქმედებასაც მისდევენ. სანამ ჩვენ თუშეთის მიწათმოქმედების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ, როგორი იყო წინათ თუშეთში მიწათმფლობელობის ფორმები.

რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარებამდე თუშეთი ცხოვრობდა თემური წყობილებით და „სათუშოს“ მიწებიც თემს ეკუთვნოდა. თემი მშრომელ მოსახლეობას მიწებს თანაბრად უნაწილებდა. მიწის კერძო საკუთრება აქ არ იყო. მიწათსარგებლობის მხრივ ტბათანა-ალაზნისათვის და ნაჭერალ-დიდგვერდის იალაღები და ალვანის ველი თუშეთის ყველა თემის საერთო საკუთრებას შეადგენდა. რაც შეეხება თუშეთის ადგილებს, სადაც თუშების სოფლებია ვაშენებული, მიწა დაყოფილი იყო თუშეთის ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემის — გომეწრის, ჩალმის, პირიქითისა და წოვათის თემებს შორის.

თითოეული ამ თემთაგანი ფლობდა განსაზღვრულ ფარგლებში მოქცეულ მიწის ფართობს, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა, სათემო ყრილობის დადგენილებით ეს საზღვრებიც იცვლებოდა. თემი კი მიწებს პერიოდულად ანაწილებდა თემში შემავალ საგვარეულო ოჯახებს შორის. მიწები განსაზღვრულ ვადამდე მათ დროებით სარგებლობაში რჩებოდა. მიწების ასეთი განაწილება საგვარეულოს ოჯახებს შორის კენჭის ყრით წარმოებდა. ამისათვის ოჯახებში ჩამოარიგებდნენ თოკლე ჩხირებს და თითოეული მათგანი ამ ჩხირზე თავის საოჯახო ნიშანს აჭდევდა. შემდეგ ამ დაჭდეულ ჩხირებს ქუდში ჩაპყრიდნენ, გვარის უფროსი ასახელებდა მიწის ნაკვეთს და ამავე დროს ერთი ვინმე თვალდახუჭვით ქუდიდან ილებდა ჩხირს და ვისი ნიშნიანი ჩხირიც ამოვიდოდა, ნაკვეთიც ძას ერგებოდა. სათემო მიწების ასეთი განაწილება სათემო ყრილობის დადგენილებით ყოველ ათ თუ ოც წელიწადში ერთხელ მაინც ხდებოდა.

მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც თუშეთშიაც იჭრება საკაჭრო კაპიტალი და არღვევს ძველ თემურ წყობილებას, მიწათმფლობელობის ეს სისტემაც თანდათანობით იშლება. ისპობა მიწების პერიოდული დაყოფა. საგვარეულო მიწები შესყიდვით თუ მიტაცებით მიისაკუთრეს ძლიერმა და შეძლებულმა ოჯახებმა. ამავე დროს, მოსახლეობის უმრავლესობას მიწის მცირედი ნაკვეთები შერჩა, ზოგი კი სრულიად უმამულოდ დარჩა. თუშეთის აშრომელ გლეხობაში ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და 1880 წელს, როდესაც მიწების გამიჯვნა დაიწყო, თუშებმა მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მიწათმფლობელობის ძველი თემური სისტემის აღდგენა მოითხოვეს.

ამ მიზნით თუშებმა აირჩიეს კომისია, რომელიც უნდა შედგომოდა მიწების კომლობრივ განაწილების საქმეს. მაგრამ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა მოსახლეობის მსხვილმესაკუთრე და შეძლებულმა ნაწილმა და კომისიამაც ვერ შეძლო განზრახული რეფორმის გატარება. მხოლოდ ზოგიერთმა სოფელმა, სახელდობრ, ჯვარბოსელმა და ომალომ, დიდი ბრძოლის შემდეგ, მოახერხა ამ რეფორმის ნაწილობრივი გატარება და მიწებიც მეკომურთა შორის გა-

ანაწილეს[1]. მაგრამ მიწათმფლობელობის ძველი სისტემის აღდგენა და განახლება კაპიტალისტურ ხანაში შეუძლებელი იყო და ისიც ჩქარა გაქრა. მის ნაცვლად მტკიცდება კერძო, ინდივიდუალური საკუთრების სისტემა. შეძლებულმა ოჯახებმა — „წინაკაცებმა" — ძალით თუ შესყიდვით, საუკეთესო მიწები მითვისეს და ზოგიერთ სოფელს მამულებს ედავებოდნენ. მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობას კი, ეგრეთწოდებულ „უკანაკაცებს", შერჩათ მცირედი, ისიც უვარგისი ნაკვეთები და იძულებული გახდნენ შეძლებული წინაკაცების მიწაზე ემუშავათ დღიურად და ლალად სამი კოდი ჭირნახული მიეღოთ. შეძლებული თუშები უკანაკაცებს ზოგჯერ სამუშაო იარაღსა და საქონელსაც ათხოვებდნენ იმ პირობით, რომ შეეძლო გლეხებს ამის ანგარიშში მათი მიწები დაემუშავებინათ.

ოქტომბრის რევოლუციამ მიწათმფლობელობის ეს კაპიტალისტური ფორმა თუშეთშიაც მოსპო და მიწის ყიდვა-გაყიდვა ახლა აქაც აკრძალულია, მაგრამ მიწის ინდივიდუალური სარგებლობა თუშეთში ჯერ კიდევ ძალაშია.

მხოლოდ 1931 წლიდან დაიწყო თუშეთში მეურნეობის კოლექტივიზაცია და წვრილი მესაკუთრე მშრომელი გლეხობა დღეს უკვე კოლმეურნეობებში ერთიანდება.

თუშეთის მიწათმოქმედების გასაცნობად ყველაზე ტიპიურია ჩალმის თემის სამი სოფელი: ომალო, შენაქო და დიკლო. ეს სამი სოფელი ბარში არ ჩადის და ალვანში მიწათმოქმედებას არ ეწევა. ამიტომ თუშეთის მიწის მეურნეობის შესასწავლად ამ სოფლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

საყანედ ვარგისი მიწა თუშეთში, რომლის ფართობის უდიდესი ნაწილი ტყითა და კლდე-ღორღითაა დაფარული, ერთობ მცირეა. სახნავ-სათესი ნაკვეთები მთის ფერდობის დაეკებულ ადგილებზეა მოქცეული და წვრილ ნაკვეთებადაა დაქუცმაცებული. ამ ნაკვეთებს, თავიანთ ადგილმდებარეობის მიხედვით, თითოეულ სოფელში საკუთარი სახელებიც აქვთ, როგორც, მაგალითად, სოფ. ომალოში: წიხო, კარატი, ბუცი, ჩრდილი, კვირეხი, ბინდურის ყანები, წელგზა, ჩალის გორი, ბექრო, წასნეს ძირი, ირლაჯე და სხვა.

---

[1] В. М. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тионет. уез. Тифлис. губ. (Мат. экономич. быта государ. крестьян, т.V, Тиф., 1887 г., зз. 372, 386, 388—389, 394—395).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ეს ნაკვეთები ასევე დაჯგუფებული: სასოფლო, საზიარო, წილის მიწა, ბოსლის კარის მიწა, ბარის მიწა, მთის მიწა და სახატო მიწა. მიწა აქაც დღიურებით იზომება და თუშეთის მიწის დღიური უდრის ერთ მესამედს ბარისას. საყანე მიწებში ყველაზე დიდი ფართობი უკავია ბოსლის კარისას, სადაც სოფლის საზამთრო ბოსელია გაშენებული. ამ ბოსლებს თუშეთის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.



თუშური სახნელი

ის სოფლები, რომლებიც საზამთროდ ალვანში არ ჩადიან, შემოდგომიდანვე ამ ბოსელში გადადიან საცხოვრებლად და გაზაფხულამდე აქ რჩებიან. აქვეა მოთავსებული მათი მსხვილფეხა საქონელიც. განსაკუთრებით დიდია სოფ. ომალოს და შენაქოს ბოსლები, რომლებიც იქვე მახლობელ მთის დავაკებაზეა გაშენებული. ამ ბოსლებში გლეხობას საშუალება ეძლევა ზამთრის განმავლობაში საქონლის სკორე (ნეხვი) ჯინებით იქვე მდებარე ყანებში ვაზიდოს და ნიადაგი გაანოყიეროს. მით უმეტეს, აქაური მიწა

ფიცხია და, თუ ის სისტემატურად არ ნოყიერდება, ჭირნახულსაც არ იძლევა; ამიტომ თუშეთის მიწათმოქმედებაში მიწის განოყიერებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გაუნოყიერებელ მიწას აქ ყოველ მესამე წელიწადს დასვენება სჭირდება.

ამასთან, ბოსლის კარის ყანები დაბლობზეა, ჰავაც შედარებით ნაკლებ სუსხიანია და ძლიერი ქარიც არ ხვდება.

შუა გაზაფხულში, დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებიდან, თუშეთის გლეხობა მინდვრის სამუშაოზე გადის. ამასთანავე შე-



კავი

უდგებიან თესლის გარჩევას „სათრობაც"-საგან (სარეველა). თესლს არჩევენ რიჭით ან ცხავით. მიწას ხნავენ ხის „სახნელით". რომელშიც ერთი ულელი ხარია შებმული, რბილი და ვაკე მიწა მარტო ამ სახვნელით იხვნება. თუ ნიადაგი მაგარი და ბალახიანია, მაშინ სახვნელს წინ მიუძღვის ხის კავი, რომელიც თავისი საკვეთელით მიწას ჭრის. ამ კავს სახვნელი მისდევს და გასერილ ნიადაგს ყურიანი ქუსლით აბრუნებს.

მოხნულ მიწაზე თესავენ, დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში, დიკას (იგივე „იფქლი"), შემდეგ მაისში ითესება „ქერშველი" (ორპირა ქერი) და ქერი (ექვსპირა ქერი). ითესება აგრეთვე „შრუა" — შვრია, რომელსაც საქონელს აჭმევენ და არაყსაც ხდიან, ქუმელი, სელი და ოსპი. აგვისტოში თუშეთში ითესება სვილი (ჭვავი), რომელიც მეთორმეტე თვეში პურდება.



ჩვნა

ამ პერეულში ყველაზე დოვლათიანი სვილი და ექვსპირა ქერია. ამ ორი პერეულის ნათესებს ყველაზე დიდი ფართობიც უკავია. ქერი და სვილი შეგუებულია აქაურ ალპიურ ჰავას და კარგად ხარობს 2.000 მეტრის სიმაღლეზედაც. საზოგადოდ, თუშეთში ქერისა და კულტურულ მცენარეთა უკანასკნელ ხაზად ითვლება ჭონთიო (2350 მ), დართლო (1827 მ) და ვეძათ ხევი (2000 მ)[1]. გაზაფხულზე მიწის სამუშაოდ ალვანში ჩასული თუშებიც ამოდიან აქ და თავიანთ მიწის ნაკვეთებს ამუშავებენ. ვისაც სამუშაო იარაღი და მუშა საქონელი არა ჰყავს, მიწას საზიაროდ სხვას აძლევს.

ბოსლის კარის ყანის მოხვნა-დაფარცხვას მორჩებიან თუ არა, თუშები ბოსლიდან გადიან, რომ საქონელმა ნათესი არ გააფუჭოს. მეთვალყურედ მეველეს ტოვებენ და საქონელ-ბარგით გადადიან თავიანთ სოფლებში, სადაც მთელი ზაფხული რჩებიან. თუშები მომ-

[1] ნ. კეცხოველი, მასალები კულტურულ მცენარეთა ხარისხების შესასწავლად კავკასიონზე, ტფილ., 1928 წ., გვ. 37—40.

ყანის სამკალად მიმავალი თუშის ქალი

თაბარუ ხალხია და მოსახლეობის უმრავლესობას უხდება მიწათ-ოქმედების წარმოება მთაში და ბარშიც. ალვანში თუშები შემოდ-გომის ხორბლეულს და სიმინდს თესენ. მიწის დამუშავება აქ მიმ-დინარეობს ბარული წესებით და გაუმჯობესებული რკინის იარა-ღით.

პურეულის შემოსვლა თუშეთში ამინდზეა დამოკიდებული. ცივ ზაფხულში ნათესი გვიან მწიფდება, თებერვალში კი სექტემბრის პირ-ველ რიცხვებში ყანის მკას იწყებენ. ხშირია შემთხვევა, რომ ავ-გისტოში აქ თოვლიც მოსულა და მთელი ჰირნახული გაუნადგურ-ებია. ამიტომ მკა თუშეთში საშური საქმეა. მამაკაცები და დედა-კაცები ერთად მკიან, მაგრამ მკაში უპირატესობა ეძლევათ ქალებს, რომლებიც კარგ მომკელებად ითვლებიან:

„ჯორი სჯობს საქონელშიგა — კარს მოვა აკიდებული;
ხარი სჯობს ულელდებული, ბრტყელ მაძულს გაკიდებული;
შიგ მოსაველადა — ქერ-იფქლი, თავ-თავი დაკიდებული;
იმის სამკელად ქალი სჯობს, საქმრედ მოჯარებული;

იმის ძნის შესაკრავადა ვაჟი სჯობს მხარშეკრებილი;
გარე ნაპირსა ციხე სჯობს, ტყვიაწამლითა მრავალი;
იმის სროლადა ვაჟი სჯობს, გუნება გაჯავრებული".

ასე ლექსობენ და მღერიან მკაში თუშის ქალები. მკიან ნამგლით, რომელსაც თუშები „ცელს" უწოდებენ. თუ ყანა დაბალია, მაშინ ჭირნახულს ხელით გლეჯენ. ერთი ნამგლის მოსმა ერთი „მჯიღია". ძნა შედგება სამი-ოთხი მჯიღისაგან. ძნებს ერთად აქუჩებენ და „სერკვს" აყენებენ. სერკვს ზურგით, ვირებით და მარხილებით ბოსლებში ეზიდებიან და აქ კალოზე ზვინებად აყენებენ. სოფელიც ბოსელში ჩამოდის, ბინავდება და პურეულის „ლეწვას" შეუდგება[1]. ქერს კალოზე ლეწავენ ხარებით. სეილს კი ფიცარზე ბერტყავენ და მარცვლებს ისე აყრევინებენ. გალეწილ პურს „რიჭით" ანიავებენ და ცხრილით გაცხრილავენ. „ნაკუდს" (ნაბოლარს) გადაარჩევენ და საარაყედ ინახავენ, გალეწილ მარცვლეულს ჰყრიან ვოდორში, კოდში და კიდობანში. ჭირნახულის ვოდორი სკორით ილესება და ნაპირიც მაგრად გადაეკვრის. ჭირნახულის გაცემა კალოდან შეუძლებელია, ხოლო როცა ჭურჭელში მოექცევა, გიორგობამდე არ გაიცემა. საზამთროდ ჭირნახულის დაფქვას მაშინვე შეუდგებიან, რადგან თოელში ძნელია ტვირთის წისქვილში გადაზიდვა და ძლიერი ყინვებისაგან წისქვილის წყლებიც იყინება. აქაური წისქვილი ჩვეულებრივი ტიპისაა. ჭირნახულის დაფქვაში კერძო მეპატრონეები მინდს არ იღებენ, არამედ მის ანგარიშში მოითხოვენ შრომას, რომელიც გამოანგარიშებულია ქამობით. ქამი უდრის დღე და ღამის 24 საათს. ქამი იანგარიშება დილიდან-დილამდე. კარგად გამართული წისქვილი ერთ ქამში დაფქვავს 11 კოდს. წინათ ერთი ქამით წისქვილის სარგებლობისათვის ერთი დღის მუშაობა იყო გადაწყვეტილი. დღეს კი ორ ქამში ერთი დღის მუშაობაა დაწესებული. ქამის ანგარიშში დამფქველმა მეპატრონეს უნდა უშველოს მკაში, შეშის მოჭრაში თუ სხვა სამუშაოში. ქამის განაღდება ფულითაც შეიძლება მუშა ხელის ქირის კვალობაზე. ქამში აძლევენ აგრეთვე ყველსა და მატყლს.

მოსავლის დოვლათიანობა თუშეთის დღევანდელ პირობებში,

---

[1] იტყვიან „ღლეწავს, ლეწავს" ან „ღლეწვენ და ლეწვენ".

იქ, სადაც მიწა პრიმიტიული იარაღებით და ფორმებით მუშავდება და ადგილიც უოწყავია, უმთავრესად დამოკიდებულია ამინდზე და ნიადაგის განოყიერებაზე. ამიტომ ჭირნახულის მოსავლიანობაც ცვალებადია. დათესილ მარცვლეულში ერთი კოდი შვრია მოსავლიან წელში იძლევა 3 კოდს, დიკა — 3 კოდს და ქერი — 5 კოდს. ჭირნახულის საწყაოდ აქ იხმარება კოდი, რომელიც სამ ფუთს იწონის. ამაზე მცირე საწყაო კაბიწი ან ლიტრაა. ერთ კოდში თუშები ათ ლიტრას ანგარიშობენ, გომეწრის თემში კი რვა კაბიწს. მაგრამ კოდით არწყული სხვადასხვა მარცვლეული განსხვავებულ წონას იძლევა: კოდი პური იწონის სამ ფუთს, ქერი ორ-ნახევარს, სვილა — სამ ფუთს და შვრია — ორ ფუთს. ოჯახში საშუალოდ სულზე იხარჯება სამი ლიტრა პურეული.

ჭირნახულის აღებისა და დაბინავების შემდეგ თუშეთის სოფლები იცლება. მოსახლეობის უმრავლესობა საზამთროდ ალვანში ჩადის, ნაწილი კი ბოსელში ბინავდება. ბარში მიმავალ თუშებს მთიდან ჭირნახული ალვანში არ მიაქვთ. თუშეთში მოწეულ სარჩოს ზაფხულისათვის ინახავენ აქვე, თავიანთ სახლებში, რომელსაც დარაჯობს ზამთრის ყარაულად დარჩენილი მეკომური. ალვანში მათ უდგიათ იქ მოყვანილი პურის ძნები და სიმინდი, რომლითაც ზამთრის განმავლობაში იკვებებიან.

ერთი სიტყვით, თუშები მთაში და ბარში მიწათმოქმედებენ და პურეულის ნაკლებობასაც შედარებით ნაკლებად განიცდიან, მით უმეტეს, ალვანში, სადაც მოსავალი კარგია და რომელსაც აკრავს პურით დოვლათიანი კახეთის სოფლები. თუშეთის მკვიდრ მოსახლეობას კი, რომელიც მომთაბარეობას არ ეწევა, თავისი ჭირნახული წლის ბოლომდე არ ჰყოფნის, ზოგიერთი სოფლების გამოკლებით. მაგრამ თუშეთსაც პურით კახეთი ამარაგებს.

თუშეთის სოფლებში ჭირნახულით დოვლათიანია სოფ. შენაქო და დიკლო. ამ ორ სოფელს თავისი პური ჰყოფნის, განსაკუთრებით, დიკლოს, სადაც ყანების ფართობი საკმაოდ დიდია.

თუშეთში მებაღეობას და მებოსტნეობას არ მისდევენ, რადგან ადგილი და ჰავა ხელს არ უწყობს. ხილი და ბოსტნეული ცივი ამინდების გამო ვერ მწიფდება და ჭკნება. მოჰყავთ მცირეოდენი კარტოფილი. ითესება ცერცვი და ქუმელი. მომთაბარე თუშებს კი ალვანში კარგი ბაღები და ბოსტნები აქვთ გამართული.

ამგვარად, თუშეთში მიწათმოქმედების სისტემა და ტექნიკა მორეხილია, მიწა მუშავდება პრიმიტიული ითხა-სახვნელით. ამასთან, ყანის ფართობის გადიდება შეფარდებული არ არის მოსახლეობის ზრდასთან. ამ მხრივ ის შეზღუდულია, რადგანაც მესაქონლეობის რაიონად ითვლება და მას სამართლიანად ეკრძალება საყანე ფართობის გადიდების მიზნით ტყის გაჩეხა და სათიბ-საძოვრების მოხვნა-დამუშავება. თუშეთში არ არსებობს რაიმე აგრო-ტექნიკური ხასიათის უჯრედი, რომელიც გლეხობაში შეიტანდა აგრომცოდნეობას, ხელს შეუწყობდა თესლეულის შერჩევა-გადანაცვლებას, მებაღეობისა და მებოსტნეობის კულტურების გავრცელებას და სხვ. ამასთანავე, თავისი ბუნებრივი პირობებით თუშეთში მიწათმოქმედებითი მეურნეობა ზრდისა და განვითარების პერსპექტივებსაც მოკლებულია.

თუშეთის ეკონომიკის მთავარი ბაზა მესაქონლეობაა, სახელდობრ, მეცხვარეობა, და ეს კუთხეც, სამართლიანად, მეცხვარეობის საუკეთესო რაიონად ითვლება. ამ მხრივ თუშეთს ჩვენს მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თუშების მომთაბარეობა მეცხვარეობასთან არის დაკავშირებული და მათი სამეურნეო საქმიანობაც მეცხვარეობით განისაზღვრება. მეცხვარეობას აქ თავისი ისტორია აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ მისი განვითარების გზა პრიმიტიულ ფორმას ჯერ კიდევ არ გასცილებია და საგალალო მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებას ხელს უწყობს თუშეთის ბავა და მისი ფართე ალპიური იალაღები. წინათ თუშეთის მეცხვარეობაში პირველი ადგილი წოვათას ეკავა, მეორე კი პირიქითის ხეობას, სახელდობრ, ფარსმის საზოგადოებას, სადაც მეცხვარეები თავიანთ ფარას ათასობით ითვლიდნენ. 1880 წელს ყოფილ თიანეთის მაზრაში თუშების ცხვარი შეადგენდა 59% (172.408 სულს) და თუშეთის თითოეულ კომლზე მოდიოდა 175 სული ცხვარი. აქედან წოვათას ეკუთვნოდა 72.420 სული და თითო კომლზე მოდიოდა საშუალოდ 232 სული ცხვარი. მაგრამ ცხვარი ყველას არ ჰყავდა. მთელი ეს ცხვარი ერთი მუჭა შეძლებულ მეცხვარეთა ხელში იყო, რომლებსაც ჰყავდათ 5—10 ათასი სული ცხვარი. მოსახლეობის მცირე ნაწილს ჰყავ-

და 500 ცხვარი, უმრავლესობას კი ცხვარი სულ არ გააჩნდა[1]. მდიდარი და შეძლებული მეცხვარე ცხვარში არ მუშაობდა. მისი ქონების ზრდა და მოგების ტრიალი დაფუძნებული იყო ღარიბ და შეუძლო მწყემსებისა და მეცხვარეების ექსპლოატაციაზე. შეძლებულ მეცხვარეს ფარაში ჰყავდა დაქირავებული მწყემსები, მოჯამაგირეები და სარჭლები, რომლებსაც მცირე ჯამაგირს აძლევდა და უსაზღვროდ ამუშავებდა. ზოგჯერ ფულადი ჯამაგირის ნაცვლად მეცხვარე მწყემსს მიუჩენდა 40 ცხვარს სანახევროდ და მას ამის ანგარიშში ოთხი წელიწადი უნდა ემუშავა. ვადის შესრულებისას ამ ორმოც ცხვარს თავის ნამრავლ-მონაგებით შუაზე გაყოფდნენ და ნახევარს ცხვრის პატრონი წაიღებდა. მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდებოდა, მწყემსს შარს მოსდებდა და ცხვარში ნებით თუ უნებლიეთ მომხდარ ზარალს მასვე უანგარიშებდა და ამ ზარალსაც გამოუბრიდა. თუ სესხიც ემართა, სარგებელს სარგებელზე გამოუანგარიშებდა და მწყემსს ხელცარიელს ისტუმრებდა.

ცხვარი იძლეოდა მატყლისა და ყველის დიდ მარაგს. თუშეთი დღესაც ცნობილია თავისი „თუშური" ყველით. მეცხვარეობიდან თუშებს გამორჩენა და მოგებაც დიდი ჰქონდათ, მაგრამ მოგების ეს ტრიალი მოკლებული იყო საწარმოო ხასიათს. თუშური მეცხვარეობა პრიმიტიულ ფორმაში იყო მოქცეული და ჩარჩულ ხასიათს ატარებდა. ამით აიხსნება თუშური მეცხვარეობის კულტურულ-ტექნიკური ჩამორჩენაც. იმპერიალისტური ომის დაწყებამდე თუშეთში ცხვარი ასიათასობით ითვლებოდა, მაგრამ თავიანთ შემოსავალს თუშეთის მდიდარი მეცხვარეები წარმოებაში არ აბარებდნენ, რათა ცხვრის მოშენების ტექნიკა და მცოდნეობა გაეუმჯობესებინათ და ხელი შეეწყოთ მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებისათვის. იმპერიალისტურმა ომმა თუშეთის ეს ცხვარი გაანადგურა. მეცხვარეობის მიერ ბანკებში შეტანილი ჩარჩული კაპიტალიც გაქრა და ეს დიდი სიმდიდრე ასე უსარგებლოდ განიავდა.

ამგვარად, მეცხვარეობის ეს ძველი კაპიტალისტური სისტემა ცხოვრების სინამდვილემ დაამარცხა, დღეს კი თუშეთის მეცხვარეობა კოლექტიურ ფორმებში ვითარდება.

---

[1] **В. М. Мачабели, «Материалы для изучения экономического быта...», зз. 460—461.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშური ცხვარი მომთაბარეა. ზამთრობით იქაური ცხვარი შირაქშია, რომელიც ალვანიდან 150 კილომეტრითაა დაშორებული. შირაქი იყოფა ბარად და მთად ან დიდ შირაქად, რომელიც მდებარეობს მდინარე იორისა და ალაზნის ნაპირას. პირველი ოქტომბრიდან თუშების ცხვარი შირაქში შედის. ცხვარი აქ ჯერ მაღლობზე ძოვს, ზამთარში კი დაბლობზე ჩამოჰყავთ. ქვემოთ ზამთრის ბინებია აგებული, სადაც მეცხვარეები თავიანთი ბარგით დგებიან,

ცხვრის სერი

ცხვრის ფარისათვის ბაკებია გამართული და თითოეულ ცხვარზე ზამთრის განმავლობაში 50 კაპიკს იხდიან. ცხვარი ოქტომბერში მაკდება და 24 თებერვლიდან 7 მარტამდე დოლის თავია. თუშური ცხვარი წელიწადში, ჩვეულებრივ, ერთ ბატკანს იგებს, ორს იშვიათად. საყოლოდ გამზადებულ ცხვარს ათავსებენ ბაკში, რომელიც უფრო მყუდროა და თბილი. დოლის დროს გამოცდილი მეცხვარე ბებიაობასაც ეწევა; იგი სხვადასხვა მანიპულაციებით ცდილობს, ცხვარს მშობიარობა შეუმსუბუქოს. ბატკანი წოვს ორ თვეს. მას მეცხვარე თავის სერს (ნიშანს) ადებს, რომლის მიხედვით მეცხვარეები თავიანთ ცხვრებს არჩევენ. სერს ჩვეულებრივ ყურზე

უკეთებენ და ამ მიზნით ყურის ნაპირს ამა თუ იმ ფორმით ამოჭრიან. ყველაზე გავრცელებული სერია: ფ რ თ ე — კუთხურად ამოჭრილი, ბ ო ძ უ რ ი — ყურის წვერი სამკუთხოვნად ამოჭრილი, წ ი თ ე ლ ი-ჭ კ დ ე ჩ ა ჭ დ ე უ ლ ი, მ ო ჭ რ ი ლ ი, დ ა ნ ი ს პ ი-რ ი — ყურის წვერი ჩაჭრილი, გ ა მ ო კ ა ფ უ ლ ი — ყურის წვერი მრგვლად ამოჭრილი, და წ ა მ ო თ ლ ი ლ ი. ცხვრის გადარჩევისას ამ ნიშანზე ასე იტყვიან: მარჯვენა ფრთე და მარცხენა ბოძერი, მარჯვენა ჭკდე და მარცხენა მოჭრილი ან ორივე დანისპირა და სხვა.

15 აპრილიდან თუშების ცხვარი შირაქიდან დაიძვრის და პირველ მაისს შირაქის ველი იცვლება. ამავე დროს იწყება ცხვრის პარსვა. ცხვარს შირაქშიც კრეჭენ, მაგრამ უფრო მომეტებულად ალვანში იპარსება, სადაც მატყლსაც იქვე ინახავენ და აქედანვე შეუდგებიან მთაში ასვლის სამზადისს. ალვანიდან წოვა თუშები ცხვრის ფარას ტბათანა-ალაზნის თავისაკენ ერეკებიან, ქვემო ალვანის თუშებში კი ნაქერალ-დიდგვერდის იალაღებით გადადიან თუშეთის საძოვრებზე. იალაღებზე გამართულია ბინები, რომლის მახლობლად ცხვარი დგება. 25 მაისიდან მეცხვარეები აქ ცხვრის წველის სამზადისს შეუდგებიან. ამისათვის დედაცხვრებს ბატკნებს აშორებენ და ფარასაც გადააჯგუფებენ: ყოჩები, თოხლები, მეწველი, შიშაქი და დავარდნილი (სნეული). ყოჩი დაუკოდავია და სამი გვარი: ხამი ყოჩი, მოვლილი ყოჩი, მეორედ მოვლილი ყოჩი. ყოჩებს კოდავენ ივლისის თბილ ამინდებში. ოცდაათ დედალ ცხვარზე ერთ ყოჩს ტოვებენ, დანარჩენი კი დაიკოდება. დაკოდილ ყოჩს ჭედილა ეწოდება. ყოჩი ვარგობს 5—6 წლამდე. როცა დედალი ცხვარი „განერბდება" (დამაკდება), ყოჩებს აშორებენ, რადგან დედალი სწუხდება და ყოჩიც „ლუბდება" (ილახება). თოხლი წლისაა, ერთხელ გაპარსული, რომელსაც ჯერ ბატკანი არ ჰყოლია.

მეწველ ცხვარს ცალკე აძოვებენ ბინის მახლობლად და მოსაწველად ყოველ საღამოს ბინაში მოერეკებიან. აქაური ცხვარი ორ თვემდე იწველის და თითოეული დღეში ნახევარ ლიტრ რძეს იძლევა. მეცხვარის ბინა სიპი ქვისაგან არის ნაგები, დაბალი, ბნელი და ნესტიანია. შიგ გამართულია გრძელი და განიერი ლასტის ტახტი, რომელზეც არყის ტოტებია დაგებული. ბინაში ინახავენ ხელსაწყო იარაღებს, ბარგს, სურსათს და სხვა. ბინაში ცხოვრობენ მე-

ცხვრის წველა

ცხვარეები და სარქალი, რომლებიც ცხვარს წველიან და ყველს აკეთებენ. მწყემსები კი ცხვარს მინდვრად უდგანან და ბინაში სურსათისა და მარილის მისაღებად მოდიან. მარილი ცხვარსა და ყველს ბევრი უნდა. მარილს ცხვარს კვირაში ერთხელ აჭმევენ, რომ ის გამაგრდეს და მადაზე იყოს. მარილს მეცხვარეები ხელით ნაყავენ სიპ ქვებზე და შემდეგ ფარას აჭა-იქ დაუყრიან და ცხვარიც მას ლოკავს. მარილი თუშეთში ძნელი საშოვარია. მას ცხენებით ბარიდან ეზიდებიან. ცხვარსა და მეცხვარის ბინას ძაღლები სდარაჯობენ. ცხვარში რამდენიმე გაწვრთნილი ცხვრის ძაღლია. მათი

სახელებია: ძაბე, ტუბალა, ჯაბო, ალიხან, ოსმალა, დათვია, ბორძა, ალმასა, ტოტია, ბოთვერა, სალადა, მურია, ალია, ბრთლია, ყოლიბაბა ნა, ბასარა და სხვა. ამ ძაღლებს მეცხვარეები მთაში ქუმლიანი შრატით კვებავენ. კარგი ძაღლი აქ რამდენიმე ცხვრად ფასობს.

ცხვარს წველიან დილით. მეწველ ცხვრებს შერეკავენ ბაკში, რომელიც წნელის ღობითაა შემოხლეულული და მეცხვარეები ხელში ხის კასრებით მოწველას შეუდგებიან. ცხვარს უკანიდან სწველიან ცურზე ხელის მოჭერით. რძით სავსე კასრებს კოდში ასხამენ. კოდზე გამართულია ცირცვლის ქერქისაგან დამზადებული საწური, რომელშიც ბალახი „ჭინჭრის დედაა" ჩაგებული და რძეც მასში იწურება. რძე რომ არ შეცივდეს, კოდი ტყავ-ნაბდებშია შეხვეული. რძიანი კასრი 23 გირვანქას იწონის (კასრი 7 გირვანქაა, რძე კი 16 გირვანქა). ერთ კოდში 16 კასრი რძე ჩადის. რძის შესადედებლად კოდში უშვებენ ხსნარს — „შაბოშს", რომელსაც ბატკნის დვრიტისაგან ამზადებენ. ერთ კოდზე საკმარისია ორი ლეინის ჭიქა კარგი შაბოში. ხსნარის კოდში ჩასხმისას მეცხვარე იტყვის: „ჩვენი ყველი ტალიკაა, მონამგლეთა (მეზობელთა) წყალივითა". შემდეგ კოდში რძეს „კამპიანი" (კაპიანი) ჯოხით მოურევენ და ზედ ნაბადს დაახურავენ. დააცდიან ერთ საათს და შედედებულ რძეს ჯოხით ისევ მოურევენ და დახურავენ. როცა „დელამოწი" ძირს დაილექება და გამაგრდება, მას კოდშივე ხანჯლით დასჭრიან, ჯამებით იღებენ და ტილოს პარკში უშვებენ. ამ დელამოწიან პარკს სარქალი ფიცარზე დადებს, ხელით ზედ აწვება და ზელავს, სანამ მრგვალ ფორმას არ მიიღებს. შრატისაგან გაწურულ ყველის პარკს პირს მაგრად მოუგრეხენ, ყველს ქვეშ ამოუდებენ და ზედ ნაბადს გადაახურავენ. შემდეგ სარქალი ისევ კოდთან მივა, იღებს ახალ პარკს, დელამოწით ავსებს და იმავე მანიპულაციებს ასრულებს. ასევე გრძელდება, სანამ დელამოწისაგან კოდი არ დაიცლება. გაწურულს და ცოტად შემაგრებულ ყველს სარქალი მარილს მოაყრის და ცხვრის გუდაში ჩადებს. ამ გუდას გაბერავენ და პირს მაგრად მოუკრავენ. ახალი ყველი გუდაში „წაკას"-ს (შრატს) უშვებს და, მარილი რომ ყველს თანაბრად გაუჯდეს, გუდას დღეში სამჯერ აბრუნებენ ოთხ დღემდე. შემდეგ ყველიან გუდებს ბინაში გამართულ ლასტზე აწყობენ, მაგრამ ყოველ მესამე დღეს სარქალმა ეს გუდები უნდა აბრუნოს. თუ ცხვარი

რამდენიმე მეპატრონისაა, მაშინ სარქალი გუდას ხის პატარა ფიცარ-ფიტას შეაბამს და ზედ მეპატრონის ნიშანს დაასვამს. როცა გუდები ყველს თავისი გამონაყონი წაკა არ პყოფნის, მაშინ, ყველი რომ არ გაშრეს, შრატს ჩაუმატებენ. ცხვრის რძეს თუშები ნალებს არ ხდიან და ამ მოუხდელი რძისაგან „თუშურ“ ყველს ამზადებენ. ეს თუშური ყველი მთელს კავკასიაშია ცნობილი, როგორც საუკეთესო ხარისხის ყველი, რომლის ცხიმოვნება შვეიცარულზე მაღლა დგას. თუშურ ყველში ცხიმი 35,88% შეადგენს[1].

კოდში დარჩენილ შრატს სარქალი სპილენძის ქვაბში გადაასხამს, ძირში დალექილ დელამოწის ნამცეცებს კასრში გადაიღებენ. ამ დელამოწიან კასრში რძესაც ჩაუმატებენ, რომელიც მეავდება და ამ „მეავე“-ს მეცხვარეები კოვზით ხვრეტავენ. მერე ქვაბს ცეცხლზე შედგამენ და წამოდუღდება თუ არა, შრატი „კალტს“ მოიგდებს. ქვაბს მაშინვე გადმოდგამენ, „კოჩხოთი“ (ხის დიდი კოვზი) ცხელ-ცხელ კალტს ამოიღებენ, ტილოს პარკში ჩაუშვებენ და გასაწურავად ბოხის წინ გამართულ ყავარზე ჩამოკიდებენ.

ქვაბში ნარჩენ კალტს და ნადუღ შრატს კასრში გადაიღებენ და ამ „ცხელ სახვრეტას“ კოვზით მიირთმევენ. როცა კალტი პარკში გაიწურება, ამოიღებენ, მარილში გაზელავენ და გუნდებად გაკეთებენ. კალტის გუნდებს მზეზე აშრობენ, რომელიც თუშის ჩვეულებრივი საჭმელია.

ერთი სიტყვით, ცხვრის წველა და ყველის დამზადების მთელი ეს პროცესები პრიმიტიული წესებით სრულდება. გაუმჯობესებული ტექნიკური იარაღები და ხერხები აქაური სარქლისათვის ჯერ კიდევ უცნობია და ის დღესაც განაგრძობს ძველი მამაპაპური წესებით დაბალი ხარისხის და მცირე რაოდენობის რძის პროდუქტების დამზადებას. სარქალი ყველის დამზადებაში თავის გასამრჯელოს ილებს. დღეში მას ოთხი გირვანქა ყველი ეძლევა. მეცხვარეებს წინათ დაქირავებული მწყემსებიც პყავდათ. მწყემსის ჯამაგირის რაოდენობა შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული.

ჩვეულებრივ, კარგ მწყემსს თვეში სამი თოხლი ეძლეოდა. სმაჭამა და ქალამანი მეცხვარისა იყო, ტანისამოსი — მწყემსისა. ზოგ-

---

[1] პროფ. პ. მელიქიშვილი, ჩვენებური ყველი, ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 11, 1922—1923 წ., გვ. 134—138, ცხრილი 1.



სოფელი შენაქო

ჯერ მწყემსს პირობაში თექა და ნაბადი ეძლეოდა. დღეს აქაური მეცხვარეები დაქირავებულ შრომას გაურბიან და თავიანთ ცხვარს თვითონვე მწყემსავენ. ამ მიზნით კერძო მეცხვარეები აწყობენ „ცხვრის შეყრას" და თითოეული მათგანი ცხვარში მწყემსად მორიგეობით გადის. ოც ცხვარზე ერთი დღის მწყემსობაა დაწესებული. ყველაზე შეძლებულ მეცხვარეს დღეს აქ 400 სულამდე ცხვარი ჰყავს. ეს კერძო ამხანაგობა ყველს წევრთა მეწველი ცხვრის კვალობაზე იყოფს. ცხვარზე ერგება ერთი გირვანქა ყველი და, რამდენიც მეწველი ცხვარია, მეპატრონეს ეძლევა იმდენი გირვანქა ყველი. ვისაც საკუთარი ბინა არა აქვს, ის სხვის ბინაში დგება და პატრონს ზაფხულის განმავლობაში ერთ ყველს აძლევს.

ცხვარში ყველაზე მძიმე პირობებში მწყემსი ცხოვრობს. მწყემსი დღეს აქ ყოველგვარ კულტურულ მოთხოვნილებებსაა მოკლე-



შენაქოს ბოსლები

ბული. იგი ზურგზე გუდა-ნაბადითა და ხელში კომბლით დაცოცავს მოლიპულ კლდეებზე, იკვებება ქუმელით და კალტით. ავდარში თავშესაფარი არ მოეპოვება, მაგრამ მწყემსს უყვარს თავისი საქმე და ის ცხვარს ძნელად მოშორდება.

— მთას თოვლი მოხკიდებია, მწყემსო, ახყარე ცხვარიო,
ადექ და ბარად ჩამოდი, ბიეო, შეირთე ცოლიო,
არა მოგწყინდა მთას ყოფნა, არა მოგინდა ბარია,
ან ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, ან მასთან საუბარია?
— არცა მომწყინდა მთაშია, არცა მომინდა ბარია,
არც ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, არც მასთან საუბარია,
თვალწითელ შიშაქ მირჩევნავ, იმის ქოჩორის ბერტყაო.

მწყემსი მთაში განმარტოებულია. მთელი კვირაობით დადუმებულია და, საუბრის ქინი რომ მოიკლას, ზოგჯერ ასე დაიღიღინებს:

მეცხვარემ ცხვარი შეშალა, შემოეფინა ჩრდილსაო,
შიგ ურევია ბატკანი, ქივილი მოდის ცხვრისაო,
წინ თვითონ გამოუძღვება, ხმა მოდის სიმღერისაო,
გაჰხედავს მწვანე მინდორსა ბალახით შემკობილსაო.
რა მშვენიერი რამა ხარ, დილავ გაზაფხულისაო,
ამომშვებულა სხივები ამომავალი მზისაო.
ამწვანებულა ველები, იალაღები მთისაო,
შემოფენილა მთებზედა თეთრი ფარები ცხვრისაო.
მემცხვარე ცხვარში დავდივარ, მთაზე ვაძოვებ ცხვარსაო,
თან დამდევს ჩემი მყეფარი, ვეძახი მურიასაო.
მურიასი მაქვს იმედი, ერთგულად მიჭერს მხარსაო,
ნაბრძოლი, ნასისხლარია, მისდევს ნადირის კვალსაო,
ჰარიჭა, ჩემო მურიავ, ერთგულო პატრონისაო!
წელზე მარტყია ფრანგული, პირი აქვს ფოლადისაო,
მხარზედ მკიდია ყირიმი, არ მეშინიან მტრისაო,
სადილად ჩავალ წყაროზე, წყლითი გავზელავ ხალსაო,
ჭალი და კალტი წინ მიდგა, კოჩხოთი ვხრეტავ წყალსაო,
გემრიელად შეექცევი, ვატარებ დროებასაო.
ახლა გამოვალ გორაზე, ჩემ ცხვარს დავავლებ თვალსაო,
ცხვარი დაყრილა გორაზე ამ შუადამის ხანზეო,
გავიხედ-გამოვიხედავ გალმა, გამოლმა მთებზეო.
მთას ნისლი შემოპხვევია შიგა-შიგ თოვლიანსაო,
შიგა ჩქამობენ შურთხები მაღალის ჩვენი მთისაო,
გალმა-გამოლმა ხევები ბანს აძლევს ერთმანეთსაო,
წიფლოვანა და ბორბალო — სათავე ალაზნისაო.
მაღლა მთის ცივი წყარონი ჩქეფით ჩამოდის ძირსაო,
ჩადიან, ემატებიან მდინარე ალაზანსაო,
იმ წყაროებით შეზდგება მდინარე კახეთისაო.

მწყემსის ერთადერთი მეგობარი ძაღლია, რომელიც იცავს და ეხმარება მას ცხვრის მწყემსვაში, ნადირისა და ქურდების თავდასხმისაგან. მწყემსის სიცოცხლეც მთაში მუდამ განსაცდელშია. მას ხშირად თავს ესხმიან ქურდ-ავაზაკები და სიცოცხლეს ასალმებენ. თუშეთში იშვიათია ოჯახი, სადაც ცხვარში დაკარგულ

შვილზე მგლოვიარე დედა მწარედ არ გმინავდეს. თუშური ჩვილ-ხური ლექსებიც მწუხარების ამ სევდითაა გაჟღენთილი.

ცხვარი თუშეთის იალაღებზე რჩება პირველ სექტემბრამდე. ამ დროიდან მეცხვარეები ბინებიდან იყრებიან. ეზიდებიან ცხენებით შინისაკენ გუდებით ყველს და ბარგს. ალვანში ცხვარი 15 სექტემბერს ჩადის. ცხვარს აქ დააყენებენ და შეუდგებიან ცხვრის პარსვას. ცხვარი წელიწადში ორჯერ იპარსება. გაზაფხულზე აქაური ცხვარი ორ გირვანქა მატყლს იძლევა, შემოდგომაზე კი — სამ გირვანქას. უკეთესად ითვლება შემოდგომის მატყლი, რომელიც უფრო სუფთა და რბილია[1]. თუშური ცხვარი, საზოგადოდ, თეთრმატყლიანია, მაგრამ ასეთი ფერისაც გვხვდება; წითელი, შავი, ლეგა, შავ-ჭრელა, წითელ-ჭრელა, ლეგა-ჭრელა და სხვა.)

ცხვრის გადათვლა აქ წყვილობით იცვიან. კენტში ხუთია გავრცელებული. ერთი თვლის, მეორე კი დათვლილს ოცობით ჯოხზე აქდევს და ასე თვლიან: ერთი ოცი, ორი ოცი, სამი ოცი და ასე, სანამ ასობით არ შეაჯამებენ.

პირველი ოქტომბრიდან ალვანიდან ცხვარს შირაქში მიერეკებიან. შირაქისაკენ არსებობს სამი გზა: უკანა მხრის გზა, წინა მხრის გზა და ჭიაურის გზა.

ცხვარი საზოგადოდ სათუთი მოსავლელია. მას სხვადასხვა სატკივარი უჩნდება. სატკივრიდან თუშურ ცხვარში გავრცელებულია: ს ი ხ ა შ ლ ე, რომელსაც ცხვარს ჯიგარი უწყლულდება. ასეთი ცხვარი, მეცხვარეების თქმით, არ რჩება და კვდება; პ ე პ ე ლ ა — ბრტყელი ჭიაა და ცხვარს ღვიძლში უჩნდება. პეპელა ცხვარს ბარში შეეყრება „ჭყანტიანი" ბალახის მოძოვების დროსაო. პეპელა ნაღველში თუ გაუჯდა, ცხვარი მოკვდებაო. წამლად ხმარობენ შხამას ძირს. მას ნაყავენ და დაფქვილ მარილ-მდოგვში ხსნიან და ცხვარს აპმევენ; თ უ რ ქ უ ლ ი — ცხვარს ფეხები უწყლულდება და ვერ დადის. მას შაბიამნით სწამლობენ. ქ ე ც ვ ი — ცხვარს ტუჩ-პირზე მუწუკებად დაეყრება და ვეღარა სძოვს. მას მაზუთს

---

[1] თუშური მატყლის ანალიზსა და თვისობრივ დახასიათებაზე ვრცელი ცნობები მოიპოვება ნ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოკვლევაში „მასალები თუშური ცხვრის ფენოანალიზისათვის", ტფილ. უნივერ. მოამბე, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 78—98.

კალტის მოქდა —

წასცხებენ და ისე არჩევენ; ძუძუს მაშრეტელა — ცხვარს ძუძუს უსივებს და ის არ მოიწველება. მეცხვარეების თქმით, ამ სენს წამალი არა აქვს და ცხვარიც სამუდამოდ შრება; მარგი თხას შეეყრება. ორი დღე ის სიმწარისაგან ჩხავის და უცბად კვდება. ყუთურისაგან ცხვარს მატყლი სცვივა. მოსარჩენად წაუსვამენ შაბიამანში გახსნილ თამბაქოს ან შავ მაზუთს; ყვავილი ტანზე მუწუკებად დააყრის და ცხვარი ცხრა დღეში რჩება ან კვდება, თუ მორჩება, მას ტყავი სძვრება. კრაჭუნა — ცხვარი კბილებს აკრაჭუნებს, თვალებს აბრიალებს და კვდება; რეტი ცხვარს გონებას უკარგავს, ტვინი უწყალდება, პირს აცმაცუნებს, მაგრამ ბალახს ვერა სძოვს; ბრმავება — ცხვარს თვალებზე ბინდი გადაეკვრის და ბრმავდება, თვალებს მარილ-გოგირდიანი წყლით ბანენ. ყუჭის ხმობა — ცხვარი მუცელში იკვრის და ვერ გადის. ცხვარი სნეულდება აგრეთვე ნაღველისა და ტყირპის სიმსივნით. ასეთ ცხვარს ცხვირს უდალავენ; ნაბარევი — ბარიდან ამოსულ ცხვარს ზოგჯერ მთის წყაროს წყალი სწყენს, იბერება და ზოგი იხოცება; ყარაო — ზამთრობით ფარეხში

დაშეუვდეულ ცხვრებს ზოგჯერ საკვები შემოაკლდებათ და მადასაც ჰკარგავენ; ვერ სვამენ და ამის გამო ხშირად „სუქანი“ და უფრო „ჯიელი“ ცხვარი იხოცება.

ცხვართან ერთად თუშებს მსხვილფეხა საქონელიც ჰყავთ: ხარი, ძროხა, ცხენი. ამათი რიცხვი განსაზღვრულია და იგი დამოკიდებულია ზამთრის საკვებზე. საძოვარი იყოფა: საკხაროვნე, საძროხე, იალაღი და ყორეული (სათიბი). თუშეთში ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთარი იცის, ამიტომ საქონლის გამოსაკვებად აქ თივის დიდი მარაგია საჭირო, რაც თუშეთის პირობებში იოლი საქმე არ არის. მართალია, სათიბები აქ ბევრია, მაგრამ მოთიბვა და თი-



მარკილი

ვის გადაზიდვა მეტად ძნელია. თუშეთში თიბავენ „ნამგლებით“ (ცელებით) კაცებიცა და ქალებიც. ნათიბს „ჯაჯლრით“ (ფოცხით) მოხვეტენ და „ნაცაფს“ დააყენებენ. ცხრა ასეთ ნაცაფს ერთ სარზე აგებენ და „ჩადალს“ უწოდებენ. კარგი მთიბავი დღეში ათ ჩადალს მოთიბავს. ჩადალს ბოსლებში ეზიდებიან ზურგით, ცხენით, ვირით და მარხილით. ბოსლის კართან ზვინს აგებენ. ზვინში ოცდახუთი ჩადალია. აქ თივა ძვირად ფასობს. ათი ჩადალი თივა წინათ ოთხი მანეთი ღირებულა. ხუთ ჩადალ თივაზე ერთი დღის ხვნაა დაწესებული. თუ ზამთარი ხანგრძლივია და საქონელს საკვები შემოაკლდა, მაშინ დედაკაცები ტყეში მიდიან და იქ ნეკერს „ფოხვის წიწკის“ ამტვრევენ, ეზიდებიან ზურგით და საქონელსაც ამით კვებავენ. ზაფხულში კი მსხვილფეხა საქონელი იალაღზეა გაშვე-

ბული. მთაში საძროხე ქოხებია გამართული. იქ დგანან მოხუცი ქალები და ბავშვები.

საძროხეს მშვენიერი საძოვრები აკრავს და აქ დედაკაცები ხარ-ძროხებს უდგანან: საქონელს უვლიან, ძროხებს წველიან და ერბოს ამზადებენ. აქ ძროხებს უხმობენ ასე: „ნძოი დედა" და ხარ-ძროხებსაც თავიანთი სახელები ჰქვიათ. ძროხებს: შავარდენო, ქუთაია, ნამია, ცაკუნი, მერია, ვარაქალი, მასკლო, ფუძილოი, დურკო, შიჭია, არამი, ღვთიშობელი, ბუცუკი და სხვა. ხარებს: შარომა, ამირანა, თვარია, ლაბაზანი, კვირია, ნისლა, ბუღა, ნიშო, წამალა,



ტვირთსაზიდი ეკი „ჰოჭი"

ირემა, წიქარა და სხვ. ქოხებში დედაკაცები ერბოს ამზადებენ. რძეს აგროვებენ სპილენძის ქვაბში და, როცა რძე შედედდება, ხის კასრში — „ჩხუტში" ჩაასხამენ და მას ბრუნელით დღევბავენ. იდღვიბება ერთი საათი. დღვების დროს შიგ წყალს უშვებენ და როცა კარაქი ჩაიძირება, ხელით ამოიღებენ და შემდეგ ერბოდ ადნობენ. ნარჩენ დოს ქვაბში ჩაასხამენ და წამოადუღებენ. ის მოიგდებს კალტს, რომელსაც პარკში გადაიღებენ და იქ იწურება. გაწურულ კალტს მარილში მოზელავენ და გუნდებად დააკეთებენ. კალტს აშრობენ მოწნულ გალიაში — „კიშტეში".

სახედრებში თუშებს ჰყავთ ცხენები და ვირები. ორივეს დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა აქვს თუშეთის სამეურნეო ცხოვრებაში. თუშეთის მთის ბილიკებზე მხოლოდ ამ სახედრებით ხდება მიმოსვლა და ტვირთის გადაზიდვა. ამიტომ მომთაბარე თუშებს არ შეუძლიათ უსახედროდ არსებობა. წინათ ზოგიერთი აქაური მეკომური ცხენებს ოცობით ითვლიდა, დღეს კი შეძლებულ მეკომურს იშვიათად ათ ცხენზე მეტი ჰყავდეს. თუშური ცხენი ჯიშიანია და კარგი



ჩხუტი

ცხენი აქ კარგადაც ფასობს. აქაური ცხენის სახელებია: არაში, კოშმა, რაქამ, ყარაჩო, შანშა, „ლოშად", ბამბი და სხვა. ზაფხულში ცხენები იალაღზეა გაშვებული. ოჯახისა და მინდვრის სამუშაოში აქ უმთავრესად ვირია გამოყენებული. ვირით ეზიდებიან წყალს, შეშას, თივას, ძნებს, ქვას და სხვა.

— ბარში რას გვიქებ ყანებსა, მთაში ჩვენც გვიდგა სვილები!
— რაით მოიტან სვილებსა, თუ არ დაკმაზე ვირები?
— ვირს ენაცვალოს პატრონი, დააქვა თეთრებ ცხვირები,

კარაქის შედღვება

დავკიდებ, დარიხრიხდება, ქვევიდან შავეხირები.
ურემს მოუკვდეს პატრონი, დამწვეტებელი ჩხირები,
ლაფში რო გადაბრუნდება, იმას ვერ შევეხირები,
— მას თავად ააყენებენ შავი კამეჩის შვილები,
ერთ ჯერად ვერას ეყოფა ფშავ-ხევსურეთის თიკები,
— კამეჩს გაუქრა გამზრდელი, იმას ვერ ველუპინები.

თუშეთში ღორი არა ჰყავთ და მას არც ამრავლებენ, ხატი გვიწყენს და სატკივარი გავრცელდებაო. მომთაბარე თუშები ღორის ხორცს უკვე ჭამენ. წინათ ღორის ჭამა თუშს თურმე ეკრძალებოდა და ღორის ქალამნიანი თუში სოფელში ვერ შევიდოდა, გზაში ის ქალამანს იხდიდა და სადმე მიმალავდა, გამობრუნებისას ისევ იღებდა და იცვამდა.

თუშეთის მესაქონლეობა ჯერ კიდევ დაქუცმაცებულია კერძო მესაკუთრეთა შორის. მისი მოვლა-მოშენების ტექნიკა ჩამორჩენილია და პროდუქციაც ყოველწლიურად მცირდება. მართალია, აქ არსებობს რამდენიმე საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაცია, რომლებიც ცდილობენ ამ კერძო მეურნეთა კოოპერატიულად გაერთიანებას, მაგრამ მათი მუშაობა და ხელმძღვანელობა ამჟამად მოისუსტებს. თუშეთში ზაფხულობით მუშაობს ქვემო ალვანის მესაქონლეობის საწარმოო ამხანაგობა, რომელსაც კერძო მეცხვარეები აღრიცხვაზე ჰყავს და ისინიც მის წევრებად ითვლებიან. ამხანაგობა მეცხვარეებს აწვდის პურს, მარილს, ქსოვილს და სხვა ფაბრიკატს. მეცხვარეები კი ამის ანგარიშში თავიანთი ნაწარმოების 50% ყველს, მატყლს და ცხვარს აბარებენ. ამხანაგობა საძოვრების საკითხს აწესრიგებს და იჯარით იღებს შირაქის ბინებს.

მაგრამ მესაქონლეობის ეს ამხანაგობა მეცხვარეებს ვერ უწევს სათანადო დახმარება-ხელმძღვანელობას და ისინიც ასე ჩივიან:

ორმოცი ფუთი მატყლი მივეც კავშირსა ჩვენსა „მწყემსსაო“,
ფულსა ვთხოვ, არ იძლევიან, ქვითარს მიწერენ ჭრელსაო.
ამოველ წითელ წყაროზე, მიტუსაღებენ ცხვარსაო,
გადმომიდგება აგენტი, მთხოვს შირაქის ფულსაო.
მატყლს ვაძლევ, ფულს არ მაძლევენ, თან საბალახეს მთხოვსაო,
გამოიძიეთ, ეს საქმე რად ხდება ჩვენსა თავზედო.

თუშეთში სავეტერინარო პუნქტი არ არის. არც ზოოტექნიკური სადგურია, რომ ცხვარს ადგილზე საჭირო დახმარება აღმოუჩინოს.

თუშეთის ამ ჩამორჩენილი მეურნეობის რეკონსტრუქცია უკვე დაწყებულია და ამ მიზნით აქ ჩამოყალიბებულია ოთხი სასოფლო-სამეურნეო არტელი:

1. ზემო ალვანის „მიხა კახიანის“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი მესაქონლეობის განხრით 1928 წლიდან.

2. ზემო ალვანის „გეპეუს“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი 1931 წლიდან.

3. ქვემო ალვანის „წითელ ნაყაიჩოს“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი 1931 წლიდან.

4. ქვემო ალვანის „წითელი თუშეთის“ სასოფლო-სამეურნეო არტელი მესაქონლეობის განხრით 1931 წლიდან.



ჯარანი

ამ არტელებს აქვთ თავიანთი წესდება, საპერსპექტივო გეგმები და მიზნად ისახავენ თუშეთის მეურნეობის ტექნიკურ-კულტურულ გაუმჯობესებას და მის სოციალისტურ ფორმებში ჩამოყალიბებას.

მეშაობა უკვე დაწყებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ჩქარა წარმატებით დამთავრდება.



ჯარანზე ძაფის გრეხა

შინამრეწველობა. თუშურ მეცხვარეობასთან დაკავშირებულია საოჯახო ხელსაქმის განვითარებაც. აქაური ცხვარი მატყლის საქმაო მარაგს იძლევა და თუშეთის შინამრეწველობა ამ მხრივ გასაჭირს არ განიცდის. ამ საქმეში მხოლოდ ქალებია ჩაბმული. უმთავრესად გავრცელებულია ტილოს (შალი), ფლასის (ფარდაგი), ჩითების (ფეხსაცმელი) და წინდების ქსოვა.

დედაკაცები დასაქსოვ მატყლს შინ ამზადებენ, და ამ მიზნით თავდაპირველად მატყლის გარჩევას შეუდგებიან. მატყლს არჩევენ რბილს „კრაველს“ და ცალკე მაგარს. ვისაც ფერების შეხამება უნდა, ბუნებრივ მატყლს ფერადობის მიხედვით ისე შეარჩევენ, რომ მოქსოვის დროს მიიღონ სასურველი ფერი ქსოვილი, როგორიცაა, მაგალითად: თეთრი ლეგა, ჩაშაო ლეგა, ლეგა ფერი, წითელი და სხვა. ტოლის ფერადობა აგრეთვე დამოკიდებულია



ხაქსოვი ფაკაზმა

თხორისა და ხინდეს შეხამებაზე. „გარჩეულ მატყლს რეცხავენ, აშრობენ და შემდეგ ჩეჩავენ. ვისაც ბევრი მატყლი აქვს გასარჩევი, მჩეჩელ დედაკაცებს დაიწვევს და მათ „საბეწვე" უნდა აჭამოს, ე. ი. კარგი ვახშმით გაუმასპინძლდეს. ასეთ დაწვევას აქ „ჩეჩელაცს" ეძა-

ხიან. მატყლი საჩეჩელზე იჩეჩება „ჭერეულად" (ნაფოლად). ჭერეულს „ჭელტარზე" (თითისტარი) „გააზდავენ" — ართავენ, ხელტარი ხის „სახრელში" ტრიალებს. სახრელი კუბიკური ფორმისაა და შუაში მრგვლად ამოჭრილი. ხელტარამ რომ სახრელში მარდად იტრიალოს, შიგ უსვამენ ნაცარში არეულ ძროხის ქონს. ნართს ჯარანზე დასძახვენ, ერთს წალმა — „წალმართაცი" და მეორეს უკულმა — „უკულმართაცი". ჯარანზე დაგრეხილ ძაფს „დულუკაცდ" (გორგალი) ამოახვევენ. ერთი დულუკაც მაგრადაა ნაგრეხი და იხმარება „თხორად" (ქსელი), მეორე კი ფომფლეა და იხმარება „ხინდედ" (ზედა) ამგვარად დამზადებულ ნართებს სახლში ჭერზე ჩამოკიდებენ და „საქსლოს ჯარანტრებს" უწოდებენ.

თუ ნართი შესაღებია, მაშინ მას ხიფავენ — „დაშრიტავენ" (გრძლად ამოხვევა) და საღებავებში ჩადებენ. ქიმიური საღებავები აქ კოოპერაციის—საშუალებით ეროცელდება. ადგილზე მზადდება სამი ბუნებრივი საღებავი: წენგო, შავი და ყვითელი. წენგო ფერის მისაღებად მატყლის ნართს თავშავა ბალახში ხარშავენ და ამოღებისას ნაცარს დააყრიან, შემდეგ ის ირეცხება და იფინება.

შავი ფერისათვის ამ თავშავას წვენში ძალას ურევენ, ყვითელი იღებება ფიჭვის ხავსში. ტოლის მოსაქსოვად ჯერ წალმართ და უკულმართ დულუკაცებს „საქსოვაც ხოკერში" დებენ. ხოკერი შუაზე ჩვრიანი ჯოხითაა გაყოფილი და დულუკაცც შიგ ცალ-ცალკე თავსდება. ამ ხოკერით მქსოველი ქალი თხორს აბამს საქსოვის აკაზმაში. აკაზმა ხისაა, მოგრძო ოთხკუთხედი ფორმისა. მას ფიჭვისაგან ამზადებენ და ერთ ცხვრად ფასობს. აკაზმა სახლში უდგიათ, თუ ოთახი ნათელია. ზოგიერთ სახლს მიშენებული აქვს ფარდულივით „საქსლური", სადაც ეს საქსოვი აკაზმებია გამართული. საქსლური ზოგ სოფელში ცალკეა გამართული, კედლები ღიაა და სიბით არის დახურული. აკაზმაზე გაბმულ თხორს ხელით ასწორებენ და საშევრის ორი ჯოხით „შეს" უყრიან, რომელზედაც „შისატანაც" — მოკლე მრგვალი ჯოხია მიმაგრებული. შეს იჭერს პატარა წნელი „წიბო". ქსოვის წინ თხორს „გარაც"-ს (მრგვალი ჯოხია) უყრიან. საქსოვ ცხემლს ხინდეს (ზედას) გაუყრიან, გაბმულ თხორში გაატარებენ და ბეჭით ბეჭნიან. ქსოვის დროს „ჭოჭით" (ჩიკაკული) გარას ასწევ-დასწევენ და „წიწუთ" (პირთხელი პატარა ჩხირია) ქსელს წიწვენ (ასწორებენ). დღეში კარგი მქსოველი



ქსლის ქსოვა

ქალი ერთ მეტრ ტოლს მოქსოვს. ერთ აკაზმაზე იქსოვება დაახლოებით 7—8 მეტრი შალი. მოქსოვილ ტოლს აკაზმაზე გაჭრიან და ჩამოიღებენ. შალს საპონწყალში ალბობენ და შემდეგ ლასტზე ფეხით ითელება. გათელილი ტოლი ისევ ირეცხება. გასაჭიმად მრგვალ კუნძს ჩადებენ და გასაშრობად ჩამოკიდებენ. ტოლი აქ ყველა ოჯახში იქსოვება და მოსახლეობაც ამით იმოსება, განსაკუთრებით ზამთრის ტანისამოსი სულ ამ ტოლისაგან იკერება. ერთი ტოლის მოქსოვაში, აქ ოც გირვანქა ყველს იძლევიან, ფულად კი ექვსი თუმანია.

ნაქსოვისა და ფერის შეხამების მიხედვით თუშური ტოლი ასეა დახარისხებული: თეთრი და შავი ცალპირა ტოლი, ლეგა სოლური, ჩაშაული ლეგა სოლური, ლურჯ გაჩეჩებული საქათიბე, სადიაცო წენგოსფერი ტოლი, შეყრა სადიაცო ჩოხა, სამეცხვარეო ცალპირა, საიმრიგო (სასტუმრო) საჩოხე შავი. წინათ მამაკაცის საშარვლედ იქსოვებოდა ზოლიანი ტილო: კაჭკაჭა ჭრელი, ჭრელ-ჭროლა ტოლი, თეთრ-ლეგა კაჭკაჭა და სხვა. ეს ზოლიანი ტოლი წმინდად

ტოლის თელვა

არის ნაქსოვი, ზოლების შეხამება და მისი ლირსებაც კარგია, მაგრამ ის დღეს უკვე არ იქსოვება, რადგანაც, გარდა ქსოვის რთული პროცესისა, საჭიროა კარგი და უხუნო საღებავები, რაც აქ ძნელი საშოვნელია.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ შალის ქსოვის საქმე თუშეთში თანდათანობით ქვეითდება და დღეს უკვე არ იქსოვება წინანდელი სახისა და ხარისხის ტოლი. მაგრამ შალის ქსოვილებს დღესაც დიდი გასავალი აქვს და კარგ ფასადაც იყიდება. შვიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშური ფარდაგი

მეტრი საშუალო ღირსების თუშური ტოლი აქ ფასობს 250—300 მანეთამდე. თუშური ტოლი იყიდება საჩოხედ და საქათიბედ და საკმაოდ ბევრი სალდება კახეთშიც.

ამავე ხის აკაზმაზე იქსოვება: ხალიჩა, ფლასი, საგორავი, ხურჯინი და ცხენის ჩული. ხალიჩა აქ ნაკლებად იქსოვება. უფრო ფლასებს (ფარდაგი) ქსოვენ. საფენის ძაფ-ნართის დამზადება და მოქსოვის ტექნიკაც უბრალო კუსტარული წესებით იმავე აკაზმაზე სრულდება. მხოლოდ საყურადღებოა ამ თუშური საფენების მრავალსახიანობა და მისი ფერების შეხამება. მოცემულია

კბილაკი



ნაფოძაკლიანი თვალი



კუნჭუღა



ნაფოძა



ჯვრიანი თვალი



ჩიდაჭნა

ყვავისფეხა

ფარდაგის სახის ელემენტები

ასეთი ფერები: შავი, თეთრი, წითელი, ლეგა ფერი, ლურჯი, სოსანი, ვარდისფერი, ყვითელი, ალისფერი, მწვანე (აფეი), წენგოსფერი, კაპრაშაცბ (მოყვითალო) და მხიე (მუქი ლურჯი). აი, ეს ფერებია მოცემული თუშურ საფენებზე, მაგრამ მათ შეხამებაში სითალხე სჭარბობს და თუშური საფენის ტონალობაც მუქია. სახიანობის მხრივაც თუშური საფენები ერთფეროვანი არ არის. ძველ საფენებს ახასიათებს გეომეტრიული ფიგურალობა და რთული კომპოზიციები, რომელიც მოცემულია წნულების, კვანძულების, ჯარანა თვლებისა და ჯვრების სახეებში. ამ სახის საფენები დღეს აქ

მოძველებულად ითვლება, „მოდიდან“ გასულია და ახალგაზრდობა მას აღარ ქსოვს. სამაგიეროდ, შემოსულია და თანდათანობით ვრცელდება ახალი სახის და ფერადობის საფენები. ამ ახალს ახასიათებს მცენარის, ცხოველისა და ადამიანის სახეების კომპოზიცია, ფერების სიჭრელე და უხამსობა. ამ შემთხვევაში აქ უბრალო მიბაძვაა ფაბრიკული ქსოვილების სახეებისა და ფარდა-საბნებისა, რომელიც ქალაქიდან ჯერ ალვანში შემოდის, აქედან კი თუშეთში ვრცელდება.

ასეთსავე ცვალებადობას განიცდის ხურჯინის ქსოვა და მისი სახე. ძველი ხურჯინები რთული გეომეტრიული სახეებითაა ნაქსოვი, რომლის ფერები მტკიცეა და შეხამებით სასიამოვნო. ახალი ხურჯინები კი უბრალოდ იქსოვება და სადა ზოლიანია.

თუშის ქალები ჩითისა და წინდის ქსოვამიც დიდად დახელოვნებული არიან. აქ ყველა ქსოვს: ექვსი წლიდან დაწყებული ღრმა მოხუცებამდე, ქსოვენ სნეული და უსინათლო ქალებიც. თუშის ქალი წინდის ჩხირებს ხელიდან არ იშორებს და გზაში თუ ოჯახში ის წინდას გამალებით ქსოვს. მინდვრის სამუშაოზე მიმავალი ზურგაბარგული თუშის ქალი თან წინდას ქსოვს, საუბარშიც არ აყენებს წინდის ჩხირებს და გამალებით ქსოვს. მაგრამ ჩითის[1] ქსოვა ყველა ქალს არ შეუძლია, მას დახელოვნებული ან მოზრდილი ქალები ქსოვენ. ჩითი შალის დაჭრელებული ფეხსაცმელია და და მას ყველა ატარებს. ჩითის ფორმა სამგვარია: მაღალყელიანი, დაბალყელიანი და უყელო. მაღალ და დაბალყელიანი ჩითები აქაური მოდიდან უკვე გასულია, მას ჯერ კიდევ ატარებს ზოგიერთი მოხუცი და მას „ბებრულს“ უწოდებენ. დღეს მიღებული და გავრცელებულია მხოლოდ უყელო ჩითები.

ჩითი ერთნაირად იქსოვება. მოქსოვილი საპონწყალში ირეცხება, გასაშრობად კი ხის „საფართზე“ წამოაცვამენ. გამშრალ ჩითს შუაზე ყელთათის სიგრძეზე ჭრიან და „ხის ფეხზე“ (ქალაპოტი) მართავენ. ქვეშ გამოსაკერად ჩითს უდებენ ფეხის ტერფის ფორმის „თიკვს“ — შალის სქელ ნაჭერს, გარშემო ნემსით შემოაკე-

---

[1] იხმარება მრავლობითის ფორმით — „ჩითები“ (შეად. Туфли). ერთ ცალს ეწოდება ჩითი ან ჩითაკი (რედ.).

ებენ „გარემოს“ და ზედ „შიბს“ შემოუვლიან. ჩითის ძირი ქვირ-ტით იბანდება. ბანდავენ მახათით ხუთ „ჯარად“ (სვეტად).

ჩითის საყელოს უყრიან „სახმუწს“ და ამ შალის გრეხილით იკრავენ. ჩითის ზედაპირს „ფეხის წინდა“ ეწოდება, ძირს — ტერ-ფი, ჭუსლს — „დიდურაყკოჟი“ და ყელს „რეზინა“. ჩითი სადიაცო და საკაცოა. ფორმა და ქსოვა ორივესი ერთგვარია, განსხვავება



სახის ნაკრელშია. საკაცო ჩითი ბოძებიანია და სახეები სადა წერ-ტილხაზებითაა ამოყვანილი. სადიაცო ჩითი ზოლიანია და ჭრელი. ყელის შემოკლებასთან სადიაცო ჩითი სახეების ცვალებადობას განიცდის. მაღალ და ყელდაბალ ძველ ჩითებს ახასიათებს ნაკრე-ლის სირთულე და ბრტყელი გეომეტრიული ფიგურიანი ზოლები.

უყელო ჩითის ნაჭრელი უფრო სადაა და მისი სახე თანდათანობით ებრალო ზოლზე გადადის და უფრო ზოლიან წინდას ემსგავსება. ჩითი ნაჭრელია ფერადი ძაფით, რომლის ფონი ჩვეულებრივად შავია და ზედ ამოყვანილია ორი-სამი ფერადით შეხამებული სახეამ სახეებს თავიანთი სახელებიც აქვთ: თვალი, ცუტუნაც ჰია, წვეროს ჰია, ჩიტისთავალაც, გვერდმიდებულაც ჰირკვენაც, ოროლაც



ჩითის ნაჭრელის ცვლა

გვერდმიდებულაც, ალვის ხე, ბაკიან თვალებილაც, მიხი, ჰირკვენაც და სხვა. თუშები ჩითებს შინ და კარში ზამთარ-ზაფხულ ატარებენ. ჩითი თბილი და რბილია და მშრალსა და მოყინულ ნაადაგზე სასიამოვნო სატარებელია, მაგრამ ნამში და ტალახში სველდება და და უვარგისია. ჩითი ძლებს ორ-სამ თვეს, შემდეგ მას ძირებს უცვლიან და ისე აახლებენ. აქ ჩითებზე დიდი მოთხოვნილებაა და ის 10—30 მანეთამდე ფასობს.

თუშები შინ დაქსოვილ წინდებს ატარებენ. წინდის ქსოვა აქ ყველამ იცის. იქსოვება ჭრელი და სადა წინდა. ძველებური — „წინანდულაც" — თუშური წინდა ფერად ნაჭრელია და მას „ჯარანაკიან" წინდას უწოდებენ. ახლა ჯარანაკიან წინდას აქ არ ქსოვენ და დღეს უფრო მოწონებაშია ფერადზოლიანი და სადა წინდები. უსახოსა და სადა წინდას სამეცხვარეო ან სამინდვრე წინდას უწოდებენ, ზოლიანს კი—სასტუმროს. ქალები იცვამენ ყელმაღალ ჭრელ წინდას. წინდას ჩხირებით—„ცხემლით" ქსოვენ, „დეზების" (თვალი) გამოანგარიშებით. წინდას აქვს წვერი, ტერფი, კოჭი და ყელი. იქსოვება აგრეთვე „ქუროები" (ხელთათმანი).



ზითის ელემენტები

ჩიხრიხი

მესაქონლე თუშისათვის თოკი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ესეც შინაურობაში მზადდება. საბლის გრეხა აქ ყველამ იცის და მისი საგრეხი „ჩიხრიჩი" ყველას მოეპოვება. საბლისათვის იგრიხება თხის ბალანი. ჩიხრიხის გირკალს ერთი კისერს გაუყრის და ხელით ჩიხრიხს ატრიალებს, მეორე მოშორებით ბალანს აწვდის და ამგვარად საბლის „ღოლი" იგრიხება. შემდეგ ხუთი ღოლისაგან საბელი იწვნება.

თუშეთში გავრცელებულია მატყლისაგან ნაბდის თელვაც. ნაბადს აქ თავისი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. უნაბდოდ და უთექოდ მომთაბარე თუშები და მათი მწყემსები ვერ ძლებენ. მათში თექა-ნაბადი ყველაფერია. იგი საბანიც არის და ავდრობისას საიმედო თავშესაფარიც. ამიტომ თექა-ნაბადის დამზადებას მთაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წამოსასხამ ბეწვიან ნაბდებს თუშები უკვე არ ამზადებენ. ასეთი ნაბდები აქ ლეკებს შემოაქვთ და მათგან ყიდულობენ. აქ მხოლოდ ნაბდის საფენებსა და ქუდებს ამზადებენ. ამისათვის მატყლს გადაარჩევენ, გარეცხავენ და გამშრალს კარგად გაწეწავენ. შემდეგ მატყლს ტილოს საფენზე გაშლიან და ადუღებული წყლით დანამავენ. თუ სახეების გამოყვანაც სურთ, შიგადაშიგ ფერადი მატყლით დააჭრელებენ და დაახვევენ. დახვეულს მუხლმოკეცით ქალები მკლავებით თელავენ. ითელება სამჯერ. პირველ გათელილს — „თხანთხალაც"-ს აშრობენ და მეორეჯერ თელავენ, ისევ ცხელი წყლით ნამავენ და იმავე წესით თელავენ. მესამეჯერ კი მოთელვა თავდება. მოთელილი ნაბადი საფენად იხმარება. იმისაგანვე იკერება ზედ ჩასაცმელი თექა.

თუშეთი ცნობილია თავისი თუშური ქუდით, რომელიც მთელს აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. მას თავისი ფართო ბაზარიც აქვს და მშრომელ თუშის ქალებს კარგ შემოსავალს აძლევს. ამ ნაბდის ქუდის მოთელვის პროცესები უფრო რთულია. ქუდისთვის უკეთესი ღირსების მატყლია საჭირო. საქუდე მატყლის ფენა თხელია და ითელება ხუთ-ექვსჯერ, შემდეგ მას შავად ღებავენ თავშავაში და აშრობენ. გამშრალი სიგანეზე იჭრება და ბეწვის გასაცლელად ცეცხლის ალზე იტრუსება. ამგვარად დამზადებული ნაბდიდან ქუდებს გამოჭრიან და კერავენ.

რიგი	სოფელი	ოჯახი	მეურნეობა	ნათესი ფართობი	მ ა ს ა ვ ლ ი
1	ობალი	84	303	5,6	424
2	დიკლო	43	179	27,75	304
3	ჩილო	32	147	23,25	208
4	დარბილო	40	66	28,50	295
5	ქვაელო	27	102	16,50	124
6	დანო	13	53	7,25	73
7	ბეშო	14	67	6,00	115
8	გირეეი	10	46	7,50	100
9	ფარსმა	14	70	14,00	103
10	დიდიკერთა	8	19	4,00	28
11	ვერხოვანი	3	12	1,00	21
12	ჭეარბოსელი	9	44	4,50	68
13	ალისგორი	1	3	1,00	7
14	კოკლითა	1	7	0,50	13
15	ვეძისხეეი	1	3	0,50	16
16	საჩილოლო	10	45	5,00	49
17	სიბეე	5	15	2,50	40
18	გოგრეელთა	15	58	6,00	81
19	დოქო	25	103	12,00	166
20	ბოქორეა	15	51	6,50	89
21	ქუმელაერთა	21	81	14,50	101
22	ცოკალთა	9	38	6,75	37
23	ხისო	32	107	20,50	141
24	შტროლთა	7	25	6,00	42
25	ძველერთა	13	60	9,75	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი, ჯორი	ძროხა	მეკომურთა მთიანური გვარები
146	2508	თავბერიძე, სისვაური, იმერაული, ბიღოიძე
122	2522	ბუკურაიძე, ბელადიშვილი, ნებიერიძე, იმედიძე
109	1514	ელანიძე, მარხვაიძე, ბაკურიძე, მეშველიძე
92	2082	ოდოიძე, ქაბუკაიძე, ბასხაკაური.
43	1216	გაწირიძე, თილიძე
37	508	თათრულაიძე, ხელაიძე
54	1965	ამბალოიძე, ომაიძე
16	513	ანიკური, მოზაიძე
32	662	ქაიძე, სულაკაური
20	342	ხეცოიძე, კოკილაური
2	96	თელაურიძე
17	625	კარდილაძე, გესლაიძე
2	104	ჯაიძე
2	50	ბაშინურიძე
—	50	გაბიდაიძე
12	226	ამაიძე, ქოთილაიძე
6	50	გუთანაიძე
31	830	ბორშოიძე, ხაბაიძე
63	1554	ამულიძე, თორლეაიძე, წომიკურიძე
30	689	ოთიურიძე, კახოიძე, ლილაური
63	1631	ბეკურაიძე, ნაკედაიძე
20	395	მიქაიძე, სოთიაიძე
37	832	ჯამრულიძე, ჩიგლაიძე, წეწიძე, ჩიტაიძე
16	219	წეერაიძე, ბლარეაიძე
30	695	ჭოლიკიძე, მოზაიძე

რიგი	სოფელი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
26	ნაციხარი	6	19	3,00	20
27	ჩიგლიურთა	14	51	5,25	59
28	ხახაბო	16	63	8,00	83
29	ბეღელი	6	26	2,50	32
30	გუდანთა	10	28	4,50	51
31	ვაკისძირი	6	28	4,00	46
32	ბიჭურთა	5	26	2,50	30
33	ილიურთა	7	13	3,50	17
34	ვესტომთა	7	44	2,00	62
35	ვესტმო	15	71	6,50	75
36	ბეხურთა	2	10	1,00	8
37	შენაქო	70	309	51,00	398
38	ქვემო ალვანი[1]	349	1465	495,48	—
39	ზემო ალვანი	812	3415	324,39	1234
	ჯამი	1430	7,268	1150,97	4,860

[1] ეს აღწერა წარმოებდა ზაფხულში, აგვისტოში, როდესაც თავიანთი საქონელით ქვემო ალვანის თუშები თუშეთში იყვნენ დაბინავებული და მათი აღწერა აქვე წარმოებდა. ამიტომ ჩვენ ამ ცხრილში შევიტანეთ ქვემო ალვანის მხოლოდ ნათესის ფართობი.

ცხენი, ჯორი და ეზო	ცხვარი და თხა	მეკომურთა მთავარი გვარები
5	257	ხახონაიძე, შამშლაიძე
12	621	მოზაიძე, კახოიძე
27	304	ქითიძე, ბაკურიძე
11	137	გაგოიძე, გიგოიძე
17	527	ოჩონაიძე, ხიწვაიძე
14	188	წიკარაძე, გაფრინდაული
14	118	ღულელაური, დაზიაიძე, უთურგაიძე
18	364	ხელაიძე, ხეცაურიძე
18	739	კარხილაური, აფშინაიძე, თაგბერიძე, ქარსამაული
49	1317	ინწვაიძე, რაინაული
2	365	აფთარაული, ცოცანიძე
196	4698	ჯიჯურიძე, ხაჩიძე, ბუკვაიძე, კუბლელაიძე
—	—	
1455	89279	შორთიანი, ცისკარაშვილი, მუშტარაული, ყიზილაშვილი ფოცხვერიშვილი, აფშინაშვილი
2842	120,789	

საშუალოდ, თუშეთის შინამრეწველობის ეს მეტად მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი დარგები დღეს უყურადღებოდ არის დატოვებული და ხელმძღვანელი ორგანიზაცია არ გააჩნია. ამ დარგის გამოცოცხლებაზე აქ არავინ ფიქრობს, რაც შესაძლებელია თანამედროვე გაუმჯობესებული იარაღებისა და ტექნიკური ცოდნის შეტანით. მით უმეტეს, ამის შესაძლებლობას იძლევა აქაური მატყლის მარაგი და ქსოვაში გავარჯიშებული მუშა ხელის საკმაო რაოდენობა.

ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, პრიმიტიული აკაზმვებისა და ჩხირების საქსოვი დაზგებითა და ხელის მანქანებით შეცვლა, რომ თუშეთის მშრომელ მოსახლეობას მძიმე მუშაობა შეუმსუბუქდეს და მისი გაუმჯობესებული პროდუქციაც გაიზარდოს.

ხელოსნობას თუშები ნაკლებად მისდევენ და შრომის ამ დარგს მათთვის ეკონომიური მნიშვნელობა არ ჰქონია. სამუშაოდ მიდიან ცხვარში და იქ მწყემსად დგებიან. მაგრამ ამ ბოლო ხანებში სამუშაოზეც გადიან და მუშაობენ შეშის დამზადებაზე, ქვისა და გზის სამუშაოზე.

ერთი სიტყვით, თუშეთი ეკონომიურად მნიშვნელოვანი კუთხეა, განსაკუთრებით, თავისი მეცხვარეობით, რომელიც კარგი ღირსების ყველსა და მატყლს იძლევა. ამასთან, აქ არის ხელისშემწყობი პირობებიც: ფართო იალაღები, ალპური ჰავა და მეცხვარეობაში გამოცდილი მუშახელი. ყველაფერი ეს მეურნეობის ამ დარგის განვითარების კარგ პერსპექტივას იძლევა. დღეს უკვე დაწყებულია თუშეთის ჩამორჩენილი მეურნეობის რეკონსტრუქცია, რომელიც ყალიბდება კოლექტიური მეურნეობის ფორმებში. ამისათვის საჭიროა ძველი, პრიმიტიული ბინების ნაცვლად აშენდეს ახალი ტიპის და ჰიგიენურად მოწყობილი ბინები, რომ კოლმეურნე მეცხვარეებს შეეძლოთ ასატან პირობებში ცხოვრება.

უნდა გაიხსნას ზოოტექნიკური სადგური და საველტერინარო პუნქტი.

საზოგადოებრივი ყოფა

თუშეთის საზოგადოებრივი ცხოვრება დღეს ფორმირების ხანაშია; ძველი თემური ნაშთები თანდათანობით ისპობა და მყარდება ახალი, საბჭოთა სოციალისტურ სისტემაზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

თემურ ყოფას, თუშეთში თავისი ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა; ამ ყოფის ზოგიერთი გადანაშთი დღემდეა მოღწეული. მართალია,

ეს ჩვეულები, რომელთაც ფორმალურად იცავს მოსახლეობის ძველთაობა, დღეს უკვე მოკლებულია თავის სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ამ კუთხის საზოგადოებრივი ყოფის გასაცნობად ისინი ჩვენთვის საყურადღებოა.

თუშეთის მოსახლეობა დაყოფილი იყო და არის გვარებად. თითოეულ სოფელში წინათ სახლებულა ერთი გვარი, რომელსაც თავისი საგვარეულო კოშკი ჰქონია. აქ აფარებდნენ თავს შიშიანობის დროს. დროთა ვითარებაში გვარი იზრდებოდა და კომლებად იშლებოდა. ამასთან, დიდი გვარი ქვეგვარებად იყოფოდა და ქვეგვარი ირქმეოდა კომლის უხუცესის სახელიდან წარმოშობილ საკუთარ გვარს. ამ გვარების დაბოლოებაა: ძე, შვილი, -ული, -ური და -იანი; მაგალითად: ნაკუდასაგან წარმოშობილია ნაკუდაიძე, უთურგასაგან — უთურგაიძე, ელანისაგან — ელანიძე, გულუხვა — გულუხვაიძე, ბერო — ბეროშვილი, ფოცხვერი — ფოცხვერიშვილი, აფშინა — აფშინაშვილი, ცისკარი — ცისკარიშვილი, მიქელი — მიქელაშვილი (მიქელაძე), აბაში—აბაშიშვილი (აბაშიძე), გაფრინდაი—გაფრინდაული, იჭარაული, რაინაული და სხვა. -ურ-ზე და იან-ზე ბოლოვდება: თადიაური, აზიკური, სულაკაური, კოკილაური, შორთიანი და სხვა.

ეს გვარები იყოფა ქვეგვარებად. მაგალითად, სოფ. შენაქოში (ჩალმის საზოგადოება) ორი მთავარი და ძირეული გვარია: ბუქვაიძე და ჯაჩიძე. ბუქვაანთ გვარში შედიან (ქვეგვარი): იმედიძე, ოშორიძე, ჯაგოდანიძე და სეხნიაიძე. ჯ ა ჩ ი ა ნ თ გვარში კი: ჭვრიტიძე და ჯიჯურიძე. მეკომურის დასახელებისას იტყვიან: ბუქვაცანთ გიგოლე ჯაგოდანიძე, გიორგი ჭვრიტიძე ხაჩიანთი.

ფარსმაში (პირიქითი თემი) ქ ა ა ძ ე ძირეული გვარია, მისი ქვეგვარებია: იჩუნაიძე, დადაძე და კუკალაიძე. თავიანთ მოძმე მეკომურს ასე ასახელებენ: იჩუნაცათ პეტრე ქაადე. ჯვარბოსელში (გომეწრის თემი) ძირეული გვარი ალუდაური იყოფა ქვეგვარებად: კარდლიძე, გესლაიძე, ელიზბარიძე და დარჭიზანიძე. ასეა წოვა თუშებშიც, სადაც სამი ძირეული გვარია: შორთიანი, ცისკარიშვილი და მუშტარლაული. შ ო რ თ ი ა ნ თ ქვეგვარია: ქავთარაშვილი, ზარიძე, თურქოშვილი, ყიზილაშვილი, ლაგაზიანი, ჩაჩქანიშვილი, ბურკიშვილი და სხვა. მ უ შ ტ ა რ ა უ ლ ნ ი: ბაინდურაშვილი, ლაღიშვილი, ხარებაშვილი და სხვა. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი: აფშინაშვილი,

ფოცხვერიშვილი, ჭიჭაშვილი და სხვა. იტყვიან ლეო ჭანთოშვილი ცისყარიანთი.

თუშეთში მობინადრე გვარები თავიანთ თავს ხიზნებად თვლიან. თავიანთი გადმოსახლების ისტორია ზოგიერთ გვარს დღესაც კარგად ახსოვს: ირკვევა, რომ აქ იხიზნებოდნენ არა მარტო მთისა და ბარის ქართველები, არამედ ქისტ-ჩაჩნები და ლეკებიც. მაგალითად, სოფ. ომალოს მცხოვრები სისვაურის წინაპარი თიანეთიდან ბატონს გამოქცეულა და აქ დასახლებულა. მას სახელად სისური რქმევია. ჭეშიელი აბალოიძე გამოქცეულა ქიზიყიდან, მირზაანთ საგვარეულოდან; ქიზიყში მის წინაპარს ბატონი შემოკვდომია. იჭირაული, ბასხაჯაური და ბექურიძე ხევსურეთიდან გადმოსახლებულან მესისხლეობის გამო, ხოსიკურიძე კი — ფშავიდან. სოფ. ჩიღოში მცხოვრები ოჩონიძის წინაპარი ლეკეთიდან გამოქცეულა. ოჩონიძენი ყოფილან ორნი ძმანი. მათ იქ მამის სისხლი აუღიათ და თუშეთში გამოხიზნულან. ერთი მათგანი ჩალმა თუშებს ძმად მიუღიათ და ჩიღოში დასახლებულა, მეორე კი უფროს კაცებს ქისტებში გადაუყვანიათ და იქ თავკაცებისათვის უთხოვიათ მისი მიღება და დასახლება. ისიც სოფ. ხულანტში დაბინავებულა. ეს გვარი დღეს ცნობილია „ჩინაურკანთ" გვარადაო. ხაჩიძეთა წინაპარს ხაჩი რქმევია. იგი ქისტეთის სოფ. ჭანთიდან ყოფილა გამოქცეული, სადაც მას კაცი შემოკვდომია. ხაჩის შვილს ხუნჩალს სოფ. შენაქოში რვა ვაჟი ჰყოლია თურმე, ხუნჩალი შვილებს გაყოფის ნებას არ აძლევდა და მთელი ეს დიდი ოჯახი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. ოჯახი 50 წევრს ითვლიდაო. ხუნჩალის ამ დიდ ოჯახს აქ დღესაც იგონებენ და როდესაც ვინმეს ოჯახში ნამზადისი ეცოტავება, მას ეტყვიან: „თუნდა ხაჩის ხუნჩალიანებს ეყოფათო".

თუშეთში შემოხიზნულ ამ უცხო გვარებს არ შეეძლოთ არსებობა თემის გარეშე, რომელიც სათუშეთოს განაგებდა. ამიტომ ხიზანი იძულებული იყო, რომელიმე გვარს მიკედლებოდა და მისთვის დაქმობილება ეთხოვა. ამისათვის თუშეთის თემებში არსებობდა „ხ ა რ ი თ შ ე ყ რ ი ს" ადათი. როდესაც ხიზანი რომელიმე გვარისაგან დაქმობილების თანხმობას მიიღებდა, ის ამ ხარითშეყრას ასრულებდა. ამისათვის დაამზადებდა პურს, არაყს და საკლავად ხარს დაკლავდა. დაიწვევდა ხევისბერს და გვარის უფროსებს. ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდაგი

ხურჯინი

ოვალი

ჩიოგები

ვისბერი კრებულს ამცნობდა, რომ ამა და ამ გვარმა (დაასახელებ-
და) ეს ხიზანი ძმად მიიღო და დღეიდან არვის გეგონოთ ის უგვა-
რო და უსოფლო. იყვენით ჭირში და ლხინში განუყოელნი და
მტერთან ერთმანეთის მფარველიო. დაძმობილების ნიშნად ხევის-
ბერი აიღებდა სამ ქვას და ნახშირს და იქვე მიწაში სამანს ჩას-
ვამდა, ზოგჯერ ძმობის სიმტკიცის ნიშნად ულვაშის ბალანსაც ჩა-
აყოლებდნენ. ამ დღიდან ხარითშეყრილი ხიზანი თავის გვარს იცვ-
ლიდა და დაძმობილებულის გვარზე იწერებოდა.

თემური თუშეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ამოძრავებდა თე-
მური ბრძოლები, მეკობრეობა და მესისხლეობა, რომელსაც მესვე-
ურობდნენ ხევისბერები და დეკანოზები. თემის მიერ არჩეული
ეს ხევისბერები და დეკანოზები ეკუთვნოდნენ საზოგადოების შეძ-
ლებულ ჯგუფს და ამ ჯგუფის ქონებრივ-უფლებრივი ინტერესების
დაცვისათვის ღვთისა და ხატების პირით მოუწოდებდნენ ხალხს,
ნადავლის მოპოვების მიზნით, მეზობლებზე თავდასხმისაკენ. ხა-
ტის ნებით დაშინებული მდაბიო ხალხი სალაშქროდ მისდევდა ამ
შეძლებული ჯგუფის ბელადებს, იკლებდა სოფელს, იტაცებდა
მოსახლეობის სარჩო-საქონელს და ნაძარცვით უკანვე ბრუნდე-
ბოდა. მაგრამ ამ ნადავლს შეძლებულთა ჯგუფი და მათი ბელადები
ინაწილებდნენ. ეს იწვევდა მეზობლებს შორის დაუსრულებელ
მტრობას და ერთმანეთის დალაშქვრას, რაც ქონებრივად და ფიზი-
კურად ანადგურებდა მოსახლეობის ღარიბ და შეუძლო ნაწილს.
ამ ბელადების გმირობაზე ითხზვებოდა ლექსები, რომლითაც მდი-
დარია თუშური ხალხური სიტყვიერება.

ამ მხრივ, სხვათა შორის, ცნობილია კვაველელი გორგი თილი-
ძე, რომელიც ფშაველებს თურმე არ უსვენებდა და თავისი რაზმით
ეცემოდა ფშაველ მწყემსებს, ხოცავდა მათ და ცხვარს სტაცებდა.

ბოლოს ეს გულადი თილიძე ფშაველებს სოფ. ხოშარში დაუმარ-
ცხებიათ და თილიძეს ლაშარის წმ. გიორგისათვის შეუთხოვია, თუ
ამ განსაცდელს გადამარჩენ, თეთრ კურატს მოგართმევო. ლაშა-
რობას თილიძე მართლაც თეთრი კურატით მისულა ფშავში. ფშავ-
ლების შერიგება და ძმად გაფიცვა უთხოვია. შეთანხმება მომხდა-
რა და ორივე მხარე ლაშარის ჯვარზე ძმად გაფიცულა. ამაზე ეს
ლექსი გამოუთქვამთ:

ლაშარს მოვიდა თილიძე, დიდგულად დაჯდა თუშია,
შამეეხვივნენ ფშავლები, როგორ რო ბატონს ყმანია:
„შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ქენ ცოდო-ბრალია,
გასწყვიტე დიაც-ყმაწვილნი, კალოდ გალეწენ მკვდარია,
ნაკვეთაურის ჭერხოსა შენ შეხსენ რკინის კარია".
— მადროვეთ, ფშავლის შვილებო, მალოცეთ თქვენი ჯვარია,
მოვსულვარ სახვეწნელადა, მომიყვანია ხარია,
ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია.
მთა გაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს, ლურჯამ მოხკიდოს ნალია,
ტყემა გაუშვას ფოთოლი, ბალახს გახფინოს ნამია,
მთებშიაც გაჩნდეს ჯანღები, მხედარმ დალმალოს თავია,
უბისთავ დანათდებიან თილისძის ცხენის ნალნია.
ან ვისი სპექდეს მაყარი, ან ვისიც სჭრიდეს ხმალია,
ან ვის მიუდიოდეს ხათარეშალი ცხვარია,
ღელის ძირს გადმოდიოდეს თქვენი ცხვარ-ხაროვანია,
უკან მომდევდეთ, ფშავლებო, სტიროდეთ როგორც ქალია.
ღელის გორს შემოხკიდოდეთ ერთი პატარა ზარია:
„ლაშარეულა თან გვეტან, დავლათის გვიქრის ქარია,
დახკრა, ხმა ახადს გავიდეს, პირთ დაიწერონ ჯვარია.
დედამა მისცა ჩემს ცხენში შვიდ ფური, შვიდი ხარია,
მე იმან გადამარჩინა, მის თვალებს ვენაცვალია.

შეძლებულ ჯგუფთა ეს ბელადები აგრეთვე აწყობდნენ მეკობრეობას ქისტ-ჩაჩნეთში და განსაკუთრებით დიდოეთში (ლეკებში). ამ მიზნით ეწყობოდა დამრბევი რაზმები, რომლებიც ირჩევდნენ ბელადებს და მათი წინამძღოლობით გადიოდნენ ქისტ-ლეკეთში. აქ ეცემოდნენ მწყემსებს, სტაცებდნენ მათ ცხვარ-საქონელს და, ნიშნად გამარჯვებისა, მტრებს მარჯვენა ხელის მტევნებს აჭრიდნენ[1] და უკანვე ბრუნდებოდნენ. ამ ნადავლს მეკობრეები თუშეთში იყოფდნენ, მოჭრილ ხელებს ბელადები თავიანთ ჩარდახიან ციხის

---

[1] თუშის ბელადის მიერ მოჭრილი ლეკის მარჯვენა დღემდე იყო შერჩენილი ტატო იდოიძის სახლის კედელზე სოფ. დართლოში. ეს მარჯვენა ჩვენ ჩამოვიღეთ და ფოტოგრაფიულად გადავიღეთ.

კედლებზე აკრავდნენ და ტყვეებს კი ბაშტების კედელზე ჯაჭვებით აბამდნენ[1]. გამარჯვებულ მეკობრეთა ბელადებს საქებურ ლექსებსაც უძღვნიდნენ:

ალვანში თუშის შვილები ხმალს ულესავენ პირსაო,
თოფებსა ძალზე ღმართავენ, ჯავრი გულს მოზდის მტრისაო,
დაუბარებენ ივანეს ელიზბარიძის შვილსაო,
შენაკოშიგა ბაკურას, გულადსა ჰვრიტიშვილსაო.
წამოვიდოდა ბაკურა, ჯოგი თან მოსდევს მგლისაო,
შაგროვდებიან ყვარელში, შუა ბაზრისა პირსაო,
სამმრად დრო შარჩეულნი ეკითხებიან გმირსაო:
„დილაზე საით წავიდეთ, საითლა გვიზამ პირსაო?"
ბაკურა ეტყვის: „გმირთ-გმირნო, ნუ ჩქარობთ, არა სჭირსაო,
მოულოდნიოთ ივანეს, ელიზბარიძის შვილსაო;
ეს ვაჟიც გულოვანია, მედგრად მებრძოლი მტრისაო".
ხალხის ნაპირს სდგას გიორგი, მრისხანედ წარბთა ხრისაო,
თოფ გაბუდული მხართ ხკიდავ, ვადა უნათებს ხმლისაო.
გიორგი ეტყვის ბაკურას: „აცო, რას ამბობ, რასაო,
რა ულოდინებთ ივანეს, გზაც თითონ ვიცით მთისაო,
რო აქებთ ბაგვაზელებსა, მათი გაცნობა გვინდაო".
წინ გაუძღვება ბაკურა, გზა გრძელიც შამოკლდებაო,
ბაგვაზის მთებსა გადადგნეს, შუგულ არს დაღესტნისაო,
ჩეთარეშნენ თუშები, მწყემსებ დახოცეს ცხვრისაო.
მთისა მშვენიერ კალთებზე ქვეილი მოდის ცხვრისაო.
ერთი გაექცა მეცხვარე, ქორივით სოფლად გაფრინდა.
შეიტყვეს ბაგვაზელებმა, მოდიან ცხენებ ხეთქვითა,
თუშნი გორებში გამაგრდნენ, შიში არა აქვთ მტრისაო,
დილ-საღამომდე იომეს, სულ გაწითლეს ქვიშაო.
გვალეთ, ბიჭებო, გვეყოფა მარჯვენა ჩვიდმეტისაო,
გამობრუნდება ბაკური, ღიმილი მოზდის პირსაო,
წამოვლენ კახეთისაკენ შაირებისა თქმითაო.

---

[1] ტყვეების მისაბმელად ბაშტის კედელში დატანებული იყო ბრტყელი ლ. შუაში ამოხვრეტილი ფიქალი, რომელშიაც რკინის დიდ ჯაჭვს უყრიდნენ და მას კლიტით კეტავდნენ. ტყვეს ამ ჯაჭვის ყურს კისერზე ადებდნენ და ჯაჭვითვე გამოკვანძავდნენ. ერთი ასეთი ჯაჭვი დღესაც ინახება სოფ. დირთლოში, დიმიტრი ლეკაიძის ოჯახში; მისი სიგრძე 3,60 მეტრია.

ყვარელში რო ჩამოვიდეს, სუ ხალხი გაკვირდისაო.
რა ხალხი ამოუქლეტავ, ხელები მოაქვთ მტრისაო,
წინ მოუძღვება ბაკურა, ვადა უნათებს ხმლისაო.
შენი ჭირიმე, ბაკურა, სულამ შენ ხმალი სჭრისაო.
დედამან შვილი გაზარდოს მტრისა დამცემი ძირსაო,
ბაკურავ. შენისთანანი, თავის მომკვეთნი ხმლითაო!

ოთხო ბელადიშვილი, 71 წლისა, სოფ. დიკლო, 1931 წ.

რასაკვირველია, არც ლეკ-ქისტ-ჩაჩნები ისხდნენ გულხელდაკრეფილები. ნადავლის მოპოვების მიზნით ლეკებისა და ქისტ-ჩაჩნების ბელადებიც თავიანთი რაზმებით გამოდიოდნენ თუშეთში, მიერეკებოდნენ ცხვარ-საქონელს და ტყვეებსაც იტაცებდნენ. ტყვეების გამოსყიდვაში ლეკები დიდ სასყიდელს მოითხოვდნენ. ამასთანავე, რაც უნდა დასჯდომოდა, ტყვე პატრონს უნდა გამოესყიდა, რადგან მისი გამოესყიდველობა სირცხვილი და საძრახისი საქმე იყო. ამიტომ ტყვის პატრონს გვარი ეწეოდა და საშუალება ეძლეოდა, ტყვე დაებრუნებინა.

ამგვარად, ნადავლის მოპოვების მიზნით, ჯგუფების ბელადების მიერ ეწყობოდა მეზობელთა ურთიერთ დალაშქვრა, რასაც მშრომელი მოსახლეობის ქონება და სიცოცხლე ეწირებოდა.

მეკობრეთა ჯგუფში გულადობა და ვაჟკაცობა დიდად ფასობდა, ზურგის შექცევა კი სამარცხვინო იყო[1]. მეკობრე ახალგაზრდობა იარაღის ხმარებაში სიყრმიდანვე იწვრთნებოდა და მათ ოცდაბეთ წლამდე თერმე არც ამუშავებდნენ, მკლავ-ბეჭებსაც ერბოთი უზელავდნენ და ერბოში გახელილი ქუმელით კვებავდნენო.

თუშებზე ლეკების ბელადების თავდასხმაზე და მათ მიერ გატაცებული ტყვეების თავგადასავალზე აქ დღესაც მრავალი თქმულება და ლექსია დაცული. სხვათა შორის, სოფ. შენაქოში დღესაც ცოცხალია ღრმა მოხუცი თევდორე ივანეს ძე ჯიჯურიძე (მისი თქმით, 103 წლისა), რომელიც შამილის დროს ლეკებს ტყვედ გა-

---

[1] ამას ვახუშტის ცნობაც მოწმობს: „ხოლო ეკეთე (თუში — ს. მ.) ვინ მდედრი იყოს გულითა კაცთაგანი და ივლტოდეს შინა, ამას აჭმევენ ძაღლთა თანა, გობასა შინა ძაღლთასა და აღარა კაცთა თანა" (იხ. მისი გეოგრაფია, გვ 105).

უტაციათ. ჯიჯურიძე ლეკებს სოფ. გუნოში დაუმწყვდევიათ და მისი მშობლებისაგან გამოსასყიდი ხუთასი მანეთი მოუთხოვიათ. ჯიჯურიძის ოჯახს სოფელი შესწევია, სამასი მანეთი შეუგროვებია და ლეკებისათვის შეუძლევია, მაგრამ ამ დროს დაღესტანი რუსებს აუღიათ, შამილი დაუტყვევებიათ და ჯიჯურიძეც გუნოდან გამოქცეულა.

ტყვეებს მდევრებს გამოუყენებდნენ ხოლმე. მდევრები გზაში ლეკებს ჩაუსაფრდებოდნენ და შებრძოლების შემდეგ ტყვეებს აყრევინებდნენ. ცნობილია თუში გიგაი, რომლის გულადობაზე არაერთი ლექსია გამოთქმული:

— ვინა ხარ ვულჯავრიანად, დიკლოს ვინ ბრუნავ ბანზეო,
ჰირიმ ჩამოღლევს ზამთარსა, ზაფხულს მოელის ძალზეო,
კითხოდეთ საბუელებსა, ლეკებ ხომ არ დის გზაზეო.
— შოროდე, გურჯო, თუ მკითხავ, ჩაუჯექ ყვარლის გზაზეო.
ტყვეებს მოუდისთ ფშავლისი ტირილით ქალი, რძალიო.
— ნუ სტირით, დებო, ნუ სტირით, გიგაი გიზისთ გზაზეო,
თუ თქვენ ლეკებს გაგატანოთ, წვერი ნუ მესხას ყბაზეო,
ნურცა მიტიროს დედამა, სწორში ნუ დამსვან ჯარზეო!
ხმალ და ხმალ გადაერია, ხუთნი დაკაფა წამზეო,
ხუთსავ ამყარ იარაღ, ქალებს აასხა ტანზეო,
ქალებ გზაზე დააყენა, მშვიდობით, დებო, გზაზეო,
ჩემ სახელს ფშაველად ნუ იტყვით, თუშ ვარ, გან ფშაველ ვარიო.

ლეკების ამ ტყვეობის შესახებ, აი, როგორ მოსთქვამს ლეკეთში გატაცებული თუში:

ერთხელ ძალზე მოვიქანცე, მიმეძინა ერთ დიდ ხესთან,
მე ლეკებმა დამიჭირეს, თასმით შემკრეს მაგრა ხელთა,
წამიყვანეს, ტყვეთა მტანჯეს, ცრემლით ვსჩივი მაღალ ღმერთთან,
გადმიყვანეს ანწუხსშიგა, რაჯა ბელადს ჩამაბარეს,
შიგ ჩამაგდეს ხაროშიგა, ზედ დიდი ქვა დამაფარეს,
არცა ხქონდა ცას ნათელი, არც შუქები მზე და მთვარეს.
დავხყავ ხანი იმ ხაროში, საცოდავად ვიტანჯოდი,
წვერი-თმანიც შემებარდა, ჰუჰყი მწვავდა, ვიდაგოდი,

ომანისა იმედობას ჩემსა გულში ვიძახოდი,
გამომბისხნის ტყვეობიდან, სუ ხო ამას ვიკვეხოდი.
მადლი ღმერთს, იმ ჩემს გამჩენსა, ომანის გულს ეს გაეგო,
ხმალსა თურმე დუმა გაპკრა და ქარქაშში ისე ჩასვა,
მუცლის ძრომით მოპარული, ცურვით მიწას გულიც ეგო,
ყარაულსაც სძინებოდა, იმის ხელით სიკვდილ ერგო.
ამომიყვანა ომანმა, შემიხსნა ხელ-ფეხთ ხუნდები,
რა გავაგძელო, რა გითხრა, სიტყვასაც გვიან უნდები,
სახლში შევიდა გულდაგულ, მათი დღე მოდის ცუდები,
ყველასა დასჭრა მკლავები, იმით აავსო გუდები.

კობე ალექსის ძე ჩიგლაიძე, სოფ. ხისო, 1931 წ.

თემურ წყობილებას უმთავრესად ახასიათებდა შურისძიებისა და სისხლის აღების წესები და თემურ თუშეთშიც ეს ადათი მტკიცედ იყო დაცული. თუში თავის მოძმის სისხლს არავის შეარჩენდა, და მტერზე შური რომ ეძია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა. სისხლის აუღებლობა გვარისთვის სამარცხვინო იყო და ძმებთან ერთად სისხლის აღებისთვის იბრძოდნენ ბიძაშვილები და დედის ძმები. მაგრამ ზოგ შემთხვევაში სისხლის გამოსყიდვა და ამით შერიგებაც შესაძლებელი იყო. სისხლის შეფასებას და საზღაურის რაოდენობას თუშებში ხევისბრები და გვარის უხუცესები აკანონებდნენ. მსაჯულთა ეს კრებული „საბჭეოში" სხდებოდა და აქ თათბირობდა. ასეთი საბჭეო გამართული ქვის საჯდომებით დღესაც დაცულია სოფ. დართლოში. მას აქ „საფრინდაცო"-ს, თორმეტიანთ საჯდომს უწოდებენ. სისხლის აღების, ქალის მოტაცების, ქურდობისა და სხვა მძიმე შემთხვევებში სათემო ბჭეები თურმე ამ ქვის საკარძლებზე სხდებოდნენ და საქმეს არჩევნენ. წინ ჩასმული იყო მომჩივანთა დასაყრდენი ორი ქვა. ერთთან იჩოქებდა მომჩივანი, მეორესთან — მოპასუხე. მკვლელობა და დაქცეული სისხლი თუშებში ერთგვარად არ ფასობდა.

მკვლელი თემიდან იხიზნებოდა. სინანულის ნიშნად ფეხთ არ იცვამდა და თმა-წვერსაც იყენებდა. როცა ხანი გაივლიდა, თემი მას შეიწყალებდა და ის შინ ბრუნდებოდა. მკვლელი ცხენს შეკაზმავდა, ჩამოჰკიდებდა ხმალს, თოფს, აგრეთვე ძღვენს და ნათესავების თანხლებით მიდიოდა მოკლულის ოჯახში. აქ იმართებოდა ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი და ის შერიგებას შესთხოვდა. მოკლულის ნათესაობა შერიგების ნიშნად მას წვეულებას უმართავდა. მაგრამ სისხლის საზღაურს არ იღებდნენ, ვინაიდან ის მიცვალებულის სულის შეურაცხყოფად ითვლებოდა.

ამასთანავე, გამომუშავებული იყო სისხლის შეფასების თავისებური წესიც, რომლის მიხედვით, მაგალითად, მამაკაცის სისხლი ფასდებოდა 60 ძროხად, ქალისა — 30 ძროხად. ხანჯლის დაკვრა პირით — 5 ძროხად, წვერით — 15 ძროხად და ასე, იმისდა მიხედვით, თუ რა სიმძიმისა იყო ჭრილობა. ბჭეები პირისახის ჭრილობას ქერის მარცვლით ზომავდნენ: მარცვლებს ჭრილობის სიგრძეზე დააწყობდნენ და რაც დაეტეოდა, იმას ორ მარცვალს გამოაკლებდნენ, დანარჩენს დათვლიდნენ და თითო მარცვალში დამნაშავეს ერთი ძროხა ან მისი საფასური უნდა გადაეხადა. სისხლის საფასურის გაღებაში დამნაშავეს მოგვარეები ეწეოდნენ. გარიგების დღეს დამნაშავეს ერთი ქვაბი არაყი და საკლავი უნდა გაეღო. ხევისბერი გამოაცხადებდა ბჭეების დადგენილებას სისხლის გარიგების შესახებ და დაუმატებდა, რომ ვინც ამას დაარღვევს, ჯარიმა გადახდებაო. შერიგების ნიშნად მესისხლენი იქვე ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ. რიგების დროს ზოგჯერ ჭადაგი იტყოდა, ლაშარის ჯვარი ბრძანებს, ამ კაცს (დამნაშავეს დაასახელებდა) არაფერი გადახდესო. ამ შემთხვევაში დამნაშავე სისხლის საფასურისაგან თავისუფლდებოდა, მაგრამ მას ხატისათვის უნდა მიერმთია: ქვაბი ლუდი, ხარი და ცხვარი. ამით იგი თავის დანაშაულიდან ვითომდა იწმინდებოდა.

ჭურდობა საძრახისი საქმე იყო და ჭურდს ერთიშვიდად ახდევინებდნენ. თუ დამნაშავე არ ტყდებოდა, მას და მის ნათესავებს აფიცებდნენ. ფიცის დროს სამჯერ შემოუვლიდნენ ხატს, ხელში რაიმე წმინდა სარიტუალო ნივთით, ან თავიანთ წინაპართა საფლავზე ფიცულობდნენ. ამისათვის მიცვალებულის საფლავზე დებდნენ ვირის „ქოს“ ან ძაღლის სალაფავს (ეურეელია). დაიჩოქებდნენ და მიცვალებულთა სულებს ფიცით მოუწოდებდნენ. მაგრამ სიმართლის შესაჯერებლად თუშეთის ბჭეები ორდალიებს მიმართავდნენ. სხვათა შორის, ორდალიებში გავრცელებული ყოფილა ცხელი წყლიდან გახურებული რკინის ხელით ამოღება. თუ ხელი დაეწვებოდა, ის დამნაშავე იყო, თუ არა — არა. გაუსწორებელი და

მავნე პირი თემისაგან იდევნებოდა და ამ უმაღლეს სასჯელს „მოკვეთა“ ეწოდებოდა. დღეს სისხლის აღების ეს წესები უკვე მოსპობილია და სამართლის ყველა საქმე საბჭოთა სასამართლოში ირჩევა.

ძველი თუშური ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ერთ ჰერ ქვეშ რამდენიმე „ძმათაშვილები“ ცხოვრობდნენ. ამ დიდი ოჯახის უფროსად უხუცესი მამაკაცი — „ბერო“ და უფროსი დიასახლისი — „ბერდედა“ ითვლებოდა. მთელი ოჯახის საქმიანობა ამ ორი მოხუცის ხელამძღველობის ქვეშ მიმდინარეობდა და ყველანი მათ ეძორჩილებოდნენ. თუ ბერო და ბერდედა ღრმად მოხუცნი იყვნენ, მაშინ მათ მოვალეობას უფროსი მახლ-რძალი ასრულებდნენ. ოჯახში ყველაფერი საერთო იყო, გარდა ქალების ხელსაქმისა, რაც მათ პირად საკუთრებაში რჩებოდა. საოჯახოდ ვაჭრობდნენ მამაკაცები, დედაკაცებს მხოლოდ არჩევის ნება ეძლეოდათ. გაყოფა უფროსების სიცოცხლეში ძნელი იყო, მაგრამ თუ გაყოფას ადგილი ექნებოდა, დედ-მამას თავიანთი წილი გაჰქონდა. ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებს შვილები მორიგეობით ინახავდნენ. უფროს ვაჟს საუფროსოში ეძლეოდა 10—100 ცხვარამდე. ქალებს ძველი ადათით ოჯახში წილი არ ჰქონდათ და გაყოფის დროს არაფერი ეძლეოდათ. მაგრამ ქალს თუშის ოჯახში ღირსეული ადგილი ეჭირა. ის იყო ოჯახის ბურჯი, რომელიც მინდვრისა და საოჯახო მუშაობას ერთგვარი თავგანწირვით ეწეოდა და, ამავე დროს, ხშირად მამაკაცებთან ერთად ხელში იარაღით ოჯახისა და თემის ინტერესებსაც იცავდა. ამიტომ ქალის მანდილს აქ ერთგვარი პატივითაც ეპყრობოდნენ. ჩხუბის — „ტკეცილაცობის“ — დროს დედაკაცი თუ შეესწრებოდა, იგი მანდილს მოიხდიდა, შუაში ჩაგდებდა და იტყოდა: „ჩემი არა გაქვთ, ამ მანდილის ხათრი მაინც იქონიეთო“. და ამრიგად „მანდილით ტკეცილაცობას ვაყრევინებდითავ“, დღესაც ხშირად იგონებენ თუშის მოხუცი მანდილოსნები.

ამ თუშურ დიდ ოჯახს ახასიათებდა სტუმართმოყვარეობა. სტუმრის მიღებისა და პატივისცემის წესები ზოგიერთ ოჯახში დღემდეა დაცული. ოჯახში შემოსულ სტუმარს მცირე წვეულებას უმართავდნენ, რომელსაც წინათ „აჯიაც“-ს უწოდებდნენ, შემდეგ „ჯარს“, დღეს კი „კამპანია“ დარქმეულია. სტუმარს ორი ურმის მანძილზე მიეგებებოდნენ და ხელის ჩამორთმევით ესალმებოდნენ.

კოცნა სირცხვილი ყოფილა. სტუმარს ოჯახის უფროსი შინ დაეწ-
ვევდა, ბექებზე ტყავკაბას (ქურქს) წამოასხამდა და კერასთან და-
ვამდა. ოჯახის პატარძალი სტუმარს ფეხთ გახდიდა, დაბანდა და
სუფთა წინდებს ჩააცმევდა. სტუმრის ფეხის დაბანა თუშეთში
დღესაც იციან. სტუმარს თან მოჰქონდა ერთი პური და კალტი.
რჩებოდა ორი დღე. სტუმართან პურის ჭამა, მოკითხვა და საუბა-
რი მხოლოდ ოჯახის უფროსებს შეეძლოთ. მეორე დღეს მასპინძე-
ლი სტუმარს „აკიაცკ"-ს გაუმართავდა, გაშლიდა მცირე სუფრას
და მეზობლებს დაიწვევდა.

იმართებოდა მხიარული პურობა. აკიაცში მეღვინედ ქალიშვილი
ან უფროსი რძალი იყო, რომელიც ფეხზე იდგა და სტუმრებს სავსე
ყანწებს სთავაზობდა. შემდეგ სტუმარს მორიგეობით მეზობლები
გადაიწვევდნენ და იქაც ასევე აკიაცს უმართავდნენ. „აკიაცში
მამაკაცი სტუმრის ამყოლ-დამყოლი კაცები იყვნენ, ქალისა კი —
დედაკაცები, რომლებსაც სტუმარი დაჰყავდათ და სტუმრის დრო-
საც ლხინ-თამაშში ატარებდნენ. მოწყენა არ შეიძლებოდა და მას-
პინძელიც მის გართობას ცდილობდა.

რა მოგწყენია, სტუმარო, რა შეგდებია ზარიო.
არც ვინ გყავ დაჭრილ-დაკუწულ, არც ცხენთ გვიკიდავ
მკვდარიო.

გულუხვ და პურად მასპინძელზე აკიაცში ასე მღეროდნენ:

მასპინძელ კარგად მასპინძლობს ლხინითა მხიარულითა,
წითელ დახია ქოშები სტუმართ წინ სიარულითა.
სტუმრის მოისე მზე მოვა, წაისე — შავი ღრუბელი,
თუ წახვალ, თანა გამიყოლ, აქ ნუ დამაგდებ საწყალსა.

სტუმრის არმიღება სირცხვილი იყო და ოჯახისათვის დიდად
სათაკილო: „სტუმარ მოვიდა კარზედა, ვერ უთხრა შინაობაო".
სტუმარი ერთობოდა აგრეთვე „ბეხვნე"-ში ან „საანჯმო"-ში (საბა-
ასო). ამ ბეხვნეზე სხდებოდა სოფლის მამაკაცობა და დროს საუბარ-
ში ატარებდა. დედაკაცებს ბეხვნეზე ჯდომა არ შეეძლოთ და ახლო-
საც არ ეკარებოდნენ. წინათ ბეხვნე ან საანჯმო თუშეთის ყველა სო-
ფელში იყო გამართული. დღეს ბეხვნე დარჩენილია სოფ. შენაქო-
ში, სოფლის შუაგულ ვაკეზე, სადაც მამაკაცები საბაასოდ სხდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშებმა ერთმანეთის დახმარებაც იციან და გაჭირვების **დროს ხელის შეწყობაც.** ვისაც მიწის დასამუშავებლად იარაღი, თუ საქონელი არ გააჩნია, მას მეზობლები შეეშველებიან და ამას „ჯარმოჯნავ"-ს უწოდებენ. ჯარმოჯნავის დროს შეელიან უსასყიდლოდ, მხოლოდ **მასპინძელმა** სადილი **უნდა** აჭამოს. რაიმე **უბედური შემთხვევით** დაზარალებულს თუშები „ოჩხარს" უმართავენ **და ყველანი ეწევიან** რითაც შეუძლიათ: ფულით, სურსათით თუ შრომით. მაგალითად, დაზარალებული მეცხვარე არაყს გამოხდის და საოჩხაროდ **მეცხვარეებს** დაუელის. ყველანი დაილოცებიან **და** ოჯახის პატრონს ცხვრით **შეეწევიან.**

ფიზიკურად თუშები მაგარი **და** ჯანმრთელი ხალხია, განსაკუთრებით ჩალმის თემის ის ნაწილი, რომელიც ბარად არ ჩადის. მომთაბარე **თუშები** კი დაავადებულები არიან ალვანის მალარიით **და** ფიზიკურადაც შედარებით სუსტნი არიან. თუშის ტიპი ქართულია. **მას აქვს** სახის სწორი მოყვანილობა, ფერით შავგვრემანია **და** ტანით საშუალო სიმაღლისაა. მთაში **და** ცხვარში გაზრდილი **თუში** გულადია; იგი მტერს მტრულად **ეხვდება** და მოყვარეს **მოყვრულად.** საზოგადოებრივ **და** საქმიან ცხოვრებაში **თუში** ზრდილი **და** თავაზიანია. **მას** უყვარს **შრომა,** გარჯილობა **და** დოვლათის **მოხვეჭა.** ამასთან, **თუში** მომჭირნეა, **დროსა** და ადგილას **ანგარიშიანიც.** აზროვნებს **დინჯად** და **საღად,** თქმაში **გონებამახვილია,** მოქმედებაში **მარდი. თუშები** მეტყველებენ **წმინდა** ქართულით, **მხოლოდ** ჩალმის **ზოგიერთ** სოფელში, ომალოსა **და** შენაქოშია **დაცული** ქართული **ენის** თუშური **თქმა,** ზოგიერთი ბგერებისა **და** სიტყვების **თავისებური** გამოთქმით [1].

ამის **სანიმუშოდ** ჩვენ აქ **მოვიყვანთ** ერთ **თუშურ** ზღაპარს:

— ერთ **მელაც** ყოფილიყო, **მოალის** თურ **მოალისადაც ერთ** ქერის **თავთავ** მეცპელ, **წავიდ** სოფლის ახლოასადაც ერთ **სახლის** კართან **დეცყუდა** **მემრ** **ეძახ:**

— **ოჯახის** **შვილებო,** **სახლში** **არ** **დამაყენებთაავ?**

— **მოდილავ,** **მელო,** **მოდაჲ,** **რად** **არ** **დაგაყენებთავ!**

---

[1] ა. **შ ა ნ ი ძ ე,** ქართული ენა ლოები მთაში (ტრებული, **ივ.** ჯავახიშვილის **რედაქციით,** ტფილისი, 1915 **წ.,** **გვ.** 185—202).



მტრის ხელებმიკრული თეშერი სახლი

შესულიყო დაც ეთქვა:

— ესეც ქერის თავთავი, სიაც მამალაც გიჯდებათავ, იქ შემინახეთავ. წასრულიყვნეს დაც, სიაც მამალაც ჯდებ, იქ დეცდვ ქერის თავთავშ.

მეორეს დილა ეთქვ მელოს:

— ეგეც ქერის თავთავ გამომიტანეთავ!

შესულიყვნეს, რაც, ქერის თავთავ მამალაცს შეცქამ. [illegible] ლის ეთქვ:

— მომცემთ ემაგ მამალაცსავ, არაო-დ, სახლ-სამყოფს დავილევთავ!

ამდგარიყვნეს დაც მიეც მამალაცჳ. წავალის თურ მელო, წავალისა დაც მეორე სოფელში წასულიყო, წასულიყო დაც ეძახა:

— ოჯახის შვილებო, სტუმარ არ გინდათაავ?

— გვინდავ, მელო, გვინდა, შემოდიღა!

— მაშიდავ, ეს მამალაცი, სიაც ყოჩ გაბიათავ, იქ დაცბითავ. წასრულიყვნენ დაც დეცბ ის მამალაცჳ, ღამ იქ დამდარიყვ მელოდ. მეორე დილა ეთქვ: ისიდ მამალაც გამომგვარეთავ!

შესრულიყვნეს და ენახვ, ყოჩს ამეცჯლიკაგ დაც შეცკლ ის მამალაცჳ. მელოს ეთქვ:

— მომცემთ, მომცემთ ემაგ ყოჩს, არაოდდ' სახლსა-დ' სამყოფს დავილევთავ.

მეტი რაც დრო ხქონდა, დაეცყვანა დაც მიეც ყოჩჳ. წავალის თურ წავალის მელაცჳ დაც ახლა სხვა სოფელში წავალის. წავიდა დეცძახა:

— სახლის პატრონებო, დღეს ღამედ შემინახეთავ!

— მოდი, მელო, მოდჳ, შეგინახავთავ.

— მაშიდ ესედ ყოჩი ბაშტეს დაცბითავ.

წასულიყვნეს, ბაშტეს შეცყვან დაც დეცბ ეს ყოჩჳ. იმ სახლის პატრონებს თურ სამ ქალებ ხყვანან: ცუტუნაც ქალ თურ მეტაც ლამაზჳ. დაწვნეს, ყველაცთ დეცძინა. ადგას ეს მელიო-დ' თურ იმ ცუტუნაც ქალს დანა მოხპარა, ყელი გამოშჭრა თავის ყოჩს, სისხლიან დანაა თურ იმ ცუტუნაც ქალს ჩუცდ ჯიბეში. მეორეს დილა თურ უთხრ:

— ჲეგელ ჩემ ყოჩ გამომგვარეთავ!

— ეი, მელო, შენ ყოჩისად ყელი ვისამ გამუცჭრია!

— არავინაც არ გამოსჭრიდა ყელს და არავინაც არა, თქვენ მოგიკლავთავ ის ყოჩიო.

— არავ, მელო, არავ, ჩვენ არ მოგვიკლავავ!

— აბა, მაშ დანებ მანახვეთავ, ვისიც დანა სისხლიანიავ, იმის მოკლულ იქნებავ ჩემ ყოჩი.

ნახეს დაც ცუტუნაც ქალის დანა იყავ სისხლიანჳ !.

— ამას მუცლავ ჩემ ყოჩივ. მომცემთ, მომცემთავ ამ ქალსავ, თუ არავ, სახლსა-დ' სამყოფს დაგილეევთავ.

ყეცყვანეს დაც მისცეს ის ქალ მელოს. ჩასვ გუდაში, ცეცკიდ ზეოგთ დაც წავალის თურ მელო, მღერის:

— ვიცინცულე, ვიკუნკულე, ერთ ქერის თავთავ მოვკელე, ქერის თავთავ მამლაცდ გავყიდე, მამალაც ყოჩად გავყიდე, ყოჩი ლამაზ ქალად გავყიდე.

იქ ახლოს თურ ყანას აკნევენ, მოკნავმ უძახ მელოს: მელო, აქალ მოდი!

წავიდ მელოი დაც დაჯდ იმ მოკნავთან, გუდაიც გვერთ დაიდვ, მემრე მოკნავმა უთხრა:

— მელო, ამ საცრით წყალ მომიტანიდივ!

წავიდ მელოი და წყალს ვერ აყენებს საცერში, მემრ უძახ მოკნავს: — მე ამ საცერში წყალს ვერ ვაყენებავ.

მოკნავმ დუცძახ: — მიწით გოზევ!

ეგოზ ამ მელაცს. იმისობაში იმ მოხნავს ის ქალი ამეცსვ გუდითა, ძაღლის ლეკვაც ჰყვანიყუ დაც ის ჩეცსვ გუდაში. ქალ კიდე დეცმალ ურნატში. მოსულიყუ მელაცა, წყალი მეყლუ, ცეცკიდ გუდაი-დ' წავალის. წუწკუნებს თურ ის ლეკვაც გუდაში, წუწკუნებს თურ, მელაც ეტყვის:

— ნუ სტირი, ქალო, ნუ სტირი, სუროს კარ წაგიყვანავ, ჯვალმალიანაცს განახვევავ.

წასულიყვნეს სუროს კარ, გეცპსნ გუდაი დაც შიგითა თურ ძაღლ ამოფრენილიყუ დაც გაქცეულიყუ. დამჯდარიყუ მელაც, ეტირ, ეტირ, ეტირ, ეტირ. ბოლოს ეთქვ, რომეე ჩემის ჰკვისასამც ყველაცს ეს მუცავ.

სიდო მაკოს ასული მოზაიძე, სოფ. დიკლო, 1932 წ.

წოვა-თუშები თავიანთ წოვურ ენაზე მეტყველებენ. მათი ენა წარმოშობით ღლიღურია და ქისტურის მონათესავე. მაგრამ ამ წოვურ ენაში მრავალია ქართულიდან ნასესხები და შეთვისებული სიტყვებიც. წოვებს უყვართ თავიანთი წოვური ენა და შინ და გარეთ ერთმანეთში წოვურად საუბრობენ. ოჯახში წოვური ყველამ იცის, მისი ეკოდინარობა სირცხვილია. ბავშვები ენას ამ წოვურით იდგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენ და შემდეგ ქართულს სწავლობენ. ქართული, ბავშვებისა და ზოგიერთი მოხუცი ქალის გარდა, წოვებში ყველამ იცის. წოვების (ზემოალვანის თუშები) ენა თუშებისა (ქვემო ალვანი და მთათუშეთის მცხოვრებნი) და ბარის ქართველებისათვის გაუგებარია. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ წოვურ ლექსს:

დალეკა ეუნუკ ვარალო, ჲოჰ, კანთა დაკდახდიიენო,
მახკარნ კნათი ყუალ ოთთბიენო, დე-ყუა ნიფსოდიიენო,
ჩაკიჩა ცეიდგლახ ლებიიენ, შუი წენბოხ ნატროდბიიენო;
ჩაკიჩა ეიდგლახ ბავინო, დოივ ჩუ კეპითიიენო;
ჩაკიჩო ცეიდგლახ ბავინჩონ ლეშ შინალ აყითიიენო...
მახკარე ტყოდც კნათი წუნბადბუიცი ჰგა ო დალენ წყენ ცუი
ალო!
ფსტეიე ტყოც მარინ ღალტბადუიცი, ჰგა, ო დალენ წყრომ
ცუი ალო!
ნაზარლახ ჩუხორეჩი ქეგოჰ ე მოკ ბა კერბადბიიენო,
თიენშმა ჰგანნა მოთთალასი, ზორეიშ ვასი მალოვალინო;
ღრატ-ღრუტახ ქე ვაშბარ ჰყერწდიიენ, დაფხარე ვასი
ქოთთოვიიენო;
ყევალეს დაფხარე ქოთთვიიენ, ჭოჭ-ჭყემპნრ დაყოდალინო...

ნეტავ რა იყო ღმერთი (ისეთი), ქალ-ვაჟს (რომ) მისცა შეცნობა
(ერთმანეთისა),
ქალებს ვაჟები მოჯამაგირედ დაუყენა, დღე-ღამე ასწორებინა;
შორეულ ადგილებში ატარა თავის სახლს დანატრებულნი;
შორეულ ადგილებში დაღუპულნი ოჯახში ცხენებით
აგზავნინა;
შორეულ ადგილებში დაღუპულთა გვამები ორად აყოფინა...
ქალები რომ კიდევ ვაჟებს იწუნებენ, მაშ ეს ღვთის წყრომა
არ არის!
ცოლები კიდევ ქმრებს რომ ღალატობენ, მაშ ეს ღვთის
წყრომა არ არის!
ნაზარლებში ბატკნიან ცხვარში (ყოფნისას) არის ეს ლექსი
გამოთქმული;
დასვენებული ნურვის ვეგონები, ძალიან ვარ დაღლილი,

ლრატეებში ცხვრის გროვებისას ოფლისგანა ვარ
შეწუხებული.
ვზივარ ოფლისგან შეწუხებული, პირ-ყელ გამშრალი...

ს ა ფ რ ი ნ დ ა ო

თუშებმა იციან სალამი და ერთმანეთის მოკითხვა. მისალმებისას ეტყვიან: გამარჯობა, ვაჟო, ან ბიჭო. უცხოს ქალები არ ესალმებიან და გამარჯვებასაც არ ეტყვიან. მუშას კი მისალმებისას დაუძახებენ: გაუმარჯოს ჯარ-მოჯნავს, მეცხვარეს და სხვა. კეთილისა და პატივისცემისათვის ასე დაილოცებიან: ღმერთმა გადღეგრძელოს;

მადლამც გაქვისა ჩემი შვილისადაო; ჯელ-მჯარიმც შეგრჩებისა; ჯელ-მჯარიმც შეგერგების; ბედი და ყისმათი დაგადევნოს ღმერთმან; დღეგრძელიმც ხარო სანამ ცაი და მზეია და სხვა. გაჯავრებისას დედაკაცები ასე იწყევლებიან: იგრემც დაილევით, როგორც ქვაზე ჩიტის კვალი; ჭინჭარიმც ამოვა შენ კართანაში; მამალაც ნულარ ყივის თქვენს ბაშტესაო, თაგვი ნულარ წრუწუნებს თქვენს ეზო-ყურესო; მუხლიმც წაგექცევა და ჯელ-მჯარი დაგიშავდებისა; გვირგვინიმც გაგიშავდება და ნუმც გაიხარებ მზის ქვეყნაზედაო; სწორნიმც გიღებდნენ ნაბდითაო; მამისკერაციმც გახდები; უქმარშვილოიმც მიწად შეხვა და სახლიმც ნაფუძრად გექნებაო; კერაცზე ჭინჭარ ამოსასვლელო; ვარსკალვიმც ჩამოვარდება შენს ძმის სწორაცდაო. ჭირში თუ ლხინში თუშები ასე იფიცებიან: ძმების სიცოცხლემა, ძმა დამიბერდეს, ამ მზის მადლმა, ამ ხის მადლმა, ამ მატყლის გამჩენის მადლმა, ამ პერის გამჩენის მადლმა, დედამიწის გამჩენის მადლმა, მომავალ მზის მადლმა და სხვა.

სწავლა-განათლების მხრივ თუშეთი ჩამორჩენილია, აქ წერა-კითხვისმცოდნეობა მამაკაცებში 50%-ს არ აღემატება, ქალებში კი — 20%-ს. თუშებს სხვა მთიელებთან შედარებით მეტი საშუალება და უკეთესი პირობები აქვთ განათლებას დაეწაფონ. მოძთაბარე თუშები ცხოვრობენ კახეთის შუაგულში, ალვანში, და აქედან შესაძლებლობა ეძლევათ დაუკავშირდნენ საქართველოს ქალაქებს და სათანადო განათლება მიიღონ. ამას ხელს უწყობს მათი ქონებრივი მდგომარეობაც, მაგრამ დღემდე თუშები სწავლას ნაკლებად მისდევენ. სწავლა-განათლების მხრივ თუშებში წინ დგანან წოვები. მათი დაინტერესება და ნასწავლთა რიცხვიც შედარებით მეტია. თუშეთში დღემდე ორი სკოლა იყო: ერთი ზემო და ერთიც ქვემო ალვანში, თუშეთში კი სკოლა სულ არ ყოფილა. რასაკვირველია, ამ ორი სკოლით შეუძლებელია შვიდი ათასზე მეტი თუშის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ამაზე ახალგაზრდა თუში მოლექსე ლ ა ზ რ ო ი მ ე დ ი ძ ე ასე მოთქვამდა:

არც სკოლა არის, ისწავლო, რომ შეისმინო სიბრძნეა,
ზოგი არს ჩემებრ ნასწავლი, როგორც მე შევისწავლეა.
ის გადაუწერს ფიცარზედ — ეს არის ანა და ბანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დაუწერს სახელებს, რომელიც მარჯვე არია,
დაუწერს სიბის ქვაზედა, ქალალდის მაგიერია.
არც აქვის საკითხ წიგნები, არც ქალალდ დასაწერია,
მეც ისე შესწავლილი ვარ, ეხლა რომ ლექსებს ვმღერია,
ესე სწავლობენ მთის ხალხი, სკოლებ ხომ აქ არ არია.

ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცა და 1931 წლის ზაფხულში თელავის განათლების განყოფილებამ თუშეთში გამოგზავნა მასწავლებელთა ბრიგადა წერა-კითხვისმცოდნეობის გავრცელების მიზნით, გაიხსნა სკოლები და საბავშვო მოედნები, კერძოდ: ომალოში, დიკლოში, შენაქოში, ქვეელურთაში, დოქოში, ჩიღოში, ფარსმაში, ჯვარბოსელში და დართლოში, სადაც მთელს ზაფხულს მეცადინეობა წარმოებდა.

მაგრამ ეს სკოლები სეზონურია და, გარდა ომალო, შენაქო და ჩიღოს სკოლისა, ზამთრობით მეცადინეობა წყდება. სკოლები მოუწყობელია და საკუთარი ბინაც არა აქვთ. მთელ თუშეთში მარტო ჩიღოში აშენდა სასკოლო შენობა, სადაც მეცადინეობა შესაძლებელია. განათლების ორგანოებმა თუშეთში უფრო ფართე საგანმანათლებლო მუშაობა უნდა აწარმოონ, რათა მოსახლეობას საშუალება მიეცეს, თავის კუთხეში მიიღოს დაწყებითი განათლება.

თუშეთში არის ორიოდე ქოხ-სამკითხველო და რადიო — სოფ. ომალოსა და ჩიღოში; რადიოს მოსახლეობა დიდის ინტერესით უსმენს. თუშეთი უკვე გამოფხიზლებულია. მისი ახალი თაობა დაინტერესებულია ცოდნის შეძენით და სწავლის მისაღებად თელავიბილისისაკენ მიეშურება. ამას დროზე უნდა ყურადღების მიქცევა. საჭიროა, მათთვის რაიონში გაიხსნას მეცხვარეობის საშუალო სამეურნეო სკოლა, რომელიც მოამზადებს დახელოვნებულ მეცხვარეთა ახალ კადრებს.

თუშეთში ყველაფერი მოძრავი და მომთაბარეა. ამიტომ აქ არ არსებობს მყარი ადგილობრივი პარტიული უჯრედები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აქ არც სასამართლოს უწყებაა. ზაფხულობით ამოდის თელავიდან გამოგზავნილი სესია, რომელიც აქვე არჩევს სამართლის საქმეებს. ზაფხულობით ომალოშია ქვემო ალვანის სასოფლო საბჭო და თელავის პოლიტბიუროს უჯრედი, რომელიც ადგილზე ატარებს ცენტრის განკარგულებებს.

თუში სოფელ შენაქოდან

საყოფაცხოვრებო საკითხებში მნიშვნელოვანია მოსახლეობის კვების ჰიგიენური პირობებისა და მკურნალობის ვითარების გარკვევა. ამ მხრივ თუშებს, სხვა მთიელებთან შედარებით, მეტი პროგრესულობა ეტყობათ. თუშები ცდილობენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და ამ მიზნით აგებენ ქალაქური ტიპის სახლებს. მათი შინამოწყობილობაც უფრო ჰიგიენურია. კვება აქ სუსტია, მიუხედავად იმისა, რომ ცხიმიანი საზრდო: ერბო, ყველი და მსუქანი ხორცი თუშეთში ბლომად მოიპოვება. ყველაფერი ეს რაციონალურად არ არის გამოზოგილი და თუში ზოგჯერ თუ მაძღარია, უმეტეს შემთხვევაში ის ცარიელ კალტზე და ქუმელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადის. თუშები დღეში სამჯერ ჭამენ: სადილი (საუზმე), სამხა-
რი (სადილი) და ვახშამი. ჭამენ ზომიერად; პ უ რ ე უ ლ შ ი ხმა-
რობენ: წმინდა პურს (ხორბალი — იფქლი), ქერის პურს, სეილის
პურს და ქერსვილას. პური ცხვება ხაშიანი და უხაშოც. თუშური
პური მრგვალი ფორმისაა, ცხვება ქვის ღუმელში და იწონის ორ
გირვანქამდე. თუშები მჭადსაც ჭამენ. მჭადი ალვანიდან ამოაქვთ.
თუშის ჩვეულებრივი საჭმელია ქერის ქუმელი.

ქ უ მ ე ლ ი ს ქერი ფიქალზე ან თუნუქის ტაშტზე იხალება,
შემდეგ ფქვავენ და გუდაში ინახავენ. პურის ჭამის წინ ქუმელს
ამოიღებენ და ხელის გუდაში ჩაპყრიან, მარილს დააყრიან და ქუ-
მელიან გუდას მუხლზე ორივე ხელით სრესავენ. ქუმელი იხილე-
ბა აგრეთვე ხის დიდ ჯამზე ან ვარცლში. გახელილ ქუმელს
იღებენ მუჭით და სჭამენ ან მას კვერის ფორმას აძლევენ
(„ყვაც") და სუფრაზე ისე ჩამოარიგებენ. ქუმელი თუშის ყოველ-
დღიური საჭმელია და მწყემს-მეცხვარეებს ქუმელიანი გუდა მუდამ
ზურგზე ჰკიდიათ. თუშების თქმით, ქუმელი მსუბუქი და ადვილად
მოსანელებელი საჭმელია და მას ქერის პურზე და მჭადზე მაღლა
აყენებენ. მისი დამზადებაც უფრო იოლია. შეშა და გამოცხობა
არ სჭირდება. სტუმრობაში ქუმელი ერბოში იზილება და ისე უფ-
რო გემრიელია.

პურის ნამცხვრებში მიღებულია შემდეგი: კ ო ტ ო რ ი (ქადა)
თხელქერქა პურის ან ქერის ნამცხვარია, რომელსაც გულად უდევს
ერბოში მორეული კალტი; მ ა ჭ კ ა ტ ი თხელია, როგორც ბლი-
ნი. ფქვილს გახსნიან კვერცხიან რძეში, შემდეგ ჩამჩით იღებენ და
გახურებულ სიპზე ასხამენ. მაჭკატი ერბოთია გაპოხილი და ჩქარა
მოიწვის. ამ მაჭკატს ხავიწში ამოაწებენ და ისე ჭამენ. გ ო რ დ ი-
ლ ა ცუ სიმინდის ან პურის მოხარშული კვერია. მას ერბოში აწე-
ბენ და ისე ჭამენ. მ ო ს მ უ ლ ა ცუ თხლად ხვეული მოხარშული
ცომია, რომელსაც ჩაყრიან კალტიან ერბოში და ჩხირებით შე-
ექცევიან. ხ ი ნ კ ა ლ ი იციან ხორცის, კარტოფილის, ჩადასი,
ჭინჭრისა და სხვა. სელის ხინკალს „პუპუ" ეწოდება. გ ა რ დ ა ნ ა —
პურს ჩაფხვნიან ერბოკვერცხიან რძეში და ცოტათი წამოადუღე-
ბენ. მ უ ს ხ უ ტ ე რ ა შვრიის ფაფაა. საფაფე შვრიას წყალში
ხარშავენ, მერე გასწურავენ და ამ განაწურ სითხეს, სანამ არ გას-

ქელდება, ადუღებენ, შემდეგ მარილს მოუკიდებენ და კოვზით ჭამენ. ფაფას აკეთებენ პურისა და სიმინდის ფქვილისაგანაც.

შეჭამანდს თუშები „სატან-საპოხს" უწოდებენ. რძის ნაწარმებში ხმარობენ: ყველს, ერბოს და კარაქს. კარაქს იშვიათად ჭამენ, კალტი კი ჩვეულებრივი საჭმელია. ბ უ ყ დ უ ნ ა ც კალტის ხავიწია. ყოლო — მეავე დოში ხმელ პურს ჩაფხვნიან და ისე ჭამენ. ე რ ბ ო ა ნ ყ ვ ა ც — ქუმელს კალტში გაზელავენ და ერბოთი ჭამენ. ს ა ჩ ხ რ ე კ ა ც[1] მეავე დოა, რომელშიაც ქუმელია გახსნილი და მას კოვზით „ხვრეტენ". ჩ ო გ ი გაზელილი ყველია და მას მეცხვარეები ქუმელს ატანენ. საჩოგედ ახლად ამოღებულ ყველს სამი დღე უმარილოდ ინახავენ, ყველი ფუვდება და მეავდება. შემდეგ მას ხელით სჭყლეტენ, მარილში გაზელავენ და გუდაში ინახავენ.

ხორცეულში თუშები ჭამენ: ცხვარს, თხას, ხარ-ძროხას, ზოგიერთი ღორსაც, დათვს, ფსიტს, შველს, ირემს, კურდღელს, თევზს, კათამს, მტრედს, კაკაბს, შურთხს, როჭოს და სხვა. ცხვრის ხორციასაგან ამზადებენ „ყაურმას". ამისათვის ცხვარს თავის დუმაში მოსწვავენ და გუდაში ჩააწყობენ. ხ ა შ ლ ა მ ა ციცად მოხარშული ხორცია. ბოზბაში წვნიანი ხორცია. იციან ჩიხირთმის გაკეთებაც, რომელსაც საფანელით და კოწახურით ამზადებენ. „ყალი" მზეზე გამომშრალი ცხვრის ხორცია და მას ზამთრისათვის ინახავენ. დამარილებული ყალი არის გამოყვანილი. მას უმად და წვენში მოხარშულსაც ჭამენ. ამ საჭმელში საუკეთესოდ ითვლება ყაურმა, კოტორი და ხინკალი. თუშეთში ბოსტნეული და ხილი არ არის და მწვანილეულის მოთხოვნილებას სხვადასხვა მინდვრის ბალახეულით იკმაყოფილებენ. ზოგი ბალახი მხლად იხმარება. აზავებენ მარილერბოში და ისე ჭამენ. ასეთი ბალახებია: ძაღლთაოლაც, ღოლო, ღანძილი, დუცი, ჭინჭარი, საღვიძლაც, ქვიშამხალა, ბუერა, თათაბო, სასუქაც, ვაშლისულაც, ჩადა, გიზინტარი, ძირხვენაც, მძივანაც, გომატი და სხვა.

---

[1] ერეკლე მეფის ამალაში ერთ თუშს დიდი ეჯაჯაობა გამოუჩენია. მეფეს ბულადი თუში დაუსაჩუქრებია და თავის სუფრაზე დაუწვევია, მაგრამ თუშს ირიფერი უჭამია. მეფეს ეს სწყენია და უთქვამს: „თუშო, რა საჭმელი გსურს, რომ მოვატანინო"-ო. თუშს უთქვამს: საჩხრეკაც მომიტანეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოვათუშები

ზოგიერთ ამ ბალახს დაჭრიან, წყალში მოხარშავენ, ფქვილის საფახელს მოუკიდებენ და ისე ჭამენ. ამ საჭმელს „ჩავე" ჰქვია. უფრო ხშირად ჭამენ: ჭიმს, მჟაუნას, გიერას, წირთხალს, ჯარნუყაცს. მას მჟავე დომი აწებენ და ისე ჭამენ: მარიამძმარას, შუბყას, დიყს, ჯორთკუდაცს, დეკას, კლდის დუმაცს, მათუთს, შატყს, ვირბატრას, ჭარცხვს, კვლიავს და სხვა. წნილად ამჟავებენ: შებუს, დიყს, სასუქაცს და ჭიმს. საჭმელის სანელებლებად იხმარება: ჭონდარი, წყლის მჟაუნა და ნიორი. მთათუშეთის მოსახლეობა იკვებება ტყისა და მინდვრის ხილით: შავი ყოლი, სტომი, კეწერა, მარწყვი, ხურტკმელი, ხუნწი, შოთხვი, ჰვაფა (მალინა), ცირცელი, თურსაც,



სიქვაბე

ბინილი, კოწიბერი, ალუდა, ხაფხოლი, ესკალაგ და დედოფლაგ. ჭამენ აგრეთვე „ხალცუცაგ"-ს — ფიქვის ნორჩი ყლორტია. ლეჭავენ „ოჭს" (ყვავი). წუწნიან „მოწს" — ფიქვის კანქვეშა წვენს. თამბაქოს ძალიან ეტანებიან და თითქმის ყველა ეწევა. დედაკაცები ბეურნეთს ხმარობენ.

თუშებს სასმელი უყვართ და მას შინ ამზადებენ. ჩაის ნაცვლად ხმარობენ მოხარშულ თავშავის წვენს, გულბანდს, გიეშს და ქონდარს. მაგარ სასმელებში ეტანებიან ღვინოს, რომელიც თუშეთში ძნელი საშოვარია და მას კახეთიდან ეზიდებიან. თუშის ჩვეულებრივი სასმელია: ნიხი, არაყი და ლუდი (ალუდი). ნიხი შერიის წვე-

საქვაბე

ნიდან მზადდება. შვრია იხარშება, შემდეგ მას ერთ მუჭა ფორს დააყრიან. ფორი მას ორ დღეში ამკავებს და ასე დამზადებული ნიხი შუშხუნა სასმელია.

არაყი ჩვეულებრივი წესით მზადდება. თუშები ქერის არაყს ხდიან. საარაყე ქერს მსხვილად, „გვრიშად", დაფქვავენ, ქვაბში ჩაყრიან და ერთს წამოადუღებენ. შემდეგ კოდში გადაიღებენ და ფორს დააყრიან. რამოდენიმე დღის განმავლობაში ის მკავდება და მერე ისევ ქვაბში ასხამენ, ზედაც ზარფუშს დაადგამენ. ქვაბს ძლიერ ცეცხლს შეუნთებენ და, რომ არ დაიხრაკოს, ზოგჯერ გრძელი ჯოხით მოურევენ. ზარფუშის მილი მოთავსებულია საცივარ გეჯაში და ამ მილიდან არაყი ჭურჭელში იწურება. თავი, „წინა", არაყი, მაგარი და სასიამოვნო დასალევია. „შამანი", ანუ ნაბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარა არაყი მწლაკე და უგემურია. არყის გამონახად ჯოტს (ჩენჩოს) აშრობენ და ზამთარში საქონელს აჭმევენ.

ლუდიც, თუშური ალუდი, ქერისაგან იხარშება, ზოგჯერ იხარშება სვილისაგანაც. ლუდი საპატიო სასმელია და ის განსაკუთრებულ შემთხვევებში: ხატობას, ქორწილსა და ტირილში იხარშება. ლუდს ამზადებენ საქვაბეში (სალუდე), რომელიც სოფლის რომელიმე უბანშია მოთავსებული. ზოგიერთ სოფელში ორი სალუ-



საზისწვნე ნავი

დეა გამართული. სალუდე სიპი ქვითაა ნაგები და წარმოადგენს ერთ დიდ მიწურ ოთახს, სადაც სალუდე ჭურჭელი და იარაღია მოთავსებული. საქვაბე სოფლის საკუთრებაა და მასში წილი უძევთ მხოლოდ მამულიან მეკომურებს.

სალუდე ქერი ჯერ ფორად უნდა იქცეს, ე. ი. წყალში დამბალი ქერი შრება და შემდეგ ტკბება. ამ ფორს დაფქვავენ, სალუდე ქვაბში ჩაყრიან და ადუღებენ. როცა ნადუღი დაიწმინდება, ლუდს ქვაბიდან ტარკოშით იღებენ და კოდში ასხამენ. ქვაბის ძირში დალექილ ჯოტს (ჩენჩოს) ტომრის პარკებში, „ხაკში" გადაიღებენ და „ჯვედით" (თავბრტყელი ჯოხია) ჩახეპავენ. ხაკებს აელში „საყე-

ლაგ"-ს გაუმერენ, რომელიც ორწნელიანი ჩხირისაგან შედგებაო. ეს
პოტიანი პარკები ნავში ჯერ ორტოტა ხის „არტახებით" იწერება
და შემდეგ ზედვე გამართულ კიდზე ჩამოჰკიდებენ და ისე წერა-
ვენ. კოდში და ნავში მოთავსებულ ლუდის „დარკოს" (წვენს) ისევ
ქვაბში ასხამენ და თან სვებალახს ჩაატანენ. სამ კოდ ლუდს ეხდა



ტარკოში და საწდე

5—6 ლიტრა სვე, რომელიც კახეთიდან მოაქვთ, სახელდობრ, შილ-
დიდან, ენისლიდან და ართანა-ნაფარეულიდან. სალუდეში ქვაბს
ახლა მაგარ ცეცხლს შეუნთებენ, გრძელი ჯოხით „ქოჯოთი" ურე-
ვენ და დილა-საღამომდის ძლიერ ადუღებენ, სანამ დარკო არ და-
იდუღებს. მოდუღებულ ლუდს ქვაბიდან ტარკოშით საწდეში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწურავენ და საწდეთი ნავის თავზე დაგებულ დაჯირას ბალახზე ასხამენ, რომ ლუდის წვენი სვებალახისაგან გაიწუროს. გაწმენდილ ლუდს ნავიდან კოდში გადაასხამენ და გრილ ადგილას მოათავსებენ.

ლუდსა და არაყს თუშები ბევრსა სვამენ. ლუდის სასმელად ხმარობენ ჯიხვის რქებს, არყისათვის კი ყანწებს. ხატში და ქორწილ-ტირილში ლუდი განუსაზღვრელი ისმის, ვისაც რამდენის დალევა შეუძლია. სასმლის დაძალებაც იციან. აქაური ლუდი სასიამოვნო სასმელია.

თუშეთის მოსახლეობა ჯანმრთელია, განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელიც ბარად არ ჩადის. ამას ხელს უწყობს მაღალი მთის სადი ჰაერი და ცხიმოვან ნივთიერებათა სიუხვე, მაგრამ ანტიჰიგიენური პირობების გამო სხვადასხვა სენი აქაცაა გავრცელებული. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია მალარია (25%). აციებს მომთაბარე თუშებს, ალვანში და შირაქში მცხოვრებლებს. ალვანი ციებ-ცხელებიანი ადგილია და ზაფხულში მეტად ცხელი. ალვანელ თუშებს ეს ციება სხეულში აქვთ გამჯდარი და მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულობით მთათუშეთში იხიზნებიან, ყველას მაინც აციებს. შემდეგ გავრცელებულია კბილ-ღრძილის დაჩირქება (8%), ჭლექი (8%) და რევმატიზმი (9%). ხშირია ჭრილობა და სიმსივნე. გავრცელებულია აგრეთვე მუცლის ჭია, არის რახიტის შემთხვევები. ფიზიკურ ნაკლში აქ გვხვდება სიყოჩლე.

ხალხის მკურნალობის საქმე თუშეთში უნუგეშო მდგომარეობაშია. მთელ თუშეთში ერთი საფერშლო პუნქტია სოფ. ომალოში. ზაფხულობით მუშაობს თელავიდან მოვლინებული ექიმი, ზამთრობით კი რჩება მხოლოდ ერთი ფერშალი, რომელიც წამალსაც თვითონ ამზადებს. რასაკვირველია, ასეთ მოზრდილ რაიონს ერთი ფერშალი ვერ მოემსახურება და ამიტომ მკურნალობის საქმე ექიმბაშების ხელშია. ამის შედეგია სიკვდილიანობის ხშირი შემთხვევები, რასაც ყურადღება დროზე უნდა მიექცეს.

აქაური ექიმბაშების ზოგიერთ სნეულებათა რეცეპტურა ასეთია: მ უ ც ლ ი ს ტკივილისას ავადმყოფს აქმევენ პილპილს ან დარკოს წვენს შეასმევენ. ზოგჯერ შაქრიან ცხელ არაყსაც ასმევენ. იციან აგრეთვე დათვის „ნაუღელის" (ნაღველი) და საბრის დალევინება. ხ ვ ე ლ ი ს წამალი გულბანდის ბალახის ნახარშია.

ასმევენ აგრეთვე ხარის „ნაყვერა“ ქონს, რომელსაც ადნობენ და ღვინის ჭიქით შეასმევენ. სისხლიანს მუცლის სისუსტის მოსაჭრელად ასმევენ ირმის კუდისაგან დამზადებულ წამალს. მოძებნიან ირმის კუდის ძვალს, დაფქვავენ, წყალში გახსნიან და ავადმყოფს შეასმევენ. მალარიის წინააღმდეგ წიწაკიან არაყს ხმაროობენ. ტეხვა როცა მოუვა ადამიანს, მოაგროვებენ ცხრა სხვადასხვა ბალახს და ქვაბში მოხარშავენ. ქვაბზე ლასტს დადგამენ, რომელზედაც ჩვრებია გაფენილი, ავადმყოფი ზედ დაწვება და ოფლს იღენს. სიმსივნისას სხვადასხვა ფაფას ადებენ: მოხარშულ შხამას, ქუმელის ფაფას და შალდაყის მოხარშულ ძირს. დაჩირქებულის გამოსარწყავად ხმაროობენ მრავალძარღვას. ამ ბალახს გასრესენ და ისე ადებენ. აგრეთვე ამზადებენ თხის ქონისა და ოჭის (ფიჭვის წვენია) მალამოს, რომელიც დაზიანებულ ხორცს ამოსჭამს და ჩირქსაც ამოსწოვს.

კბილის ტკივილის დროს ბუკვანს (ყვარი) მტკივნეულ კბილში იდებენ და შუპყაცის ძირსაც კვვივით ლეჭავენ და ზაფრანასაც იდებენ. დაჭრილის წამალია მარგალიტა ბალახი, რომელსაც ახმობენ, ფქვავენ და ჭრილობაზე აყრიან. ჩიტინაცცაცა (ჯიბლიბო) როცა გამოუვათ, წითელ ძაფიან ნემსს თვალის გასწვრივ მანდილზე ჩამოკიდებენ და ავადმყოფმა მას უნდა უცქიროს.

ყოფის დამახასიათებელი რეალიები

ათუშეთის ლამაზი ბუნების სივრცეზე მიმოფანტულია ციხეკოშკოვანი კოხტა თუშური სოფლები, რომლებიც მთის ფერდობებზეა გაშენებული და შემოზღუდულია ღრმა ხევებით. სოფლის მოსახლეობა შეჯგუფებულია და ამ მხრივ ის არ განსხვავდება მთის მოსახლეობის ჩვეულებრივი ტიპისაგან. აქა-იქ, ღრმა ხევებსა და მთის მაღალ ბორცვებზე, მოჩანს ძველი ციხეების ნანგრევები. ზოგიერთ სოფელში ეს ციხეები დღესაც კარგად არის დაცული და წარმოადგენენ საყურადღებო ისტორიულ ძეგლებს. საინტერესოა ცნობა მათი ნაგებობის კონსტრუქციის და გმირული



სოფელი ომალო და მისი ციხე

თავგადასავლის, რომელიც ლეგსისა თუ თქმულების სახით ხალხს დღემდე შეუნახავს.

თემური წყობილების დროს ციხე იყო ადამიანის საიმედო თავშესაფარი, სადაც მტრის შემოსევის დროს ის თავისი საქონელ-დოვლათითურთ იხიზნებოდა და არსებობისათვის იბრძოდა. უციხო გვარი მტერს ვერ უმკლავდებოდა და ფიზიკურად ნადგურდებოდა. ამიტომ თემი, თუ სოფელი შეერთებული ძალით აგებდა მრავალსართულიან მაგარ ციხეს, რომ თავდაცვისათვის მუდამ მზად ყოფილიყო. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ შეუუდგებით თუშეთის ყველა საომარი ციხის აღწერა-ალნუსხვას, მხოლოდ შეეხებით ტიპიურსა და მნიშვნელოვან სიმაგრეებს.

ნაგებობის კონსტრუქციითა და არქიტექტურული ფორმით თუშეთის საომარი ციხეები ორგვარი ტიპისანი არიან. პირველი თავისი ფორმით ოთხკუთხედია და სამ-ოთხ სართულიანი. დატანებული აქვს კვადრატულად გამოჭრილი პატარა სათოფურები და ქვე-



ომალოს ციხე

მო ერთი შესავალი კარი სართულიდან. სახურავი ერთფარდულია-ანია და ფიქალი ქვებითაა გადახურული. ასეთია ომალოს ციხე კესელო (მაგარი), რომელიც ნაგებია სიმი კლდის მაღალ ბორცვზე. კლდის დასავლეთის ფერდობი ეშვება ალაზნის ღრმა ხევში და დაფარულია ფიჭვნარით. ციხის მოედანი დავაკებულია. მოედნის ფართობი უდრის 20×10 მეტრს და შემოვლებული აქვს აღმოსავლეთის მხარეზე მაღალი გალავანი, ერთი კარით. გალავანი აღმოსავლეთ-დასავლეთით გამაგრებულია სამი კოშკით. ციხეს პირველი სართულიდან აქვს ერთი კარი 1,2×0,70 მ. კედლებში გამოჭრილია სარკმლები და სათოფურები. ციხის ფორმა კვადრატულია (5×4,50 მ), კედლის სისქე უდრის 60 სმ და სიმაღლე 8—10 მეტრამდე აღწევს. დღეს ციხე თავმორღვეულია და ჩაქცეული, დარჩენილია მხოლოდ ცარიელი კედლები. კედლის კუთხეებში ქვის საფეხურებია დატანებული, რომლებზედაც ხეები ყოფილა გადებული და ფიქალი ქვებით დაფენილი.

ომალოს ციხე მიუდგომელია. ერთადერთი მისავალი გზა აღმა-სავლეთის მხარეზეა და ესეც ქვითკირის გალავნით ყოფილა შემოზღუდული. გალავნის გარეთ დაცულია ჩარდახიანი ქვითკირის სამი სახლი: ერთი ეკუთვნის ბიღოიძეს, მეორე თავბერიძეს და მესამე ვარდანაიძეს. წინათ ომალოს მოსახლეობა ამ ციხესთან ყოფილა შეჯგუფებული, შემდეგ კი სოფელი თანდათანობით დაბლა, დღევანდელ ომალოს ვაკეზე ჩასულა. ხალხის გადმოცემით, შამილისა და ლეკიანობის დროს სოფელი ამ ციხეში იხიზნებოდა და იბრძოდა, რომლის მომსწრე მოხუცი აქ დღესაც არაერთია.

ომალოს ტიპის ციხეს ზოგან ჩარდახებიც აქვს მიშენებული, საიდანაც მტერს „გოხებს", ქვებს უშენდნენ. ასეთია წოვათში ინდურთის სამი ციხე, მალალ ბორცვზე ნაგები და ქვითკირის გალავნით შემოზღუდული. ციხე 4—6 სართულიანია, ჭერ-იატაკი ჩაქცეულია. ციხე კვადრატულია (7,3×7,1 მეტრი) და აქვს ერთი შესასვლელი კარი (1,09×0,76 მ) პირველი სართულიდან. ციხის ოთხივე კედელზე მიშენებულია ჩარდახი, კედლის სისქე ერთ მეტრამდეა. ციხის ჩრდილოეთის მხარეზე ინდურთის წყლის მიმართულებით მიწის ქვეშ გაყვანილია დახურული გვირაბი, საიდანაც მეციხოვნეებს თურმე წყალი უზიდნიათ. დღეს გვირაბი ჩაქცეულია, მისი სიგრძე, დაახლოებით, 120 მეტრს აღწევს. წოვათას ამ სამ ციხეს მტერი არაერთხელ მისდგომია, განსაკუთრებით ქისტები, მაგრამ ვერ გაუტეხიათ და დამარცხებული უკუქცეულან.

წოვათას სამო ციხეო, მშვენივრად დგეხართ გორზეო,
ბევრი მოგთხოვენ ნატვრასა მტერთანა საომარშიო.
მზის ამოსვლისი ხანზედა გადმოდგებ ქისტის ჯარიო,
წყალს გამოვიდა ბელადი, სოფელს მოსთხოვოს ძირიო.
ხმლით გადავიდეთ, სწორებო, ცდის მოგვივიდა ხანიო,
უშიშრად დავკრათ ფრანგული, თავ ვაყრევინოთ მტერსაო.
სამი დღე-ღამე გათენდა, შუქ არ უნახავთ მზისაო,
თოფისი ჯანლი ჩამოწვა, ალარ სჩანს მთა და ბარიო,
ალაბან სისხლად ქცეულა, ალარ ისმევა წყალიო,
სიმწყურვლით იხოცებიან პირიქით მეომარნია.
გასწყვიტეს ქისტის ლაშქარი, მოამბედ დარჩა სამია,
სამთავე დააჭრეს მარჯვენა, გაგზავნეს დალესტანშია.

წადით, უამბეთ დაღესტანს დახვედრა წოვათასიო,
წოვათის მანდილოსნები ნიჩბით ხვეტავენ ტყვიასო...
ქვიშასავითა ეყარა ნასროლ ქისტ-დაღესტნისაო.
ამ ლექსის გამლექსებელი წოვათას თუშის ქალიო,
გულლალი არვის გეგონოთ, გულჯავრიანი ვარიო,
მომწყინდა ეგეთ დროება, მუდამ ყოფნაი ომშიო,
ქალი და ვაჟნი ველარა ვხარობთ, დრონი გვაქვს მეტად
მწარეო.

ომალოსა და ინდურთის ყაიდის ციხეები თუშეთში გავრცელებულია ჩაღმასა და გომეწრის თემში. ციხეები უმეტეს შემთხვევაში მრავალად და ულულაბოდ ნაგებია, მაგრამ მტკიცეა და ფორმით სიმეტრიული.

მეორე ტიპის თუშური საომარი ციხე პირამიდულსახურავიანია. ამ ფორმის ციხეები გავრცელებულია მხოლოდ პირიქითის ხეობაში, დართლოდან მოყოლებული ნასოფლარ ჭონთიომდე. ეს პირამიდულგუმბათიანი ციხეები ნაშენია დუღაბით და შედარებით კარგადაა დაცული, მისი კონსტრუქცია და არქიტექტურული ფორმაც ლამაზია.

ჩვენ აქ მოვიყვანთ სოფ. დართლოში ჩვენ მიერ აგებული ამ ტიპის ციხის აღწერას. დართლოში ორი ასეთი ციხეა. ერთი სოფლის უკან არის მოქცეული და იდოიძეთ ციხეს ეძახიან. მეორე კი შუა სოფელშია და სასოფლო ციხედ არის ცნობილი. წინათ ნაჭაურიძეების ციხეს უწოდებდნენ, დღეს კი ნადირაანთ ციხეს ეძახიან. ნადირაანთ ციხე კვადრატულია (4.40×4,40 მ).

პირველი სართული წარმოადგენს ბნელ და დახურულ სარდაფს, სადაც ჩასვლა შეიძლება მეორე სართულის იატაკში ამოჭრილი ერდოდან (65×30 სმ) ხის კიბის საშუალებით. ამ სარდაფში ტყვეებს ამწყვდევდნენ.

მეორე სართულის სამხრეთის კედელზე პატარა კარია გამოჭრილი (65×45 სმ) და ზედ გამართულია ხის მაგარი კარი. ციხეში მხოლოდ ამ კარით შეიძლება შესვლა ხის მოძრავი კიბის დახმარებით, რომელიც ციხეში შეჰქონდათ. ეს სართული თაღიანია და მას ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მესამე სართულზე ასასვლელი ერდო აქვს გამოჭრილი.

ფარდაგი

ხურჯინი

ხვეული

აბგა



მეექვსე სართული თაღიანია და ოთხსავე მხრივ გამოჭრილია მაღალთაღიანი განიერი სარკმელი, რომლის ქვეშ გამართულია დახურული ჩარდახი. ციხის სახურავი ნაგებია სიპი ფაქალით, რომლის საფეხურებისებური მიმართულება ჰქმნის პირამიდული გუმბათის ფორმას.

ბრძოლის დროს ციხის თითოეული სართული თავდაცვისათვის იყო გამოყენებული: პირველ სართულში ტყვეებს ამწყვდევდნენ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთეში მეკომურები იხიზნებოდნენ, მეექვსე სართული საომრად იყო გამართული. აქ იყვნენ მზვერავ-მეციხოვნენი. ისინი ჩარდახებიდან ისროდნენ თოფებს, ავორებდნენ ქვებს და ამგვარად იგერიებდნენ კარზე მომდგარ მტრებს.

დართლოს ამ ციხეს განსაკუთრებით ლეკები თურმე მტრობდნენ. ხალხური გადმოცემით, ეს მაგარი ციხე ლეკებს ხელში ჩაუვდიათ და შიგ გამაგრებულან. თუშები მზვერავები ციხეს მალმალ უვლიდნენ. ერთხელ ციხის სარკმელთან შეუმჩნევიათ სადარაჯოზე მდგარი ლეკი, რომელიც დამის წყვდიადში ჩიბუხს თურმე აბოლებდა. თუშ მსროლელს ყალიონი მიზანში ამოუღია და მეექვსე სართულში მდგომი ლეკისათვის ტყვიით პირი გაუგმირია. ჩქარა თუშების რაზმიც მოსულა, ციხე აუღიათ და დამარცხებული ლეკები გაქცეულან.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, გუმბათიანი ტიპის ციხე თუშეთში გავრცელებულია მხოლოდ პირიქითა ხევბაში და თავისი ფორმითა და კონსტრუქციით ემსგავსება პირიქითა ხევსურეთსა[1] და ჭისტეთ-ჩაჩნეთში[2] არსებულ ამავე ტიპის ციხეებს. საინტერესოა მათი წარმოშობის და სადაურობის საკითხის გარკვევა.

თუშების გადმოცემით, აქაური ციხეები ლეკების ნაშენიათ. მაგალითად, ჭონთიოსა და გირევის ციხე, ხალხური თქმულებით, მამა-შვილ ლეკს აუშენებია. ჭონთოს ციხე აუშენებია მამას, შვილს კი გირევის ციხე. ჭონთიოელები ოსტატს თურმე კარგად კვებავ-

---

[1] Радде, Хевсурия и Хевсуры, Тифл., 1881 г., зз. 235.

[2] И. П. Щеблыкин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры (Известия ингуш. научно-исследов. института краеведения, Владикавказ, 1928 г., 271—272).

დნენ, სულ ერბო-კარაქს აჭმევდნენ. ციხის აგებისათვის ითვრა-ძეებს მისთვის 60 ძროხა მიუციათ. ერთხელ შვილს მამისათვის შეუჩივლია: „შენ რომ ჭონთიოელები ერბო-კარაქით გკვებავენ, მე კი გირეველები მარტო საჩხრეკაცს მაჭმევენ, ამიტომ უნდა ვუღალატო, ციხე ცუდად ავაგო, რომ თავზე დაენგრეთო". მამას უთქვამს: „თვითონ გირეველები რასა სჭამენო?"

— ჯოტსაო, — უპასუხნია გირეველ ოსტატს.

— მაშ შენთვის კარგად უჭმევიათ და არ უღალატო, რადგან ჯოტზე უკეთესი რომ თვითონ ეჭამათ, იმაზე უკეთესს შენ მოგართმევდნენო.

მართალია, დღევანდელ თუშეთში სახლის ამგები ოსტატები ლეკებია, მაგრამ ამ ძველი ციხეების აგების დროს, საეჭვოა, თუშების მოსისხლე მტრებს, ლეკებს მათთვის ასეთი მაგარი ციხეები აეგოთ.

არც თუშებისათვის იქნებოდა ეს მისაღები, რადგან მტრის ხელით ნაგები ციხე საეჭვო სიმტკიცისა უნდა ყოფილიყო და თავდაცვისათვის გამოუსადეგარი. მაგრამ ჩვენთვის ოსტატის ვინაობაზე უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია ამ გუმბათიანი ციხის სტრუქტურის სადაურობის გარკვევა. მისი მაგვარი ციხე დაღესტანში არ გვხვდება. ამიტომ საინტერესოა იმის დადგენა, კავკასიონის რომელ მხარეშია ის წარმოშობილი და შემდეგ მეზობელ კუთხეებში გავრცელებული.

ამ ტიპის ქისტური ციხეების შესახებ მკვლევართა აზრია, რომ მათი ფორმა ქისტეთში შესული უნდა იყოს საქართველოდან, რომლის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის ქვეშ ქისტეთი წარსულში იმყოფებოდა[1]. ამას ისიც მოწმობს, რომ ამ ტიპის კოშკი დღესაც დაცულია ანანურის ციხის გალავანში. ასეთივე პირამიდულსახურავიანი ხატ-სამლოცველოები მოიპოვება ფშავში. ეტყობა, ციხის ოსტატები კავკასიონის ამ არეში პირიქითა ხევსურეთ-თუშეთში და აქედან ქისტეთშიაც გარკვეული მოსაზრებით აგებდნენ გუმბათიანი ტიპის ციხეებს.

სამწუხაროდ, ამ ციხეებს წარწერა არა აქვთ, რომ შესაძლებელი იყოს შენების დროისა და ოსტატის ვინაობის დადგენა.

---

[1] Известия Ингушского института краеведения, I, 1928 г., стр. 48, 280.



დარბაზის ციხე და მისი ჭრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დართლის ციხის გეგმა

მხოლოდ დართლის ციხის კარიბჭეზეა დაცული ამ მხრივ ჩვენთვის უმნიშვნელო წარწერა. მაგრამ თუშეთის ისტორიული წარსულის მიხედვით შესაძლებელია, დაახლოებით მაინც, ამ ციხეების წარმოშობის დროის განსაზღვრა. ეს დროა XVI—XVIII საუკუნეები,

როდესაც ფეოდალური საქართველო დაეცა და ჩვენში გაძლიერ[illegible]
და სპარსეთ-ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა, რომელსაც მოპ-
ყვა ლეკების გამანადგურებელი თარეში. ჯერ ლეკები და შემდეგ
მათ ინგუშ-ჩაჩნებიც მიპყვნენ და აოხრებდნენ თუშეთის მოსახ-
ლეობას. თავდაცვისათვის საჭირო იყო მაგარი ციხე, ჩარდახ-სათო-
ფურებით გამართული და გრძელი კაკიანი თოფები. ამ ციხეებში
მოსახლეობა თავგანწირვით იბრძოდა. ამის შესახებ, ლექსად თუ
პროზად, მრავალი თქმულება დღემდეა დარჩენილი. ამ მხრივ
ცნობილია ფარსმისა და ჰელოს ციხე. ფარსმის მაღალი ციხე შიგ
შუა სოფელშია აღმართული და კარგად არის დაცული. ამ ციხეს-
თან დამარცხდა, სხვათა შორის, ქისტის ცნობილი ბელადი მურთა-
ზი, რომელმაც თავისი ზარბაზანიც აქ დაადგა და დამარცხებული
გაიქცა. საყურადღებოა ჰელოს ციხის ტრადიციული თავგადასავა-
ლიც. ციხე ჰკუთვნებია ცნობილ გმირს ზურაბს. სოფ. ჰელო მაღა-
ლი მთის წვერზეა ნაგები, რომელიც დღეს უკაცრიელია და პარ-
ტახი. მაღალი აწვეტილი ზურაბის ეს მიუდგომელი და მაგარი ცი-
ხე დღესაც ამაყად გასცქერის ნაროვანისა და ჭონთიოს ბუმბერაზ
არეს. ციხის გმირულ ეპოპეას თუში მეცხვარე ლექსად მოგვითხ-
რობს:

— გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ჰელოსა?
როგორ დაეცნენ ლეკები ზურაბის ციხე-ეზოსა?
— არ მინდა ძველი დარდები, რომ გულში აიწეწოსა,
მე რა უნდა ვთქვა, კაცობა მიქელმა დაიკვეხოსა,
ჩემფერეების სიცოცხლე სამარემ დაილეკოსა,
ვერ შეეძლე იმის მხრის ჭერა, ვერ მოვკვდი, სული მეტკბილა,
თავის აღება არ მწადის, ველარ გავშლილვარ წელშია,
მიქელის ომი და ქცევა ნეტავი თვალით გეხილა.
— ის რისთვის გესირცხვილება, რაიც არ არის სირცხვილი,
ჩვენც ვიცით, აგრე გავიგეთ ამბავი კილო-კავადა.
არც ერთი დაგმო, ღმერთმანი, არ ვინ მოგვიკვნენ ავადა,
გენუკავთ, ომისა ამბავი ახლა გვიამბო თავადა.
— დიდი მოვიდა მტრის ჯარი, გარს შემოგვერტყა ლობედა,
შვიდ დღე-ღამე ომ გვქონდა, ვიგერიეთა თოფითა,
დიაცნი წამალს გვირწყავდნენ, ქების ღირსია სწორედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე დღეს ტყვია-წამალი გასწყდა, გათავდა სრულადა,
ბედმა გვიმუხდლა ტიალმა, გავეცუდით, გავირიყენით,
მოდგა და მოდგა მტრის ჯარი, ციხეს მოერტყა, ლიბოსა,
რჩებოდა ჩვენი ქავ-ციხე გულხადარას და დიდოსა.
ცეცხლად გადიქცა მიქელი, მარტო ოხრავდა, კვნესოდა:
„უნდა ცოლ-შვილით მტერს დავრჩეთ, სირცხვილი კისრით
ვზიდოთა!
მას მერმე ტანზე აბჯარი როგორღა დავიკიდოთა?“
თოფისა სროლისაგანა ლოყვაი მხართა ეკიდა,
თოფის ნაცემი წამლითა თვალითა ალარ უჩანდა.
„ვაი დედასა მტრისასა, ისევ მე დაგხოცთ ცოლ-შვილთა“.
ესა სთქვა, ხმალზე ხელ გახკრა, თავები დასჭრა წამზედა.
მიქელამ, ზურაბის შვილმა, სულეთი წაიხდინაო,
თითონვე დასცა ცოლ-შვილი, უფალს წინ წაუდგებაო.
მტერს მიეგება ციხის კარს, მეც იმათ მივყვე კვალზედა,
გაუხტა ხმალ მოღირებით, ფრანგულმა გაიცინაო,
თორმეტი მოკლა ციხის კარს, ერთურთზე დააწვინაო,
ვეფხვსა დააცვდა კლანჭები, მიქელმაც დაიძინაო.
ჰელოს ატირდენ ქალები: ვა რა მტრებმ შეგვაწუხაო,
სტუმრულად მოგვიდიანო, ძალად შინ შემოდიანო,
გაგზავნილ მეცნეებისა ხმა-ჭკვა არსადა არიო,
რაღა დროს მიშველებაო, მტერმა აიკლო სოფელი.
ჰელოს ძირს შემოხვივოდა სამციხელების თოფები,
ლაროვანს ჩამოდგებოდა ლეგ-ლეგა ფშავლის შვილები,
ქვაკიდში ჩამოვიდოდნენ ჭრელ-ჭრელა ხევსურთ შვილები,
შეეწიენიან ჩხათანას, ცისას ჰგავს ჩამოტეხვასა.
ქვაკიდის ჭალას გამოდის ბახაის თოფის ჩქამით,
გასჭირებოდა ბახასა ალარ ატყვია ფშავლობა,
დაებრუნიან ტყვეები თვალცრემლიანი ქალები[1].

საბა ითიერიძე. სოფ. გირევი, 1931 წ.

---

[1] ამ ლექსში არევიდ არის წარმოდგენილი ხალხური ლექსები ჰელოს ციხის ტრაგედიაზე და ეკა-ფშაველას „ბაკური“ (რ ე დ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალამაზციხეებიანი თუშეთის სოფლები თავიანთი კოშკოვან-ჩარ-ღახოვანი მაღალი სახლებით გმირულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. სოფლის მოსახლეობა შეჯგუფებულია, სოფლები კი ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული. მართალია, ერთი თემის სოფლები ალაზნის ერთ რომელიმე აუზშია მოქცეული, მაგრამ სოფლები გაშენებულია მთის მაღლობებზე და ერთმანეთისაგან ღრმა ხევებითაა მოწყვეტილი და შემოზღუდული. ამიტომ აქაურ სოფლებში მიმოსვლაც ძნელია, სადაც ჯერ ღრმა ხევში ეშვებით და შემდეგ ისევ ალმართზე ადიხართ, რომ მეზობელ სოფელში გადახვიდეთ. გზაც არ არის და მთის ვიწრო და ხვეული ბილიკით ადამიანი ჭირის ოფლით ადის მთის მწვერვალზე მოქცეულ სოფელში. ამ უგზოობის გამო თუშეთის სოფლები ერთმანეთისაგან მოწყვეტილია, განსაკუთრებით, ზამთრობით და თითოეული მათგანი მომწყვდეულია თავის ვიწრო არეში. თუშეთის სოფლებს თავიანთი საკუთარი სახელები აქვთ, მაგრამ ამ სახელების წარმოშობის ისტორია და მათი გააზრიანებული მნიშვნელობა ხალხში დღეს მივიწყებულია.

მხოლოდ პირიქითის სამი სოფლის: ჭონთიო, ჰეღო და გირევის შესახებ ამბობენ, რომ ეს სამივე სოფელი აუშენებიათ სამ ძმა ხევსურებს: ჭონთს, ეღოს და გირევს და სახელიც მათგან მიუღიათ.

თუშეთის ზოგიერთი სოფლები აყრილან და დღეს ნასოფლარს წარმოადგენენ. ასეთია მთელი წოვათა, რომელიც მდებარეობს გომეწრის ხეობაში და მოქცეულია წოვათის წყლისა და ალაზნისთავის შესართავის აუზში. სოფ. ვერხოვანიდან იწყება წოვათის ტერიტორია. პირველი სოფ. წაროა, საიდანაც ტყე ქრება და იწყება ალპური ზოლი. აქედან ბილიკი ჩადის ფართე ვაკეში, სადაც გაშლილია წოვათას პარტახი სოფლები: მოზართა, რომლის გვერდით წყლის გაღმა ინდურთაა, შუა ვაკეზე საგირთა და მარცხნივ გორაკზე ეთელტა, საიდანაც გზა ქისტეთში გადის. ოთხივე სოფელი უკაცრიელია, ადგილი ვაკეა და მაღალი მთებით შემოზღუდული. ხვნა-თესვა აქ აკრძალულია და მთელი ეს მიდამო საძოვარ იალაღად არის გაშვებული. მოსავალი აქ დიდი სცოდნია, განსაკუთრებით, ქერი და სვილა. წოვათის სოფლებში ყველაზე დიდი და მჭიდროდ დასახლებული წარო ყოფილა. მას წოველები უწოდებენ „წა"-ს — წოურად ნიშნავს სახლს. შემდეგ მისთვის ქართვე-

ლებს წარო დაურქმევიათო. ამ სოფლების დაცარიელება და-ქარ-ველ-ებ-ის-ა-ნ-ა-ბ-ა-ნ-ა-ბ-ა-ნ-ა-ბ

ამბობენ შეწუხებასა ბიქების საგირთისაო.
ტყვია-წამალ გასთავებიათ, გულ გალაღებულ მტრისაო,
ერთმანეთს ეუბნებიან: „ახლ დრო მოგვივიდ ცდისა".
ვაქკაცნი გამოჩნდებიან, სისხლით შეჰღებვენ ხმალსაო,
ხმალდახმალ გამოუცვივდნენ არწივნი მაღლის მთისაო,
ჩაერივნენ და ჩაკაფეს, როგორც ტოტები ხისაო.
ჩაერივნენ და ჩააფრთხვეს, როგორც რომ ნოტო ცხვრისაო.
ფშაველ-ხევსურნიც მოვიდნენ, მოძმენი თუშებისაო,
ქვემო თუშებიც მოვიდნენ, ალმ შეაბრუნვენ წყალსაო.
დაამარცხეს ქისტის ჯარები, მკვდარზე დაყარეს მკვდარიო,
სიმწყურვლით შეწუხებულან მეომარნ საგირთისაო.
წყლები სულ სისხლით შელებეს, ველარა სომენ წყალსაო.
ალაზან წითლად შელებეს, მკვდარს ვერ აუქცევს ფეხსაო,
მაგეხის ღელემდის მიჰყვნენ, თავით დაჰყუდვენ მკვდარსაო,
მიდიან ქისტეთს, ჩივიან თავიანთ ნახოც მკვდარსაო,
ძნელი ყოფილა ნაჭერი, ნაქნევი თუშის ხმლისაო.
ე მაგის მომლექსებელი შუა წაროში ზისაო.
თორმეტ მეც მერგო მარჯვენა მანდ ნახოც ქისტებისაო.

თუშეთიდან გადასახლების ასეთსავე შემთხვევას დღეს აქვს ადგილი პირიქითის ხეობაში, სადაც 1918 წლიდან თუშებმა იწყეს თავიანთი სოფლების მიტოვება და ბარში სამუდამოდ გადასახლება. სამოქალაქო ომების დროს პირიქითის მოსახლეობა ვერ უმკლავდებოდა ქისტების ყაჩაღურ თავდასხმას, მათ ძარცვა-გლეჯას და ამ მიზეზით პირველად ჭონთიელები აიყარნენ აქედან, რომლებსაც მიჰყვნენ ჰელოს, დიქიურთისა და ნაკუდაურთის მცხოვრებნი და ესენი ალვანში დასახლდნენ. ამ სოფლებში თუშები დღეს არც ზაფხულობით დგებიან.

თუშეთის ზოგიერთ სოფელში დაცულია ზემო ნაგები ძველებური აკლდამა, რომელსაც თუშები „კალდამ"-ს უწოდებენ. ასეთი აკლდამებია სოფ. დართლოში (პირიქითი ხეობა), გუდანთაში. განსაკუთრებით ბევრია სოფ. წაროში (გომეწრის ხეობა). აკლდამა ქვიტკირისაა და წარმოადგენს თალიან პატარა ოთახს. მას აქვს ერთი შესავალი ვიწრო კარი და ალმოსავლეთით სარკმელი. აკლდამის სახურავი პირამიდულია. წაროს ზოგიერთ აკლდამას მიცვალე-

სოფელ დართლოს აკლდამა

ბულის დასასვენებელი თაროც აქვს ორ სართულად გამართული. ასეთივე აკლდამები გავრცელებულია პირიქით ხევსურეთში (ანა-ტორი), ოსეთში და ქისტეთში[1].

თუშეთის სოფლებში ადამიანის ყურადღებას, პირველ ყოვლისა, იპყრობს ძველებური თუშური სახლები, რომლებიც, ერთის

---

[1] Л. Семенов. Археологические и этнографические разыскания в Ингушии в 1925—1927 г., стр. 198 (Изв. Ингуш. научно-исслед. института краеведения, I, Владикавказ, 1928).

შეხედვით, საომარ ციხეებსა ჰგვანან. ამ ძველი ტიპის სახლებიც შენიც დღეს ციხეს ეძახიან. ეს არის თუშური ტიპის ძველი სახლი, სადაც დიდი ოჯახი ცხოვრობდა და შიშიანობის დროს თავსაც იცავდა.

ძველებური ეს კოშკოვანი სახლი მრავალსართულიანია და ჩარდახ-სათოფურებითაა გამართული. ამგვარი სახლები თუშეთის სამივე თემში მრავლად არის დაცული და ზოგიერთში დღესაც ცხოვრობენ. მაგრამ ყველაზე კარგად ისინი დაცულია სოფ. ჩიღოში. ამათ შორის ჩვენ ავგეგმეთ და აღვწერეთ ალექსი ბაკურაძის



სოფელი ბეღელა

სახლი, სადაც მისი ოჯახი დღესაც ცხოვრობს. ეს სახლი ოთხსართულიანია და სიპი ქვით არის ნაგები. მისი ფორმა კვადრატულია, საძირკვლის ფართობი 5,50×5,50 მეტრია.

პირველი სართული „ბაშტეა", რომელსაც ერთი შესავალი კარი აქვს (1,30×0,80 მ). კარი მაგარი და სქელი ფიცრისაა და კედით იკეტება, რომელიც საკედურშია გაყრილი. საკედური კედელშია გამოყვანილი, რომლის სიღრმე სიგრძეზე ზოგან მეტრს უდრის. ბაშტე ბნელია. მას არა აქვს სარკმელი და იატაკად დაგებულია ქვა-ფიქალი. ბაშტის კედლის სისქე ერთ მეტრამდეა, სი-

მაღლე კი — 1,60 მ. ბაშტის ჭერზე მჭიდროდ არის გამართული ყავრეები, რომელზედაც მიწაა დაყრილი და დატკეპნილი. ბაშტის ჭერის ერთ კუნჭულში ერდოა გამოჭრილი და აქედან ხის კიბით მეორე სართულში ადიან. ბაშტეში ზამთრობით საქონელი უყენიათ და ის იგივე საქონლის ბოსელია.

მეორე სართულს უწოდებენ „შუა"-ს, სადაც კერაა გამართული და ოჯახი ცხოვრობს. ამ სართულს აღმოსავლეთის მხარეზე კარი აქვს შებმული (1,20×0,80 მ), რომელიც კედით იკეტება. იატაკი მიწურია. კედელში გამოჭრილია ორი სარკმელი (30×25 სმ). ამ სარკმლებიდან ერთი მეტრის მანძილზე ყოფილა გამართული „კერანა", რომლის მარჯვნივ მამაკაცები სხდებოდნენ და მას საკაცო ეწოდება, მარცხენას კი სადიაცო. დღეს კერა თუშეთში ყველგან მოშლილია. სამხრეთის კედელში სათოფურებია გამოჭრილი (20×20 სმ) ამ სართულის ჭერი დაყრდნობილია ოთხ კიდზე და ოთახის სიმაღლე უდრის ორ მეტრს. ჭერის ერთ კუთხეში მესამე სართულში ასასვლელი ერდოა გამოჭრილი.

მესამე სართული „ზედაშუაა". ესეც მომრავლებული ოჯახის სამყოფია. როდესაც ოჯახის ნამრავლი შუაში არ ეტეოდა, ძმათაშვილების ნაწილი ზედაშუაში გადადიოდა. ამ სართულსაც კარი აქვს საკედით გამართული და დასავლეთის კედელში გამოჭრილია ორი სარკმელი. იატაკი აქაც მიწურია, ჭერი კი ხუთ კიდზეა გამართული. ჭერში გამოჭრილია მეოთხე სართულში ასასვლელი ერდო.

მეოთხე სართული „ჭერხოა" და წარმოადგენს დახურულ კვადრატულ ოთახს, რომლის ოთხივე კედელზე მიშენებულია ჩარდახები, საიდანაც კარზე მომდგარ მტერს ქვებს უშენდნენ თურმე. ჩარდახი ზემოდან ყუთივით დახურულია და სხვადასხვა ზომისაა, რომლის პროპორცია შენობის სიდიდესთან არის შეფარდებული. ჩარდახებთან სათოფურები და სამზირ-ჭუჭრუტანებია დატანებული. ჩარდახი სახლის კარებს ზედ დასცქერის, რომ მტერი ახლოს არ მოუშვას. შემდეგი დროის სახლებში და ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ აქ აღწერილ სახლს ჭერხოს წინა კედელში ჩარდახის ნაცვლად გამოჭრილი აქვს განიერი არე, ეგრეთ წოდებული „სანიავო" (2.20×1.40 მ). დღეს ჭერხო გამოყენებულია საკუჭნაოდ, სადაც ინახავენ სურსათ-სანოვაგეს, ტყავს, მატყლის ნართს და სხვა, რა-



ცხურა სახლი. ოძალო

საც ასეთი სანიავოც სჭირია, და ამიტომ ეს უფრო გვიანდელ დროს ეკუთვნის. ჭერხო გადახურულია.

სახლის ჭერი გამართულია კესის ჯიდზე, რომელიც თავში და ბოლოში დაყრდნობილია „ქორბეღელაზე". შუაში კი შედგმული აქვს მრგვალი ჯირკვი „ლიკვი". კესის ჯიდზე გადებულია ორ-ორი ცალი გვერდის ჯიდი, რომელზედაც ყავრეა გამართული და ამ ყავრეზე სიპი ქვებია დაგებული. სახურავი ორფარდულიანია. კედლებზე ზოგან გამოსახულია ხუთი თითი, სვასტიკა, პრიმიტიული ფიგურები და სხვა. ასეთივე ტიპის უფრო დიდი სახლები დაცულია წოვათაში, ნასოფლარ საგირთაში და ეთელტაში. მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდია სოფ. ფარსმის ოთხი ასეთი ჩარდახიანი სახლი, რომლებიც უკვე ჩაქცეულან და მხოლოდ კედლებია დაცული. ერთი მათგანის ფართობი 9×8 მ. უდრის და სიმაღლით შეიდსართულიანია. ფარსმის ეს სახლები ორ-ორ ჩარდახიანია და თითოეულ სართულს თავისი კარი აქვს. არის ექვს

და შეიდკარიანი. კარები ორ კედელშია მოთავსებული. სამ-სამი ან ოთხი და სამი. თითოეულ სართულში გამოჭრილია სარკმლები და სათოფურ-ჭუჭრუტანები. კარებში საკეტურებია დატანებული. კედლებზე ჯიდების გასამართი „თარხანია" გამართული, რომელზედაც კავის თავები ყოფილა გადებული. ზოგიერთის კედელი სიმაგრისათვის კედლის ბოძითაა შეკრული. ფარსმის ამ მრავალსართულიან და უზარმაზარ სახლებში მთელ საგვარეულოს უნდა ეცხოვრა და თითოეული კომლი მოთავსებული იქნებოდა ერთ რომელიმე სართულში.



ჩარდახიანი სახლის ორნამენტები

თუშეთის ძველ ნასოფლარებში მხოლოდ ასეთი ტიპის სახლებია ნაგები. ამ მხრივ საყურადღებოა ძველი დიკლო, რომელიც მდებარეობს დაღესტნის საზღვარზე და აშენებულია მაღალ კლდეზე. მას ჩამოუდის ალაზანი და ამით ის ეყოფა დაღესტანს. დიკლოს მაღალი კლდე მიუდგომელია. ერთადერთი მისასვლელი გზა ჩრდილო-დასავლეთის მხარეზეა და ისიც მაგარი გალავნით ყოფილა შემოზღუდული. ამ კლდეზე ოცამდე ძველი ჩარდახიანი სახლია აჩხორილი, რაც გმირთა სავანის შთაბეჭდილებას ახდენს. წყალი „მასაგის ხევის" რუდან მილებით ყოფილა გამოყვანილი. გაჭირვების დროს წყალი ტიკებით ალაზნიდანაც უზიდავთ. დიკლო

ხანგრძლივ ებრძოდა ლეკებს, ბოლოს ხალხმა ვერ გაუძლო მოხ-
ღვავებულ მტერს და აქედან გადასახლდა.

ეს ჩარდახიანი სახლები თავიანთი ნაგებობის ტექნიკით და ბუმბერაზობით მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს და მოსახლეობაში მათი მშენებლების გმირობა დღესაც გაოცებას იწვევს. ხალხს არ სჯერა, რომ ეს სახლები ადამიანის ხელის ნამოქმედარი იყოს და მათ აშენებას მიაწერენ გრძნეულ „თებჟორიკებს", მაჯლაჯუნებს. სოფ. გირევში ხოსიკურიძიანთ ჩარდახიანი სახლი თებჟორიკას აუშენებია. გადმოცემით, ხოსიკურიძის წინაპარს ძილში თებჟორიკა დაუჭერია, რომელიც მას ღამე დასწოლია და ახრჩობდა თურმე. ხოსიკურიძეს მოუხერხებია თებჟორიკასათვის ცერის ფრჩხილი მოეჭრა და ხმლის ქარქაშში გადაემალა. ამით მას თებჟორიკა დაუჭერია. ხოსიკურიძეს დღე ჯორით ქვა უზიდნია, თებჟორიკას კი ღამე მისი სახლი უშენებია. ერთხელ სახლის უფროსები სტუმრად წასულან. თებჟორიკას მოუხერხებია ხმლის ქარქაშიდან თავისი ფრჩხილის მოპარვა და სახლის პატრონი ასე დაუწყევლია: „ქალის სიმრავლე და ვაჟის სიმცირეო" და გაპარულა. სახლის პატრონი ხოსიკა 145 წლის მომკვდარა. მისი შვილი ხუტო მეკობართა ბელადი ყოფილა, ლეკ-ქისტები უხოცავს და მათი მოჭრილი მარჯვენა ამ თავის სახლის კედელზე მიუკრავს. ასეთია ამ ჩარდახიანი სახლების შენების ზღაპრული თქმულება.

რასაკვირველია, ამ მრავალსართულიან სახლებს ერთი მეკომეური ვერ ააგებდა, მათ აშენებდა რამდენიმე ძმათაშვილი, რომ ჰქონოდათ მაგარი და საიმედო თავშესაფარი.

თავისი კონსტრუქციით და დანიშნულებით ეს სახლები თემეური წყობილების ნაშთია და ამ მხრივ საყურადღებო ისტორიული ძეგლია. ამ ტიპის სახლები თუშეთის გარდა მოიპოვება პირიქით ხევსურეთში, დაღესტანში და ქისტეთ-ჩაჩნეთში. მაგრამ ისინი სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული არ არის და ამიტომ ძნელია მათი თუშურ სახლებთან შედარება და ერთგვარობის დადგენა. საყურადღებოა, რომ ამ თუშური ჩარდახიანი სახლის ტიპის ძველებური სახლები დასავლეთ საქართველოში, მთის რაჭაში, მოიპოვება, სახელდობრ, სოფ. ღებში, სადაც მას დუროიან სახლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდებენ და ოთხ სართულს არ აღემატება[1]. თუშურისა და რაჭულის ამ შენობათა კონსტრუქცია და სართულების დანიშნულება ერთგვარია, მხოლოდ თუშურის სიმაღლე ზოგჯერ შვიდ სართულამდე აღწევს. რაჭულ სახლს უკანასკნელ, ზემო სართულში, დატანებული აქვს თაღიანი დუროები (სასროლი), თუშურზე კი მიშენებულია ჩარდახები.

ერთი სიტყვით, ამ მოკლე შედარებიდან ნათელია, რომ ეს ჩარდახიან-დუროიანი სახლები თავიანთი კონსტრუქციით, ნაგებობის ტექნიკით და მიზნობრივი დანიშნულებით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნიან, სახელდობრ, თემურ წყობილებას და ამ მხრივ ქართული მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლებია. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ძველებური თუშური სახლები იცვლებიან ადამიანის მოთხოვნის მიხედვით და განიცდიან დაშლა-გადაკეთებას. ვისაც შეძლება აქვს, ამ სახლს შლის და მასალით ახალ, თანამედროვე ტიპის სახლს აშენებს. ზოგი ძველებურ სახლს ქვად ყიდის და ასე დღითი დღე ეს ჩარდახიანი სახლები ისპობა. უმეტეს შემთხვევაში ამ სახლებს მორღვეული აქვთ მეოთხე სართული — ჭეხო და სამ სართულად არის ქცეული, ზოგიერთი კი ორ სართულამდეა დაყვანილი. ამასთანავე, ზოგიერთი გადაკეთებულია და მიშენებული აქვს სხვადასხვა საოჯახო ნაწილები: კიბე, „ბანედაცი" (ბანი), დარიფანი, კარსე (გასაველი ოთახი), საქსლო და სხვა. კედლებში, ნაცვლად სარკმლისა, გამოჭრილია შუშაჩასმული ფანჯრები. შიგნიდან კედლები კირითაა შეთეთრებული, ზოგან კი შპალერია გაკრული. კერა მოშლილია და დგას თუნუქის ღუმელი ან „ბოხარია" მიშენებული და ამგვარად ამ ციხის ბნელი და ჭვარტლიანი შუა და ზედაშუა დღეს წარმოადგენს ნათელსა და სუფთა ოთახს.

დღევანდელ თუშეთში შენდება ნარევი და ქალაქის ტიპის სახლები ერთი ან ორსართულიანი, რომლებიც გამართულია ოთახებით, აივნებით და კარ-ფანჯრებით. სახლის შენების ოსტატობა თუშებმა არ იციან. თუშეთში სახლებს ლეკები აგებენ, ხის მასალაზე კი რაჭველი ოსტატები მუშაობენ. სახლებს აქ ქვითკირისას აგებენ.

---

[1] სერგი მაკალათია, მთის რაჭა, ტფილისი. 1930 წ., გვ. 40—42.

ქვას კლდეში ამტვრევენ და მარხილით ან ცხენ-ვირებით ეზიდებიან. ერთი კედლის ამოსაყვანი ქვის დამზადება აქ ერთ ჰექტარად ფასობს, მოზიდვა კი პატრონისაა. რამდენიც სართულია სახლი, იმდენი ოთხი ჰექტარია საჭირო ქვის დასამზადებლად. კედლის აგებაც ასევე ფასობს. თითო სართული ოთხივე კედლის ამოყვანაზე ლეკებს თუშები ოთხ ჰექტარს აძლევენ. სახლის აგების დროს, თუ პატრონი ხელმოკლეა, იციან ო ჩ ხ ა რ ი ა და ყველანი ეწევიან,



ჩარდახიანი სახლი და მისი ჭრილი

რითაც შეუძლიათ: მასალის მოზიდვით, ფულით, სანოვაგით და სხვა. სახლის ლიბოს (საძირკველი) გაჭრისას მას ოთხივე კუთხეში თეთრ ფულს ჩააყოლებენ და სახლის ანგელოზს ხელში არყით ეეედრებიან. ლეკები კედლის ამოყვანას რომ მორჩებიან, შემდეგ რაჭველი ხეროები ჭერის გამართვას შეუდგებიან. ჭერს ხურავენ ფიქალ-ქვებით. სახურავის სიპი აქ ძნელი საშოვარია და ორ ჰექტარად ფასობს. სახლის კარ-ფანჯრებს რაჭველი დურგლები ამზადებენ და ხის აივნებსაც ლამაზად აჭრელებენ. როცა სახლი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა







ჩარდახიანი სახლის გეგმა

იმართება, საღვთოს იხდიან. ამისათვის გამოიცხობენ ხუთ კოტორს და სამ ხმიადს. აანთებენ სანთლებს და სახლის ანგელოზებს ოჯახის ბედნიერებას შესთხოვენ.

ოჯახის გაყოფის დროს სახლი წინათ დედ-მამას რჩებოდა. თუ ძმები იყრებოდნენ, მაშინ ძმები საერთო ხარჯით მეორე სახლს აგებდნენ, შემდეგ წილს ყრიდნენ და ვისაც რომელი ერგებოდა, იმაში დგებოდა.

სახლში კერა და შუა ცეცხლი უკვე არ იციან. იატაკიან ოთახში თუნუქის ღუმელი დგას, მიწურში კი ხის ბუხარია გამართული. ხის ბუხარი ქოლგასავითაა გადმოხურული და, ცეცხლის ალი რომ არ მიეკაროს, მანძილიც გამოზომილია. ცეცხლის ბოლი კედელში დატანებული მილით გადის. ჩაღმა და გომეწრის ხეობაში საწვავად შეშას ხმარობენ. პირიქითი ხეობა ტყით ღარიბია და იქ „ბურკვს“ (წიკვას) ხმარობენ. ცეცხლს ანთებენ „ბუკვანით“ (ფიჭვის კვარი).

სახლის შინამოწყობილობა სუფთა და შედარებით ჰიგიენურია. ზოგიერთი ოჯახი ქალაქურად არის მოწყობილი: რკინის საწოლებით, „შკაფ“-სარკეებით, სკამებით და სხვა. საშუალო და ღარიბი გლეხის ოჯახში მოწყობილობა ნარევია, სადაც ძველებური დგამ-ჭურჭლის გვერდით ახალიც ბევრია. თუშური სახლის შინამოწყო-

ძველებური სახლები. სოფელი ზოკორიძა

ბილობის დღევანდელ ფორმას ახასიათებს კედლის თარო — „შკაფი". თარო გრძელი და რამოდენიმე სართულიანია. ზოგან ასევე კედლის კარადას შეშის კარიც აქვს და მაღაზიის „ვიტრინას" წაგავს. თაროზე გამწკრივებულია ქაშანურისა და ფაიფურის სუფთა ჭურჭელი. ოთახში გამართულია გრძელი და განიერი ტახტი, რომელზედაც გადაფარებულია ქეჩა და საგორავი (ჯეჯიმი). კედლებზე გაფენილია ჭრელი თუშური ფლასები (ფარდაგი). ტახტთან კი მაგიდა დგას.

წინანდელი დგამ-აუეჯი მოთავსებულია სახლის ქვემო სართულში. ზოგიერთ ძველებურ სახლში დგას ზერგ-დაჭრელებული გრძელი სკამი „მეკი", რომლის სიგრძე ოთხი მეტრამდე აღწევს. ამ ვიწრო მეკზე სტუმარს აწვენენ. ქვეშ ნაბადს უგებენ და ზედ დურა ტყავს ახურავენ. აქვეა ხის კვადრატული ფორმის ღრმა ტახტი, რომელშიც ჩაგებულია ჭერის ჩალა და ზედ გადაფარებულია „ხალიჩა" (უხაო ფარდაგი). ტახტი სამ-ოთხ საწოლიანია. ზედ იხურავენ დურა ტყავს (ცხვრის ტყავის საბანი). თავქვეშ იდებენ „სათავსქვეშ"-ს (დაკეცილი ტყავი ან ნაბადი). ზოგან „ჯინი"-ც



ბუხარი

გვხვდება. ჯინი ნავის ფორმისაა და წნელისაგან არის მოწნული, რომლის სიგრძე უდრის 1,70 მ, განი კი 0,77 მ. დღეს დურა ტყავისა და ქეჩა-ნაბდის ნაცვლად ტახტზე მატყლის ლოგინია დალაგებული და ზედ საფენია გადაფარებული. აქვეა დაჭრელებული ძველებური ხის კიდობანი, სკივრი, რომელზედაც ამოჭრილია გეომეტრიული ფიგურები და ზოგან ადამიანისა და ცხოველის სახეები. ასეთ სკივრებში ინახება ძველებური ტანისამოსი, ზოგში კი

სურსათ-სანოვაგე. ცეცხლთან დგას ძველებური ხის საკერავი „ჭიკაცი", რომელზედაც ოჯახის უფროსი ჯდებოდა. კედელთან მიმოფანტულია საოჯახო ჭურჭელი: ხონჩა, დურკი (ყასრი), ჯეტი, თუნგი, ვაშრაპაცი და სხვა. წყალს ქალები ზურგით ეზიდებიან წყაროდან. მამაკაცი წყალს არ მოიტანს, სამარცხვინოა. წყალს ეზიდებიან თუნგებით, „ვაშრაპით" (პატარა თუნგია). საქიტე ყასრში ალაგია ხის ქიტები (ყოვზები) და კოჩხო.



თაროები

მომთაბარე თუშებს სახლ-კარი ალვანშიც აქვთ, სადაც მათი დიდი სოფელია გაშენებული — ქვემო და ზემო ალვანი. ქვემო ალვანში ფიცრული სახლებია, მომცრო და ერთსართულიანი. სახლები ქალაქის ტიპისაა და კარ-ფანჯრებით არის გამართული, მათი შინმოწყობილობაც ქალაქურია. ეზო-კარმიდამო შემოღობილია, სახლები ქუჩის ორივე ნაპირზეა გაშწკრიალებული და იმერულ სოფელს წააგავს.

ზემო ალვანში დღეს დიდი მშენებლობა მიდის. წოვა თუშებმა 1924 წლიდან დაიწყეს ძველი ადგილიდან ალვანის შუა ვაკეზე

გადმოსახლება და მთელი სოფელიც ახალ გეგმებზე შენდება. ეგვ-
ბულია ქვითკირის ორსართულიანი სახლები. ოთახები ქალაქის ყა-
იდაზეა მორთულ-მოწყობილი და შიგ ყველაფერი ფაბრიკულია.
გაყვანილია განიერი და სწორი ქუჩები და ეს უზარმაზარი სოფ-
ელიც ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს.

V ტანსაცმელი. თუშეთის ახალი თაობა იმოსება თანამედ-
როვე ფორმის ტანსაცმლით, მაგრამ თავზე ქალებს ჯერ კიდევ ხუ-
რავთ „კუპურაცს“ და მანდილი. თქვენ აქ ნახავთ ახალგაზრდა თუშ



კადობანი

ქალს მოკლე კაბაში და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში კოხტად,
ქალაქურად გამოწყობილს, რომელსაც თავზე ეს კუპურაცს ხურავს
და გამოხვეულია შავ მანდილში. მოდის ამყოლი თუში ქალი დღე-
საც ვერ შერიგებია ამ მანდილის მოხდის შესაძლებლობას, რომე-
ლიც აქ ქალის ნამუსად ითვლება, კუპურცს მიტკლისაგან იკე-
რება. ის ჩიხტის მაგვარია, რომელსაც თავზე მისამაგრებელი სალ-
ტეები აქვს მიკერებული. კუპურაცს „შუა თავის კვერი“ გატენი-
ლია მატყლით და ზედ შემოვლებული აქვს ქინძისთავის დასაბნევი
გრეხილი. ამ კუპურაცს მიზანია, თავზე მანდილი დაამაგროს.

კუჭურაცი

მანდილი განიერია და კოჭებამდე უწევს. მანდილი იკერება შავი, უსახო სატინისაგან და სამკუთხედი ფორმისაა. ის სადა და გაუწყობელია. წინათ სცოდნიათ ფოჩის მოკერება. მანდილის ორი ყური—„ზედითყური" და „ქვედითყური" გრძელია, 4,50 მეტრს აღწევს. თავხურვის წინ თუშის ქალი ჯერ კავებს ჩამოუშვებს. გაუთხოვარ ქალს წინათ ჩამოშვებული ჰქონია ოთხი „კოწოლი" (ნაწნავი), გათხოვილს კი ორი კოწოლი და ორი „კიკინო" (კავი). შემდეგ ის თავზე კუჭურაცს დაიდგამს, კავებს გაისწორებს და მანდილს იხურავს. ამისათვის იღებს მანდილის ქვედითყურს და თავშუბლზე მოიხვევს ისე, რომ კუჭურაცის სალტეები არ გამოჩნდეს. მასზე შემოიკრავს შავი სატინის შუბლის სალტეს — „თავსაკრავს", რომლითაც მანდილს შუბლის ნაოჭი უკეთდება.

შემდეგ მეორე, ზედით ყურს აიღებს და მანდილს თავზე წამოიხურავს. მანდილი რომ არ გადავარდეს, მას კუჭურაცზე ქინძისთავით დაამაგრებენ. ეს გრძელი და გაშლილი შავი მანდილი თუშის ქალს სევდიან ელფერს აძლევს და მნახველზე ის მგლოვიარე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მანდილს დღეს მხოლოდ გათხოვილი ქალები ატარებენ, წინათ კი მანდილი გაუთხოვარ ქალებსაც ხურებიათ, მხოლოდ უკუჭუროდ. მამაკაცს კუჭურაც არ ენახვება, სირცხვილია, ამიტომ ცოლი კუჭურაცს ქმართან ვერ მოიხდის. გაცვეთილ კუჭურაცს ქალები მალულად სადმე გადააგდებენ, რომ მამაკაცებმა არ ნახონ, მამაკაცთან მანდილის მოხდა „თაკილი" იყო და ამიტომ ქალები მანდილს ნიადაგ ატარებდნენ და ღამეც მანდილიანად წვებოდნენ. მანდილს პატივსა სცემენ და „ტკეცილაცობის" დროს დედაკაცები ამ მანდილის შუაში ჩაგდებით მოჩხუბრებს აზავებდენ. უნამუსობისათვის წინათ ქმარი ცოლს მანდილს მოხდიდა, მანდილ-კუჭურაცზე დააფურთხებდა და გადააგდებდა, რაც ქალის უდიდესი შეურაცხყოფა იყო.

მოხუცი თუში ქალები დღესაც ძველებურ უბიან კაბას იცვა-

მენ. თუშის ქალის კოსტუმს შეადგენს: პერანგი, ფარაგა, უბიანი კაბა „ჩოხა“, მუხლისაფარაცარ, ქათიბი და ტყავკაბა.

პ ე რ ა ნ გ ი იკერება მიტკლისა ან იაბლისა, მოკლე და გრძელსახელოიანი. პერანგის წვრილი საყელო ზოგჯერ მოქარგულია. ამ პერანგზე იცვამენ მოკლესა და უსახელო „ფარაგას“. ფ ა რ ა გ ა იკერება ბამბის ან სატინის ქსოვილისაგან. ფარაგის საგულეზე დაგვირისტებულია ფერადი ხავერდის ან მაუდის ნაჭერი, რომლის საყელო ამოღებულია და ზედ შემოვლებული აქვს ოქრომკედის გრეხილი. საგულე შემკულია ვერცხლის „ქინქალოთი“,



ზ ა ნ დ ა ლ ი

ძეწკვებით და ფულებით. აგრეთვე აკერია „ვარშავის პეპელაც“ (ვერცხლის ღილია). ფარაგას თუშის პატარძლები დღესაც იცვამენ.

ამ ფარაგაზე მოხუცი ქალები იცვამენ უ ბ ი ა ნ ჩ ო ხ ა ს. ეს გრძელი და მთლიანი კაბაა, ნაქსოვია თუშის ქალის მიერ და ფერით მუქი ლურჯია (ინდიგო). ეს შალის კაბა უბე გახსნილია. უბის ორივე ნაპირზე დაკერებულია ფერადი მაუდი და შემკულია შიბითა და ქინქილოებით. უბიანი კაბის ბოლო გვირისტიანი ტეხილი

ოუში ქალის ძველი კოსტიუმი

ხაზებით, „ქუქუმოთია" მოქარგული. კაბის უბე გახსნილია და გადმოწეული, რომ სამკაულიანი ფარაგა კარგად გამოჩნდეს. უბე კარგად რომ დადგეს, კაბაზე შემოიკრავენ წვრილ სარტყელს „სა-ჭიკაცს". დღეს უბიან მთლიან კაბას არ ატარებენ. უბე გადაჭრილია და პატარძლები, როგორც ზედატანს, ფარაგაზე იცვამენ. წინ იფარებენ შავი ან მუქი ფერის მუხლსაფარაცს (წინსაფარი), რომელზედაც შემოიკრავენ შალის ნაქრელ სარტყელს. ამ უბიან ჩოხაზე იცვამენ მოკლე სახელოიან და უკან ნაოჭიან შავ ქათიბს, რომელიც თავისი ჭრილობით წააგავს მამაკაცის გრძელ ჩოხას. მკლავზე წამოიცვამენ „ს ა ხ ე უ ლ ს" (სახელო), რომელსაც ქათიბის მოკლე

სახელოში შეიტანენ და შიგ მიამაგრებენ. სახელო ცალკეა და ის სამი ნაწილისაგან შედგება: ქუროსა, მაჯა და გამოსატეველაც. ქუროს სხვადასხვა ფერის მაუდისაგან ზოლებად, „ზიკებად" იკერება. მაჯა და გამოსატეველაც ფერადი აბრეშუმია. ზოგიერთ მაჯას სამი თუ ოთხი გამოსატეველაც აქვს მოკერებული. ქუროს ამკობენ



ფარაგა

ზორნაკით (სირმის გრეხილი), ისკუნტალით (ფერადი აბრეშუმის გვირისტი), ჭირკვენა და გუგუმა სახეებით. ქალის უბიან კაბას რამდენიმე ასეთი მორთული სახელო აქვს და დედაკაცები, დროისა და ადგილის მიხედვით მათ იცვლიან. წინათ ქვრივი ქალი ჭრელ ქუროს გადმოკეცავდა და ისე ატარებდა. ზამთარში ქათიბის ნაცვლად ტყავკაბას იცვამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საელო

ტყავკაბა ბეწვ ჩაბრუნებული ცხვრის ტყავისაგან იკერება. ტყავკაბას სახელოსა და კალთა-ბოლოში ბეწვი აქვს შემოვლებული. ტყავკაბა წელში გამოყვანილია, კალთები დანაოჭებული. წინათ ტყავკაბის სახელო ჩაჭრილი და ყუთმაჯიანი იყო, დღეს კი სწორსახელოიანია. ფეხზე იცვამენ მატყლის ზოლიან წინდას და მასზე მაღალ ან დაბალყელიან ჭრელ ჩითას. ახალგაზრდობა ატარებს ყელიან ან მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს.



ბერინგი



ქალბანი

თუშის ქალებს უყვართ ყელ-ყურისა და თითების სამკაულით შემკობა. ხანშესულ ქალებს ყელზე ჰკიდიათ გიშრის ან ქარვის მძივები შუაში ვერცხლის პატარა ჯვრით. თითზე უკეთიათ „დასევდილი" ვერცხლის ბეჭედი, ყურებზე ჰკიდიათ „მელანქრიანი" ვერცხლის საყურე.

თუშური ტანისამოსის ეს ძველი ფორმა და მორთულობა ხმარებიდან უკვე გამოსულია. აქაური ქალები დღეს იმოსებიან ფაბრიკული ქსოვილით და მოდაზე შეკერილ მოკლე შავ კაბას და გა-



უბიანი ჩოხა

უწყობელ ხედატანს იცვამენ. ამაზე აცვიათ შავი ან მუქი ფერის პალტო. უპალტოოდ თუშის ქალი სახლიდან არ გავა და ზამთარ-ზაფხულ აქ პალტოს ატარებენ. მათთვის პალტო თანამედროვე ქათიბია და უპალტოოდ გავლა სირცხვილია. პატარძლები პალტოს შიგნით იცვამენ ფარაგასა და მოკლე უბეს, რომელიც შემკულია წმინდა შიბით (ვერცხლეულის ძეწკვი ფულებით შემკული) და ხმალა შიბით (უფულო). გათხოვილი ქალები მანდილს ატარებენ. თუშის მანდილოსნებს შავი ტანისამოსი უყვართ და ყველა შავად დათალხულია. ფერად ტანისამოსს გაუთხოვარი ქალები იცვამენ

და შანდილსაც არ ატარებენ. მათ აცვიათ ქალაქური მოდაზე დაკერილ ახალი ფორმა აქ ალვანიდან შემოდის. მაგრამ გათხოვდება თუ არა ქალი, მაშინვე შავი მანდილ-კაბით შეიმოსება.

მამაკაცები იცვამენ ჩოხა-ახალუხს. ჩოხა ადგილობრივი ტოლისაგან იკერება, ახალუხი კი სატინისაგან. ახალუხის გულისპირს ზოგჯერ გეომეტრიულფიგურებიანი „ჭირკვენათი" აჭრელებენ და მამალ-დედალ „ხრიკებით" იკრავენ. წინათ ახალუხზე მამაკაცებს აბრეშუმის მოკლე „ჟილეტკაც" სცმიათ და მასრებიანი გრძელი ჩოხა, რომელიც უკან ჩიქებით ყოფილა დანაოჭებული. წინათ იცვამდნენ ჭრელ ტოლის შარვალს, ფეხებზე ჭრელ წინდებს, ჩითებს და ქალბანს. მუხლებზე კი იკეთებდნენ პაჭიჭებს, რომელსაც ჩასაკრავით იკრავდნენ.

დღევანდელი ახალგაზრდობა ატარებს მოკლე და ტანზე კოხტად გაწყობილ ჩოხა-ახალუხს. წელზე იკრავენ სევადიან ქამარბანჯალს. ზამთრობით ზედ იცვამენ ქათიბს (ქულაჯა), თავზე ხურავთ თუშური ნაბდის ქუდი. აცვიათ აგრეთვე უბრალო შარვალ-ხალათიც. ფეხზე იცვამენ აზიურ ჩექმებს, „ბოტინკებს", წუღებს და სხვა. ჭრელ ჩითებს ახალგაზრდობა შინაურობაში თუ ატარებს. თუშებს ნაბადი და თექაც უყვართ, რომელსაც მუდამ თან ატარებენ.

ხალხური ჩვეულებანი

ხალხური ჩვევანი მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ ყოფასთან და ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციასთან საუკუნეებით გამომუშავებული ეს ჩვევებიც ცვალებადია. თუშეთის საზოგადოებრიობა თემურ წყობილებას არ გასცილებია და მისი ადათ-წესებიც ამ თემობრიობის სულითაა გაჟღენთილი, მაგრამ დღევანდელი სოციალისტური მშენებლობის ხანაში თუშეთშიც ადგილი აქვს დიდ სოციალურ გარდატეხას. ამასთან დაკავშირებით იცვლება ძველი ყოფის დამახასიათებელი ჩვევები, თანდათანობით იშრება და მტკიცდება ახალი საზოგადოებრივი წესები. ამ მხრივ თუშეთი დღეს ფორმაციის

ხანაშია. ძველი და ახალი თაობა და მათი ჩვევები არსებობისათვის იბრძვიან და ამ ჭიდილში ძლეული ძველი მამაპაპური წესებიც ცხოვრების არენიდან გადის. შევეცდებით, ამ წარმავალ წესებს ფართედ შევეხოთ.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძველი ჩვევანი თუშეთის ყველა თემში ერთგვარად არ შემონახულა. წოვასა და მომთაბარე თუშებში (ზემო და ქვემო ალვანი) ძველ მამაპაპურ წესებს არ მისდევენ და უკვე მივიწყებულია; მხოლოდ მოხუცებს თუ ახსოვთ ამ ჩვევების შინაარსი და შესრულების წესები. თუშეთში ხალხური ჩვევები შედარებით კარგად დაცულია ჩალმის თემში, სადაც ძველ ტრადიციულ წესებს დღესაც ასრულებენ. წინათ კი, თემობრივი წყობილების დროს, თუშეთის ყველა თემში ერთნაირი ადათ-ჩვევები იყო გავრცელებული, მაგრამ შემდეგში ბარში ჩასული თუშები მოექცნენ ბარის, ამ შემთხვევაში კახეთის, გავლენის ქვეშ და თანდათანობით მიივიწყეს თავიანთი ძველი მამაპაპური ჩვევები.

ადგილზე გამოკითხვისა და შედარებების საშუალებით ირკვევა, რომ ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-ჩვევების მხრივ წოვასა და თუშეთის მცხოვრებთა შორის წარსულში ერთგვარობა ყოფილა და თემურ წოვათაში ასრულებდნენ იმავე წესებს, რომლებიც დღეს ჩალმა-თუშებშია დაცული.

თემური თუშეთის საზოგადოების ზნეობრივი ურთიერთობა განმტკიცებული იყო დ ა ძ მ ო ბ ი ლ ე ბ ი ს დ ა დ ა-ძ მ უ რ ი გაფიცვის ადათებით. ძმობილები ჭირში და ლხინში განუყრელი იყვნენ. ერთად იბრძოდნენ და კვდებოდნენ. ლალატი და ძმობილის ზურგის შექცევა თემში დიდი სირცხვილი და დანაშაული იყო. იმ დროს უძმობილოდ თავდაცვა და არსებობაც ძნელი იყო და ამიტომ ახალგაზრდობა ერთიმეორეს ეძმობილებოდა. ამ მიზნით ოჯახში იმართებოდა პატარა სადილი, სადაც ორი ვაჟკაცი ერთმანეთს ძმობას შეფიცავდა. სიმტკიცის ნიშნად სასმელით სავსე ყანწში ტყვიას ჩათლიდნენ და ხელგაყრილები შესვამდნენ. ამგვარ ძმობილს ახალგაზრდა თუში ქალიც ეძებდა, რომელიც მუდამ მოტაცების საფრთხეში იყო და მას თავდაცვისათვის სჭირდებოდა გულადი ძმობილი. და-ძმური გაფიცვა ქალის ოჯახში ხდებოდა, სადაც მცირე სუფრა იშლებოდა და ქალ-ვაჟი და-ძმობაში იფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვოდა. სიმტკიცის ნიშნად რძიან ჭიქაში ვერცხლის ფულს ჩაგდებდნენ და ორივენი შესვამდნენ; ვის ხელშიც ჭიქა დაიცლებოდა, ფულიც მას რჩებოდა; დობილი ძმობილს უქსოვდა ჭრელ წინდაჩითებს, ძმობილი კი მას ყველგან რაინდულად იცავდა. დროთ დაძმობილების ეს წესები მოსპო და თუშეთის ახალგაზრდობაში დღეს უკვე მივიწყებულია.

• უქმე და ხატობა-დღეობებში აქაური ახალგაზრდობა ერთად იკრიბება და „ჯარობა" იმართება ლხინ-ცეკვა-თამაშით და სხვა გასართობებით. აქ ხდება ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გამიჯნურება და ტრფიალი, რომლის გამომჟღავნება თემში ჯერ კიდევ სასირცხვილოდ მიაჩნიათ. სიყვარულით აღგზნებული თუში თავის მიჯნურს ასე ეტრფიალება:

„ხეცას შენ შუქურ მარსკვლავო, მნათობო ხმელეთისაო,
ავალ შენ, ქალო ლამაზო, შუქი გაქვს ნათელ მზისაო.
ტანადა გევხარ ნამყენსა, ამოსულ ალვის ხესაო,
თვალები გიგავს მაყვალსა, ჭალის პირს ამოსულსაო.
წითელი ლოყა შეგშვენის, თვალი ხარ ქალებისაო,
თეთრი ბროლისა ყელ-ყური ლამეს ანათებს ბნელსაო.
ხშირს უბანს, ქალო, შენ სდგეხარ, სახლი გაქვს ქვიტკირისაო,
წყალი შორსა გაქვს საზიდი, დილ-დილით ზომა გზასაო,
შენ მენანები, ქალაო, შორით რო ზიდავ წყალსაო.
ერთხელ შარაზე დამიხვდი, თუნგი გეკიდა წყლისაო,
გვერდითა სხვანი მოგდევდნენ, მათ უმშვენებდი მხარსაო.
ქალო, ამდენი ქებითა ნუ გაიდიდებ თავსაო,
დღეს ერთი ყვავის ყვავილი, ხვალ ბევრი იმისთანაო".

ლხინში გარმონს უკრავენ და ტაშს აყოლებენ. ცეკვავენ თუშურ ლეკურს. ცეკვის დროს მამაკაცი ხელებგაშლილი და ფეხის ცერების გასმით წრეს შემოუვლის. მას თუში ქალი მორცხვად და გოგმანით გაეთამაშება, რომელიც თავს დახრის და ცეკვის დროს ცალ ხელს ცოტათი ასწევს და ისე უვლის. ცეკვა უწყვეტია და მოთამაშეები ერთმანეთს ენაცვლებიან.

სიმღერებიან საკრავებში აქ ჩონგურია გავრცელებული. უკრავენ ჭიანურსაც. ჩონგური მთლიანი ხისაგან არის გამოთლილი და სამ-

ლარიანია. ჭიანური მუცელმრგვალია და მას ქამანჩით უკრავენ. ამ სიმებიან საკრავებს უფრო მამაკაცები უკრავენ და თან საგმირო და სატრფიალო ლექსებს ამღერებენ. ლამაზი და ტკბილხმოვანია ეს თუშური ჩონგური, რომელთანაც შეხმატკბილებულია სევდიანი თუშური სიმღერაც. ამ სიმღერას არ ახასიათებს ჰანგის სიჭრელე და ნაირობა; ის უფრო ერთფეროვანი და მონოტონურია. თუშურ სიმღერებში ცნობილია „თუში ქალის ტირილი", რომელსაც აქ ხშირად უკრავენ და მღერიან.

ჯარობის ამ ლხინში და ხატობა-დღეობებში ხდება დღეს მშობლების მიერ თავიანთი სარძლო-სასიძოების არჩევანიც. თუ მშობლებს შორის მოწონებას ადგილი ექნება, მაშინ საქმის მოსაგვარებლად „მარჯაკალს" გზავნიან. მაგრამ წინათ თუშეთის ახალგაზრდობა ასეთ საშუალებასაც მოკლებული ყოფილა და მათი ბედი დედის მუცელშივე თურმე წყდებოდა. ამ მიზნით თუშებში „მუცლად შეთქმა" სცოდნიათ. როდესაც ორი შეხათრებული ოჯახის რძლები ფეხმძიმედ შეიქმნებოდნენ, ორივე ოჯახი ერთმანეთს შეფიცავდა, რომ თუ ქალ-ვაჟი გაუჩნდებოდათ, ცოლ-ქმარი უნდა ყოფილიყვნენ და თუ ქალები ან ვაჟები, ერთმანეთის დობილები და ძმობილები, ამ პირობის დარღვევა არ შეიძლებოდა და დამნაშავეს სისხლი უნდა ეზღო. როდესაც მუცლად შეთქმული ქალი 15—16 წლისა ხდებოდა, ვაჟის მშობლები ქალისას გზავნიდნენ სასიძოს ძმასა და ბიძას პატარძლის დასაჭერად და წამოსაყვანად. პატარძალი ემალებოდა და, რომელიც ყოჩაღი პატარძალი იყო, მას ერთ კვირას ეძებდნენ, შემდეგ ძლივს დაიჭერდნენ და საქმროსას წაიყვანდნენ. სცოდნიათ აგრეთვე მცირეწლოვანთა აკვანში დანიშვნა, მაგრამ ეს წესები კარგა ხანია მოსპობილა და დღეს მოხუცები ძლივსღა იგონებენ.

მოტაცებით ცოლის შერთვა თუშებში წინათ სასახელო და საგაჟკაცო საქმედ ითვლებოდა. მაგრამ ამ მოტაცებას თან სდევდა სისხლის აღების მძიმე წესები. მოტაცებულ ქალს ვაჟი თუ არ მოსწონდა, მშობლებში გაიქცეოდა და მაშინ მისი ოჯახი მომტაცებელზე შურს იძიებდა და მას მოსაკლავად დასდევდა. სისხლის მაძიებელი ქალის ძმა იყო. თუ შერიგება ხდებოდა, მაშინ მომტაცებელი სადილს გამართავდა, შეკაცებს დაიწვევდა და, რა ჯარიმა-

საც ბჭეები მიუსჯიდნენ, მას უნდა ფულით თუ საქონლით გადა-ეხადა.

ჩვეულებრივ, ძალით მოტაცებისათვის ჯარიმად რვა ძროხა იყო დაწესებული, ნებითი შემთხვევის დროს კი — ერთი ძროხა და ცხვარი. მაგრამ ამ ჯარიმიდანაც შეიძლებოდა განთავისუფლება, თუ ვაჟი ქალის მოტაცების უმალ მოასწრებდა თავისი სოფლის სასაფლაოზე პირველად გასვლას და მოწმის თანდასწრებით დაძახებას, რომ მან ქალი მოიტაცა. მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ვაჟს ქალის მშობლები დაასწრებდნენ და ვაჟის სოფლის სასაფლაოზე პირველად ისინი გავიდოდნენ და დაიძახებდნენ, ვაჟს ჯარიმა უნდა მიეცა.

დღეს ქალის მოტაცება თუშეთში იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მომტაცებელ სიძეს შეურაცხყოფილი ცოლის ძმა დღესაც მტრობს და მათ შორის შესაძლებელია ცემა და მკვლელობაც.

თუშები ქალს გვარში არ გაათხოვებენ და სხვა გვარშიაც ნათესაური კავშირი ექვს თაობამდე გრძელდება. ქალის თავის სოფელში გათხოვებასაც გაურბიან და ცდილობენ სხვაგან გაათხოვონ. ოჯახში შერთვა-გათხოვების საქმე ჯერ კიდევ მშობლებისა და ოჯახის უფროსების ხელშია. მართალია, აქაური ახალგაზრდობა ებრძვის ამ უკუღმართ ჩვეულებს და საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობით ცდილობს მოიპოვოს თავისუფალი სიყვარულისა და შეუღლების უფლება, მაგრამ ძველი ოჯახის გავლენა აქ ჯერ კიდევ ძალაშია, რომლის ერთბაშად გადალახვა გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდა თუშისათვის არც ისე იოლი საქმეა.

ქ ო რ წ ი ლ ი. ასაკში ჩამდგარი ქალისა და ვაჟის მშობლებს ერთმანეთის ნათესავი თუ აქვთ, მაშინ ვაჟის დედ-მამა ქალის მშობლებს მაჭანკლად ძმას ან ბიძაშვილს უგზავნის. სამაჭანკლოდ მიმავალს უკან მუგუზალს ესვრიან, ეშმაკები დაფრთხებიან და მაჭანკალს ხელი მოემართებაო. მაჭანკალი ქალიანთ რამდენჯერმე მიუვათ, მაგრამ მას გარკვეულ პასუხს არ აძლევენ და საქმესაც განგებ აჭიანურებენ, სანამ ნათესავ-მოკეთეებისაგან ამის დასტურს არ მიიღებენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ქალის მამას, ძმას და ბიძებს. თუ რომელიმე მათგანი წინააღმდეგია, ქალის გათხოვება გაძნელდება. შეთანხმებისას მაჭანკალი სიმტკიცის ნიშნად ოჯახის წევრებს ხელს ჩამოართმევს, „ჰელმისამ-

ცემლო“ არაყს შემოიტანს და თეთრ მანეთიანსაც პურზე დადებს. არყით დაილოცებიან ახლად დანიშნულთა ბედნიერებაზე. პურზე ნადებ მანეთიანს პატარძალს გადასცემენ და მაჭანკალს კი საქმის მოგვარებისათვის წინდას უფეშქაშებენ. მაჭანკალი მოაჯდება ცხენს და მღერით სასიძოსას გააჭენებს. სოფელში შესვლისას გამარჯვების ნიშნად თოფს გაისვრის. მაჭანკალი სახლში შედის და მას სუფრას უშლიან. ამას ჩქარა მოჰყვება „ლიშნისათვის“ ან „საწესოსათვის“ მზადება. ვაჟისას აცხობენ პურს, გამოხდიან არაყს, ყიდულობენ შაქარს, რამდენიც საჭიროა. პატარძლისათვის ამზადებენ საქათიბეს, მანდილს, მუხლსაფარს, წუღებს და სხვა. ერთი კვირა რომ ჩამოივლის, ყველა ამ ნამზადისს წაიღებენ და სანიშნოდ წავლენ: მაჭანკალი, ვაჟის დედ-მამა, რძალ-მახლი და მული. ქალის ოჯახი მათ სადილს უმართავს და პატივსაცემად სოფელსაც დაპატიჟებს. პირაფარებულ პატარძალს პირველად აქ გამოიყვანენ. ვაჟის მშობლები სოფელს უმასპინძლდებოდნენ პურით და არყით. შაქრის ნატეხებსაც ყველას ჩამოურიგებდნენ. ვინც აიღებდა, იტყოდა: „ესე ტკბილად დაგიბერდნენ ახალი ყვავილებიო“. აქვე წყდებოდა ქორწილის გადახდის დრო და რიცხვი. ჯვარსაწერად მეფე მაყრებით და ეჯიფით პატარძლისას მიდიოდა. თან მიჰქონდა „ჯვარსამწერლო“ — ორი ხელადა არაყი, პური და ნახევარი ყველი. მაყრები სიმღერით და თოფების სროლით პატარძლის ოჯახში შედიან. ეჯიფი პატარძლის მოსაყვანად გადის, რომელიც ცალკე ოთახშია ჩაკეტილი. მორთული პატარძალი და მისი „მომრთავნი“ უცდიან ეჯიფის დაკაკუნებას. ეჯიფი სარკმლიდან შესძახებდა: „აბა, კარები გახსენითო“. პატარძლის მომრთავნი უპასუხებდნენ: „ამდენი ღირს, თუ არა და სხვაგან იყიდეო“. ბოლოს მაინც რიგდებოდნენ 4 თუ 5 მანეთად და ეჯიფს კარებს უღებდნენ. ეჯიფი შევა, პატარძალს ხელს წაავლებს და გაიხუმრებს: ეს პატარძალი იაფი ან ძვირი ღირებულაო. ეჯიფი და დადი პირაფარებულ დედოფალს გამოიყვანენ და ნეფეს მიუსვამენ. მაყრები დაიმღერებენ:

„ასრე მოვალ და მოვცურავთ, ბეჭთა არ შეგიტყვესაო,
წასვლა სჯობს წამავალისა, აქ დამრჩომისად — ლოგინი“.

წინათ თუშეთში ეკლესია და მღვდელი არ ყოფილა და ნეფე-დედოფალს თურმე დეკანოზები დალოცავდნენ, შემდეგ კი ნეფე-დედოფალს ეკლესიაში მღვდელი ჯვარს სწერდა. ეკლესიაში ნეფე-დედოფალს ტოტებიან გვირგვინს დაადგამდნენ, ფეხებთან ხანჯალს დაუდებდნენ და გვერდში ეჯიფი, დადე და მეჯვარე ამოუდგებოდნენ. წოვა-თუშები სასიძოს კლიტე-გასალებსაც აძლევდნენ, რომელსაც ის კეტავდა და ჯიბეში იდებდა. ჯვრის წერის შემდეგ ნეფე-დედოფალი ხანჯალს ფეხს გადააბიჯებდნენ და ეკლესიიდან გამოვიდოდნენ. ხანჯალს ეჯიფი აიღებდა და ქარქაშში ჩაიგებდა. კარში თოფებს ისროდნენ. ნეფე-დედოფალი მაყრიონით ისევ ქალიანთს ბრუნდებიან, სადაც მცირე ქორწილი იმართება და ერთ ღამეს რჩებიან. მეორე დღეს დედოფალი ნეფისას მიჰყავთ. პატარძლის სახლში ამ დღეს სამ კოტორს აცხობენ. დედოფლის გაცილების მიჯნაზე ძმები ერთ კოტორს გაჭრიან და გამომშვიდობებისას დაიმღერებენ:

„დაბრუნდი, დაო, დაბრუნდი, დართულო ჯარანსავითა,
ფეხი წადგი და წამოდგი მილაკენ ჩალასავითა“.

გულაჩუყებული პატარძალი იცრემლება. ქალის მაყრები მღერიან:

„რა კარგი ქალი მოგეცით, თუ არ მოგვიკლავთ შიმშილთა..“

ამაზე ვაჟის მაყრები შესძახებენ:

„დავლიოთ ღვინო, დავლიოთ, მანამ ერთმანეთს ვხედავთო
წუხილ მაშინაც გვეყოფა, შავ ლოდს რო ამოვხედავთო“.

ერთ კოტორს აქვე შეჭამენ და მაყრიონი დაიძვრის. ვისაც მარდი ცხენი ჰყავს, ის დაწინაურდება და ვაჟის ოჯახს ახარებს მაყრიონის მოახლოებას. ეჯიფი მახარობელს ფულით ასაჩუქრებს. ამ დროს ანთებენ ბუკვანის მაშხალებს და მას მაყრები ნიშანზე ესვრიან. ვინც მოახვედრებს და მაშხალას გადმოაგდებს, მას ეჯიფი ფულით ასაჩუქრებს. ამ ფულს მაყრები შემდეგ პატარძალს გადაულოცავენ. ნეფე-დედოფლის შემოსვლისას დაიძახებენ: „ვისაც მოველოდ, მოვიდა, შენ, გულო, გამხიარულდი!“ ნეფე-დედოფალს

კარებში მულ-დედამთილი მიეგებება, ტკბილს შეაჭმევენ და დაიმ-ღერებენ:

„ზალო, ბედითამც მოგვიხვალ, ბედსა მოგვიტან ტერფითა,
ხელთა ყრმა, ზურგით აკვანი, ზედ ქუდი ათასხნიანი".

ნეფე-დედოფალს პირველად სახლის კერასთან მიიყვანენ, თუ ის არ არის, თუნუქის ღუმელთან, რომელზედაც ალაგია პური, არაყი და ლუდი, ზედ სამი ანთებული სანთელია მიკრული. ამ კერის გარშემო ნეფე-დედოფალს სამჯერ შემოატარებენ; მათ წინ უძღვის ხანჯალამოწვდილი ეჯიფი, რომელიც ამ ხანჯალს ჭერსა სცემს და იძახის:

„ჯვარი წინა, ჯვარ უკვენა, ანგელოზო, შინ შემოდი!"

აქედან ნეფე-დედოფალს ეჯიფი, დადი და ორი ნათესავი მამაკაცი საფუარში (სალუდე) შეიყვანს, სადაც „ალუდიანი კოდებია". აქ ნეფე-დედოფლის ფეხებთან საკლავს დაკლავენ, ყველას ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ და ნეფე-დედოფლის იღბლიანობაზე ლოცულობენ. ამ საკლავს გადასცემენ სანდოსა და ახლობელ პირს, რომ მისი ნაწლავი არავინ მოიპაროს ანდა ნაწლავი მტრობით ვინმემ არ გაკვანძოს, რომ ამით ნეფე არ შეიკრას (სქესობრივად არ მოუძლურდესო) და მათი ცოლ-ქმრობაც არ გაუბედურდესო.

სალუდიდან გამობრუნებულ ნეფე-დედოფალს საქორწინო სუფრაზე დასვამენ. დედოფალს დადი მიუჯდება, ნეფეს კი მეჯვარე. პატარძალს პირს არ ახდიან და მას კალთაში ვაჟს ჩაუსვამენ. პატარძალი ბავშვს ტკბილეულით ასაჩუქრებს და ყველზე მას ჭრელ წინდას ჩამოჰკიდებს. ნეფე-პატარძალს ვაჟის დედიძმები „სადედისძმო ჯვარს" მიართმევენ და წინ დაუდგამენ. ხის ჯვარი მრგვალ ქადაშია ჩასმული, რომლის წვერებზე ვაშლებია ჩამოცმული და ზედ ერთი წყვილი წინდაა გადაკიდებული. ამ ჯვარს ცარიელ ჯამსაც მიუდგამენ. ნათესავ-მოკეთეები მიდიან ჯვართან, შესაწევ ფულს ჯამში აგდებენ და ჯვარზე კი ჭრელ წინდებს ჰკიდებენ. ეჯიფი დგას და იძახის: „ააშენოს ღმერთმან!" პატარძალი სუფრაზე არაფერს შეჭამს, სირცხვილია. მას მომრთავი ქალები ცალკე

ოთახში გაიყვანენ და იქ აქმეევენ. ქორწილი ერთი დღე და ღამე გრძელდება და ხშირად ჩხუბითა და აყალმაყალით თავდება.

ქორწილის დასასრულს ნეფე-დედოფალს ეჯიფი ხანჯლის წვერით გვირგვინს მოხდის და საწოლად წაიყვანს. წინად გვირგვინის მოხდისას ქალის მაყრები ცდილობდნენ ნეფისათვის მათრახები დაერტყათ, მაგრამ მას მისივე მაყრები იცავდნენ და ნეფეც კარში გავარდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ნეფე ისევ უკან შემობრუნდებოდა და პატარძლის მაყრებს უმასპინძლდებოდა.

ეჯიფი ჯერ მეფეს წაიყვანს და დააწვენს, შემდეგ დადე პატარძალს შეიყვანს. გვირგვინის მოხდის მეორე დღეს „წ ყ ა ლ ზ ე გ ა ს ვ ლ ა“ იციან. ამისათვის დედამთილი კოტორს აცხობს და მეზობლებს დაიწვევს. პატარძალს თუნგს აჰკიდებენ, წინ გაუძღვება „მეკვლე“ (ბედნიერი ფეხის), რომელსაც ეს კოტორი და არაყი მიაქვს და წყალზე წავლენ. წყაროზე კოტორს გაჭრიან და პატარძლის იღბლიანობაზე დაილოცებიან. პატარძალი ჭურჭელს გაავსებს, ზურგზე აიკიდებს და მეკვლეს გამოჰყვება. გზაზე თუნგს სხვები ართმევენ. პატარძალს მეკვლე თავის ოჯახში მიიპატიჟებს და არყით დალოცავს. პატარძალი მეკვლეს წინდით ასაჩუქრებს.

მესამე დღეს იციან „კ ვ ა ლ ა დ გ ა ს ვ ლ ა“. პატარძლისას მიდის მეკვლე და ორივენი ნამგლით ყანაში გავლენ და იქ ნამგალს რამდენჯერმე მოუსვამენ. ერთი კვირის შემდეგ პატარძალი დედმამის ოჯახში ბრუნდებოდა — „ფ ე ხ ბ რ უ ნ ე ბ ა“. პატარძალს მიჰქონდა ძღვნად პური, ყველი, არაყი და ლუდი. ის წაიყვანდა რამდენიმე კაცს და ნეფით დედ-მამასთან მიდიოდა. აქ პატარძალს დალოცავდნენ და ის მეორე დღეს უკანვე ბრუნდებოდა. წამოსვლისას პატარძალს მშობლები გამოატანდნენ ხურჯინს, რომელშიაც ეწყო: ნამგალი, საჩეჩელი, წინდის ჩხირები და ვერცხლის შიბიანი ერთი ხელი ტანისამოსი. თუში ქალის მზითვიც ეს იყო და სხვას არაფერს ატანდნენ. პატარძლის სოფელს სიძემ ერთი წლის განმავლობაში „ს ა ქ ა ლ თ ა ნ ო“ უნდა გადაუხადოს. სიძე ძღვნით და საკლავით პატარძლისას მივა, სოფელს დაიწვევს და უმასპინძლდება. ახალ სიძეს საქალთანოს სოფელი არ შეარჩენს და ვინც არ გადაიხდის, ქალები მას არბევენ, ართმევენ ქამარხანჯალს, ცხენის საკმაზს და ეტყვიან, ტიტველი ცხენით მიბრძანდით. დარბეულ სიძეს მოკეთე დაუდგება თავდებად და ქალებიც

ჩამორთმეულ ნივთებს უკანვე უბრუნებენ. დანიშნულ ვადაზე სი-ძემ საქალთანო თუ არ მოიტანა, მაშინ საქალთანო თავდებს გადახდება.

„ჯვარისკარად“ პატარძალს დედამთილი წაიყვანს. სანამ ჯვარისკარად პატარძალი არ წავა, მას მიცვალებულის დანახვა არ შეუძლია. ამიტომ დედამთილი გამოაცხობს კოტორს და პატარძალს ქმრის სალოცავ ხატში წაიყვანს, სადაც პატარძალს ალოცებენ და ბედნიერებას შესთხოვენ. პატარძალს სამ წლამდე ოჯახის უფროსების ხმის გაცემა ეკრძალება. მას არც თავის ნეფესთან შეუძლია აშკარა საუბარი. თუ პატარძალი ოჯახში ადრე აიძრახავდა, მას „ტაბარუკას“ (უჭკუოს) ეძახდნენ. პატარძალს შეეძლო აშკარა საუბარი მხოლოდ რძალთან და მულთან. მასვე ევალებოდა მამამთილ-დედამთილის ფეხისა და ხელ-პირის დაბანა.

გაივლიდა ხანი, დაახლოებით სამი თუ ოთხი წელიწადი მაინც, და ახლა მამამთილი მოისურვებდა რძალთან აძრახვას „აჭკვავდომას“. ამ მიზნით, როცა რაიმე ნამზადისი იქნებოდა, მამამთილი აიღებდა არყიან ყანწს და იტყოდა: „კეთილ იყოს ეს ჩვენი უნძრახობა და ერთმანეთის მოხათრება, აჭკვავდომა!“ მეორე ყანწს პატარძალს მისთავაზებდა, რომელიც მორცხვად ართმევდა და იტყოდა „გაგიმარჯოს“. ამ აძრახვაში პატარძალი მამამთილს წინდას აჩუქებდა. მამამთილი მას აძლევდა მუხლსაფარს ან სხვა მცირე რამე საჩუქარს. შემდეგ ასეთივე წესით აუძრახავდა მას დედამთილი და მაზლი.

თუშებში ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ. ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე, კაცო! ქმარი — ცოლს: დიაცო! სახლობავ! ბებერო! პატარძალი სახელის ნაცვლად მაზლს ეტყვის: ბიჭო! მულს კი ქალო, მარწყო, თეთრო, ქოჩორა! და სხვა. პატარძლისაგან თუშის ოჯახი მოითხოვდა ნამუსიანობის მტკიცედ დაცვას. ცოლქმრობაში ღალატი სამარცხვინო და დიდად საძრახისი საქმე იყო:

„ქალო, შენს მოღალატესა ზევით ღმერთი გაუწყრესა,
სალბუზისა მინდორზედა ნიავქარი აუტყდება:
მტერზე ამოღებულ ჯმალი ვადაშიამც გაუტყდესა,
მტერზე ამოღებულ თოფი ჩახმახშიაც გაუტყდესა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ცოლის გაუპატიურება ან ღალატი თუშებში ესისხლოდ არ ჩაივლიდა. მრუშობისათვის ქმარი ცოლს ცხვირს, თმას ან მკლავს აჭრიდა. დამწუნებელ ცოლს კი ქმარი „კვეთილას" ადებდა და განსაზღვრულ ვადამდე მისი შერთვაც არავის შეეძლო. ქალის შეცდენისათვის დამნაშავეს 60 ძროხა უნდა გადაეხადა. ცოლის მრუშობაში ცილისმწამებელს ქმარი ძროხას მოუკლავდა, ცოლს კი მშობლებს უგზავნიდა. შეურაცხყოფილი მშობლები ცილისმწამებელს სამართალში იწვევდნენ და, თუ გამტყუნდებოდა, ქმარი ცოლს უკანვე მიიღებდა და დაზარალებულ ძროხასაც უზღავდა. ქმარი ზოგჯერ ცოლს სცემდა, მაგრამ ქალს არავინ შეეშველებოდა, რადგანაც გვირგვინოსანი ცოლია და ქმარსაც ნება აქვს დასაჯოსო.

თუშებში უშვილო ქვრივი თხოვდებოდა, შვილიანის გათხოვება კი საძრახისი იყო. ქვრივი ქმრის ოჯახიდან ვერ გათხოვდებოდა. ის მშობლებში გაიპარებოდა და იქიდან თხოვდებოდა. მაგრამ პირველი ქმრის ოჯახი მას მაინც მწყრალად დაადგებოდა, სანამ ის „ქ ვ რ ი ვ ი ს შ ე ს ა მ რ ი გ ე ბ ლ ო ს" არ გადაიხდიდა.

შერიგების მიზნით გათხოვილი ქვრივი თავის მეორე ქმრის ძმას წაიყვანდა და პირველი ქმრის ოჯახში ძღვნით მოდიოდა, სადაც სუფრა გაიშლებოდა, დალევდნენ მიცვალებულის შესანდობარს და ამითი რიგდებოდნენ. დღეს ეს წესები უკვე მოსპობილია და აქაურ პატარძლებს ნაკლებად აშინებთ მშობლებისა და მოძალადე ქმრების შუქარა. ბედით უკმაყოფილო პატარძალიც ხშირად ასე მოთქვამს:

„ავტირდე, როგორ ავტირდე, შავი და ბნელი ქალით,
გვერდითა ჩამომისვიან სიკვდილის ფერი ქმარით;
კუპრშიამც ამოდუღდება ჩემი მაჭანკლის სულით,
რად შეველ ეკლესიაში, რად დავიწერე ჯვარით!"

ამ ნიადაგზე არის თავგანწირვის შემთხვევაც:

„გუდანთას მოწყდა მარსკვლავი, ჯვარბოსელს დაჯდეს
წყალზედა,
ვინა ხარ, სულეთს რო მიხვალ, თმაზე რო ისვამ ხელსაო,
იქნებ ხეცოს ანაი, მამისძის გაჯავრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე წინავ გითხარ, ბიძაო, მე ქმართან ალარ დავდგები,
ავდგები, თავსა მოვიკლავ, შენ ჩემ ცოდვაში ჩადგები,
სულეთს გიჩივლებ ბატონთან, მე ქალ ტირილად შევდგები,
გიჩივლებ, გადაგახდევენ, შენ ჩემ მსახური გაკდები".

დღეს საბჭოთა კანონმდებლობა ძველი ადათით და ძალდატანებით შეუღლებულ ცოლ-ქმარს საშუალებას აძლევს თავისუფლად იმოქმედონ და თუშეთში ცოლ-ქმრის გაყრა ხშირია.

მშობიარობა. წინათ თუშის ოჯახში ცოლის გაბერწება და უშვილობა სამძიმო იყო და თუშის პატარძალი შვილიერობასაც სანთელ-საწირით „თურსიეხ არდოტისას" (ფურების ხატია გირევთან) შესთხოვდა. უშვილო ცოლს თუში მშობლებს უბრუნებდა და შემდეგ მეორეს ირთავდა. ზოგჯერ ორივე ერთად ჰყავდა და ამ ნიადაგზე აქ ორცოლიანობა გავრცელებული ყოფილა.

ორსული თუშის ქალი საქონლის ტყირპს ხელს არ ახლებს, რადგანაც ხალხის რწმენით ბავშვი ტყირპიანი დაიბადებაო. მას არც საკლავის დანახვა შეუძლია, რომ ბავშვმა ძილში არ იხრიალოსო და სხვა. თუშის ქალს წინათ ოჯახში მოლოგინება არ შეეძლო, ხატი დაგვმიზეზებსო და ამიტომ მელოგინეს „მშობიარის ქოხში" ათავსებდნენ, რომელიც სოფლის განაპირას ყოფილა აგებული. საყურადღებოა, რომ ამ თუშური წესის შესახებ ცნობა ვახუშტისაც მოეპოვება: „რამეთუ ოდესმე შობს დედაკაცი, არავინ მიეახლების, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ (40) დღეთა მოიყვანენ შობილითურთ" (საქარ. გეოგრ. გვ. 105).

ამ ქოხში მელოგინე დედაკაცი მარტო იწვა და მშობიარობდა, იქ ოთხი კვირა რჩებოდა, არავინ შედიოდა და საჭმელ-სასმელსაც შორიდან აწვდიდნენ. მშობიარეს თუ გაუჭირდებოდა, მოხუცი ქალები წილს ყრიდნენ და ვისაც ერგებოდა, ის შედიოდა ქოხში და მელოგინეს შველოდა. ისიც ოთხ კვირამდე შინ ვერ ბრუნდებოდა და იქვე რჩებოდა. სოფელში თუ სამშობიარო ქოხი არ იყო, დედაკაცს ღია ცის ქვეშ უნდა მოელოგინა. მშობიარე ბავშვს თვითონვე ამოიყვანდა, ჭიპს დანით მოსჭრიდა და აკვანში აწვენდა. ოთხი კვირის განმავლობაში მელოგინე მდინარე წყალში იბანდა და სუფთავდებოდა. ოთხი კვირის შემდეგ მას მლვდელი განათლავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშობიარე ოჯახში ბრუნდებოდა. ეს ბარბაროსული წესი ბუ-შეთში კარგა ხანია მოსპობილა. სამწუხაროდ, მას ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხევსურეთში და ნაწილობრივ მთიულეთ-გუდამაყარში [1].

თუშეთში მელოგინე ქალი დღეს სახლში წვება და მას ბებია უვლის. ჯანის მოსაყვანად ბებია მშობიარეს ასმევს პიტნისა და ქონდრის ჩაის და აგრეთვე მოხარშულ დარეოს ტკბილ წვენს. მძიმე მშობიაობის დროს დაუძახებენ ვისაც გველ-ბაყაყი გაეშოლებია, ის



თუშური აკვანი

ხელში ჭამრით მშობიარეს შემოუვლის და იტყვის: „გველბაყაყი" გამიყრია, დედაშვილო გაიყარენით!". ზოგჯერ მშობიარეს ბურნუთს შეასუთქებენ, ქმარი ჩოხის კალთით წყალს მოიტანს და შეასმევს, თოფსაც გაისვრის და სხვა.

აგრეთვე ვედრებით მიმართავენ თურსიეხ არდოტისას: „თურსიეხო არდოტისაო, შენ დეეშველე და დეეხმარე, მოაგდებინე მშვიდობის მუხლი, ოღონდ დაგვეშველე და შენ კარზე მოვალო, სანთელ ზედაშეს არ ვშურობა". ახალდაბადებულ ბავშვს ბებია იყვანს და უვლის. ბავშვის ბუდეს ნეხვში ჩაფლავენ, დედა რძიანი

[1] სერგი მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930 წ., გვ. 119.

იქნებიო. ბავშვს აკვანში ზრდიან. აკვანი ფიქვის ხისაა, რომელსაც ძირში გაყრილი აქვს კედები და მასზე ლასტია გამართული. აკვანში ქერის ჩალაა ჩაგებული და გადაფარებულია შალის „ხეჩანი", რომლითაც ბავშვს შეკრავენ და არტახებს გადაუჭერენ. შიბაქი არ იციან და შარდი ლასტში გადის. პირველად ბავშვს პატარა აკვანში აწვენენ. მეორე და მესამე წელს კი დიდ აკვანში გადაიყვანენ.

ავთვალის წინაალმდეგ აკვანზე ჰკიდებენ ლორის კბილს, გველის მძივს და ნალოც „ჰკდეს". ბავშვი რომ არ შეშინდეს, ყელზე შეაბამენ ჩვარში გამოხვეულ ლორის ჯაგარს; რომ არ იტიროს, აკვანზე ჩამოჰკიდებენ საკმელსა და გახვრეტილ აბაზიანს. ბავშვი წლამდე „ჭვარისკარად" უნდა წაიყვანონ და ჭვარის ხატში ალოცონ, სადაც მიაქვთ სანთელ-საწირი და აქ მას დეკანოზი ამწყალობებს.

ბავშვს მღვდელი ნათლავდა ჩვეულებრივი წესით. ნათლად იწვევდნენ კარგ მეგობარს, რომელსაც მოჰქონდა შესახვევი მიტკალი და სანათლიდედო საჩუქარი. ბავშვს მღვდელი სახელს არქმევდა საეკლესიო კალენდრის მიხედვით. ამიტომ თუშებში დღეს გავრცელებულია ეკლესიური სახელები. მაგრამ, ამასთანავე, დღესაც ატარებენ ძველ თუშურ სახელებსაც.

მ ა მ ა კ ა ც ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა: აბალო, აბული, ანთაცა, ალია, ალო, აბუო, ახაი, ამირან, ბაკური, ბერო, ბუჩაჩ, ბზიკური, ბუკათი, ბერლია, ბაქუზანი, ბეკო, ბახტურაცა, ბალატ, ბოხია, ბუკო, ბოთირა, ბერი, გიგა, გიგოლე, გიო, გიჩალე, გოგი, გორგა, გულუხაცა; გოჩა, გოთა, გოგნელი, გაწირი, გოგოთა, გუბი, გულავრი, დარჭიზანი, დევდარი, დალხიზე, დაკო, დაქო, დილო.

ელანი, ეკო, ევსო, ვაზუზი, ვეჰია, ვაგუ, ზეზვა, ზობაი, ზურაბი, თათარი, თილი, თისო, თოთი, თორლვა, თურქო, თავბერი, თხურუშა, თლუმა, თარუზან, თუნო, თოკო.

ითაბან, იოგი, იჩო, იჩუაცა, კანთო, კახო, კიცვაცა, კარდალი, კინდოლა, კუშტანდი, კეჯილა, კუსო, კოკი.

ლაბაზან, ლაგაზი, ლუცი, ლუხუმი, ლალო, ლეგო, მარხვა, მანგია, მეშველი, მინდი, მიქა, მოზაცი, მელაცა, მაკატო, მეშო, მოზაცა.

ნაკუდაცი, ნადირაცა, ნაუგურა, ნადი, ნოზა. ოქეი, ოხოლი, ონისე, ოდანე. საგი, საღნო, საგითი, სეხნიაცა, სურა, სარიდონ, სამო. უთურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცუ, უთური, უშარო, უთო, ფილა, ფეშუმი, ფუნჩაცი. ქედაი, ქარუმაცუ, ქოთა, ქურაქო, ქუჯა. ლთისო, ლანიში, ლირლი, ლადრი. ყვაჯა, შაბალი, შანქი, შეთე, შველა, ჩაჩაური, ჩეო. ციგუ, ცოგი, ცისკარა. წოე, წვეტო, წიწო. ჭიო, ჭვიო, ჭონქუ, ჭახრო, ჭიჭო, ჭარელი, ჭურიაცუ, ჭიჭანი, ჭვრიტი.

ხვედა, ხიზანაცუ, ხვედეგი, ხულო, ხაპარი, ხაჩო, ხიცო, ხიწო, ხოსიკი, ხუტი, ხუტური, ხუცი, ხვანჩა, ხაპრო, ხელო, ხატო, ხევსურაცუ, ჯამრული, ჯაგოდანი, ჯღუნია, ჯარჯი, ჯანთო, ჯანღა, ჯაცო. ტუხე, ჰაიჩა.

წოური სახელები: აფშინა, ბერო, ბელადი, ბაჩულა, გიკური, გიგოლე, დათილი, დინგა, დაყი, დაქა, დარქიზან, იკოპი, შველა, ლაგაზი, დული, ტუიგი, ფოცხვერი, ყიზილა, საიგი, ჯიხო, ჯიმშარი, წკიპო, უშო, ბღუჯო, ჭანთო, შორთი.

თუშის ქალის სახელები: საკო, თახო, ნანა, საბედო, მაცო, მაია, ქაცო, საძო, საკი, მაგდო, ძეგლო, ქაციკო, შუქრუნა, ქაქოი, ციკრო, მარწყო, შურთხა, ნანელოი, კიკაი, კიკანა, კიკი, მაკუშა, ქრუში, ბარაშო, ზობა, ფისო, ბაქი, მეწყინა, მზექო, ზოცუ, საძო, სამძიმი, მადა, რაოდენი, მთვარია, ვარდო, თეთრო, აგუნდაი, მერცხალი, ბაი, ბერაი, მანიქა, სიო, ქაობი, საგიბათა, იამალაზა, კუკალა, შუქოი, ყრუნწო, ქოჩრო, კიკნო.

წოური: მეიარამი, მუწვირი, გელაინძი, ქომლი, ნათელა, თეკო, ბაუო, წიო, ქაცო, მაკა, ძუაი, კუნწლარე, ტურფა, შეთხირი, ხოხობი, კუტალი, კიწებ, ქოჩორა, შუქო, ჰუკი, ანგლო, რუშკა, წიწკარი, ლამზური.

ამ სახელებთან თუშებში გავრცელებულია „თიკუნი" (ზედმეტი) სახელებიც: ყარტულა, რქაწამძვრალი, ჯანდაგი, შებუ, ტოპრაკა და სხვა.

სათამაშო-გასართობებში თუშებში მიღებულია: კოჭაცობა, გილძაცობა, ისარფშვინდაცობა, რიკჯოხაცობა, ქაბუზვაკი (ბზრიალა) და სხვა. ს ა ლ ა ც ო ბ ა. ოთხკუთხედად შემოხაზულ მიწაზე ქვას დააგდებენ და ცალი ფეხით კუთხეებში აგორავებენ და ფეხის აუცდენლად ის ბოლომდე უნდა გაიტანონ.

მ გ ე ლ ჯ ი ე ვ ა ო ბ ა. დგამენ მგლისა, ჯიხვისა და სხვა ნადირთა პურის ქანდაკებებს, მიზანში იღებენ და ისრით თოფავენ. ვინც მოახვედრებს, ნამცხვარიც იმისია.

გაგლეჯილაცი. ბავშვები ხელგადაბმულები დგებიან. ერთი წამოვა და წრის გაწყვეტას შეეცდება. თუ წრე გაარღვია, ერთსაც თან გაიტაცებს.

ქერიჭამიაცობა. ერთი თავს კალთაში ჩამალავს, სხვები უკანიდან ეპარებიან და სცემენ. ვისაც გამოიცნობს, ახლა ის ჩამალავს თავს კალთაში.

ქუდაცობა. ქუდს დადებს ერთი, სხვები კი ცდილობენ მის გატაცებას. თუ ქუდის პატრონმა მოასწრო გასროლილი ქუდის დაჭერა და მის გამსროლზე მორტყმა, მაშინ ქუდის გამკრავი ძლეულია და ახლა მან უნდა თავისი ქუდი ჩადგას.

კროჭუნაცობა. სიპ ქვას დააყენებენ და ესვრიან. ვინც მოახვედრებს და სიპს გაიტანს, მანძილს გაზომავენ და პირობა თუ ოცი ნაბიჯია, წაგებულმა გამარჯვებული ზურგზე უნდა შეისვას და განსაზღვრული მანძილი გაარბენინოს.

ციკო, ციკო, დამუე. ერთი მგელია, დანარჩენი მოთამაშენი კი — ციკნები, რომლებსაც დედა იცავს. ერთი ციკო გავა, მას დედა დაუძახებს: ციკო, ციკო დამუე (მოდი). ციკო გამოიქცევა, გზაზე მგელი გამოეკიდება და საქმე გასწრებაზეა. მგელმა ციკო თუ დაიჭირა, ის მას გაიტაცებს.

მიცვალებულის გასვენების, ტირილისა და გლოვის წესები

თუშის სიცოცხლე მთაში თუ ბარში მუდამ განსაცდელშია. ცხვარში მას არ უსვენებენ ქურდ-ყაჩაღები, რომლებიც ხშირად ქურდულად თავს ესხმიან და სტაცებენ ცხვარ-საქონელს. ამ შეტაკების დროს თუში მეცხვარე წუთისოფელს ესალმება და თუშებში დღესაც არა ერთი დედაა მტრის ხელით მოკლულ შვილზე დათალხული და მგლოვიარე. ხშირია აგრეთვე სტიქიური უბედურებანი. ზამთრობით აქ დიდი ზვავები, ქარბუქები იცის და მგზავრი ხშირად ამის მსხვერპლი ხდება. მეცხვარის ხრამში გადაჩეხვა და აქფებულ ხევში დახრჩობაც აქ იშვიათი შემთხვევა არ არის.

ცხოვრების მთელი ეს სიდუხჭირე და სიკვდილის განცდის საშინელება თუშურ ხალხურ პოეზიაში მძაფრად არის ასახული:

ცამან შეყარა ლრუბელი, ნამი ჩამოდის ძირსაო,
ავაო, რა ცოდვა ვიხილე ახალგაზრდაი ყმისაო.

მიხასა. უშარაულსა დღე ჰქონდა სიკვდილისაო,
მიხაი წყალმან წაგვართო, მოშორდა სამზეოსაო,
ატირდა მამა მშობელი, წყალივით ცრემლსა ღვრისაო,
ნეტავ სათავე გაგიშრეს, შენ წყალო მაღლის მთისაო!
— მიხაო, მე უშენოდა ბინა რად მინდა ცხვრისაო!
— ნულარა სტირი, მამაო, არ აწყენინო ღმერთსაო!
თუ შვილი გენანებოდა, რათ მანებებდი თავსაო,
მე ხომ ყმაწვილი ვიყავი, გამოუცდელი მტრისაო;
თან თვალი გამომაყოლე, დაეშორდეთ ერთმანეთსაო.
შენ ისევ გულს მოიმქავრებ, ბინას რომ ნახავ ცხვრისაო,
მე ალარ მოგაგონდები, ვაი ბრალი მიხაისაო.
ვითომ არა გყავს მიხაი, მე აქ მანანებ თავსაო,
ეე ისევ კახეთში ჩავალ, იქ ვნახავ დედაჩემსაო,
მაგრამ იქ ჩასვლა ძნელია, გზა შორით ჩამოდისაო,
დავრჩები შუა გზაშია გამორიყული წყლისაო.
ვინც მიწა-წყალსა მაღირსებს, მადლი ეწევა ხვთისაო,
ჩემს სამაგვრად მადლობას უფალი გადუხდისაო,
დღეგრძელობა ჩემს ბიძებსა, არ მანებებენ თავსაო,
მშობლისა ცრემლი მაღირსეს, მიმაბარ მიწა-წყალსაო,
დედას მითხარით მშობელსა, მალვა არ უნდა სიკვდილსა.
შეიტყო მაგის დედამა, სამზეოს ბნელში ზისაო,
ჩავარდა საგონებელში, მზე არ ამოდის დილისა.
დედა მოგიკვდეს, მიხეილ, სადამ რას წევხარ ქვის ძირსა,
წყალო, სათავე გაგიშრეს, ცოდვა გაქვს მიხაისაო!
წამართვი, ჩამომიჩინე, რისთვინ მიმალავ შვილსაო?
დილით გამოვა, დადგება თვალცრემლიანი წყლის პირსა,
ვინდა ამსწყუროდეს, ვერ დალევს, ვითომ ღვარია სისხლისა.
— მანდა სწუხდები, დედაო, მე აქა ვწევარ მთის ძირსა,
ვინც მშობლის ხელში მოკვდება, რაღად ჩავიან სიკვდილსა!
სუდარად ზვავ მაფარია, ვეღარა ვხედავ მზის პირსა.
სულ ასო-ტანში გამყარა, ცვარი არ დამრჩა სისხლისა,
ჩემს მაგვრადა უთხარით მიტროსა მამაჩემსაო:
თელავში რისთვის გამზარდე, თუ მწყემსი ვინდოდ ცხვრისაო.
შეყრილან ჩემი სწორები, წიგნს კითხულობენ ჭრელსაო,
მე წასვლა ვეღარ მეღირსა, საბრალოს მიწის ტყვესაო,

ნუ დამიზოგავთ საწესოს, რაც საკუთნოა მკვდრისაო,
ვითომ სამზეოს ვყოფილვარ, განა წილსა გთხოვთ ცხვრისაო,
იქ უნდ ვთხოვო დღეგრძელობა ჩემის ძმის აბრამისაო,
იქნება ერთხელაც იყოს, სული ახსენოს ძმისაო,
ერისტო ბარამიშვილი სწორია მიხაისაო,
სამძიმარს შემოუთვლიდა თავიანთ ტირილისაო,
თავი გენანოს, მიხეილ, მეცა ვარ შენი სწორიო,
სულეთსა ერთად წავიდეთ მონატურ სწორებისაო,
ვერ გავახარეთ მშობელი, გული იცინის მტრისაო,
მე ამისი მომლექსობელი საბა ვარ პაჩოშვილიო.

მაგრამ გულად თუშს სიკვდილისა ნაკლებ ეშინია. მისი წარმოდგენით სიკვდილი ვაჟკაცისათვის მხოლოდ ძილია:

კარგსა ყმას, მძიმედ ნაჭარსა, სიკვდილი ძილი ღგონია,
დადება საკაცეზედა თავის ლურჯაი ღგონია,
ჩადება სამარეშია თავის ლოგინი ღგონია,
ყელსა მოხვევა გველისი და მარიამი ღგონია
ქალისა, ზლისა ტირილი ცხენთა ხვიეილი ღგონია,
დახვევა ჭია-ღვიისი თავისი ობლები ღგონია,
ფეხთან ეგია ლურჯაი, ფეხს უცემს არ გამწირავი.

მომაკვდავ ადამიანს წინათ დეკანოზი პურ-ღვინით აზიარებდა, შემდეგ მას ნაბადში შეახვევდნენ და კარში დაასვენებდნენ, სადაც ის სულს დალევდა. რაც უნდა ცივი და ცუდი ამინდი იყოს, მიცვალებულს სახლში არ შეასვენებენ და ცხედარი „ციხემოსობა“ ორი დღე-ღამე კარში ასვენია. თუ ამინდი ცივია, ცეცხლს დაანთებენ და ისე ყარაულობენ. ვინც ჭრილობითაა გარდაცვლილი, რომ არ დასივდეს, მას გულზე ნალს ან დანას ადებენ. ცხედარს უდგამენ ჯამით ქვამარილს, ხელადა არაყს და გაპენტილ თეთრ მატყლს. მსუდრავი ცხედარს შესუდრავს, რომელსაც ერთი წყვილი ჩითა ეძლევა. მიცვალებულს დედაკაცები მოთქმით ტირიან, მაგრამ ტირილი ყველას არ შეეძლო. წინათ ცოლი ქმარს მოთქმით ვერ იტირებდა, სირცხვილი იყო. მოთქმით ტირის დედა შვილს, და — ძმას, დედის და და მამის და. ციხემოსობა ღამე იქ მყოფთ აქმეევენ „საშუალამო გორდილას“ და ამ ვახშამზე ყველას ჩამოურიგებენ თითო მუჭა „ბიჭონს“ (დახალული ხორბალია) და ყანწით არაყს. დილადრიან ცხედარს მამაკაცები დაიტირებენ. მამაკაცები ერთად მოვ-

ლენ. სახეზე ჩოხის კალთებს აიფარებენ, ცხედარზე დაემზობიან და დაიქვითინებენ. წინათ თუშეთში კუბო არ სცოდნიათ და მიცვალებულს ნაბადში ახვევდნენ და ისე ასაფლავებდნენ. დღეს ცხედარს ასვენებენ კუბოში, რომელსაც დედაკაცები შემოუსხდებიან და ისე ტირიან. მოთქმით ერთი ტირის, სხვები კი ქვითინებენ. ჯვარდაუწერავ მაზლს რძალი ასე დაიტირებს: „ვაიმე, ვა ჩემს თავსაო, მაზლო, რად დამლუპე, მაზლო, სიდ გასწირე თექაი და ნაბადი. ჯოხი სიდ გასწირე ბაკთ მიყუდებული, ვისამ გავხედოთ ცხვარამოდენასა, ვისამც გაფეროთთაო. მოგიკვდეს ზალოი, ჩამოგივალის პირისა სახეო, თაგვნი ბუდეთ გიქმენ თმასა და ქოჩორსაო; ჭიან შეგიჭამენ ბროლისა თითებსა. ქალებ გტირიან, მაზლო, ძმობილთა ზლებიც გტირიან, ვაიმე, მაზლობითთაო. მაზლო, ადექიღავ, სალმიღ მიეც, ვამ შენ მიწვეულ სტუმრებსა. რად დახპატიქენი, თუ არ დაუხვდებოდი. წინდებ მოგიტანეს გადასალოცად. მაზლო, ოჯრადაწ დაგრჩა სანეფო სამოსი, სანეფოდ გამზადებოდეთ, მაზლო, მიწის გისტუმრებთთაო, სახლს გიკეთებენ უკარუსარკმლოსაო, ხარივ სულწუხაკი, იქ ვერას გაზძლებაო; მოდი, ნუ წახვალ, ისევაღ დაბრუნდი...“

დედამთილი პატარძალს ასე დაიტირებს: „ვაიმე, ზალო, ვაიმე, მოგიკვდეს ჩემი თავი! ახალო ყვავილო, ახლად მომდინარო, მინდვრის ბუბუნაკო. ახლა რაკიღ ვქნია, ზალო, რად დამლუპე ფონად გუცალავ, ხანა-დრო მოუვლელაკო, ჩამოგივალისა ზალო თმა-კოწოლი; მალ შეგეშლებისა, ზალო, პირისა სახეო. ჩვენ ამოვედითა, ზალო, შენ მანდ გაგწირე, ზალო, კახეთშიაო. კახეთ მონაია, ზალო, მალ გაჯურდების. ჩამოგეშლებისა, ზალო, პირის ხეო. მე ვერას გავძლებ, ზალო, უშენოდაო, თანალ გამიყოლე!...“

დატირების შემდეგ ცხედარს წაასვენებენ სასაფლაოზე, რომელიც სოფლიდან ცოტათია მოშორებული. კუბოს წინ მიუძღვის ბგაგადაკიდებული კაკი, რომელსაც შესანდობარი პური და არაყი მიაქვს. კუბოს სამარის პირზე დაასვენებენ, ცხედარს ქამარ-ხანჯალს შეხსნიან, წინდა-ჩითებსაც ამოალაგებენ და კუბოს დახურავენ.

კუბოს სახურავი თავთან მრგვალად არის ამოჭრილი. სამარეს სიპი ქვის ფიქალებით ამოაგებენ და შემდეგ კუბოს ჩაუშვებენ. კუბოს სახურავის ნაჩვრეტში გრძელ ჯოხს დაუცობენ და ზედ ფი-

ქალს დააწყობენ და მიწასაც მიაყრიან. ეს ჯოხი სამარიდან ნახევარი მეტრითაა ამოშვერილი და, როცა საკურთხი ან რაიმე შესანდობარი მიაქვთ, ამ ჯოხს ამოიღებენ და შიგ ზედაშეს ჩაასხამენ. ასეთი საზედაშე ხვრელი აქ საფლავის ქვებზედაც არის ამოჭრილი, რომლებშიც ჯოხები ყოფილა ჩარჭობილი.

სამარის თავთან ფიქალ ქვას დააყუდებენ, რომელზედაც ამოკაწრულია რამოდენიმე სიტყვა მიცვალებულის ვინაობის შესახებ. სოფ. შენაქოში, სადაც მე დავესწარი მიცვალებულის გასვენებას, საფლავს ასეთი წარწერიანი ფიქალი ჩასვეს: „1931 წ. კათათვის 15 დღესა მივბარდი მიწას. 4 თვეს ზვავი მეხურა საბნადა, შემდეგ მიპოვეს მოძმებთ და მიმაბარეს მიწასა. უდროოთ მოვშორდი მზესა, დავტოვე ბერი დედმამა თვალცრემლიანი მტირალი. აქა მდებარე ვარ ეფრო ლევანის ძე ხაჩიძე გარდავიცვალე 26 წლისა. წამკითხველნო შენდობა მაღირსეთ". დასაფლავების შემდეგ იქვე ისაუზმეს და მიცვალებულის შესანდობარიც დალიეს. თითო წყვილი წინდა მიეცა მესაფლავეებს, რომლებმაც ბარისა, წერაქვისა და ნიჩბის ტარები სამჯერ დანით ათალეს და ყველანი მიცვალებულის ოჯახში დაბრუნდნენ. აქ გარეთ ესვენა მიცვალებულის ნიშანი, გაშლილი ტანისამოსი, რომელზედაც ეწყო: ქუდი, ქამარ-ხანჯალი, ჩითები, წინდები, გაპენტილი მატყლი, მარილი და ხელადა არაყი. ამ ნიშანსაც დედაკაცები უსხედან და რიგით ტირიან.

სახლში იშლება „პ ი რ ს ა მ ხ ს ნ ი ლ ო" სუფრა და მიცვალებულის შესანდობარს ხელში არაყიანი ყანწით უფროსი წარმოთქვამს: „შეგინდოსთ ღმერთმა, სულნო (იტყვიან სახელს). როგორც წესი და ადათი არის, მოუმზადებია ხარჯად შენს მემკვიდრეებს სასმელი, საჭმელი. იმ ქვეყანაში შენს ნებას ჰქონდეს გაუთავებელი; მდიდრად იყავ იმ ქვეყანაში, მანამ ცა-მზენი არიან. მოიხსენიოს. შენი წადინით, შენი ნებით, შენი ნათესავები, წასული დები, ძმები, მშობლები, უპატრონო გარდაცვალებულები, ვისაც მომკვლენე არავინ ხყვანდეს, სუ ყველა მოიკვლენიოს შენი წადინით და შენი ნებით. ძალად ნურვინ შეგეცილება, წინააღმდეგ არავინ გაგიკდება. შეიწყალოს, მანამდის ჯარ საკნავსა ჯნავს, წისქვილი ფქვავს, ცას ცვარი ჩამოზდის, გორს წვანილი ამოდის. ჩემის თქმით, მღვდლის წიგნით, იერუსალემის მადლით, დავით დასტურ დაცემით".

ყველანი შესვამენ. გაშლილ სუფრას პირველად მამაკაცები მოუსხდებიან და სადილობენ, შემდეგ კი ქალები სხდებიან. მზის გადახრისას ნიშანს სახლში შეიტანენ და ტახტზე დაასვენებენ, სადაც ის წლამდე გაშლილია.

მგლოვიარე ქვრივი „კიკინოს“ შეიკრის და „კოწლებს“ მანდილის უკან დამალავს. გაუთხოვარი ქალი, თუ ძმაზეა მგლოვიარე, კოწლებს იმალავს, გათხოვილი კი კიკინებს შეიკრის. მამაკაცებს გლოვის ნიშნად „თმის სხმა“ სცოდნიათ ერთ წლამდე, რომლებსაც წლის ბერებს თურმე ეძახდნენ. შემდეგში ეს ვადა ხალხს ორმოც დღემდე შეუმცირებია, რადგანაც ეს წესი მეკობრობას თურმე ხელს უშლიდა. სოფ. ომალოში, „სახალხო გორაკზე“, საიდანაც ხალხს მოუსიტყვებდნენ სოფლის უფროსები თემის ან სოფლის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, დღესაც დარჩენილია ნაგები დაბალი ყორე. ამ ყორესთან ომალოელებს თმის სხმის ვადა ორმოცი დღით განესაზღვრავთ და დაუფიცნიათ: „ვინც ამას დაარღვევს, ძალლი იყოს მისი სულის სანათლავიო“. ჩვენ აქ მოვიყვანთ ლექსს, სადაც გასვენების ეს წესებია გალექსილი:

ცის ქუხილივთ გაისმა პირიქით დაჭრა გმირისა,
სუყველა ამას სჩიოდა: გვეკვნება რკინის კარია,
მძიმე დაჭრილსა ამბობენ გარასა დარცალისია,
ველარ შველიან ექიმებ, სხედან, ჩუმადა სტირიან.
ველარც მკითხავებ შველიან, ვედრება იმათ პირისა,
მიზეზთ რას ეძებთ სხვა და სხვას, დღეს წერა იყო იმისა,
სუყველა ამას სჩიოდა: გვეკვნება რკინის კარია,
კუბოს ფიცრებად მზადდება ქვის ანათალი სიპისა.
კარგ საფლავ უნდა გარასა, წვიმა არ ჩაუვიდესა,
მტრის ჯავრს არ სჭამდა ვაჟკაცი, არ გააგონებს კვნესასა;
გარაის დისა ტირილი სანთლად დაენთო ზეცასა,
აღლო მთელი მთა-ბარი თამარის მოთქმა-კვნესასა,
თმები დაიჭრის გიშრისა, ათეულს გვანდა კრებასა.
ცოლის გულსა ხვდა ლახვარი, თურ ტირილს ვერას ბედავდა.
ჩუმად იტირებს ბეჩავი, როცა არავინ ხედავდა,
სიკვდილსა ალარ ღნებდებოდ, კერპობა ხქონდა წესადა,
უნდა კმალი ხცეს მტარვალსა, თუ სად მოუვა კვლადა.

სელი ამოდის გარეის, დევსა ღგვანდ რკინის მკენტავსა,
დედმამას ანდერძს უწირავს: „შანშეს მიეცით ქმალია,
სხვის ველში ნუმც შეგულების, სხვა ღირსი არვინ არია,
ხანჯარი ფუნჩაის შვილსა, ის კარგი შეომარია,
ფარი და ჯაჭვი ლეგასა, ჯერ ომში შეუვალია,
თოფი მიეცით ელიზბარს, ის კარგი შეომარია,
ჩემ ცხენი ძმობილს მიეცით, ხვალ იმან უსვას გავასა,
ალალიც არის იმაზე, ნურც თქვენ დაუწყებთ დავასა!“
ესა თქვა, გაქრა, როგორც შანდალში სანთლის ნაწვია,
სახლში დალეგა სელისა წეს არ არს ძველთავანია.
დერეფანში წევს გარეთ თვალდაბუქული, მკვდარია,
თავით დაუდეს იმასა თოფი, ფარი და ქმალია,
გულზე დადვეს ხანჯარი, ქმალშეუვალი რვალია.
ფეხით უდგია ლურჯაი, ორთ უპყრია ლაგმის ტარია.
ტოტს უცემს, ელის პატრონსა, დაუგვიანდა მგზავრია.
სოფელში გაიძახიან: ვაიმე, რა გვეშველებაო,
კარგები გვეპოცებიან, ბეჩავი ჯელად გვრჩებაო.
დედა ვაცხონე იმისა, ჭირიმე იმის გამზდლისა,
რომ არ წაიღო საფლავში ლაფით მოსვრილი პირია,
პირნათლად წავა შავეთსა, საც იმის წინაპარია.

სიბა ითიერიძე, სოფ. გირევი.

თუშეთში დიდი მწუხარების ნიშნად მგლოვიარე დედაკაცი წინათ მარჯვენა უბეზე „ქ ო ქ ი რ ა ს“ იკეთებდა. ქოქირა ლითონისაა და ჯაჭვის პერანგივით არის მოქსოვილი. ის ვიწრო და ჩაგრძელებულია, რომელსაც ბოლოზე შალის შავი ფოჩი (ქოქირა) აქვს გაკეთებული. ქოქირა ვისაც არა აქვს, ის თხოულობს და მას განსაბლვრულ ვადამდე ატარებს. შემდეგ ისევ პატრონს უბრუნებს. მგლოვიარე დედაკაცი ქოქირას ერთ წლამდე მაინც ატარებდა. გოგოებს ქოქირას ზურგზე უკეთებდნენ. ქოქირიანი ქალები ყოველ შაბათს მდინარე წყალთან მივიდოდნენ, ქოქირას ფოჩს წყალში ჩაბერტყავდნენ და იტყოდნენ: „შეიწყალოს ღმერთმან!“ (მიცვალებულის სახელს ახსენებდნენ).

ქოქირას მოხსნისას მგლოვიარე სამ კოტორს გამოაცხობდა, სანთელს აანთებდა, არაყსაც დადგამდა და მიცვალებულს დაიტირებდა, შემდეგ სოფლის გარეთ გადიოდა და ქოქირას იქ შეიხსნი-

და. ქოქირას ფოჩს დაკუწავდა და გადაყრიდა, ჯაჭვს კი თან წამოიღებდა. თუშეთში ქოქირას წინათ ყველგან ატარებდნენ, მხოლოდ სოფ. ომალოს ქალები ხატის შიშით მას არ იკეთებენ, რომ წასნეს ხატმა არ დაგვამიზეზოსო. ქოქირას აქ უკვე არ ატარებენ და ის დღეს იშვიათი სანახავია.

დ ე დ ა თ ტ ი რ ე ბ ა. წლის თავის გადახდამდე ჭირისუფალი ყოველი თვის პირველ დღეს ფაფას მოხარშავდა, კომლზე დედაკაცს დაიწვევდა (მამაკაცი არ მიდიოდა) და მიცვალებულის სულს შენდობით მოიხსენიებდნენ. მაგრამ თუშებში ყველაზე მნიშვნელოვანია „წ ლ ი ს ა ლ უ დ ი ს ა" და მასთან დაკავშირებული „ს ა დ გ ი ნ ი ს" (ცხენის რბევა) გადახდა. მიცვალებულის ამ წლისთავსაც ჭირისუფალი დიდი ქელეხით იხდის. ამისათვის იხარშება ლუდი, ცხვება პური და იკვლება რამდენიმე საკლავი. წლისთავზე დაწვეულია მთელი სოფელი. ნათესავ-მოკეთეებს თან მიაქვთ „სანიჭრად" კვერეული ყველი, ზოგს კოდი ქერი, ჭედილა ან ძროხა, ფულით 1—5 მან და სხვა. ამ დღეს მიცვალებულის ნიშანსაც გარეთ დაასვენებენ. ნიშანზე გაშლილია მიცვალებულის ტანისამოსი და რამდენიმე წყვილი წინდა, ალაგია ჩითები. აქვეა სათამბაქო ქისა, გაპენტილი მატყლი, ქვამარილი, ხელადა არაყი, ბიჭონი და სხვა. აგრეთვე დგას ალუდიანი საწდე. ნიშანს დედაკაცები მოუსხდებიან და ტირიან. გამოდის ხუთი მხედარი და დალაობა იწყება. მოდალავე მიცვალებულის ცხენზეა შემჯდარი. ცხენი შავი საფენითაა დათალხული და ზედ ხურჯინიც ჰკიდია. მოდალავე მხედარი შუაშია მოქცეული და ის სევდიანი კილოთი იწყებს მიცვალებულის შექებას, სხვები კი მონოტონურად უბანებენ: დ ა-ლ ა ... დ ა-ლ ა ...

ამასთანავე ჭირისუფალი, დედა თუ და, მწარედ მოთქვამს და მთელი ეს სურათი ქმნის მწუხარების მძიმე შთაბეჭდილებას. დალაობა[1] ასე იწყება:

---

[1] „დალა" ქისტურ-ჩაჩნურად, Dalae — დალე, დალა, ნიშნავს ღმერთს. (З. К. Мальсагов, Ингушская грамматика со сборником ингушских слов, Владик., 1915 г., გვ. 139; პროფ. Б. А. Алборов, Ингушское «Гальерды» и осетинское «Аларды», Изв. Ингуш. Научно-исслед. инст. Краеведения, Владик., 1918 г., გვ 356). ამ სიტყვიდან წარმოებული თუშური დალაობა ნიშნავს „ღმერთი ვახსენოთ". საყურადღებოა, რომ ჩვენში ამავე სახელით ცნობილია სვანური ქალ-ღმერთი დ ა ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალა-დ' მჯედრებო, ძნელი არს დალაობაო.
ბრალი ხარ, ბოსელაიძევ, შენი ულაშქროდ სიკვდილი;
დედან გტირიან შვილობით, დანი ძმობითა გტირიან.
ეგ შენი დედა ბეჩავი სანთლებურ ჩამოდნებოდეს,
ეგ შენი ცოლი ბეჩავი სუროვით ექანებოდეს.
შენის გვარისა ქალ-ზალი შავით რო იმოსებოდეს,
შენი ცხენი და აბჯარი ლაშქარს არ იხარჯებოდეს.
ლაშქარს გიკითხვენ სწორები მაგ შენის ლურჯის ცხენითა,
შენის სიათის თოფითა ლაშქარს ხარ წითლის დროშაცო,
ჯმლიანო, სახელიანო, მომტრეო, მოსამართლეო.
გამრიგვევ თუშეთისაო, ჩვენის მჯარისა თვალიო.
კარზე გიდგანან სტუმრები, შინამ არ შეუძლებია?
ვაჟი ხარ სახელიანი, კარგამ არ დაუხვდებია?
ლომო, შენ ბოსელაიძევ, სტუმარად დღე ხარ მზიანი.
შენი ნაცვამი სამოსი დარბაზს არ იცვითებოდეს,
შენი ნაწოლი ლოგინი ია-ვარდივით ჭკნებოდეს,
შენი წვერი და ულვაში მწვანილად ამოდიოდეს.
კახეთში კახნი გიკითხვენ: არს ქისტეთ დიჩინსთანო,
დიჩინიანთას გიკითხვენ: არს ქალაქს, ჯარებს ხყრისაო.
ქალაქს კითხულობს ბატონი, წასულა უფალთანაო.
ნეტა შენ, საიქიოსა შენ შეხვალ მტრედის ფერადა,
სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა,
კოდნიც გიდგანან სავსენი, გადმომდინარი პერითა,
ზედ გიდგას მელვინეები, ხუცესნი დიაკვანითაო.
ამოიღებენ, დალევენ ვერცხლისა ვაშრაპებითო,
შენდობა ბოსელაიძევ, ღმერთმა გაცხონოს სულითა!

დალაობის დროს მხედრებს მწდეები ლუდით სავსე ჯიჯურაცებს[1] აწვდიან. მხედრები ცოტა ლუდს ცხენის ფაფარზე დაასხამენ და შესვამენ. დასასრულს, „ჟირისპატრონი" მხედრებს შესთხოვს „დედისძმათკე არბიეთ ცხენებიო" და მხედრებიც ხელში ბაირაღით მიცვალებულის დედისძმისას მიდიან. ბაირაღი შემოსილია ფაბრიკული თავშალით (ალმით) და ზედ ჩამოკიდებულია ერ-

[1] ჯიჯურაცა — ჯიხვის რქის ყანწი (რ ე დ.)



ფილიობა

თი წყვილი ჩითები, წინდა და სათამბაქო. მხედრებს წინ „მელუ-
დე“ გაუძღვება, რომელსაც ალუდი და სუფრა მიაქვს.

სოფელში მიცვალებულს დედისძმა თუ არა ჰყავს, მხედრებს
დედისძმის საგვარეულოდან ვინმე დახვდება და წესისამებრ მი-



დიდლაევები და მიცვალებულის დატირება წლისთავზე

ილებს. დედისძმისას გამლიან ფლასს და სოფელში თუ სადმე მიცვალებულის ნიშანი ასვენია, მას ინათხოვრებენ და ამ ფლასზე დაასვენებენ. თუ არადა მასზე ქერს დაპყრიან და „ნაწილს" დააწყობენ: მარილს, მატყლს, წინდებს, ჩითებს, საზედაშე პურებს ხორცით, არაყს, ლუდიან საწდეს და ტაშტით რძეს, რომელზედაც ქოჯო (შეკონილი ბალახი) დევს.

მხედრები მოსელისთანავე ბაირაღს ნიშანზე დაასვენებენ ,და აქაც დალაობას იმავე წესით შეასრულებენ. მხედრებს მწდეები სთავაზობენ ლუდიან ჯიკურაჯებს, მელვინეები კი ხის თასებით ყველას დაუველიან და შესანდობარს შეასმევენ. დალაობის დასას-

საზედაშე ხინკლები მიცვალებულის წლისთავზე

რულს მხედრები ცხენებს ფაფარზე თეთრ ნაჭრებს შეაბამენ, თითო მუჭა ქერს შეაჭმევენ და რძეს ქოჯოთი გულ-მკერდზე შეასხამენ. ბაირაღს დედისძმისას ერთი თუ ორი წინდა უნდა ჩამოჰკიდონ. მხედრებს დედისძმა სახლშიაც დაიწვევს და მცირე სუფრას გაუშლის. შემდეგ მხედრები ბაირაღს აიღებენ და მიცვალებულის სოფელში ბრუნდებიან, სადაც ს ა დ გ ი ნ ი (დოლი) იმართება.

ს ა დ გ ი ნ შ ი მონაწილეობის მიღება მიცვალებულის სოფელში ყველას შეუძლია. სხვა სოფლებიდან კი ჭირისუფლის ნათესავები გზავნიან თავიანთ ცხენოსნებს, რაც მათთვის სასახელოა: სა-

დოლე ცხენს წინათ თუშები საგანგებოდ წვრთნიდნენ და მასაც ამუშავებდნენ. ყოფილა ისეთი ცხენი, რომელსაც 53 ალამი აუღია. ასეთ ცხენს პატრონი საგანგებოდ ინახავდა და მას არ ჰყიდდა. რბევის წინ ცხენოსნები შეჯგუფდებიან, სადოლე ცხენებს ნიშანიდან აღებულ თითო მუჭა ქერს შეაჭმევენ და ფაფრებში თეთრ მატყლსაც ჩაუწნავენ.

დოლის ადგილი და მანძილი სოფელში განსაზღვრულია. მებაირაღე აიღებს ნიშანზე დასვენებულს ბაირაღს, ჭენებით მივა დანიშნულ ადგილზე და ბაირაღსაც იქვე ჩასვამს. ცხენოსნებიც შეეჭიდებიან სარბევის მიჯნაზე. მათ წინ დაუდგება ხელჯოხიანი მოხუცი, რომ ნიშნის მიცემამდე ცხენი არავინ გააქციოს და ამით წესრიგი არ დაირღვეს. მხედრები აქ რბევაში გაწვრთნილ ბიჭებს თავიანთ ცხენებზე შესვამენ და მოხუცის ნიშნის მიცემისთანავე ყველანი გააჭენებენ. ბაირაღთან დგას მეთვალყურე, რომელიც დაწინაურებულ ცხენოსნებს მოსვლის რიგის მიხედვით ნომრებს ურიგებს. პირველ ცხენოსანს ერგება ალამი, მეორეს — ჩითები, მესამეს — წინდა, მეოთხეს — ქურო (ხელთათმანი), მეხუთეს — სათამბაქო ქისა. დანარჩენებს კი, „ცხენჯამაგირში" ეძლევათ ხუთ მხედარს ერთი თოხლი, რომელსაც თვითონ ინაწილებენ. ცხენოსნები უკან ბრუნდებიან და ბაირაღს ისევ მიცვალებულის ნიშანზე ასვენებენ. ნიშანთან დგამენ ალუდიან კოდს. იქვე გამწკრივებულია „სახედაშე ხინკლები". ეს პური მრგვალი ფორმისაა და მეკომურთა რიცხვის მიხედვით ცხვება. ამ ხინკალზე მოკლე ჯოხია ჩასმული და ზედ ჩამოკიდებულია თეთრი ან წითელი ფერის ნაჭერი და გაპენტილი თეთრი მატყლი, ბვერდით უდევს კოშტი მარილი. ნიშანს დედაკაცები მოუსხდებიან და ერთი მოთქმით იტირებს. მოვლენ მხედრებიც და ისევ დალაობას დაიწყებენ. შემდეგ ქელეხის სუფრა იშლება და ქალი და კაცი ცალ-ცალკე ჩამწკრივდება. სუფრაზე უხვად ჩამოარიგებენ პურს, ჭუმელს, ყველს და ხორცს. ყველანი შეეჭცევიან და მიცვალებულის შესანდობარსა სვამენ. ამ დღეს „პირისმკრავი" მიცვალებულის დედ-მამას ან და-ძმას, ვინც წლამდის ხორცს არ ჭამდა, სალუდეში შეიყვანდა, ხელში მისცემდა ლუდიან თასს, რომელშიაც ლვიძლის ნაჭერი ეგდო და მას შეასმევდა. ამის შემდეგ მგლოვიარე ხორცს ჭამდა. ქელეხის დასასრულს შესანდობარი ხინკლები მეკომურებს შინ მიჰქონდათ.

ჭირისუფალი მოსანიჭრეებს ატანდა ერთ ვაშრაპ: ლუდს და პურს თავისი ხატნით (ხორცი, ყველი). ამით მოსანიჭრე თავის სოფელში შეზობლებს უმასპინძლდებოდა, სადაც იტყოდნენ: „ნამცხვარნადღერი ვისიც იყოს, **ბოიკსენოსო**". ბოლოს იმართება „შაბაში". ლუდიან ჯიჯურაყებს ერთმანეთს გადაულოცავენ და ამ გადაჭარბებულ სმაშიაც კოდი დაიცლება. ამის შემდეგ მიცვალებულის ნიშანს იღებენ, თავიანთი „ცხენჯამაგირის" მისაღებად ცხენოსნებს დაუძახებენ და ვისაც რა ერგება, იქვე აძლევენ: ალამს, ჩითებს, წინდებს, თოხლს და სხვა. მიცვალებულის ცხენს წინათ თურმე დედისძმას აჩუქებდნენ, ტანისამოსს კი ღარიბ ნათესავებს უნაწილებდნენ. ზოგჯერ მკითხავსაც შეეკითხებოდნენ, ვისთვის მიეცათ ცხენი. მკითხავი იტყოდა, რომ სული თხოულობს, ამას (დაასახელებს ვინმეს) მიეცესო. დღეს ამ ცხენსა და ტანისამოსს არავის აძლევენ და ოჯახშივე რჩება.

ყველაზე დაწინაურებული ცხენოსანი მონაგებ ალამს სახლში წაიღებს და იქ ოთახში ჩამოჰკიდებს, რაც აქ ესახელებათ. სოფ. შენაქოში არის ოჯახი, სადაც ათამდის ასეთი ალამია კედელზე გამწკრივებული. ნიშანზე რაც დარჩება: მარილი, მატყლი, წინდები, ჩითები და მოსანიჭრეების მიერ მიყვანილი თოხლი, „ლ ა ბ ა ვ ზ ე" ან „ს ა ი ს რ ე ვ ლ ო ზ ე" გაიტანენ და მარილის ნაცვლად პურს ჩადგამენ. ჭირისუფალი ირჩევს „მეკვლეს", რომელიც ლაბავობის მანძილს განსაზღვრავს და მოისრეებსაც თავს მოუყრის. მეთვალყურედ ლაბავზე ერთს დააყენებენ, რომელსაც ევალება ისრის მონახვედრის გასინჯვა და ლაბავობაც დაიწყება.

შვილდოსნები რიგით ისვრიან და ვინც ნიშანში ამოღებულ საგანს მოახვედრებს, ჩითები იქნება, წინდა თუ სხვა, ის ნიკთი მისია. თუ პურს მოხვდება, მარილი ან თოხლი ერგება, იმის მიხედვით, ეს პური რომლის სანაცვლოდ არის ჩადგმული. როცა სროლის ეს ერთი რიგი მთავდება, იწყება მეორე და მესამე და ასე. სანამ ნიშანში ჩადგმულ ყველა საგანს არ აიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე საგანს რამდენიმე ამხანაგმა მოახვედრა, წილს ყრიან და ის ერთს ერგება, მაგრამ მან სხვების წილი უნდა შეისყიდოს.

ლაბავობას პირიქით ხეობის ზოგიერთ სოფელში შვილდისრის

ნაცვლად ფეხით გაჭენება სცოდნიათ და ვინც ნიშანში ჩადგმულ ნივთს პირველად ხელს დაავლებდა, ის მას რჩებოდა.

ამ ლაბაჯით თავდება მიცვალებულის ეს წლის თავი, რომელზედაც საშუალოდ იხარჯება 5 კოდი პური, 9 კოდი ალუდი, ხუთი საკლავი, ყველი და სხვა. საწლისთაო სადგინ-ლაბაკს თუშები მხოლოდ მამაკაცებს უხდიან, ხნოვანებით არა ნაკლებ ცხრა წლისას.

დედაკაცებში კი „დამლევს" თუ გადაუხდიან, ე. ი. უპატრონო და უმემკვიდროს და ისიც იშვიათ შემთხვევაში. ზოგჯერ უშვილო ბერიკაცი ამ ქელეხ-სადგინს სიცოცხლეშივე იხდიდა, რასაც „თ ა ვ დ ა მ ა რ ხ ვ ა ს" უწოდებენ. თავდამარხვის დღეს ცოცხალი მიცვალებული თავის ქელეხში არაფერს შეეამდა, პურსა და ხორცს არ მიეკარებოდა — ნაკურთხიათ. მოდალავე მხედრებსაც თვითონვე უმასპინძლდებოდა, ცხენოსნებსაც ალამ-წინდებს ურიგებდა. მოსანიშვრეებს ის ასაჩუქრებდა ტანისამოსით, ლოგინით, ჭურჭლით და სხვა. თვითდამარხვის ეს წესი თუშებში დღეს მოსპობილია.

მაგრამ მიცვალებულს თუშები შემდეგშიც არ ივიწყებენ და მას სუფრაზე ყოველდღე შენდობით იხსენიებენ. ამასთანავე, წლის განსაზღვრულ დღეებში მიცვალებულს აქ ტაბლას უდგამენ.

ყველიერის წინ „ხ ო რ ც ი ე ლ ი ს კ ვ ი რ ა ს", ოჯახებში აცხობენ ორ დიდ ხინკალს (პურს) და მიცვალებულს ტაბლად უდგამენ. ამ დღეს სახლს არ დაგვიან, რომ მტვერი მკვდარს არ დაეყაროსო, ქვას არ ისვრიან, მკვდარს მოხვდებაო და არც ჯოხს და სახრეს მოიქნევენ, მკვდარს არ მოხვდესო.

დიდმარხვის პირველ ხუთშაბათს, სულთაკრების დღეს, აქ იციან „ი ე რ უ მ ს ა ლ ე თ ო ბ ა" და აცხობენ ერთ ლიტრიან დიდ პურს, მოხალავენ სამ გირვანქა ბიჭონს, სატნად ლობიოს ამზადებენ და ერთ ხელადა არაყსაც დადგამენ. ოჯახის უფროსი ბიჭონსა და პურს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებს და იტყვის: „ჩვენთა მკვდართამ წუცაო, მშვიდობითამც იმგზავრებენო, ავი და არამიმც ნუვინ დაეწევაო, როგორც ჩვენი ალალია, ისე თქვენი ალალი იყოს. სხვათა ზიარ ნუ დარჩებითო, სხვათა ნუ უყრებაუ, ალალადამც მოგვალსთაუ". მზის ამოსვლის შემდეგ სუფრას კარში გადგამენ, პურს დაჭრიან და ყველას აჭმევენ. იერუმსალეთობის ეს პური, ხალხური რწმენით, დიდი უნდა იყოს, რომ გაგორდეს, იერუსა-

ლამის კარებს მაგრად დაეჯახოს, შეალოს ის და მიცვალებულს მიუვიდესო.

დიდმარხვის ერთ რომელიმე სალამოს წინათ თუშები შეიკრიბებოდნენ ახლად მიცვალებულის ოჯახში, სადაც მიჰქონდათ წანდილი და სანთელი. აქ დეკანოზები მიცვალებულის შესანდობარს იტყოდნენ და შემდეგ ყველანი წანდილს შეექცეოდნენ. ამავე დროს მიცვალებულის სახლიდან ახალგაზრდა ქალები ჩუმად გაიპარებოდნენ, რომ ეშმაკებისთვის ყური დაეგდოთ და მათი ზრახვანი გაეგოთ. ქალები სახელებს იცვლიდნენ და სადმე მოშორებულ ხევის ჩირგვებში დაიმალებოდნენ. მარჯვენა ფეხს ფერფლზე დადგამდნენ და იქ განაბულები ისხდნენ. ლამის წყვდიადში ხმაური მათ ტირილად ან სიმღერად ესმოდათ და ამის მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ ამა თუ იმ ოჯახის ბედზე. რომელიმე ოჯახიდან ტირილის ხმა თუ მოესმოდათ, იქ წლის განმავლობაში ვინმე უნდა მომკვდარიყო. ცრუმორწმუნე სოფელს ეს სჯეროდა და განწირული ოჯახიც თავის ბედისწერას ელოდა.

თუშებს სულისა და საიქიოს არსებობაც სწამთ და აქ მიცვალებულის სულის მოყვანაც იციან. წყალში, ან ზვავში დაღუპული ადამიანის სულის მოსაყვანად ხევსურეთიდან იბარებენ კარატელ დეკანოზს, რომელიც თავისი დროშით გადმოდის. დეკანოზი მივა მიცვალებულის დაღუპვის ადგილზე, იქ დროშას ჩაყოფს, შემდეგ ისევ ამოიღებს და ძუნძულით მიცვალებულის სახლში გამოიქცევა და აქ ამ დროშას დაბერტყავს. ხალხის რწმენით ამ დღიდან მიცვალებულის სული ოჯახში ბრუნდება და მას ტაბლასაც უდგამენ.

თუშების წარმოდგენით ს ულ ეთ ი ს (საიქიო) მფარველი „ბატონია“ და სულეთის წინ „მეუფროსენი სხედან“, რომლებსაც ხელში მაკრატლები თურმე უპირავთ და ცოდო-მადლს გაიკითხავენ:

სულეთისაიმ ვინ იცის, სულეთს რა სამართალია,
სულეთს რომ სამნი ხენ დგანან, წვერ ცაში მიბჯენილია,
იმ ხის ძირ წყარო გამოდის სასმელად სანატრელია,
შიგა სდგას თასი ვერცხლისა, ხელში აღებად მადლია.
ბევრი მოდგება ცხენ-ჯორი, ძუა ფაფარი კრულია,
იმაზედ მჯდომი მხედარი, პირს ლახტი დადებულია,
იმას მოხყვება ქალ-რძალი, ჩოხ-პაჭკო მოჭუჭკულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ მოხყვება ყმაწვილი, დედ-მამის მოძებარია.
სულეთში მატყლი, მარილი თეთრის ჯარისა ფასია,
თამაქოი და ბიჭონი ერისა მარგებელია.

სულეთში სამოთხე და ჯოჯოხეთი გაყოფილია ანთებულის კუპრის წყლით და მასზე გადებულია ბეწვის ხიდი. ამ ხიდიდან ცოდვილი კუპრით ანთებულ ჯოჯოხეთში თურმე ვარდება. საიქიოში ცოდვის მქნელს ენის წვერს ანთებულ კუპრის ქვაბში უყოფენ. სამანის შემრყევს მეუფროსენი მიუსჯიან ჯოჯოხეთში ზურგით მძიმე ქვების ზიდვასო:

„სამნის სამძვლრისა შემრყევსა ზურგზე აბკიდეს ქვანიო",
ნათლიდედის შეცდენა მძიმე დანაშაულიაო:
„მას გამოსჭრიან სამწვადესა, შიგ უყრიან დანის წვერსა".
ტყუილის მთქმელს ენის წვერს აჭრიან:
„მოხკვნეტენ ენის წვერსა, რად არ იუბნე სწორია".

წისქვილში ქურდობა და ობლების მიტოვება დიდ ცოდვად ითვლება:

„წყალ-წისქვილის მოლალატეს ჯოჯოხეთს ხქონდეს ალიო,
დედას, ობლის გამწირავსა, ყელს ახვიავ ჭრელი გველიო".

ცოლ-ქმრის გაყრა და შვილების დაგდება მძიმე დანაშაულიაო და ასეთი ცოლ-ქმარიც საიქიოში იტანჯებიანო:

სამზეოს მოკლებულები სამოთხეს იყრებიანო,
ანთებენ სანთელს კელაპტარს, წინ სუფრას გაიშლიანო,
ახალგაზრდანი ქალები სანთლის შუქს ჩამოსხდიანო,
ახალგაზრდანი ბიჭები ფეხზეა გალობდიანო,
ახალგაყრილთა შეუღლეთ ყმაწვილნი ეძებდიანო,
ტირილით დედას ეძებენ, ხელ ხკრიან, გაბრუნიან:
„შენ გან ჩვენ დედა გქვიანო, ჩვენი დამგდები ხარიო!"
შიმშილით შეწუხებულთა ხმა ვეღარ ამაიღიან,
წყალისა მოწყურებულთა თითები აუამიანო,

ახალგაყრილთა მეუღლეთ მანდაცა ატყობდიანო,
არც თვალებს ხჭონდა სინათლე, არც ბაგე ეშალიანო,
უფლის ნაკურთხსა გვირგვინსა ტოტები სწყდებოდიანო,
სულეთს ბერი და მოხუცნი საკლავებს მეცლოდნიანო,
ვისაც არა ხყავს მოწყალე, პირუკეთმ წაბრუნდიანო,
მე მაგის მომლექსებელი ბაკვიანთ კობე მქვიანო.

ცრუმორწმუნეობა

თუშეთის საზოგადოებრიობა თემურ წყობილებას არ გასცილებია და მისი რწმენა და იდეოლოგია ამ თემობრივობის სულით იყო გაჟღენთილი. საზოგადოების ამ საფეხურს ახასიათებს მაგიურობის რწმენა, როდესაც ანიმისტური რწმენით შეპყრობილი ადამიანი, ბუნების სარგებლიანი გამოყენების მიზნით, ჯადოსნური ხერხებით მიმართავდა რაღაც უჩინარ და საიდუმლო ძალას.

მაგიურობის რწმენის ამგვარი გადანაშთები თუშებში დღემდის შემონახულა.

„მ ზ ე ბ უ დ ო ბ ა". გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის მზის ღვთაებრიობა უდავო ჭეშმარიტება იყო. მზე სინათლისა და სითბოს დაუშრეტელი წყაროა და ცრუმორწმუნე ადამიანი მას თაყვანსა სცემდა, სხვადასხვა რიტუალის შესრულებით ცდილობდა მისი კეთილი განწყობილების მოპოვებას. ამ მიზნით ცხრა დეკემბერს, როდესაც იწყება ზამთრის მზის მობრუნება, „მზებუდობის" რიტუალს ასრულებენ და მზის ანგელოზს მაჭკატს უცხობენ. ამ მაჭკატს ხავიწით, არყით და ერბოთი ხონჩაზე დააწყობენ. ოჯახის უფროსი დედაკაცი ან მამაკაცი სანთელს აანთებს, ერბოს ცეცხლს წაუკიდებს და ასე დაილოცება: „მზეო, მზის მყოლო ანგელოზო, დაგელოცა საკალი და სადგომიო. დაგვადექი თვალწაღმე და გულწაღმე, ბედით მომავალო; დაგვიწერე კაც-საქონელს ჯვარი, ნურას მოგვცემ რიალ-ზიანსა. ჯვარ დაგვიწერე კაცსა მთაშით და ბარშიო. გვიმატე ფურსა, ფურის ხბოსა, ფურის წველასა!" როცა მზე სახლს მოადგება, სარკმელში დებენ მაჭკატს, მატყლს, ერბოს და ანთებულ სანთელს.

ამას ჩქარა მოჰყვება 25 დეკემბერი, როდესაც მზე მატებას იწყებს. ამ დღეს თუშები შობას დღესასწაულობენ და აცხობენ „ალილოს კოტორს". საღამოს სოფელში მეალილეე დაივლის, მივა ოჯახში და დაიმღერებს: „ალილო და ქრისტე ღმერთო, ოცდახუთსა ამ თვესაო შობა გათენდებაო, ჩიტი შემოჯდა ლობესაო, იძახის ჭიშმიშობასაო. ყველა მრავალჯერ დაგესწროთ ახალწელ-ქრისტეს შობასო. ვინც კარგ პურს გამოგვიცხობს, კაი ყმისა აკვანი-ო, ვინც მონა პურს გამოგვიცხობს, ფსიაც ქალის აკვანი-ო". დიასახლისი მეალილეეს ალილოს კოტორს გამოუტანს.

წ ე ლ წ დ ო ბ ა. ზამთრის სადღესასწაულო რიტუალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალწლის შეხვედრა, რომელსაც ხალხი თავისი ოჯახის ბედს თუ უბედობას უკავშირებს[1]. ამიტომ თუშებიც თავიანთ „წელწდობას" მოწიწებით ეგებებიან. საახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყსა ხდიან და ლუდს ადუღებენ. ლუდს საგვარეულო ამზადებს, მისი მოხარშვა ევალება გვარის ნათეს. გვარში შემავალ ოჯახებს ამ მიზნით ნათესთან მიაქვთ თითო ჯაბიწი ფორი და შეშა. ლუდის დამზადებაში ნათეს შველის გვარშივე არჩეული სამი „მაქალათი", რომლებსაც ევალებათ აგრეთვე პერეზლის დასუფთავება და საახალწლო სუფრის მომზადება.

საახალწლოდ ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრისტეს საგძალს", კაცზე „ბაცუკაცს" და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ აგრეთვე დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ხარისას რქები აქვს გამოყვანილი, ძროხისას — ძუძუები, ცხვრისას — დუმა, ცხენისა კი ნალის ფორმისაა. ყველა ამ კვერს ხონჯზე დაალაგებენ და ზედვე დებენ: მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს. დიასახლისი აგრეთვე აცხობს სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და „კ ე რ ი ს კ ვ ე რ ს". ეს კერის კვერი პატარა და მრგვალია. მას შიგ ნაღვერდალში ჩაწვავენ ან, თუ გამოიღებენ, სადმე ჭერხოში მიაგდებენ და იქ თავვი შეჭამს.

ახალწლის ღამეს დიასახლისი ჩუმად დგება და ოჯახის ყველა წევრს ლოგინში თითო ლუკმა პურს ჩაუდებს. შემდეგ საქონლის

---

[1] ს ე რ გ ი მ ა ქ ა ლ ა თ ი ა, ახალწელიწადი საქართველოში, ტფილისი, 1927 წ.

ბოსელში შედის და აქაც პურის ნატეხებს სადმე შედებს. საახალწლოდ ირჩევენ მეკვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე ალაგია: ერბო, ყველი, მატყლი და რაიმე ტკბილეული. მეკვლეს ხელში არაყიც უჭირავს. ოჯახში შემოსვლისას მეკვლე პურს შემოაგორებს და იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი, ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“ შემდეგ მეკვლე ცეცხლთან მივა, აიღებს ორ მუგუზალს, ერთმანეთს გაუხახუნებს. ნაპერწკლები რომ გასცვივა, იტყვის: „ამდენი ჯალაბობით გიმრავლოსთ, ამდენი ცხვარი, ძროხა, ცხენი კახეთსა და თუშეთს!“ მეკვლე ოჯახის წევრებს ტკბილეულით დააბერებს. გაიშლება სუფრა და ქრისტეს საგძალ პურს სულზე დაჭრიან და ყველას ჩამოურიგებენ. ვინც ოჯახიდან გასულია, მას თავის წილს უნახავენ. ბედის კვერებსაც ერთმანეთს გაუცვლიან და იქვე შეჭამენ.

მეკვლე ოჯახიდან რომ გავა, დიასახლისი ბოსელში შევა, კვერს შეაგროვებს და საქონელს ჩალას დაუყრის. ვინც ოჯახიდან გავა, თან ყველ-პური მიაქვს და, სადაც წავა, იქ უნდა მიიტანოს. ამ დღეს წყალზე რომ წავლენ, წყალში ჯერ პურისა და ყველის ნამცეცს ჩაგდებენ და წყალს შემდეგ იღებენ. ოჯახში მისვლისას ქალის სახელს არ დაიძახებენ, თუ ოჯახში მხოლოდ ქალებია, მათ მამაკაცის სახელით გამოუძახებენ.

ამ დღეს მაქალათი „საახალწლო სუფრას“ ოჯახებში ჩამოატარებს. ის შედის ოჯახში და ულოცავს წელწდობას, ოჯახის პატრონს შეაჭმევს ხორცს და არაყს შეასმევს. სამაგიეროდ, ოჯახის პატრონმა მაქალათს უნდა დაალევინოს არა ნაკლებ სამი ყანწი არაყისა. ვინც მეტს შეასმევს და რომელი მაქალათიც მეტს დალევს, ოჯახისათვის პატიები და სახელია. მაქალათს ოჯახის პატრონი თუ არ დაუხვდა, მაქალათი მის წილ არაყს სახლის კედლებს მიასხამს, პურსა და ხორცს იქვე სადმე შედებს.

წელწდობა ღამეს სოფლის გვარები ერთ რომელიმე ოჯახში იკრიბებიან, მიაქვთ თავიანთი პურ-არაყი და იმართება „შ ე უ ა რ ა ყ ი ს ღ ა მ ე“, რომელსაც შულტა აწყობს და ხალხს ლუდით უმასპინძლდება. ეს ლხინი შუაღამემდის გრძელდება და შემდეგ გვარები დაიშლებიან. გაყრის წინ გვარები მეკვლეს პურს „საკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეში“ (მოზრდილ ორყურიან ქვაბში) ამოაწობინებენ და თავიანთ ოჯახებში მიაქვთ.

წელიწდობას მოჰყვება „მ ა თ ე ო ბ ა“, რომელსაც, ხუთ იანვარს იხდიან. ამ დღეს სოფელი გვარდაგვარ მიდის ნათესთან სალუდეში, სადაც ის ამ გვარებს ამწყალობებს, სუფრას გაუშლის და ლუდით უმასპინძლდება. სალუდეში მაქალათის სკამზე სხვას ჯდომა არ შეუძლია და ვინც უნებურად ჯდება, მას იქვე დააბამენ და სანამ „ქვაბსაკლავს“ (ბოთლ არაყს და მწვადებს) არ მიიტანს, არ გაათავისუფლებენ. ნათეს დამწყალობების შემდეგ გვარები თავიანთი საგვარეულოს ერთ რომელიმე ოჯახში შეიკრიბებიან და იქვე მიაქვთ სუფრაც, სადაც დროს სმასა და ლხინში ატარებენ. შექეიფიანებული მამაკაცები „ტ ყ ვ ე ო ბ ა ს“ აწყობენ. ერთი გვარის მამაკაცები მიეპარებიან და მოულოდნელად დაეცემიან მეორე გვარის ოჯახს, ატეხენ სროლას და „ტყვეებს“ წამოასხამენ. მასპინძელმა ეს ტყვეები „ქვაბ-საკლავით“ უნდა გამოისყიდოს.

თებერვლიდან ზამთარი ილევა და ბუნებაც გამოღვიძებას იწყებს. ახლა სოფელი შეუდგება საგაზაფხულო რიტუალის შესრულებას. ამ მიზნით ყველიერში თუშები ასრულებენ მთელ რიგ წესებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბუნების განაყოფიერებას.

ყველიერის შაბათს იციან „ქ ა ლ თ გ ო რ ო ბ ა“ და ამ დღეს ოჯახებში აცხობენ გულიან ქადას. სოფელი შეიკრიბება ერთ ოჯახში და ხელში ქადებით მივლენ უხუცესთან, რომელიც მათ ამწყალობებს, შენდობით იხსენიებს მიცვალებულებს და ქადებსაც დაჭრის. ამასთანავე ის ყველა იქ მყოფთ თითო მუჭა „ბიჭონს“ ჩამოურიგებს. ადგება ფეხბედნიერი მეკვლე, პირს აღმოსავლეთით იბრუნებს, სამ მუჭა ბიჭონს გადაყრის და იტყვის! „ღმერთო, კარგი პური მოიყვანე!“.

ამას მოჰყვება კოტორის გატაცება. ახალგაზრდა ქალი, თუ ვაჟი მალულად კოტორს გაიტაცებს, სხვები მას გამოეკიდებიან და, თუ კოტორი ქალებმა წაართვეს, ბიჭებმა ქვაბ-საკლავი უნდა გადაიხადონ, თუ ბიჭებმა წაართვეს, მაშინ ქალები იხდიან. გაიმართება ლხინი და თამაში. მოულოდნელად ერთს ვინმეს ტალახით ან მურით მოთხუპნიან. ამის დანახვაზე ყველანი ერთმანეთს დაერევიან და თხუპნიან. შემდეგ დათხუპნულები მდინარე წყალზე წავლენ და იქ პირს დაიბანენ. ახლა „ს ა კ ბ ი ლ ა ც ს“ ჩადგამენ.

ამისათვის ჯამში, თუ გობში პატარა ჩხირს — „ქოს“ ჩასვამენ. ... წყალსაც ერთ მტკაველზე დაუყენებენ. სათითაოდ მიდიან და ამ ქოს კბილებით იღებენ. ვინც ვერ ამოიღებს, მან ჯარიმად ქვაბ-საკლავი უნდა გადაიხადოს. შემდეგ მიწაზე ბეჭედს დააგდებენ, ჰაპ გარშემო შემოუსხდებიან, ზურგზე ხელებს დაიკრეფენ და ბეჭედს კბილით ისე იღებენ. ვინც ვერ აიღებს, ქვაბ-საკლავით ჯარიმდება და სხვა.

ყველიერშივე ეწყობა „ბერიკაობა“. ამ დღეს კოტორს აცხობენ, ფაფას ხარშავენ და ჭამენ. შუადღისას სოფელში ბერიკები გამოვლენ. ბერიკობას სამი პირი ასრულებს. ერთს ვაჟურად აცვია, ორს ქალურად. პირზე მური აქვთ წასმული. ზოგჯერ ბერიკას სახეზე ნაბდის ნიღაბს ააფარებენ და გაპენტილი მატყლის გრძელ წვერ-ულვაშსაც უკეთებენ. ქალებში ერთი ბერიკას ცოლია, მეორე კი დედა. ბერიკას ხელში ხის „ჯმალიკა“ უჭირავს და ცეკვით ეელის. ვინც მას არ გაეთამაშება, ბერიკა ხმლით გამოეკიდება და სცემს. ბერიკა პირში ნახშირნალეს წყალს ჩაიყენებს და ვინც სალმის მისაცემად მიუახლოვდება, სახეში შეასხამს. წინათ ახალგაზრდობა ბერიკას ცოლს მოსტაცებდა თურმე და დამალავდნენ. ბერიკას კი მოატყუებდნენ, ცოლი მოგიკვდაო. ბერიკა ტირილს დაიწყებდა და ცოლს ეძებდა. ამ დროს ვინმე დაიძახებდა, ბერიკა შენი ცოლი ცოცხალიაო. ბერიკა ცოლს მივარდებოდა: გენაცვალე, ცოცხალი ხარო, გადაეხვეოდა და კოცნიდა. ახლა ბერიკა მატყუარას ხმლით გამოუდგებოდა და თუ მას დასწვრიდა, მატყუარას ქვაბ-საკლავი უნდა მოეტანა. სალამოს იმართებოდა „შიყარა“ (არუფანა). სოფელი ერთ რომელიმე ოჯახში იკრიბებოდა და აქ საერთო ხარჯით პატარა ლხინი ჩადგებოდა.

ყველიერშივე უქმობენ „შიოობას“ და ამ დღეს ოჯახში არ მუშაობენ. აცხობენ მაჭკატს და შიოს ანგელოსებზე ასე ილოცებიან: „შიო მუშავო, შიო მაშვრალოვო, ძვალნიმც გეპოხებიანო, ჯვარსამც დაგვიწერავ კაცსავ და საქონსა, ხვავ-ბარაქას დაგვიდებო ერუმსალეთის მადლითაო“.

დადგება დიდმარხვა და მის პირველ კვირას „მგელჯიხვაობას“ გამართავენ. ამისათვის აცხობენ ჯიხვის, ირმის, მგლის, დათვის და სხვა ნადირთა ჭანდაკებებს, რომლებიც შემკულია ხილით და ტკბილეულით. ამ ნამცხვრებს მოედანზე დგამენ და ბავ-

შვები მას შვიოლ-ისარით თოფავენ. ვინც მოახვედრებს, ნამცხვარიც მისია. ზოგჯერ აქვე ჭირისუფალი ჩადგამს მიცვალებულის „ბაცუკაცს“, რომ ჩემს ბალლს მიუვიდესო და თუ ისარი ვინმემ მას მოახვედრა, შესანდობარი არაყი უნდა მოიტანოს და იქვე დალიონ. მარხვა გრძელდება რამდენიმე კვირა და როცა ის მიიწურება, დიდ შაბათს საღამოს იმართება „მარხვის ტყეპა“. ბავშვები აიღებენ გოდორს, ჩალით გატენიან და სოფლის მიჯნაზე გაიტანენ. აქ გოდორს ცეცხლს წაუკიდებენ და სოფლისაკენ ცემით მოაგორებენ, თან იძახიან: „მარხვა ჩავტკიცოთო, აღარ მოგვივალ“. ასე გოდორს სოფელს ჩამოატარებენ და შემდეგ გადაგდებენ.

დადგება თუ არა გაზაფხულის პირი, თუშები ხვნა-თესვის თადარიგს შუდგებიან და ამისათვის 25 მარტს „ოცობას“ ასრულებენ. ამ დღეს გლეხი კარის ყანაზე სამ კვალს გაავლებს და ერთ მუჭა ქერსა და პურს დათესავს. სანამ ეს ჯეჯილი არ ამოვა, მანამ ოჯახში არავინ წნელს არ მოგრეხს, რომ ჯეჯილი დაგრეხილი არ ამოვიდეს. ამ დღიდან ოჯახიდან ცეცხლი და „სულადი“ (ქერი და პური) არ გაიცემა, სანამ ხვნა-თესვას არ მორჩებიან. ხარებსაც კუდზე „უნძრახის თურსას“ წითელი ძაფით შეაბამენ. ამ დღეს დედაკაცები თავს დაივარცხნიან, ყანა დაიწმინდებაო. ბაშტედან ძროხებს პირველად გამოიყვანენ, კუდის ბოლოებს ცოტათი შეაჭრიან და დანაზე გადაატარებენ, ეკლიდან არ გადავარდესო.

ჩქარა დაიწყება ხვნა-თესვა. მაგრამ სანამ ყანაში გავლენ, ასრულებენ „უღელდებას“. აცხობენ ჯვრიან ლავაშს და სამყურა ხმიადს, აანთებენ სანთელს და არაყსაც ჩამოასხამენ. მამაკაცი ამ ჯვრიან პურს სამჯერ უღელზე შემოატარებს, კარგ მოსავალზე დაილოცება, უღელზე გატეხს და ორივე ხარს შეაჭმევს. უღელდების პურის გამომცხობი დედაკაცი სხვის ოჯახში ვერ შევა, პურის ბარაქა გაჭყვებაო. არც მამაკაცი სხვისას წავიდოდა, კვალი უნდა შეენახა, რომ კვალი სხვის ოჯახში არ შესულიყო. თესვას რომ მორჩებიან, ყანაში მაღალ ჯოხს ჩაარჭობენ და მას თავს გრძლად გადმოუხრიან, რომ ასეთი თავთავიანი პური ამოვიდესო.

მაგრამ დათესილ ყანას ხშირად ანადგურებენ მინდვრის მავნებლები და ქარ-სეტყვა, რომლებსაც გულუბრყვილო და ცრუმორწმუნე გლეხი უქმის შენახვით ებრძვის. თაგვმა და ყალიამ ნათესი რომ არ გააფუჭოს, „მჭრელთ უქმეს“ ინახავენ და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს არ საქმობენ. ქარის წინააღმდეგ „ქ ა რ ო ბ ა ს“ უქმობენ, სეტყვის წინააღმდეგ „ს ე ტ ყ ვ ი ს უ ქ მ ე ს“ ინახავენ. ამასთანავე გაზაფხულის პირთან სხვადასხვა ცრუმორწმუნეობაცაა დაკავშირებული: როცა ენძელა აყვავდება, მის თავთავს შუაზე გახლეჩენ, ორივე ყურთან მიიდებენ და იტყვიან: „ენძელ, ენძელ ყურადაო, ჭია-ღვია კარადაო, შენ ქვას ქვედა, მე ქვას ზედა, შენ ქვიშითა ქვით გამძღარიო, მე პურით და ყველით გამძღარიო“.

ადამიანი გაზაფხულზე გუგულმა რომ არ დაძლიოს, პურის ლუკმა ჯიბით დააქვთ და ის გუგულის დაძახებამდის უნდა შეჭამონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძლეულს საიქიოში ჩითებს დახდიან და ფეხშიშველას ატარებენო.

გაზაფხულზე პირველ დაქუხებაზე გულზე და წელზე რკინას მიიდებენ და იტყვიან: „თავ რკინა, გული მაგარი, ჩვენი ყანა გამძღარი, ლეკის ყანა დამპალი. ჩემი წელი მაგარი, ლეკის წელი დამპალი“. ახალი მთვარის დანხვისთანავე იტყვიან: „მთვარე ვნახე გორაზედა, საქმე ხანებაზედა, საფუარი მაფუანი, ხელი ბარაქიანი, შენამც გზაი გიხანდება, მეამც საქმე მიხანდება, კბილი მთელი, ჭია მკვდარი“.

„თითბეშედაცს“ (ცისარტყელა) დაინახავენ თუ არა, ხელს დამალავენ, მუწუკი არ დაგვეყაროსო: „თითბეშედა დავინახე, თითი ყარგა შემინახე“. ყველიერის შაბათს უქმობენ „ა ნ გ ე ლ ო ზ ო ბ ა ს“. ამ დღეს ხალხის რწმენით მიწაზე მფარველი ანგელოზები ჩამოდიან და ყველას თავიანთი მფარველი ანგელოზი მხარზე აჯდებათ. ანგელოზები უჩინარია და, რომ არ დაფრთხნენ და არ ჩამოცვივდნენ, ორი დღის განმავლობაში მხრის განძრევაც არ შეიძლება.

დადგება ზაფხული და ნათესი იწყებს ზრდასა და დაპურებას, მაგრამ ზოგჯერ გვალვა ნიადაგს შეკრავს და ყანაც აიჩალება. ნამის მისაღებად სოფლის გოგოები გამართავენ „საწვიმარაც გუგაცს“. გოგოები ჯოხს პატარძლის ტანისამოსით შემოსავენ, ამ გუგით ისინი სოფელს შემოუვლიან და წყალზე წავლენ. აქ გუგაცს წყლით დანამავენ და გოგოები დაიმღერებენ: „აღარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვეც ტალახი“. შემდეგ სოფელში შემობრუნდებიან და აქ „შიყარაცს“ კრეფენ. დასხდებიან და დროს მხიარულად ატარებენ. ბოლოს გუგაცს ტანისამოსს გახდიან და ჯოხს გადააგდებენ.

გვალვის დროს იციან აგრეთვე წყალში მიცვალებულის ძვლის ჩაგდება. თუ ამან გამოიწვია ხანგრძლივი ავდარი, მაშინ ძვალს ისევ ამოიღებენ და გოგოები გაიძახიან: „ალარ გვინდა ტალახი, ახლა გვინდა გორახი“.

ათენგენობას, დაახლოებით 20 მკათათვეს, აქ ცელად გასვლას ასრულებენ. ოჯახის უხუცესი მოთიბავს სამ კონა ბალახს და ამის შემდეგ ყველანი სათიბად გადიან. წინათ ამ დღეს წლის ნათესა და შულტას ევალებოდა ორი ქვაბი ლუდის მოდუღება. ხატის ნიშთან სამ ცხენს გამოაქცევდნენ და რომელიც დაწინაურდებოდა, მას „ჩხუტს“ (სუფრას) უდგამდნენ. შემდეგ უხუცესი დაიძახებდა: ორშაბათი შავინახოთ, თუ შაბათიო. ხალხი ერთი ამ დღის უქმობას დაადგენდა და ვინც შეთქმულ დღეს გატეხდა და იმუშავებდა, მას თემი აჯარიმებდა. მაგრამ თუ სამუშაო იყო, მაშინ ლუდს მოადუღებდნენ და ისევ ხატს შეევედრებოდნენ: „ეს დღე შეგითქვით, მაგრამ გვაპატიე, შეთქმული უნდა გავტეხოთო“ და შემდეგ მუშაობდნენ.

როცა პური მოიმკება და გასალეწად კალოზე გაიშლება, „კალოს სალოცავს“ გადაიხდიან. ამისათვის აცხობენ გულიან კოტორს, აანთებენ სანთელს და არყით პურის ბარაქიანობაზე დაიილოცებიან.

ამგვარივე ცრუმორწმუნეობაა დაკავშირებული ადამიანსა და შინაურ საქონელთან. თუშები საქონლის მომრავლების „თურსიეხ არდოტისას“ შეთხოვენ, რომლის ხატი ჭონთიოშია. წინათ ოჯახი დეკეულის პირველ მოგებულ ხბოს მარიამწმინდობას ამ ხატს სწირავდა. ამ ხბოს ოჯახში გამოყენება არ შეიძლებოდა და ის თავისი მონაგებით ხატში მიჰყავდათ და არდოტის ღვთისმშობელს ასე შეევედრებოდნენ: „ღვთისმშობელო არდოტისაო, შენ ჩაგვიგდე ხვაი და ბარაქა, გვიმატე ფურსა და ფურის ხბოსაო, კაცსა კაცრეულობასა, ცხვარსაო, ცხვრის მკრავსაო; შენ გეხვეწებით, დაგვიწერე მზე-წველასა ჯვარიო, შენ გეხვეწებით და გევედრებით თავდაბლითაო და გულმართლითაო, ნაძახებ გაგვიგონიდი, ნაქადებს არ გიმტყუნებთაო. შენ შემოგწირავ სანთელ-ზედაშეთაო, შენ მორიგე-ღმერთს შესწირიდი, ღვთის წყალობა გამოგვითხოვიდი, შენ მადლ-სახელის ჭირიმე“.

თუ ძროხა რჩოლავს, წიხლს ისვრის და არ იწველის, მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძროხა რომ „დაამინდეს“, პატრონი ხახმატის ჭვარს ეეედრება და, როცა ეს ძროხა ხბოს მოიგებს, ერს, ყურს აუხერენ (ნიშანს ადებენ) და საწირით ხახმატის ჭვარში წავლენ სალოცავად. ავთვალით შელახულ საქონელს სამი დღე ზღვაზე წყალს უნძრახად (უხმოდ) ასხამენ ან „უნძრახ თურსას“ კუდზე წითელი ძაფით შეაბამენ. ჩხუტში რძე კარგად რომ შეიდღვიბოს და კარაქიც ბარაქიანი იყოს, ავთვალის წინააღმდეგ ჩხუტზე ჩამოკიდებენ „უნძრახ თურსას“ და გახვრეტილ სიპ ქვას. ზოგჯერ ამავე მიზნით შეაბამენ ერთმანეთში არეულ თაფლაბუზას და ეკლის ბუდეს (ბალახია).

ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა დაკავშირებულია ნადირობასთან. თუშ მონადირეს თვიურიანი დედაკაცი ახლოს არ გაეკარებოდა — თოფი შეიკვრებაო. ასეთი დედაკაცი მას პერსაც ვერ გამოუცხობადა — მონადირე შეიკვრისაო. საერთოდ, როდესაც ოჯახში დედაკაცს „მთვარე“ მოსდიოდა, მონადირე სანადიროდ ვერ წავიდოდა. სანადიროდ მიმავალს გზაში ვერავინ შეეკითხებოდა, თუ სად მიდიოდა ის. ყველანი სალმისთანავე ეტყოდნენ: „ღმერთმან ხელი მოგიმართოსო!“ სანადიროდ მიმავალს მუგეზალს ესროდნენ, მონადირე შინ ცარიელი არ დაბრუნდესო და სხვა.

შეილიერებას და ადამიანის მომრავლებას შესთხოვენ თ უ რ ს ი ე ბ ი ს ხ ა ტ ს, რომელსაც საწირ-საკლავით ეეედრებიან და ნაყოფიერებას შესთხოვენ. მის ხატობის დღეს, ამაღლების მეორე კვირას, შეხვეწილი დედაკაცები თურსიების ხატში მიდიან საკლავ-საწირით და აქ მათ დეკანოზი ამწყალობლებს. ოჯახის კეთილდღეობას კი შესთხოვენ ფუძისა და სახლის ანგელოზებს, რომლებსაც ყოველდღიურად იხსენიებენ და ზოგჯერ მათ კვერებსაც უცხობენ, სანთლებს უნთებენ და ისე ეეედრებიან.

ცრუმორწმუნე ადამიანი ავადმყოფობის დროსაც ცდილობს, შელოცვებითა და სხვადასხვა ჯადოსნური წესებით განიკურნოს და ამით ოჯახს მოსალოდნელი უბედურება აიცდინოს.

სოფლად ყველაზე გავრცელებული სენი „ყვავილია“, რომლის წინააღმდეგ თუშეთის მოსახლეობა უძლურია და ხალხი ცდილობს ამ ყვავილის ანგელოზების დაყვავება-მოფერებით სახადისაგან თავდაცვას. ამიტომ ყვავილიან ავადმყოფს და მის კეთილ ანგელოზებს ოჯახში ჩონგურის დაკვრით და ტკბილი სიმღერით ართობენ. მთელი ოჯახიც უქმობს და არ საქმობს. ართავენ მხოლოდ თითისტარს.

მათი რწმენით, ეს ანგელოზებს უხარიათ. ჩვენი კი არ შეიძლება ბატონებს რკინა ეჯავრებათო: მძიმე ავადმყოფობის დროს „თავშემოვლა" იციან. შემოაცლებენ ხარს, ან ზოგჯერ შვილს დედა შემოევლება და ანგელოზებს შეეეფერებიან ავადმყოფის განკურნებას. ავადმყოფი თუ მორჩა, ამ ხარით სამლვთოს გადაიხდიან, თუ არადა, ხარი რჩება და მას ამუშავებენ. ავადმყოფს მკურნალობენ სხვადასხვა შელოცვებითაც. ავადმყოფის ბოდვას მიაწერენ ავსულებს და მათ გამოსაფეფეფნად ავადმყოფს თავზე სამჯერ შავ თხას ან ქათამს შემოაცლებენ, შემდეგ მას დაკლავენ და გზაჯვარედინზე ჩაფლავენ.

თვალის შელოცვა. თვალო მეხო, მედგარო, სისხლ მხვრეტელო, ფერიანის ფერწამლებო, გონიანის გონწამლებო, ქალუქმარის ქალისაო, ეცოლო ბიჭისაო. რა გინდა ტანშიო, სტომაქშიო. არ ისძენ, არ იქმენ, არაზე გაისვლებიო. თვალს წამწამიდან გამოგიყვან, ქვიტკინაგის კუდით გამოგიყვან. ვინ შემოგხედა ავითვალითაო, ვინ შემოგხედა ავი გულითაო. თვალით ამოარდეს, გულით გადმოვარდეს. ვინ არ დაგწერის ჯვარიო, ჯვარიმც ნუ ეღირსებაო. მოკვნავ — გუთანის დამყენეო, მფქვავ — წისქვილის დამყენეო. მოდიოდეს ცხრანი დანი, ცხრანივ ოქროს კოწლიანი, მოდიოდეს ცხრანივ ძმები, ცხრანი ოქროს ქოჩრიანი, ამოიღეს თეთრი კესი (ხაპო), ცხრა ძმათ ცხრა ნაწილი ცხრა რიგად გაიყვესო. ქართ გაგაყოლებ მჭროლართაო, წყალთ გაგაყოლებ მდინარესაო. დაგკოშავ იგეთშიო, არ გეყურებოდეს ყივილი ქათმისი, არ გეყურებოდეს ჭყივილი ღორისი. ლოცვა ჩემი, რგება ღვთისი, ღმერთო შენ დასწერე ჯვარი!

ავთვალის წინააღმდეგ. როცა ამას მოზრდილს ულოცავენ, ტყვიის ნაჭერს აიღებენ და ჯვარივით გააკეთებენ. ამ ჯვარს მლოცავი დედაკაცი სამჯერ შეულოცავს და ავადმყოფს გულზე ჩამოჰკიდებს. ავთვალნაკრავი სამჯერ უნდა მივიდეს და მლოცავმაც შელოცვა სამჯერ გაიმეოროს. ისე რომ, მთლად ცხრა წყება უნდა შეულოცოს. ბავშვისათვის დედის თმას შეულოცავენ და ამ შენალოცი თმას წვრილად დაწნავენ და ბავშვს მაჯაზე შეაბამენ. ზოგჯერ ბავშვის შელოცვის დროს შემლოცავი იღებს ცხრა მუჭა წყალს მარცხენა ხელით და მასში ცხრა ნახშირს გაურევს. ამ

წყლით ავადმყოფ ბავშვს პირს მობანენ და აკვანსაც გადაასხამენ. ნახშირს კი აკვნის საგოგავებით გაფშვნეტენ.

ავთვალნაკრავ საქონელსაც ასე შეულოცავენ და ნახშირწყალსაც ზედ გადაასხამენ.

გ ულ ი ს შ ე ლ ო ც ვ ა. გულო ოქროს ყუთისაო, გულო ჩაჯექ ალაგსაო. ოქროს ბუდეში ნაჯდომო; ავი ჯმით შეგაშინა, ავი საათით შეგაშინა, ქორი ქანდარასაო, ქათამი ბუდესაო.

ამას სამჯერ შეულოცავენ. შელოცვის წინ ავადმდყოფს მკერდს ბაწრით გაუზომავენ და შელოცვის შემდეგ გაზომვისას ბაწარი მეტი თუ ალმოჩნდა, მაშინ გული ამოვარდნილი ექნებაო.

შ ა კ ი კ ი ს შ ე ლ ო ც ვ ა. შაკიკი შემოჩვეულა სათივისა ბოლოსაო, ეგრე სუამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა, დასწყეველოს წმინდა გიორგიმ, გაიპაროს დილითაო. რა არის მაგის წამალი: ამალი, მამალი, გახურებული რკინა, ეგ არის მაგის წამალი.

შაკიკს ხელში გაცხელებული რკინიდ ულოცავენ.

ჰ ვ ა ლ ი ს ლ ო ც ვ ა. დღეს რომე პარასკევია, ქრისტე ჩვენი წეეულია, ბაგა ლოგინი, კოვზი ფაშატი. შუა ღამე რო შეიქნა, დადგა წივილ-კივილიო. რა იქნა, რა ამბავია. დედა მარიამს ჰვალი დაადგა, ეგ წივის, ეგ კივისო. რა არის მაგის წამალიო. მოსწყვიტოს სამი კანაფიო, მხარზე გადააკრასაო. ეს არის მაგის წამალიო.

შელოცვის დროს კანაფს გაწეწენ, არაყში ამოავლებენ და მას ჰვალზე დაადებენ.

ფ რ ჩ ხ ი ლ ა ც ბ. ლოცვა უნდა ფრჩხილასა, კიფორჩხალასა და ნალურსმალასა. დედა მარიამ ღვთის მშობელო, შენ დასწერე ჯვარიო. რა არის მაგის წამალი, ცხრა პურის მარცვალი, ცხრაჯერ შელოცვაი.

ფრჩხილა ლიბრად (თეთრად) თვალს გადაეკვრის, ადამიანს თვალი უსივდება და ცრემლი სდის. შელოცვის დროს ხორბლის ცხრა მარცვალი სამჯერ უნდა დაითვალოს და იქვე მდგარ ჯამში ჩაიყაროს. თუ მას გუგუმა დააჯდა, სატკივარი მაშინ გამჯდარია. შეულოცავენ დღეში სამჯერ და ნალოც წყალს ავადმყოფს თვალებში შეასხამენ.

თ ა ვ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი. ორივე ხელს თავზე შემოიქერენ და

იტყვიან: „ქორი ქანდარასა, ქორი ბუდესა, ხარი ბაგასა და ტვინო ალაგასაო“ (სამჯერ).

ბ ე დ რ ი ა ნ ი ს ლ ო ც ვ ა (უსახელო მუწუკია). ბედო, ბედო, ბედნიერო, ტურფაო და მშვენიერო. სად გაიზარდე, სად დაიბადე? ქორის თბოზე დავიბადე, ჯიხვის რქაში გავიზარდე. რა არის მაგის წამალიო? უცეცხლო თაფლი, უწყლო კარაქი და წყლის ბაყაყიო.

შელოცვის დროს წაუსვამენ მუწუკზე თაფლსა და ერბოს.

წ ი თ ე ლ ი ქ ა რ ი. ახალ სახელო ღვთისაო, მამისა და ძისაო. შეგილოცავ ქარისასა, ქარ-სურავანდისასა, წითელ ქარისასა, თეთრი ქარისასა. გამოდი, გამონიავდი. თუ არ მოვლენ ანგელოზები, გაქანებენ ქარიანითა, გაგაწყალებენ წყალიანითა, ჩაგაგდებენ ხევში, ხევ-ხრატში, შეგჭამს ყვავი და ყორანი, ჭიანჭველა ბოლო ფრთიანი. გაქრა, გაიარა.

შელოცვის დროს სიმსივნეზე წაუსვამენ ძმარსა და ცარცსა ზეითუნზეთში მორეულს.

ხ ო რ ც ი ს ლ ო ც ვ ა. ღმერთმა უთხრა ანგელოზსა, გადახედე ხმელეთსაო, ან ქვრივა ხომ არ წუხდება, ან ობოლ ხომ არ ტირისაო. არც ქვრივ წუხდება, არც ობოლ ტირისა. სოფიოს (იტყვიან ავადმყოფის სახელს) წელი უტკენია, ის სჩივის და ის ტირისო. გადავიდეს ბახჩაშიო, გადმოიღოს სამკენა ფოთოლიო, ქალ მოუზილოსა, ქალ მოპოხოსაო, ანგელოზებ ამინობენ, ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი.

წელს უზელავენ ერბო-კარაქით და თან რკინეულსაც გადაუსვამენ.

გ ვ ე ლ ი ს შ ე ლ ო ც ვ ა. პიტი, პიტი პისტანამა, ასტახგა და აჩანაგა, გველო მოგვირაკრაკდი, მოხრილო ჯოხო, გაშეშდი. ფირქსა ფირქი მაცვია, ფირქთა ბეჭედი მაცვია, ფირქისა ღვთისმშობელო, შენ გაამეშე გველია.

ამ შელოცვის დროს გველს თხილის ჯოხი უნდა გადაუქნიო და და იქვე გაშეშდებაო.

როდესაც საქონელი ღამე კარში დარჩება, ბაწრით შეკრავენ გურჩს (ფილთაქვას), დუქარდს და იტყვიან: „ინისანი, რკინისანი კირკუტონი რკინისანი, პირ შეკარი მგლისა, მუხლი შეკარი მტრისა ჩემ საქონელზე მომავლისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკულტო ადგილ-სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალები

თემურ თუშეთში თითოეულ საგვარეულოს თავისი სამლოცველო ხატი ჰქონდა, სადაც სადგურებდა გვარის მფარველი ღვთაება. ამ ხატთან წლის განსაზღვრულ დროს მთელი საგვარეულო იკრიბებოდა და გვარის დეკანოზიც ხალხს ამწყალობლებდა. წარმართული დროის ეს ხატები თუშეთში დღესაც მრავლადაა დაცული და თითოეულ სოფელს თავისი სამლოცველო ნიშანი აქვს, სადაც დაცულია ხატის დროშები და რიტუალური ჭურჭელი.

ამასთანავე, წარმართულ თუშეთში ქრისტიანობაც ადრევე შეიჭრა, მაგრამ მისი მოძღვრება ხალხისათვის გაუგებარი დარჩა. მართალია, თუშეთი ოფიციალურად გაქრისტიანდა და საქართველოს ეკლესიამ ის დაუქვემდებარა ხარეშნელი ეპისკოპოსის სამწყსოს, მაგრამ, ფაქტიურად, ეს კუთხე ისევ წარმართობას ალიარებდა. ამიტომ თუშეთი ქრისტიანული ძეგლებით ღარიბია, ძველი ტაძრები და საეკლესიო განძეულობა აქ არ მოიპოვება. აქ არც ძველი წარწერები და ხელნაწერები გვხვდება, რომ შეიძლებოდეს ამ კუთხის ქრისტიანული რწმენისა და კულტის შესახებ ვიქონიოთ გარკვეული წარმოდგენა. თუშეთის ზოგიერთ მოზრდილ სოფელში დღეს უკვე გვხვდება გაუქმებული ეკლესიები, მაგრამ ეს ეკლესიები აშენებულია მე-19 საუკუნეში მონარქიული რუსეთის ბატონობის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა „ურწმუნო" მთიელების გაქრისტიანებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიებთან ხალხის რელიგიურობას ნაკლები კავშირი ჰქონდა და აქვს და აქაური ხატობა-დღეობებიც წარმართული ნიშებთან სრულდება, რომელსაც აქ ხატს უწოდებენ.

ხატი ყველა სოფელშია, ზოგ სოფელში კი ორი თუ სამი ხატი გვხვდება. თუშური ხატი ჩვეულებრივი ტიპისაა. ის ნაგებია სიპი ქვით მშრალად, უტალახოდ, ფორმით კუთხოვანია და ერთ მხარეზე ნიში აქვს დატანებული, რომელშიაც საწირ-სანთელსა დებენ. ზოგიერთი ხატი შემკულია ჯიხვისა და ირმის რქებით. თითოეული ეს ხატი დაკავშირებულია ერთ რომელიმე წმინდანთან ან ღვთაებასთან, რომლის სახელსაც ხატი ატარებს: ლაშარის ხატი (ჩიღოში), მარიამწმინდა (ომალოში), კურეხის ჯვარი და ნივრის ჯვარი

ლაშარის ხატი

(შენაქო), შაფურთის ხატი (ქუმელაურთა), ფარსმის წმ. გიორგი (ფარსმა), მადოლის ნათლიმცემელი, თხურსიეხის ჯვარი და გორთიგო (ჭონთიო), მაღალოელი, მარიამწმინდა და იაკსარი (დართლო), ბიჭეხგორის წმ. გიორგი (დიკლო), ჯითანის წმ. გიორგი (ჯვარბოსელი), სამების წმ. გიორგი (წოვათა) და სხვა.

ამ ხატებს შორის მთავარ ხატად ითვლება ლაშარი, ჯითანა და სამება, სადაც წინათ დიდი ხატობა იმართებოდა. ამასთანავე, თუშეთის თითქმის ყველა სოფელში აღმართულია კარატისა და ჯაჯმატის ჯვრის ნიში, სადაც ხევსურეთიდან გადმოსული კარატელი დეკანოზები დგებიან და თუშებს ამწყალობებენ. თუშეთის ეს ხატები დღეს ცარიელია, ზოგიერთში მხოლოდ ხატის დროშებია დაცული. წინათ მთავარ სამლოცველოში ხატის განძეულობა და ჭურჭელი ყოფილა დაცული, მაგრამ შემდეგ, ქისტ-ლეკების შიშით,



სოფელი ჩიდო. ლამარის ხატი (ინტერიერი)

ეს განძეულობა დეკანოზებს უნდა გადაემალათ. ხატის სხვა ნაგებობანი: მხვეწართა სადგომი ქოხები, ხატის ბელელი და სალუდე აქ არ დაცულა.

ხატს თავისი მსახური ჰყავს, რომელსაც ევალება საბატო კულტისა და რიტუალის შესრულება. კულტის მსახურთა შორის პირველია დ ე კ ა ნ ო ზ ი, რომელსაც თუშები „ჰელოსანს" უწოდებენ. ხალხის რწმენით, ხელოსანს თვით ხატი ირჩევს და ვინც ხატის ამ ნებას არ დაემორჩილება, მას ხატი დაამიზეზებსო. სადეკანოზო კანდიდატი ხატისაგან დაჭერილია და მკითხავის რჩევით ის ხატს უნდა ემსახუროს. სადეკანოზო პირი ერთი წელიწადი წმინდობს და სადეკანოზოდ ემზადება. შემდეგ ერთ დიდ ხატობაში ხალხი მას ირჩევს და მთელი სიცოცხლე მან ხატის სამსახურს უნდა შეალიოს.

ხატობის წინ ხელოსანს ევალება სიწმინდე დაიცვას და ამ მიზნით ის დედაკაცს არ გაეკარება, არც ღორისა და ქათმის ხორცს

შეჭამს. მას კვერცხის ჭამაც კი ეკრძალება. მას ევალება ხატში მლოცავ-მხვეწართა „დაჯელოსნება". წინათ დეკანოზს ამასთანავე თემში ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა და თემის საქმიანობაში მის რჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. იგი ხშირად ხელში დროშით სალაშქროდ მიმავალ ლაშქარს წინ მიუძღოდა. ხალხის რწმენით, დეკანოზში სულიწმინდა იყო დასადგურებული, რომლის დასამტკიცებლად დეკანოზი ხატობას უბეში დამალულ მტრედებს თურმე გამოუშვებდა.

დეკანოზს ჰყავს თანაშემწე შ ე ულ ტ ა ც ი, რომელსაც გვარების მიხედვით ირჩევენ და, თემში რამდენიც გვარია, შულტაც იმდენია. შულტას გვარები მორიგეობით ირჩევენ ერთი წლის ვადით იანვრიდან იანვრამდის. შულტას „ქვაბის შედგმა" ევალება და ხატის ჭირნახულიდან შულტა ხატობას ლუდს ადუღებს, ერთ საკლავსაც დაკლავს და ხალხს უმასპინძლდება. თუ ხატი უმამულოა, მაშინ შულტა სოფლის მაღლობიდან ხალხს „მოესიტყვებს", რომ ყველამ სალუდეში მიიტანოს თავისი წილი ფორი, შეშა და წყალი. ხატობას შულტა დეკანოზს შველის, საკლავს ხოცავს და ზოგჯერ მხვეწარს ახელოსნებს. ლუდის დამზადებაში შულტას შველის „მ გ ო ლ ა ვ ი", რომელსაც გასამრჯელოში ჯოტი ეძლევა.

გვარს ჰყავს თავისი ნ ა თ ე ც, რომელსაც წელიწდობას ერთი წლის ვადით ირჩევენ. ნათე ცოლიანი უნდა იყოს. ნათეს ევალება ხატის მამულის დამუშავება და მეთვალყურეობა. ხატის შემოსავლიდან მას „ნათეობის" ხარჯი უნდა გაეღო. ამისათვის ნათე გიორგობა დღეს ძროხას დაკლავდა და დაამარილებდა. საახალწლოდ ამ ხორცს ის მოხარშავდა და სალუდე ქვაბსაც შეჰკიდებდა. სალუდე ჭირნახულს ნათე ხატის მამულიდან იღებდა. ამ მამულს სოფელი მორიგეობით ხნავდა და ამუშავებდა, მკაში კი ნათეს ყველანი შველოდნენ. ხატის ჭირნახულს ნათე გალეწავდა და ნათეობისათვის ლუდს ხარშავდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ქვაბი იყო დაკვეთილი. ნარჩენ ჭირნახულს ძველი ნათე ახალს გადააბარებდა.

ხატი თუ უმამულო იყო, მაშინ ცხვრის ბინებში ერთი დღის ყველს აგროვებდნენ და ამის საფასურით ნათე ჭირნახულს ყიდულობდა და ლუდს ხარშავდა. ამ ლუდითა და ხორცით წელიწდობას ნათე გვარს ნათეობას გაუმართავდა, რომლის შემდეგ ახალ ნათეს ირჩევდნენ და ძველი ნათეც „ს ა ფ ი ც ა რ ს" გამართავდა. ამი-

სათვის ნათე თავისი სახლიდან გამოიტანს ერთ საკედე (საარყვ ქვაბი) ლუდს, იქვე დაალაგებს ნათეობაში ნარჩომ ფაფას, ჰურს, ფორს, ფქვილს, ქერს და სხვა, რაც სასოფლოა, დაიბარებს გვარს და დაიფიცებს, ამის მეტი ჩემს სახლში ხატისა არაფერი დარჩენილაო: „აი ეს ხატი გამიწყრეს (ასახელებს), თუ მე თქვენთვის მეღალატნოს და საფიცრად ზედაშეც მომიტანიაო. თუ მეღალატოს, გამიწყრეს, თუ არა და მწყალობდესო". ხალხი ნარჩომს გასინჯავს, ნათეს უკანვე უბრუნებს და ეტყვის: „შეგეწიოს და წყალობა მოგცეს ხატმაო". ნარჩომი ქერი ერთ თვეში ძველმა ნათემ ახალს უნდა გადააბაროს.

ახალ ნათეს ეს ქერი და ჰურჭელი თავის ოჯახში გადააქვს. ამ დროს რომელ დედაკაცსაც სურს იმ წლის განმავლობაში ნათეს ოჯახში იარო, ჭირნახულის შეტანისას იმის ოჯახში უნდა მოექცეს, თორემ შემდეგ ის იქ ვერ შევა, ხატის დამიზეზების შიშით. ხატის ჭირნახულს ნათე თავისი სახლის ჭერხოში ინახავს და ქერიან კოდზეც საზედაშე არაყს დადგამს. ყოველი თვის დამდეგს ნათე იქ ერთ ვინმეს აიყვანს, დაილოცება და საზედაშე არაყს იაევე დაცლიან, სამაგიეროდ, ახალ არაყს ჩაასხამენ და ასე წლამდის გრძელდება. ახალმა ნათემ იმ წლის განმავლობაში უნდა იწმინდოს და დედაკაცთან არ დაწვეს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ვაჟი თუ გაუჩნდა, არ გაიზრდებაო და ამისათვის მან „ძეგლი უნდა ჩამოჰკიდოს", რომ ვაჟი შერჩესო. ძეგლად ერთი ქვაბი ლუდია დაწესებული. ცდომილი ნათეც ლუდს მოადუღებს და ხატს შეეეედრება, ეს ვაჟი გაგვიზარდე და ეს ძეგლი დამიდვიაო: „ნუ დაგვილევ ძესა, არ დაგაკლებ ძეგლსაო".

ნათეს ჰყავს დამხარე „მ ა ქ ა ლ ა თ ი". რომელსაც გვარი ირჩევს. გვარში წილს ჰყრიან და ერთი წლის ვადით ირჩევენ სამ მაქალათს, რომლებსაც ევალებათ ნათეობა დღეს ჰურჭლის დარეცხვა და სუფრის მომზადება. ზოგჯერ მაქალათს თვითონ ნათე ირჩევს. ის შევა ოჯახში, ერთ ვინმეს ქუდს ესვრის და იტყვის: „წყალობა ხატისა!" ის პირი უკვე არჩეულად ითვლება და მას ხატის შიშით უარის თქმა არ შეუძლია. მაქალათებში ერთი დედაკაცია (დედა), ორი ქალ-ვაჟი (შვილები) და ესენი შველიან ნათეს: ქალები პურს აცხობენ, კაცები ლუდს ხარშავენ. მათ ერთი მესაფუვრეც ჰყავთ, რომელსაც ალუდი აბარია. ნათეობას მაქალა-

ხატში მიმავალი მხვეწარი

თები სალუდეში არიან და მათ ერთი კვირა ეკრძალებათ სახლებში შესვლა. თუ სადმე ოჯახში შეასწრეს, დაიჭერენ და იქვე ფეხით ჩამოჰკიდებენ, მერე ის ოჯახმა ქვაბ-საკლავით უნდა დაიხსნას.

ხატობა-დღეობები თუშეთში ივლისის პირველ რიცხვებში იწყება (ძველი სტილით) და ერთი თვე გრძელდება. დრო ხერხიანად არის შერჩეული. გლეხობა ამ თვეში მინდვრის მუშაობას არ ეწევა და ისვენებს. ამინდიც დარიანია და მხვეწარს საშუალება ეძლევა, ხატში თავისუფლად იმგზავროს. ხატობას სოფლები ზედიზედ იხდიან და ზაფხულის ხატობის ამ ციკლს „ათინგენას" უწოდებენ.

ათინგენობა[1] სრულდება ადგილობრივ ხატში და ეს დღე-

[1] ათინგენობა დაკავშირებულია საქრისტიანო წმინდანის ათინოგენის ხსოვნასთან (იხ. К. С. Кекелидзе, Иерусалимский канонар VII в., Тиф., 1912 г., გვ. 19—20, 288—294).

სასწაულიც ამ ხატის სახელს ატარებს. მაგალითად, სოფ. ომალოში მთავარანგელოზის ნიშია და აქ სრულდება ივლისში მთავარანგელოზის ათნიგენობა, ქუმელაურთაში — შაფურთის წმ. გიორგი ათნიგენა, ჰეშოში — მიქელგაბრიელ ათნიგენა, ფარსმის წმ. გიორგი ათნიგენა და სხვა.

ათნიგენობა თუშეთში იწყება ჩიღოს ლაშარის ჯვარის ხატობით, რომელიც აქ მთავარი სალოცავია. ხატობა იცოან 19—20 ივლისს (ახალი სტილით). მთის დაკლაკნილ ბილიკზე გაიბმება მგზავრთა უწყვეტი რკალი. ცხენით თუ ფეხით ყველანი ხატში მიეშურებიან. სურსათ-სანოვაგით დაბარგულ ცხენებზე ჭრელი ხურჯინები ჰკიდია, რომლის თვლებში ბავშვებია მოთავსებული, ზოგიერთში კი ბატკნებიც. ახალგაზრდობა კოხტად შეკაზმულ ცხენებს მიაჯირითებს, ისმის საკლავების საცოდავი ბღავილი, შეზარხოშებული მხვეწარის სიმღერა და ღრიანცელი. მეხატეთა ამ პროცესიაში სოფ. ჩიღოდან მეც გავერიე. ლაშარის ხატი ჩიღოს მთის დავაკებაზეა აშენებული. მიდამო ლამაზია. ხატი შემოზღუდულია ყორის მაღალი გალავნით, რომელსაც ერთი შესავალი კარი აქვს დატანებული. გალავანს ოთხი თავწვეტიანი ბოძი აქვს, რომელზეც ხატის ალამია ალმართული. შესავლის მარცხნივ ხატის ნიშია, სადაც დეკანოზი ხალხს ამწყალობნებს. აქვეა ერთი პატარა ოთახი „სადეკანოზო", სადაც დეკანოზი წმინდობს, ისევნებს და საწირს აგროვებს. სადეკანოზოში დგას ზურგდაჭრელებული მერხი და დეკანოზის სკამ-სავარძელი. ხატზე ალაგია ჯიხვისა და ირმის რქები.

ხატის შესავალი კარი ამ დღეს მორთული იყო ხატის დროშებით და ალმებით. თუშური ხატის დროშა თეთრი მიტკლისაა, ოთხკუთხედია და სამყურაზე მიკერებული აქვს წითელი გრძელი სალტა. ამ დროშას გრძელ ჯოხზე შეაბამენ და წვერზე ზანზალაკს უკეთებენ. შეხვეწილები დროშას ამასთანავე ჩამოჰკიდებენ წითელ და თეთრ ნაჭრებს.

შემოსილი დროშა ინახება ხატში ან ძველ ციხეში, რომელსაც ხატობის წინ დეკანოზი გამოიტანს და ხატის ნიშანთან მიაყუდებს.

მზის გადახრისას დეკანოზი და მისი თანაშემწე შულტები ხატის ნიშთან დადგნენ, სანთლები აანთეს და დეკანოზი დამწყალობებას შეუდგა. ხატის მოედანზე მხვეწარი თუშები შეჯგუფდნენ,

ქალები, ბავშვებისა და მოხუცი დედაკაცების (უთვიუროს) გარდა, ხატისაგან მოშორებით იდგნენ. მხვეწარი საწირით მიდიოდა, ხელში კვერებით, სანთლებით და ხელადა არყით. ამ საწირს შულტა ართმევს, დეკანოზი სანთლებს აანთებს, ახსენებს მხვეწარის სახელს და ასე დაილოცება: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე წმ. გიორგის ლაშარისას, დიდად სადიდებელსა, ძვირად საკსენებელსა, მუხის წვერის ანგელოზთა, დიდად სადიდებელსა, ძვირად საკსენებელსა! წმ. გიორგი, შენ შეგვეწიე, შენ გეხვეწებიან სამსახურის მომღებნი თავი დაბლითა, გული მართლითა, ნაძახევს გაუგონებდი, ნაქადებს არ გიმტყუნებენ. შორს მყოფი ახლოს დაუხვდიდი, დაიცავი, დაიფარე ზვავისაგან, წყლიდან, სენიდგან, სასჯლიდან. მწარე სიკვდილსა თავ თქვენ შეუქციიდითა. ზამთარ მშვიდობისა წაგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა. ჯოხ აიღონ, ვაჯშამ მისცითა, სახელ სარგებლიან მიატანითა, საკნებელ მოაშორეთა, მტრის ჯელით ჯმალ ახჯადითა. სიკვდილობას აუსუბუქიით. მტერთან ჭირს ნუ დაუკარგავ, სწორთან სამართალს, მჯარ-გუთან წაღმ წაგვარეთა. ყანა-მკა მოგვარეთა, ღონესა, ქონესა უმატითა. ცხვარ-ცხვრის მკრავს უმატეთა, პურსა და პურის მჭამელს უმატეთა! დიდო ბედნიერო ანგელოზო, შენ გეხვეწებიან თავი დაბლით, გული მართლითა! მეშველი, მწყალობელიმც არის თქვენი! გაუმარჯოს ჩვენ სალოცავებს, გაუმარჯოს ყმებს ლაშარის გიორგისას!“.

საზედაშე არყის ერთ ყანწს დეკანოზი შესვამს, დანარჩენს იქვე მდგარ თუნგში ასხამენ. საწირ-ნამცხვრის ნაწილსაც დეკანოზი იტოვებს. ბავშვით შეხვეწილებს დეკანოზთან ბავშვები მიჰყავთ, საკლავით შეხვეწილები კი ცხვრებით მიდიან. ცხვარს დეკანოზი რქაზე სანთელს მიაკრავს და ისე დაილოცება. შემდეგ ამ

სანთლით ცხვარს შუბლს შესტრუსავს და შულტას გადასცემს, რომელიც ზვარაკს ხანჯლით ყელს გამოსჭრის და დალმართში დააგორებს. ხალხი დაიძახებს: „წყალობა ხატისა!“ ცხვრებს ბავშვები იჭერენ და ვინც პირველად ხელს დაავლებს, იმ ცხვრის ჯიგარიც იმისია. შეხვეწილები ხატს სწირავენ თეთრსა და ჭრელ საღროშე ხილაბანდებს, რომლებსაც დეკანოზი ართმევს და დროშაზე აბამს.

მზე ჩავიდა. დეკანოზმა დროშა აიღო და ერთ მაღლობზე დადგა. მას გვერდში შულტები ამოუდგნენ და ერთმა მათგანმა დაიძახა: „ხალხო, დღეს ვევედრებით ჩვენ ლაშარს და აქ ამოვაბრძანეთ მისი დროშაო, ჩიღოელებო, ეს ხატობა ისე გაატარეთ, რომ ერთმანეთის წყინება ნუ იქნება. ნურც ჩხუბი იქნება და ძველი შურისძიება სხვაგან და სხვა დროს ეძიეთო. აქ მოვსულვართ სალოცავად და არა საჩხუბრად. ამიტომ გთხოვთ, დროება მშვიდად გაატაროთ. აქ, ლაშარის ყარზე, ნურაფერი დაიკარგება. მპოვნელი მოვიდეს დარბაზში დეკანოზთან და მას ჩააბაროს და უთხრას, ვიპოვნე და ჩაიბარეთ. იყოს სიტყბო და მხიარულება. ხალხნო, დედაკაცების ჯარი (სადგომი) იქით იქნება და მამაკაცებისა აქეთა. არავინ გაბედოს დედაკაცების ჯარში ღამე გადასვლა. მამაკაცებს ევალებათ შეშაზე წასვლა და მისი მოზიდვა. ამისდა მოწმად თემიდან ვარჩევთ თითო კაცსა, რომ მათ ეს წესები სასტიკად დაიცვანო“.

მლოცავი ორად გაიყო. ერთ გორაკზე ქალები დაბანაკდნენ, მეორეზე კი კაცები. ახალგაზრდობა შეშაზე წავიდა. მოზიდეს ხმელი ფიჩხები და დაანთეს დიდი ცეცხლი. ღამის მთეველი ქალებიც თავიანთთვის ფუსფუსებდნენ. ღია ცის ქვეშ მწვადი იწოდა და ხორცი იხარშებოდა. ზოგან სუფრა იყო გაშლილი და ვახშმობდნენ. ისმოდა სიმღერა. ცეცხლის პირას თუშები ჩამწკრივებულიყვნენ და ყურს უგდებდნენ ახალგაზრდა თუშის აბრო ელანიძის ჩონგურის ქნარას, რომელიც გიორგი თილიძის ლექსს მღეროდა.

სოფელი შენაკო. სამების ეკლესია

თილიძე სოფ. კვაველოდან ყოფილა და მას მტრობა ჰქონია ფშაველებთან. ლაშარობას თილიძე ფშავში მისულა, თეთრი კურატი მიუყვანია და იქ დაუკლავს. თილიძეს თუშ-ფშაველების შერიგება ეთხოვია და ორივენი ლაშარში ძმად გაფიცულან. სიმტკიცის ნიშნად თილიძეს ლაშარის დროშა თუშეთში გადმოუტანია და აქ ჩიღოს მთაზე აღუმართავს, სადაც ლაშარის ეს ხატიც აუგიათ.

შუალამისას შულტამ დაიძახა, მამაკაცებო, გთხოვთ „კოდის ლოცვაზე!“ მოიტანეს ლუდიანი დიდი კოდი, რომლის ნაპირზე ანთებული სანთლები გაამწკრივეს. ჩიღოელებმა კოდთან მიიტანეს ლაშარის წმ. გიორგის საღმრთოდ ორ-ორი მრგვალი პური და ცხვრის ხორცი. ამ საღმრთოს შულტა ამზადებს, რომელსაც ჩიღოელები აძლევენ ქერს და ამ ქერიდან შულტა ლუდს ამზადებს. საკლავს ყიდულობს და პურს აცხობენ. კოდის მეორე მხარეზე ხატში მოსულ გარეშე მხვეწართა (არაჩიღოელები) სამღვთო ჩაამ-

წკრივეს. ამ ალუდიან კოდთან მამაკაცებმა გაიბეს განიერი წრე და დაიწყო შეხმატკბილებული „კოდის ლოცვა“: „სიმღერა უთხრათ ერთსაო, შეევეხვეწენით ღმერთსაო, ღმერთო, გვიცოცხლე ესენი, ღვინოს გვახლიან გვერდსაო. ქალ-წყალზე დაგვიანდება დაბანას ხელ-პირისაო, ვაჟ დარბაზთ დაგვიანდება შესმასა ბარძიმისაო. ცხვარსა უმატე, გიორგი, თუ გინდა ქაჯანგიანი, პურსა უმატე, გიორგი, თუ გინდა კოდი სავსენი, ყმათა უმატე, გიორგი, თუ გინდა მოსახელენი. წმინდის გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულიყო, იმას დეესხა ყურძენი, საჭმელად მოწეულიყო, იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო“. და სასრულს დაიძახეს: გაუმარჯოს ლაშარის წმ. გიორგისაო. ამას მღერიან სამ წყებად. იწყებენ დეკანოზ-შულტები და იმასვე იმეორებენ ჯერ ჩიღოელები და შემდეგ სხვა სოფლებიდან მოსული ჯგუფები.

კოდის ლოცვაზე ქალებს არ უშვებენ. ცეცხლის პირას განიერ რკალად ხალხი ჩამწკრივდა და ხუთ კაცზე ერთი საღმრთო ჩამოარიგეს. „მიშუე“-ები ან მწდენი კოდიდან ლუდს იღებენ და ხის თასებით ხალხს აწვდიან. მხიარული ვახშამი დასრულდა და მლოცავი მოსვენებას მიეცა. რომ არაფერი დაკარგულიყო და ქალების ბანაკში მამაკაცები არ გაპარულიყვნენ, ყარაულები დააყენეს, ღამის მთეველების ერთი ნაწილი ცეცხლს შემოუსხდა, ერთმა ახალგაზრდა თუშმა ჩონგური გამართა და სევდიანი ჰანგით დააღიღინა:

შამილსა დაუბარებავ თუშების მუქარაზეო,
გაიგო ბელად დავითმა, მიდგ-მოდგებოდა ბანზეო,
სალაშქროდ ყმანი შეყარა, გაუდგებოდა გზასაო,
ავიდოდ იალაღზედა, ცივსა ჩამოვლენ მთაზეო.
საყორნის ღელეს ბუდობენ ნარჩევ დაღესტნის ყმანიო.
დავით ეწვია ლეკებსა სადილობსა ხანზეო.
— აბა, თქვენ, თუშთა შვილებო, ახლა იშიშვლეთ ხმალიო,
თოფითა, ხმლითა ვიომნეთ გულს ერჭოს ხანჯლის ტარიო,

ჯმლის ფხაზე სისხლი დაგუბდეს, ალარა სჭრიდეს ჯმალიო!
თუშნი და ლეკნი შეიბნეს, სისხლისა დადგა ტბანიო,
დამარცხდა შამილის ჯარი, ასამდის წაწვა მკვდარიო,
მიდ-მოდიოდნენ ყორნები, საით ჩავშალოთ მკვარიო.
ემანდ ამბობენ, დავითსა სისხლისა უდგა ტბანიო.
ეგ რომ გაიგო შამილმა მღვრიე დაედო ფერიო,
თუშებმა მე როგორ დამცეს, მე კაცი ალარ ვარიო,
ქალი ვარ ჩიქილიანი, თმაგრეზა, კოწოლიანი.
ვეზირებმ წყალი მიართვეს, ამით იგრილე გულიო.

გათენდა. დეკანოზმა დროშა დააქნარუნა. მლოცავი წამოიშალა. სუფრები გაიშალა და დაიწყო სმა და ლხინი. ამას მოჰყვა „ქორბეღელა" და ცხენების რბევა. მამაკაცები ხელებით და მხარბეჭებით ერთმანეთს გადაებნენ და გაკეთდა მაგარი წრე, რომელზედაც ავიდა მეორე წყება და ეს ორსართულიანი წრე ხატისაკენ დაიძრა სიმღერით:

დღესამ დღეობა ვისია, წმიდისი გიორგისია,
ჯვარ-ჯვარის ყრობა ვისია, წმიდისი გიორგისია;
გიორგი გალავანზედა უსარტყლო იარებოდა,
გიორგის გადმონავალზე ხე ალვად ამოდიოდა,
მაგის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშავდებოდა".

ქორბეღელას ხალხიც მიჰყვა, რადგანაც მათი რწმენით, ვინც ქორბეღელაში არ ჩაებმის, ხატი დაამიზეზებსო. ქორბეღელა ხატის კარებამდის მწყობრად და დაუშლელად უნდა მივიდეს, რა გინდ ცუდი და გრძელი გზა არ უნდა იყოს გასავლელი. ხატის კარებთან ქორბეღელა სამჯერ შემოტრიალდება და დაიძახებს: „გწყალობდეთ ლაშარის ჯვარიო" და იქვე დაიშლება. შულტა სადეკანოზოდან ლუდს გამოიტანს და ჯიხურით ქორბეღელას შემსრულებელს შეასმევს. ამის შემდეგ მლოცავი აიშლება. ყველანი ცხენებს კაზმავენ, ბარგს ალაგებენ და მიდიან. ახალგაზრდობა ცხენებს აჯირითებს. წინათ ხატში ქადაგად დაცემა აქაც სცოდნიათ და ქადაგიც ხატის ნებას წინასწარმეტყველებდაო.

ათნიგენობას ასეთივე ხატობა 27 ივლისს სოფ. ქუმელაურთაშიაც გაიმართა „შაფურთის გორაზე". შაფურთის ხატი ფიქვნარშია მოთავსებული. აქ ერთ დიდ ფიქვის ხესთან პატარა



ქორბეღელა ლაშარში

ყორეა ირმისა და ჯიხვის რქებით შემკული. ეს შაფურთის ხატია. შუადღისას მლოცავი ამ ტყეში შეგროვდა და ხელოსანიც მხვეწარის დამწყალობებას შეუდგა. დეკანოზი ფიჭვის ხესთან იდგა ხელში ანთებული სანთლით. მასთან შეხვეწილები მიდიოდნენ ხელში საწირით, რომელიც შედგებოდა ორი კვერისაგან, ერთი სამკუთხედია და მეორე კი ჩლიქისებური, „ბაცუკა", საქონლის მომრავლებისათვის. ხელოსანი მლოცავს ამწყალობებდა და ანთებულ სანთლებს ფიჭვზე აკრავდა. ყველანი ერთმანეთს სთავაზობდნენ საზედაშე არაყს და მისალმებისას ამბობდნენ: „წყალობა ხატისა"! გაიშალა სუფრები. ქალები ცალკე და მოშორებით დასხდნენ და ცეკვა-თამაში გააჩაღეს, კაცები კი ხატთან დაბანაკდნენ. ერთმა ჩონგურზე დაუკრა და ტკბილის ხმით დაამღერა ალუდა ქეთელაურისა და კოპალა-იახსარის ლექსი. ახალგაზრდობა ქალებისაკენ მიიწევდა. მოხუცნი მათ ამას უშლიდნენ, რადგანაც წინათ ქალებში გარევა და თამაში აკრძალული ყოფილა. მაგრამ შეზარხოშე-

ბული ახალგაზრდობა მაინც იჭრებოდა ქალების წრეში და იქ ლეკ-კურს უვლიდა.

ამას ჩქარა ცხენების რბევა მოჰყვა. ხატიდან 50 მეტრის დაშორებაზე ტყის ბილიკის თავზე დედაკაცები დაირაზმენ და გზა შეკრეს. ხელში მათ ეჭირათ გრძელი ჯოხები და შოლტები. ხატთან ცხენოსნები შეჯგუფდნენ და ერთბაშად ქალებისაკენ გაჭენდნენ, რომ მათი წრე გაერღვიათ და გამარჯვებული გასულიყვნენ. დედაკაცებმა ასტეხეს საშინელი ყიჟინა და ცხენებს შოლტები დაუშინეს. შეიქნა ერთი ორომტრიალი. ცხენები დაფრთხნენ და ყალყზე შედგნენ. ზოგი უკან გამოიქცა, ზოგი ტყის ფერდობზე დაქანდა, მაგრამ ცხენოსნობაში გაწვრთნილი თუშები გახელებულ ცხენებს უშიშრად აჭენებდნენ.

ამ პირველ შეტევას მეორე და მესამეც მოჰყვა. ქალები შოლტებს ისევ მაგრად სცემდნენ. ვაჟკაცურად იბრძოდნენ და მოზღვავებულ ცხენოსნებს იგერიებდნენ. დამარცხებული ცხენოსნები კი უკანვე გარბოდნენ. მეოთხე შემოტევისას დედაკაცების ეს მაგარი წრე ცხენოსანთა ერთმა ჯგუფმა გაარღვია და სოფლისაკენ გაჭენდა.

პირველად გასულ მხედარს „ერთი ჩხუტი" (სუფრა) ეძლევა და მას სოფელი პურ-არაყ-ლუდით უმასპინძლდება. დედაკაცებმა ახლა ჯოხები დაყარეს, წრე ისევ შეკრეს და შემოტეული ცხენოსნების ხელით დაჭერა იწყეს. დედაკაცები ცხენოსნებს ერთბაშად მისცვივდებოდნენ, ხელს წაავლებდნენ ლაგამზე, უნაგირზე, ცხენის ფაფარზე თუ სხვაგან და დიდის ბრძოლით მხედარს ცხენიდან ჩამოათრევდნენ. მხედარი უძალიანდებოდა და ამგვარად იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში დედაკაცები იმარჯვებდნენ, მამაკაცებს ცხენებიდან ჩამოათრევდნენ და იქვე, ტყის ფერდობზე ცალი ფეხით ჩაათრევდნენ და ამას „ჩათრევას" უწოდებდნენ. არცერთ მამაკაცს ქალები ჩაუთრეველს არ ატარებენ, რადგანაც მათი რწმენით, ასეთ პირს ხატი დაამიზეზებსო. ვინც ბრძოლის გუნებაზე არ იყო, ის ცხენიდან ჩამოდიოდა, ფეხით გაივლიდა. დედაკაცებსაც ნებდებოდა და მას იქვე ჩაათრევდნენ.

ჩათარაც დასრულდა. დედაკაცები დაიშალნენ და ხალხი სოფლისაკენ დაიძრა. ქუმელაურთაში დაირეკა ხახმატის ჯვრის ზარი და ხალხიც სალოცავად აქ ავიდა. დეკანოზმა მხვეწარი დაამწყა-

ლობა, საკლავები დაიხოცა. ხალხი გაიძახოდა: „წყალობა ხატისა შეგეწიოს!“ ტარკოშით ლუდი ჩამოარიგეს და გაიმართა „ქორბეღელა“. ხატიდან ქორბეღელა სოფლისაკენ დაიძრა, მას შემოუარა და სოფლის მოედანზე დაიშალა. ამას მოჰყვა ცეკვა-თამაში, სტუმრების ოჯახებში დაწვევა და ვახშმობა.

მამაკაცების ჩათრევა აქ სხვა სოფლებშიაც იციან. ჩიგლაურთაში ათნიგენობას (წმ. გიორგი) დედაკაცები მამაკაცს ჩაათრევენ და ის ამხანაგებმა ქვაბ-საკლავით უნდა გამოისყიდონ. სოფ. ილიურთაში ხატობას სტუმრის მოტაცება და დათრევა იციან. ქალები სტუმარს მიეპარებიან და თუ ის მარჯვენაზე გადაათრიეს, მასპინძელმა სტუმარი ქვაბ-საკლავით უნდა გამოისყიდოს.

მესამე ხატობა, რომელსაც მე დავესწარი 9 აგვისტოს (ახალი სტილით), იყო ჭონთიოს ნათლისმცემლობა. ეს ხატი მოთავსებულია ჭონთიოში ადგილ „მადოლზე“ და მას მადოლის ნათლისმცემელს უწოდებენ. მისი ნიში დანგრეულია, დროშა ინახება ნასოფლარ ჭელოს ციხეში. ხატობის წინ დეკანოზი ამ დროშას ჩამოიტანს და მადოლზე დაასვენებს. პირიქითის ხეობის მხვეწარი აქვე გროვდება და ნათესთან მოაქვთ საწირ-სანთელი, რომელიც ხალხს ამწყალობებს: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ღმერთსა კვირაისაო. ღმერთო, გაუმარჯვე დღესა დღევანდელსა! თქვენ გეხვეწებით, თქვენ გევედრებით, დიდო ღვთის შვილებო, დიდად სადიდებელო, ძვირად საჯსენებელო, თავი დაბლითა, გული სიმართლითა. თქვენთვის შემოუწირავთ სანთელ-ზედაშეი, თქვენ მორიგე ღმერთს შესწირავდითაო, წყალობა გამოუთხოვიდითაო, ჯვარ დაუწერიდითაო კაცსა, საქონელსაო, დიდსა და პატარასაო, ორფეჯსაო, დეცშველენითა და დეცხმარენითაო, სადაც მოგეჯსენდებათ გაჭირვებულნი. თის ნაქარი, ჭალას ყირვან მაცშორდითაო, გაქლიბულ ისარ გაცშორდითაო, გაქანებულ ცხენს მაცშორდითაო, აღვარებულ წყალ მაცშორდითა. ნუ დაუკარგიდით მტერთან ჭირი, სწორთან სამართალი, კაბის კალ-

თის ქვეშ მაცფარებდითაო! გეყმობითა, გემსახურებითაო. ცხვარს ცხვრის კრავს მოუმატებდითაო, ფურს ფურის ჯბოს მოუმატებდითაო, ქალს ქალიშვილს მოუმატებდითაო, წულს წულტოლს მოუმატებდითაო!" დასასრულ, დეკანოზი ზედაშეს მოსვამს, სანთლით საკლავს შუბლს შესტრუსავს და ყელს გამოსჭრის. მლოცავი დაიძახებს: „იოანე ნათლისმცემელი შეგეწიოს, წყალობა მოგეცეს!"

ამავე დღეს პირიქითელები ნათლობასაც იხდიან, რადგანაც ზამთარში ისინი ბარში ჩადიან და საშუალება ესპობათ იანვარში ნათლობა აქ შეასრულონ. ამისათვის ნათლებმა აქ მოტანილი არაყი და კვერები მოაგროვეს, რომ ნათლობის ვახშამი გამართონ. დამწყალობების შემდეგ ჭონთიოს სერზე სუფრები გაიშალა, გაიმართა სმა და ლხინი. აჭიდავეს შამილი და შეთე. შამილი გადაცმული იყო ქისტურად, შეთე კი თუშურად. ორივე შეიარაღებული იყო ხის ხმლებით. შეთეს გულზე ეკიდა ჩვრის „მენდლები" და მხრებზე ჩინები ეკრა. ორივენი ხის ხმლებით იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვება ამ წელს შეთეს დარჩა. ზოგჯერ თურმე შამილი იმარჯვებს. შამილისა და შეთეს ასეთივე შებრძოლება ფარსმაშიაც იციან. გამარჯვებული შეთე მხიარულობდა და ხუმარას როლსაც ასრულებდა.

მზის გადახრისას ნათემ დროშა დააქღარუნა და ყველანი აიშალნენ. დაიწყო წილის ყრით ახალი ნათლების არჩევანი. კენჭს კანდიდატებს უყრიან და ვისაც კენჭი ამოუვა, იმ წლის ნათედ მას ირჩევენ. არჩევანიც გათავდა. ახლა ქორბეღელა გამართეს, რომელსაც პურის კვერების სროლა მოჰყვა. კვერები პირველად ნათლებმა ესროლეს ხალხს, შემდეგ ყველანი მას მიჰყვნენ. კვერების ერთმანეთის დაშენის დროს ნათემ დროშას ხელი დააკლო, ცხენზე შეჯდა და გაქენდა ჰეღოსაკენ, სადაც დროშაც დააბინავა.

მლოცავი აიშალა და სოფ. გირევში ჩავიდა. აქ ძველმა ნათემ ნათლობის ვახშამი უნდა გამართოს. მაქალათებმა ხორცი მოხარშეს, ლუდი და საღმრთო პურები დაამზადეს და ხალხს კოდის ლოცვაზე დაუძახეს. ლუდიანი კოდი სანთლებით იყო გაჩაღებული, ნათლებმა კოდზე დაილოცეს და ამის შემდეგ ვახშამი გაიშალა. მწდლებმა ჩამოატარეს ლუდით სავსე ჯიკურაცები და ტარკოშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირეველი პატარძლები საწირით მოვიდნენ. მათ მიეგებაო ბალოთეკა გაზრდობა, დაფის დაკვრით და დიდის ლხინით მივიდნენ კოდთან და იქ ისინი ნათემ დაამწყალობლა. ხატობა მეორე დღესაც გაგრძელდა. ოჯახებში სუფრები გაიშალა და ყველგან სმა და ლხინია, გაიმართა თამაშობანი. მაქალათები ოჯახებში იპარებიან და ცდილობენ, რამე მოიპაროს, მაგრამ პატრონი თუ შეასწრებს, მაქალათს ფეხით ჩამოკიდებენ და ის დედამ და ძმებმა ქვაბ-საკლავით უნდა გამოისყიდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატრონმა ჯარიმა უნდა გაიღოს, რომ მოპარული ნივთი უკანვე მიიღოს. ამ დღეს სალუდეში თუ ვინმე შემთხვევით შევიდოდა, მაქალათები მას ჩამოკიდებდნენ და ის ქვაბ-საკლავით სოფელს უნდა დაეხსნა.

წინათ სადილზე მაქალათების დედას ვინმე ჩუმად ცხვრის ყველებს ჩამოჰკიდებდა თურმე. ამაზე დედა გაიბუტებოდა და სუფრიდან წავიდოდა. მასვე გაჰყვებოდნენ შვილებიც (მაქალათები). ლუდიანი ტარკოშით სთხოვდნენ დედას უკან გამობრუნებას, მაგრამ ის უარზე იდგა, სანამ ახალ ტანისამოსს და შეკაზმულ ცხენს არ მიართმევდნენ. დედას ცხენზე შესვამდნენ და მუსიკით უკანვე აბრუნებდნენ. ამ დროს მას ვინმე მიეპარებოდა და ხურჯინში ყოჩის ყველებს ჩაუდებდა და დაიძახებდნენ: „ხურჯინში კაი საგზალი გაქვსო". დედა ხურჯინში ჩაიხედავდა და ყველებს ამოიღებდა. ამაზე ერთი ალიაქოთი ატყდებოდა და საქმის გასარჩევად ბეჭედს ირჩევდნენ, რომლებიც მაქალათებს დედის დაუცველობისათვის ჯარიმად ქვაბ-საკლავს მიუსჯიდნენ.

მაქალათებმა გამართეს „ხინკლის ალების ღამე". დაიდგა იმდენი სუფრა, რამდენიც მაქალათია და ამ სუფრაზე ეწყო: ყველი, ხინკლები, ცოტა მატყლი, ხორცი და სხვა. თითოეული მაქალათი ამ სუფრას სამჯერ შემოუვლის და სუფრასაც აიღებს. ამით თავდება მაქალათის წლიური ჯერი და სამსახური.

ათხიგენობას თუშეთში გადმოდიან ხევსური დეკანოზებიც, დაახლოებით ივლისის შუა რიცხვებში და აქ ხალხს ამწყალობებენ. ხევსურეთიდან გადმოდიან კარატიონი და ხახმატიონი დეკანოზები, ცალ-ცალკე ჯგუფებად, და დგებიან თავიანთი ხატის ნიშთან. ხევსურეთის ხატები თუშებს სწამთ და მათ დეკანოზებსაც აქ ძლიერი გავლენა ჰქონია. გაჭირვების დროს თუში იტყვის „კარატის ჯვარო,

დამწერ ჯვარით". ხევსური დეკანოზები თუშებს თურმე არწმუნებენ, ჩვენი გმირი კოპალე ამბობსო: „თუშეთში წაგვიყვანე და იქ მალოცეთ ტოლ-ამხანაგებთანო". ჩვენი ხატები ძალას გვატანენ, ხევსურეთში მარტოობით შევწუხდით და ჩვენ ძმებთან — თუშებთან გაგვატარეთო. ხატების ეს ნება თუ არ შევასრულეთ, ისინი გაჯავრდებიან და დაგვამიზეზებენო.

ხევსურები და თუშები ერთმანეთს ბიძაშვილებად თვლიან და როცა გზაში შეხვდებიან, ასე ესალმებიან: „გამარჯობა, ბიძაშვილო". ომისა და ლაშქრობის ჟამს თუშები იწვევდნენ ხახმატის დეკანოზებს, რომლებიც ლაშქარს თურმე წინ მიუძღოდნენ.

ხევსურულ ხატებში თუშებს განსაკუთრებით სწამთ კარატისა და ხახმატის ჯვარი და ამ ორ ხატს თუშეთში ყველგან თავიანთი სალოცავი ნიში აქვს აგებული. ხატისაგან დამიზეზებული, მკითხავის რჩევით, ხშირად ამ ხატებს ეყედრება და საწირ-სანთელსაც შეუთქვამს. მაგრამ ხევსურეთი შორი და ძნელი მისავალი კუთხეა და მლოცავს ეძნელება თუშეთიდან კარატში და ხახმატში გადასვლა. ამიტომ ამ ხატის დეკანოზები თუშების დასამწყალობებლად ათნიგენობას აქ გადმოდიან და გომეწრის ხეობიდან დაწყებული მთელ თუშეთს დროშებით შემოივლიან. სოფელში მისვლისას კარატისა და ხახმატის დეკანოზები თავიანთ ნიშთან დგებიან და დროშების ქღარუნით ხალხს ამცნობენ ხატების მობრძანებას. შეხვეწილები საწირ-საკლავით მიდიან და მათ იქ დეკანოზები ამწყალობებენ. საკლავსაც აქვე დახოცავენ. დეკანოზს ეძლევა მისი ბეჭტყავი და თავ-ფეხი. ვისაც ავადმყოფი „შეშინებული" ჰყავდა, „დ ა ს ა კ ო ჭ ა დ" მიჰყავდა. ავადმყოფს ხატის წინ აჩოქებენ და მას დროშების ქღარუნით დეკანოზები სამჯერ შემოუვლიან, საკლავსაც იქვე დაკლავენ და მისი სისხლით დაკოჭილი მარჯვენა ხელს განიბანს.

ზოგი თუში დეკანოზს სახლსაც ა კ ო ჭ ი ნ ე ბ დ ა. სნეულ ოჯახს მკითხავი ეტყოდა, უწმინდურ დედაკაცს ოჯახი შეუბღალავს და თუ გინდათ ფათერაკი მოიშოროთ, ხევსურ დეკანოზს სახლი დააკოჭინეთ. დეკანოზი დროშის ქღარუნით დასაკოჭ სახლს სამჯერ შემოუვლიდა, შემდეგ ბანზე ავიდოდა და დროშას გადმოაყუდებდა. ცხვარსაც იქვე დაკლავდა და ბანიდან ძირს გადმოაგდებდა. დაკოჭილ სახლში თვიურიან დედაკაცს არ უშვებდნენ.

ვისაც ბევრი ცხენი ჰყავდა, ხევსურ დეკანოზებს ცხენის ჯოხით მიეგებებოდა და ავთვალის წინააღმდეგ აკოჭინებდა. ამის შემდეგ კარატიონი და ხახმატიონი დეკანოზები, საწირ-საკლავით აზურგულები, რომლებსაც თან მიჰქონდათ აუარება ტყავი, ხორცი, პური და სხვა, უკანვე ბრუნდებოდნენ გომეწრის ხეობით და აქ დგებოდნენ ჯ ა ვ ა ხ ე ს (ვეძის თავში) მინდორზე, სადაც კარატიონი და ხახმატიონები შეიყრებოდნენ, და იმართებოდა დიდი ხატობა.

წინათ დეკანოზების გადმოსვლას მღვდლები თურმე ეწინააღმდეგებოდნენ, რადგანაც ამით მღვდლებს შემოსავალი უმცირდებოდათ. მაგრამ ხევსურები 1929 წლამდე თავისუფლად გადმოდიოდნენ თუშეთში და საწირ-საკლავსაც ეზიდებოდნენ. ამ წლიდან კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხევსური დეკანოზების ეს გასტროლიორობა აკრძალა და ისინიც არ გადმოსულან.

ამ დიდ, მთავარ ხატებთან თუშეთში მრავალი პატარა ხატსამლოცველოა, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანსა სცემს. ასეთია ომალოს „მ ა რ ი ა მ წ მ ი ნ დ ი ს" ხატი, რომლის ნიში 1903 წ. აუშენებია პეტრე მოზაიძეს. აქვეა ფიქვის დიდი ფუღურო ხე, სადაც თურმე ხატის განძეულობა ინახებოდა. ხატის ამ ხის ხელის ხლება აკრძალულია. ხალხური თქმულებით, ერთხელ რუსის ჯარს ამ ხის ტოტის შეჭრა განუზრახავს, მაგრამ ხატს იქვე გაუშეშებიათ. ამ ხატის უკან ფიქალი კლდეა, რომელიც ხატის საკუთრებად ითვლება და მისი დაშლა-გამოყენებაც მორწმუნეს ეკრძალება. მოზაიძეს სახლისათვის ქვა დასჭირებია, საკლავი დაუკლავს და მარიამწმინდის ხატისათვის ნებართვა უთხოვია. მოზაიძეს სახლი აუშენებია და მადლობის ნიშნად აქ ხატის დარბაზი აუგია. ამ ხატში დაცულია ლითონის უბრალო თასები და ერთი სპარსული სტილის ზარი, რომელიც შემკულია ვერცხლის ზარნაშიანი წნულებით და ადამიანის ფიგურებით. ომალოშია ხატის ტყე, სადაც მოთავსებულია მთავარანგელოზის ხატი. ხატის ამ ტყის მოჭრა წინათ სასტიკად ყოფილა აკრძალული, დღეს კი ამ ტყიდან შეშას თავისუფლად ეზიდებიან.

შენაქოში რამდენიმე ხატია. აქ არის კ უ რ ე ხ ი ს ჯ ვ ა რ ი, რომლის ნიში დაშლილია. კურეხის ხატს ვაჟიანობას შესთხოვენ და ვისაც ვაჟი გაუჩნდება, საწირით და კურატით იქ მიდის და მას მადლობას სწირავს. შენაქოშია ნ ი ვ რ ი ს ჯ ვ ა რ ი, რომელ-

საც დამიზეზების შიშით დედაკაცი ვერ გაეკარება და თუ მივიდა, ხატი გაჯავრდება და ავდარი სეტყვით მოვაო. შენაქოს მახლობლად ა გ ე ვ რ თ ი ს ნასოფლარია, სადაც დაცულია ა გ ე ვ რ თ ი ს ხის ხატი, რომელიც ირმისა და ჯიხვის რქებითაა შემკული. ვისაც ვაჟი არ ებადება, სალოცავად იქ მიდის და ამ ჯვარს ვაჟიანობას შესთხოვს. ხატობა დღეს სახვეწრად მოსულ უძეო მამაკაცს ბიჭები გაიტაცებენ და აგვერთის ჯვრიდან ჩაათრევენ ირმის რქებით მორთულ ყორეზე. აქ მას დეკანოზი დაამწყალობებს და ვაჟიანობას უსურვებს.

დართლოში რამდენიმე ხატია. სოფლის თავზე მ ა ღ ა ლ ო ე ლ ი ს ხატია და ამ ბატონს მაღალოელს (ღვთისმშობელია) მხოლოდ ბატკნებს სწირავენ. მეორე ხატი აქ მ ა რ ი ა ა მ წ მ ი ნ დ ა ა და მას დეკეულის პირველ ხბოს სწირავენ. როდესაც ხბო ცხრა დღის გახდება, ამ ხატში დაკლავენ, რადგანაც, ხალხის რწმენით, ეს ხბო მაინც არ გაიზრდება. დართლოშია ი ა კ ს ა რ ი ს ძლიერი ხატი, რომელიც ჯიხვის რქებით არის შემკული.

ფარსმაში ორი ხატია. ერთი ხატი ირმის წყაროზეა და მას მიქელგაბრიელს უწოდებენ. ამ ხატის ნიში სვეტისებურია და მას ქვაკაცს ეძახიან. მეორე ფარსმის წმ. გიორგის ხატია, სადაც 6 აგვისტოს (ახალი სტილით) ათნიგენობას იხდიან და შეთესა და შამილს აჭიდავებენ. ამავე ხეობაშია თ უ რ ს ი ე ხ ი ს ცნობილი ხატი. თურსიეხი ჭონთიოდან ოთხი კილომეტრითაა დაშორებული. ეს ფურების ხატია, შეხვეწილი დედაკაცები ამაღლების მეორე კვირას საწირ-საკლავით იქ მიდიან და ეკედრებიან საქონლის მომრავლებას, ფეხმძიმის „მშვიდობის მუხლის მოგებას" და სხვა.

გომეწრის ხეობაში ამგვარ ხატებს შორის საყურადღებოა ჯვარბოსელში დაცული ჭ ი თ ა ნ ი ს წმ. გ ი ო რ გ ი. აქ ხატის ორი სვეტისებური ფორმისა და ირმის რქებით შემკული ნიშია. აქ წინათ გომეწრის საზოგადოების მთავარი სალოცავი ყოფილა და ათნიგენობის ერთ ორშაბათს დიდი ხატობა იმართებოდა. ჭითანობა ახლა მივიწყებულია და მხვეწართა რიცხვიც მცირეა.

ძველ წოვათაში დღეს დაცულია ს ა მ ე ბ ი ს წმ. გ ი ო რ გ ი ს ხ ა ტ ი. ეს ხატი ბატარა ბორცვზეა აგებული და წარმოადგენს თაღიან ბაწია ოთახს, სადაც წოვების ახლად შემოსილი ორი დროშა ინახება. ეს დროშა ჩვეულებრივი თუშური ტიპისაა. სამების

ხატი წოვებს ძლიერ სწამთ. მისი ნიში ტბათანაშიც არის დაცული. შეხვეწილი წოვები სამების სალოცავად ითვლებოდა ტბათანიდან წოვათაში გადადიან და ამ მამაპაპური ხატის წინაშე ლოცულობენ. წინათ წოვათში აგრეთვე ყოფილა ეთელტისა და ფიწალოს წმ. გიორგის ხატი, რომლის სახელით წოვები ფიცულობდნენ: „აგაშოროს ჭირი ფიწალოს წმ. გიორგიმ!“ წოვების ძლიერ ხატად ითვლება აგრეთვე „სპეროზის წმ. გიორგი“, რომლის ნიში ტბათანის გალმა სპეროზის მთის ძირშია მოთავსებული.

საღმრთო რიტუალს წოვებში იგივე ხელოსნები და ნათეები ასრულებენ ჩვეულებრივი თუშური წესებით. ხელოსანი მხვეწარს ქართულად ამწყალობებს. ზოგჯერ ის წოვურადაც დაილოცება: „დალე, ლამრე წიბორე, ლეტლე ვაიგ, რჯულსაქრისტიანეგ! ვაი დაჩუგშნ, ვაი ბეწჩუგშნ წყალობ ლიბ! ჰამინ!“

„ღმერთო, მთის წმინდანებო, უშველეთ ჩვენ რჯულ-საქრისტიანოს! ჩვენიანებს (იმათაც), ჩვენ რომ ვუნდივართ (,) წყალობა მიეცი(თ)! ამინ!“ [1]

დღეს წოვა თუშებში ხელოსნობა, ნათეობა და ხატის მსახურების რიტუალი უკვე მივიწყებულია, წინათ კი წოვათაში სამების წმ. გიორგობას მრავალი მლოცავი თურმე ეტანებოდა, რომელიც მშვენივრად აღწერილი აქვს ივ. ბუქურაულს თავის საყურადღებო წერილში „ტბათანიდან წოვათამდე“ (ჟურ. „მოამბე“, 1897 წ., № 9, გვ. 41—53).

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ თუშეთში ამ საკულტო ადგილების სიწმინდე დღეს შებღალულია. ცრუმორწმუნეობის ბურუსი დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური მშენებლობის ზეგავლენით უკვე გაფანტულია და აქაურ ახალგაზრდობას ხატი და ხატობა შეგნებულად არა სწამს. დღეობებსაც უფრო გართობის მიზნით ეტანებიან, სადაც იმართება ცეკვა-თამაში, ცხენების ჯირითი, მხიარული სუფრა და სხვა. მთებში მომწყვდეული ახალგაზრდობა კულტურულ გართობებს ჯერჯერობით მოკლებულია და იძულებულია თავი შეიქციოს ამ ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილი ჩვეულებით.

[1] თარგმანი რედაქტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიციის მარშრუტი

თუშეთის შემსწავლელი ექსპედიცია შედგებოდა სამი პირისაგან: ექსპედიციის ხელმძღვანელი სერგი მაკალათია, ხალხური სიტყვიერების შემკრები და ჩამწერი თუში მასწავლებელი ირაკლი ელანიძე და მხატვარი გ. ცაგარელი. ექსპედიცია ტფილისიდან გავიდა 7 ივლისს, ღამის პირველ საათზე, კახეთის მატარებლით და 8 ივლისს დილის 9 საათზე თელავში ჩავიდა. თელავიდან ექსპედიცია ეტლით სოფ. ფშაველში გაემგზავრა.

თელავიდან ფშავლამდის ოთხი საურმე გზაა: პირველი, თელავი—ახმეტა—ბახტრიონი—ალვანი—ლალისყური—ფშაველი. ეს გზა გრძელია, 45 კილომეტრია, ალაზანზე ხიდი არ არის და საშიშია; მეორე გზა, თელავი—ვარდისუბანი—ალაევერდი—ალვანი—ლალისყური—ფშაველი, 28 კილომეტრია, ალაზანზე ხიდი არ არის და ესეც ძნელი გზაა; მესამე მოკლე გზაა, თელავი — ყარაჯელა (ახატელი)—ფშაველი, 18 კილომეტრია, მაგრამ ალაზანზე ხიდი არც ამ მიმართულებით არის. მეოთხე გზა თელავიდან გადის ალაზნის გზატკეცილით ხიდზე და სოფ. შაქრიან—ნაფარეულ—სანიორეთი მიდის სოფ. ფშაველში. გზის მანძილი 25 კილომეტრია, ალაზანზე ხიდია და გზა უშიშარი. ამ გზით ექსპედიცია სოფ. ფშაველში დღის ორ საათზე ჩავიდა. ეს ბოლო სოფელია და აქედან იწყება თუშეთის გზაც. ექსპედიცია შეუდგა ცხენების შოვნის თადარიგს.

9 ივლისს, დღის ხუთ საათზე, დაბარგული ცხენებით ექსპედიცია ფშავლიდან გავიდა და მდინარე სტორის ხეობით თუშეთის გზას გაუდგა. საღამოს ჩავედით სოფ. ლეჩურში, სადაც გადმოსახლებული ფშაველები ცხოვრობენ.

ლეჩურიდან თუშეთისაკენ ორი გზა მიდის: დიდგვერდ-ნაქერალისა და კეპნის გზა. პირველი შედარებით უკეთესია, მეორე კი უფრო მოკლეა, მაგრამ ძნელი გასავლელი. ექსპედიცია ამ გზაჯვარედინ სოფელში შეჩერდა. გაიმართა თათბირი გზის არჩევაზე.

წინასწარ შემუშავებული გეგმით, ექსპედიცია უნდა გამგზავრებულიყო დიდგვერდ-ნაქერალის გზით, მაგრამ აქ შემოგვეყარნენ თუში მგზავრები, რომლებიც კეპანზე მიდიოდნენ და გვირჩიეს ამ გზით გამგზავრება. ამასთანავე გვაფრთხილებდნენ, ნაქერალაზე

მოსალოდნელია ბანდიტ-ყაჩაღების თავდასხმაო. ამან ექსპედიცია დააფიქრა და თუშებთან ერთად კეპნის გზას გაუდგა.

საღამოს 9 საათზე დავბინავდით ტყეში „კიდუკის ბოლოზე". ცა მოიღრუბლა. გავშალეთ კარავი. შუაღამისას ქუქუნა წვიმა დაუშვა. გათენდა. ღრუბლის ნაფლეთები ირევიან. ღილა ნისლიანია. ექსპედიცია შეუდგა გამგზავრების თადარიგს: ცხენები დაიკაზმა და დაბარგულები კეპნის წყლის ხევით გზას გავუდექით. ბილიკი დაკლაკნილია, დასხლეტილი და ღადაღუდა.

მალე დაუშვა კოკისპირული წვიმა. მივდივართ ფორთხვით და ხოხვით. გზის გაგრძელება შეუძლებელია და დავბანაკდით ორწყლის დავაკებაზე, სადაც კეპნის წყალს აბანოს წყალი უერთდება. მას აქ ორწყალს უწოდებენ. გაიშალა კარავი და დაწუწულები ვუცდით გამოდარებას.

უკვე დღის 11 საათია და არ დარობს. თანამგზავრი თუშები არ იცდიან, გვაჩქარებენ, რომ ღამის ბანაკზე დროზე მიგვესწრო. ისევ ავიბარგეთ და თავსხმაში შევუდექით კეპნის გადასვლას. დაკლაკნილი ბილიკი ლიპია და ძნელი გასავლელი.

.გავიარეთ 7 კილომეტრამდის და კეპნის ტყეში „წყაროსთან" ხმა გაისმა: „რუკი ვერხო". მგზავრები გავშეშდით. წინ გადმოგვიდგა თოფმოღერილი ყაჩაღი. მან დაუშტვინა და სხვებიც გამოჩნდნენ. მოვიდა მათი ბელადი ვ ა ლ ი. ეს ტიპიური ლეკია, ხანშიშესული და მრისხანე. მას ახლდა თავისი ახალგაზრდა ქალიშვილი ვაჟურად გადაცმული და შეიარაღებული.

ყაჩაღი ოთხია და ოთხივე დიდოელი. გაგვჩხრიკეს. ჯიბე-უბეში რაც რამ გვებადა, წაგვართვეს. ფული გასინჯეს და იცოტავეს. ვალმა ჩვენი ვინაობა გამოიძია. ვალი ყოფილი ნაიბი და ნამამასახლისარია. ძლივს ახერხებს ქართულ-რუსულ ლაპარაკს. გვისინჯავს საბუთებს და თან დახოცვით გვემუქრება.

ყაჩაღებს ჩვენი ბარგი კოოპერატივის საქონელი ეგონა, ჩვენ კი საგანგებო დავალებით მივლენილი მოხელეები. ყაჩაღებმა ბარგი გახსნეს, რაც მოეწონათ, ამოალაგეს და წაიღეს. შემდეგ ბარგი ისევ შეგვაკვრევინეს და ცხენებზე ავკიდეთ. გვეგონა, გვისტუმრებენო და ცოტაოდენი შვება ვიგრძენით. მაგრამ ამაოდ. ახლა ფული მოგვთხოვეს.

მძიმე იყო ექსპედიციისათვის ამის შესრულება. ეს ნიშნავდა

ექსპედიციის მუშაობის ჩაშლას და ხელცარიელი უკან დაბრუნებას. ფულის არ მიცემაც საბედისწერო იყო. ფული კი ყუთში გვქონდა ჩაკეტილი.

ფული თან არა გვაქვს, ვუპასუხეთ ჩვენ, ფოსტით უნდა მივიღოთ. ამაზე ვალი გაცეცხლდა. ბრძანა ყუთი გაგვეხსნა. გასაღები ვერ მოვხელე დ ყუთიც თოფის კონდახით ჩალეწეს. მაგრამ გადამალული ფული მაინც ვერ იპოვეს.

აბა ახლა ხევში ჩადით, ბარგიანი ცხენები აქ დატოვეთ და სანამ ფულს არ ჩაგვაბარებთ, მანდ იყავითო. თან თოფებით გვიტევენ.

ჩემმა თანამგზავრმა ირაკლი ელანიძემ წამჩურჩულა: ხევში ჩასვლა სიკვდილის ნიშანია, მე თუში ვარ და ვაქკაცურად უნდა მოვკვდეო. თქმა და რევოლვერის ამოღება ერთი იყო. ნიშანში ვალი ამოიღო, ჩახმახი ამუშავდა, მაგრამ დანესტიანებული საბედისწერო ტყვია არ გავარდა. თუშს რევოლვერი ყაჩაღებმა გამოსტაცეს, დაითრიეს და სცემეს. კოკისპირული წვიმაა. ექსპედიცია მძიმე წუთებს განიცდის.

ამ დროს ტყეში გაისმა მგზავრთა ხმაური და ცხენების ჭიხვინი. ყაჩაღები შეშფოთდნენ. ერთმა ყაჩაღმა მგზავრები შეაყენა. ესენი კახეთში მიმავალი თუშები იყვნენ და კეპნის ეს გზა უნდა გაევლოთ.

ერთი თუში ჩვენსკენ გამოემართა, მიესალმა ვალის და დიდოურად დაუწყო საუბარი. მოკლე თათბირის შემდეგ, მძიმე პირობებში შესაძლებელი შეიქნა ჩვენი განთავისუფლება და ნაშუადღევის სამ საათზე გაძარცული და შეშფოთებული ექსპედიცია შეუდგა კეპნის აღმართის გადალახვას [1].

საღამოს 6 საათზე დავბანაკდით „თიბელაანთ საპარსავზე". ამინდი ცრიაკია და ცივი. ღრუბლებში მოჩანს ყორნის მთა, განჯაურა და ფურთკალო. გათენდა. ძლიერი ჯანღია. ცივა. დილიდანვე შევუდექით კეპნის გადასვლას. შუადღისას შევისვენეთ ნაგომრალზე. ეს ალპიური ზოლია. მთის ჩახრამულებში თოვლი არ გამდნარა. მდელო ნორჩია და მინდვრის ყვავილებიც იშლება. გავი-

[1] ექსპედიციის გაძარცვის ცნობა თელავის პოლიტსამმართველოს იმავე საღამოს მიეღო და რაზმელები გაეგზავნა. რაზმელებმა კეპნის მიდამო შეკრეს და 17 იულისს ოთხივე ყაჩაღი დახოცეს.

არით თოვლიანი სერები და ზეთავის გადასავალი. შეუ-
ვუდექით კავკასიონის ქედის გადალახვას.

ზეთავის კლდოვანი მწვერვალი ძნელი გადასავალია, სიმაღლე
ზღვის 3101 მ. დღის პირველ საათზე ზეთავიდან დავეშვით ალა-
ტოვნის ღელეთზე. ალატოვნის თოვლით დაფარული სერები
და ჩაზვავებული ხრამები აქ იწყება და მდინარე ალატოვნის ეს
ნაკადები შხეილით ჩამორბიან.

ალატოვნით იწყება თუშეთის ტერიტორია. ცივა. დღის ორ სა-
ათზე ექსპედიციამ შეისვენა ალატოვნის ქოხთან და შემდეგ შე-
უდგა ალატოვნის ხორხზე გადასვლას. ეს ქედიც დაძლეულია და
ახლა დაიწყო ქალჯვრის დიდი და ძნელი ღელეთი. წვიმს.

გავიარეთ საგველის ფერდობი და საღამოს 7 საათზე ჩავედით
ნაჯიდურის ჭალაში, სადაც ერთდება ორი წყალი, ალატოვანი და
წოხვა. აქ ხის ხიდია. ღამის გასათევად ამ ნაჯიდურის ჭალაში
დავბანაკდით. აღარ წვიმს, მაგრამ ცივა. დავანთეთ დიდი ცეცხლი.
ვთბებით და ვშრებით.

12 ივლისს. დილის 7 საათზე, ექსპედიცია შეუდგა ნაჯიდურის
მთაზე გადასვლას. შუადღისას გამოჩნდა თუშეთის სოფლები:
ხისო, ნაციხარი და ჩიგლაურთა. ჩავედით ხისოს წყალში და იქ
შევისვენეთ. ორ საათზე სოფ. ხისოში გავიარეთ, გომეწრის ალაზ-
ნის ხიდზე გავედით და საღამოს 6 საათზე ომალოში ვიყავით.

ექსპედიცია სოფ. ომალოში დაბინავდა და ჩაღმის თემის ყო-
ფა-ცხოვრების შესწავლას შეუდგა. მუშაობა გაგრძელდა ერთ
თვემდე. აგვისტოს პირველ რიცხვებში ექსპედიცია სამუშაოდ პი-
რიქითა ხეობაში გადავიდა. შემდეგ კი გომეწრის ხეობაში დაბი-
ნავდა სოფ. ჯვარბოსელში და აქედან აწარმოებდა წოვათის შე-
სწავლას.

29 აგვისტოს წოვათუშების შესასწავლად ექსპედიცია ტბათა-
ნაში გაემგზავრა. სოფ. ალისგორიდან გზა მიდის ჯავახეზე, სადაც
ხევსური დეკანოზები ათინიგენობას დგებიან. გავიარეთ საქინჯვრის
ხევი, დიდოთ ღელე, სადაც ხალხური გადმოცემით, დიდოელები
მდგარან, მთა საკერპო და მიჯნის ხევი, რომელიც წოვათას ჰყოფს
თუშეთისაგან. დღის 4 საათზე ჩავედით ალაზნის თავში. დავბა-
ნაკდით ალვანის მესაქონლეთა კოლექტივის ბინაში. ეს მეცხვარის
ჩვეულებრივი ქოხია. აქ წოვები გაგვიმასპინძლდნენ. დაკლეს ბატ-

კანი, მოხარშეს გორდილა და მწყემსებმა გულუხვი და მხიარული ვახშამი გამართეს. ცივა. ცეცხლთან ვთბებით. მწყემსებმა ფარა მორეკეს და ქოხი მოსვენებას მიეცა. მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით საყორნის მთის ალმართს, პირველ საათზე კავკასიონის ქედის ეს გადასავალი გავიარეთ და წიფლოვანის ხევში დავეშვით. გავედით წიფლოვანის წყალზე. ბილიკი მიდის წიფლოვანის ტყით მასარის გადასავალზე. დღის ხუთ საათზე გავიარეთ რკინის ჭთა. ამ კლდოვან მთას გასდევს ვიწრო დაკლაკნილი ბილიკი, რომელსაც რკინის გზას უწოდებენ. ეს ბილიკი მეტად ძნელია და საშიში გასასვლელია. აქედან მოჩანს მყინვარწვერი (ყაზბეგი). აქვეა ბორის სათავეც. გავიარეთ საქისტოს მთა და საღამოს 8 საათზე ტბათანაში ვიყავით.

ტბათანა წოვების საზაფხულო სადგომია. აქ ვაწარმოებდით მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლას. სექტემბრის პირველ რიცხვებში ტბათანა-ბირკიან-ბახტრიონის გზით ჩავედით ზემო ალვანში და რვა სექტემბერს ალვან-ალაევერდ-ვარდისუბან-თელავის გზით ექსპედიცია ტფილისში დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

1. ალბანელი — თუშეთის ორი გუჯარი, „ქვალი", 1897 წ., № 50—52. მისივე — თუშური სიმღერები, „ქვალი", 1897 წ., № 13—15, 17, 20, 23, 37, 49.

2. ბუკურაული ივ. — ტბათანიდან წოვამდე, „მოამბე", 1897 წ., № VIII, IX. მისივე — თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ, „ივერია", 1895 წ., №№ 118, 119, 121, 122, 125. ჩაწერილი ლექსები, „ალბელი", 1899 წ., № 11, განყ. 2; „ძველი საქართველო", ტ. II, ტფილ., 1911—1913 წ., განყ. V.

3. გელოვანი — თუშ-ფშავური ლექსები, „ცნობის ფურცელი", 1906 წ., № 2991, დამატ. № 376.

4. გომელაური ივ. — ხალხური ლექსები ჩაწერილი თუშეთში, „ქვალი", 1897 წ., № 29.

5. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია. ტფილისი 1904 წ.[1].

6. როსტომაშვილი დავ. — თუშური სიმღერები, „მოამბე", 1895 წ., № 3; 1897 წ., № I—IV; 1896 წ., № XII.

7. ხახანაშვილი ალ. — მგზავრის დღიურიდან, (თუშეთი). გაზ. „ივერია", 1888 წ., № 173, 177, 181, 185.

8. Буш — По горам и ущельям Хевсурии и Тушетии (Труды Имп. СПБ. ботанич. сада, XXIII, 3).

9. Н. Я. Дивик — Путешествие по Пшавии и Тушетии, Зап. КОИРГОва, кн. XV. Тиф. 1893 г.

10. Цискаров И. — Записки о Тушетии, газ. «Кавказ», 1846 г. № 50, 1849 г., № 7, 8, 10—13; Дикло и Шенако, «Кавказ», 1846 г., № 27; Тушинские песни, «Кавказ», 1849 г., № 38; Кочующая Тушетия, «Закав. Вестник», 1846 г., № 20,21.

11. Эристов Р. — Записки о тушино-пшаво-хевсурском округе. Зап. КОИРГО, т. III. Тиф., 1855 г.

12. Саваров — О тушинском овцеводстве, «Кав. Сельское хоз.», 1896 г., № 149.

13. Хаханов А. —Тушины. Этнограф. обозрение, 1889 г., № 2.

14. Мачабели М. В. — Экономический быт крестьян Тионет. уезда Тиф. Губ. (Мат. Экон. быта государ. крест., т. V. Тифлис, 1887 г.).

---

[1] ციტატები შემოწმებულია 1941 წ. გამოცემით: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), ი. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის redaqciiT, თბილისი, 1941 (რ. ე. ფ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

რედაქტორისაგან 3
წინასიტყვაობა 7
გეოგრაფიული მდებარეობა 9
ისტორიული მიმოხილვა 16
ეკონომიური მდგომარეობა 51
ხაზოვადოებრივი ყოფა 94
ყოფის დამახასიათებელი რეალიები . . . 123
ხალხური ჩვეულებები 158
მიცვალებულის გასვენების, ტირილისა და
გლოვის წესები 173
ცრუმორწმუნეობა 190
საკულტო ადგილ-სამლოცველოები და მათთან
დაკავშირებული რიტუალები . . . 202
ექსპედიციის მარშრუტი 223
ბიბლიოგრაფია 229

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბ. № 500

რედაქტორი მარინე სოხაძე
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კონტრ.-კორექტორი თ. შინდაგორიძე
კორექტორი მ. შველიძე
გამომშვები თ. ბუღაძე

გადაეცა ასაწყობად 25. 11. 82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. IX. 82 წ. ანაწყობის ზომა 6×9. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ნაბეჭდი თაბახი 13,48. საბეჭდი ქაღალდი № 1. სალებავგამტარობა 14,76. სალრ.-საგამომცემლო თაბახი 10,97.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 279
ფასი 66 კაპ.